რუსუდან ნიშნიანიძე



შეხვედრები



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი
2008

UDC (უაკ) 821.353.1-94
ნ-746

რედაქტორი — **გიორგი ლობჟანიძე**

ტექნიკური რედაქტორი — **გიორგი ხარებავა**

კორექტორი — **მარინე ირემაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა — **ტასო ჯაშიაშვილი**

წიგნი იბეჭდება შპს „კომპიუტერული სამყაროს“ და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ბატონი მიხეილ ჯაფარიძის ფინანსური მხარდაჭერით

წიგნის მხატვრული გაფორმებისას გამოყენებულია
ლადო გრიგოლიას მხატვრულ-გრაფიკული მოტივები

© რ. ნიშნიანიძე, 2008

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: +995 32 22 36 09, +995 99 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-188-3

მთავარი საშობლოს გულწრფელი სიყვარული

რუსუდან ნიშნიანიძის ეს საინტერესო წიგნი ხუთ დიალოგს აერთიანებს, რომელიც ავტორმა სხვადასხვა დროს ჩაწერა ჩვენი სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ხუთ გამორჩეულ წარმომადგენელთან. რესპოდენტები ერთმანეთისგან ბევრი რამით განსხვავდებიან — შეხედულებებით, პოზიციებით, ცხოვრების წესითა თუ, საერთოდ, ბედისწერით, მაგრამ მათ აერთიანებთ მთავარი — სამშობლოს გულწრფელი სიყვარული და მისი უანგარო მსახურების სურვილი.

სხვაგვარად შეუძლებელი იყო, რადგან ვინც იცნობს რუსუდან ნიშნიანიძეს — ეროვნული მწერლობის მკვლევარს, უცხოეთში ქართული დოკუმენტებისა და სიძველეების დაუღალავ მაძიებელსა და ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნეს, იმისათვის წინასწარვე ცხადია, რომ ამ შესანიშნავი წიგნის ავტორი თანამოსაუბრეს შემთხვევით არ ამოირჩევდა. გიორგი ნატროშვილი, ოთარ ჩხეიძე, კობა გურული, მამია ბერიშვილი და ალექსანდრე ფუტკარაძე სხვადასხვაგვარად ემსახურნენ თავიანთ სამშობლოს — ზოგი კალმით, ზოგი საჭრეთლითა და ზოგიც აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით.

ბუნებრივია, მათი პროფესია, განათლება, ცხოვრებასთან დამოკიდებულება განაპირობებდა არა მხოლოდ მათი შეხედულებების სხვაობას, არამედ მათი მეტყველების სტილის თავისებურებებსაც, რაც წინამდებარე წიგნში — ავტორის ფაქიზი ფილოლოგიური ალღოსა და გემოვნების შესაბამისად — ოსტატურად და გამოკვეთილად აისახა.

ბუნებრივია ისიც, რომ ლიტერატურულად ყველაზე მოწესრიგებული ტექსტი ოთარ ჩხეიძესთან დიალოგია. დიდი მწერლისათვის მნიშვნელობა არა აქვს, რომანზე იმუშავებს თუ ინტერვიუზე, ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება ყველა ჟანრს და ამიტომაც მასთან დიალოგიც იმ ნამდვილი მხატვრულ-ენობრივი სივრცის ნაწილია, რაც ქართულ მწერლობაში განუმეორებელმა ოთარ ჩხეიძემ დაამკვიდრა.

გარდა თავისთავადი მხატვრული ღირებულებისა, ოთარ ჩხეიძის დიალოგი ბევრ ისეთ საჭირბოროტო საკითხს წამოჭრის, რაზედაც ბოლო ხანს ფიქრობდა მწერალი და რასაც ჩვენი ქვეყნის მომავლისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემატიკად მიიჩნევდა.

გიორგი ნატროშვილთან დიალოგიც, არსებითად, იმავე საფიქრალს დასტრიალებს, ოღონდ ცოტა უფრო მსუბუქად და ცხადია, მისი ტექსტი არც ოთარ ჩხეიძისათვის ნიშნეული წიაღსვლებით ხასიათდება. საინტერესოა, რომ ერთ ეპოქაში მოღვაწე ორი გამორჩეული მწერალი კონკრეტულად ამ ეპოქასა და კერძოდ, ამა თუ იმ მოვლენას ხშირად სრულიად განსხვავებულად აფასებს. ამის მიზეზი მხოლოდ მათი ასაკობრივი განსხვავება არ უნდა იყოს. აქ ორი ინდივიდი ჩანს, რომელთაც საკუთარი პოზიცია ჰქონდათ ყოველდღიურობასთან დაკავშირებით და მკითხველი გაარკვევს, რომელი რატომ ფიქრობს ასე და არა სხვანაირად. წიგნის ავტორის — რუსუდან ნიშნიანიძის ღირსება კი ისაა, რომ მან შეულამაზებლად მოიტანა ორივე მწერლის ნაფიქრალი და შესაშური წესიერებით დააფიქსირა მათი მეტყველების, მსჯელობისა თუ აზროვნების არაერთი ნიუანსი.

რუსუდანის ეს თვისება განსაკუთრებით მკაფიოდ იკვეთება კობა გურულთან დიალოგისას. ერთი პირობა ისიც ვიფიქრე, ხომ არ აჯობებდა, ტექსტისათვის ლიტერატურული ჩალხი გაეკრა და მკითხველისათვის ისე შეეთავაზებინა-მეთქი, რადგან ქართული ჭედურობის დიდოსტატი, უაღრესად კოლორიტული ადამიანი კობა გურული ძალზე თავისებურად მეტყველებს და მის მოსმენას არაფერი შეედრება, მაგრამ როცა ქაღალდზე ზეპირად ნათქვამის გადმოტანას ცდილობ, რა თქმა უნდა, მოსმენილის ეშხი და ჯავარი გარკვეულწილად იკარგება და ხშირად აზრის გაგება გიძნელდება. მაგრამ სრულიად მკაფიოა რუსუდანის შემოქმედებითი პოზიცია — არც თვითონაა ჟურნალისტი და არც წიგნია ინტერვიუების ნაკრები. ის დოკუმენტია და ამიტომაც დოკუმენტის შესაფერისი სიმართლით უნდა მეტყველებდეს.

დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება კი ვის, ვის და რუსუდან ნიშნიანიძეს ნამდვილად არ აკლია. კერძოდ, ქართული ემიგრაციის არაერთი ისტორიული საბუთის პოვნა, შესწავლა და გამომზეურება სწორედ მის სახელთან ანდა უბრალოდ, მეცნიერთა ჯგუფთან ერთად მის უანგარო შრომასთანაა დაკავშირებული. წიგნის ბოლო ორი ინტერვიუ თუ საერთოდ, მთელი ეს დიალოგები წარმოგვიდგება ავტორის მიერ რამდენიმე წლის წინათ დასტამბული ბრწყინვალე ლიტერატურულ-ისტორიული კვლევის

„საქართველო სამანს აქეთ და... სამანს იქით“ დიდებულ გაგრძელებად.

წიგნის სათაური და სამანებს შორის ჩასმული სამწერტილი მკაფიოდ მიგვითითებს რუსუდანის ბოზიციას: თვით ავტორს ქართული სულიერება, საქართველოს ისტორია ასე არასოდეს დაუყვია და ყველა საზღვარი პირობითია, როცა საქმე ქართული სულიერების სამსახურს ეხება. ქართველ ემიგრანტთა უდიდესი ნაწილი სწორედ ამ შეგნებით მოღვაწეობდა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც ბედის უკუღმართობით სამშობლოდან აყრილსა და გადახვეწილს ცხოვრება და არსებობის გაგრძელება მოუწია. ამ სიტყვების დასტურად ჩვენი ემიგრაციის ორი გამორჩეული წარმომადგენლის — ბატონ მამია ბერიშვილისა და ბატონ ალექსანდრე ფუტკარაძის დიალოგებიც გამოდგება და შეუძლებელია, მკითხველმა ამ დიალოგთა მთელი ფრაგმენტები აუღელვებლად, უცრემლოდ წაიკითხოს.

რაკი სამანებზე მიდგა საქმე, ბარემ ისიცა ვთქვათ, რომ რუსუდანის წიგნი მართალია, ჩვენს უახლეს ისტორიასა და იმხანად მცხოვრებ ადამიანებს, მაგრამ დღეს უკვე სამანს იქით — ზეციურ — საქართველოსაც ასახავს. რესპოდენტთა დიდი ნაწილი უკვე გარდაცვლილია და მათი ფიქრი ახლა ზეციდან დასტრიალებს მშობლიურ ქვეყანას. მათთან ერთად კი თითქოს წასულა ის დარბაისლური ქართულიც, რასაც თუნდაც ძალზე მცირე ხნის წინათ ამ ადამიანთაგან მოისმენდით, წასულა ბევრი რამ, რაც ერთ კონკრეტულ თაობას ახასიათებს და სხვა თაობებში ნელ-ნელა ხუნდება ან ინავლება.

მაგრამ საბედნიეროდ, რჩება წიგნი, რომელიც უსამანოა, რომლისთვისაც არც ფიზიკური და არც მეტაფიზიკური საზღვარი არსებობს და მისი სასწაულებრივი ზემოქმედების წყალობით ერთიანია საქართველო მიწიერი და ზეციური, აქ მცხოვრები და უცხოთა მიწაზე თავშეფარებული, წიგნია ის სივრცე, „სადაც ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“...

ჯერ მხოლოდ წიგნი... მაგრამ თუ სამანს აქეთ და იქით ქართველებს ერთიანობის ეს მოუშორებელი განცდა გვექნება, რაც რუსუდან ნიშნიანიძის ღირსეულ თანამოსაუბრეთა ნაფიქრალიდან სჭვივის, ხვალ ეგებ, უფრო დიდი ასპარეზიც გამოგვიჩნდეს...

ვიორი ლობჟანიძე

წინათქმა

საჯაროდ დღემდე არ თქმულა...

„ეპოქის ნიშანი“ თითოეულ შემოქმედს სხვადასხვაგვარად აქვს გააზრებული და მხატვრულად მოწოდებული.

ლიტერატურათმცოდნეობა ფართოდ დაინტერესდა დოკუმენტური ჰროზის იმგვარი ფორმით, როცა მონათხრობი რეალურ ამბავს ეურდნობა და გამოგონილ ჰერსონაჟთა თავგადასავლების ნაცვლად, ნამდვილი ადამიანების რეალურ ამბებს ისმენ. დროულობას ისიც განაპირობებს, რომ ზოგიერთი მათგანი, ვისთანაც ეს საუბრები წარიმართა, უკვე აღარ გასლავთ ცოცხალთა შორის და მათი ნაამბობი აწ უკვე ისტორიის კუთვნილებაა. ერთგვარი დისტანციიდან ვისმენთ ამ ფაქტების შესახებ. თითქოს მონათხრობიდან გარკვეული გამანძილება ხდება, დროის მოდიფიცირებაც კი.

მიზანმიმართული თანამიმდევრობით დალაგებული თემები მოიცავს როგორც განვლილ — XX საუკუნის ლიტერატურულ ცხოერებას, მხატვრობას, ქართულ ემიგრაციას, ისე, კონკრეტული ადამიანების ბიოგრაფიის ასპექტებს. ისინი არაერთ უცნობ ფაქტს იგონებენ; ისეთ მოვლენებსაც, რომლებიც ხელისუფლების იდეოლოგიის თუ კონიუნქტურის გამო გვერდზე რჩებოდა. უბრალოდ, მათ არ „იხსენებდნენ“. ეგულისხმობ ლიტერატურულ ტექსტებს, ნახატებს, ნამუშევრებს, რომლებიც კარგად ნაცნობია ქართველი მკითხველისთვის, მაგრამ მათი შექმნის ჰერიჰეტიებია უცნობი.

...მათ მოგონებები არ დაუწერიათ, არ დაუფიქსირებიათ ისტორიული სინამდვილე, მაგრამ არც დაეიწუებისთვის გაუმეტებიათ. მაინც ფიქრობდნენ, რომ საზოგადოებას ეს „უნდა“ სცოდნოდა. ეს მოგონებები, რასაკვირველია, კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტს გულისხმობენ. მკვეთრი ინდივიდუალობა, იქვე, „საბჭოთა ესთეტიკა“ და სავალდებულო ზოგადი ტენდენციები — როგორ ვლინდება ეოველივე ეს ერთ სივრცეში... ამასთან, თანაარსებობის ერთობლიობა არ უნდა დაირღვევს. ხელისუფლება და საზოგადოება. ერთი მთლიანობა თუ სხვადასხვა მხარე; ან ამგვარი: „ამ“ ქვეენის ხელისუფლება — „ამ“ ქვეენის ფარგლებს გარეთ. როგორ „ინახავს“ ისტორია იმ ადამიანების სახელებს, ვინც „ისტორიას“ ქმნიდა. გზაჯვარედინი — ქვეეანა,სადაც ცხოვრობდი და ქმნიდი და ქვეეანა, სადაც ამჯერად აგრძელებ არსებობას და საქმიანობას. თვითმხილველისა და თვითგანმცდელის მიერ შეფასებული მართალია, გარკვეული სუბიექტურობის ელფერს ინარჩუნებს, მაგრამ სწორედ ეს ანიჭებს მას ხიბლს...

რუსუდან ნიშნიანიძე



გიორგი ნატროშვილი

მწერლები... არ იცვლებიან

საგამოფენო დარბაზში ვსხედვართ... ხელნაწერები, უნიკალური წიგნები, ექსპონატები... მუზეუმისათვის ნიშნეული სიმყუდროვე.

— ჰოდა, მთელი ღამე თამაშობენ ნარდს კარლო კალაძე და ლევან ასათიანი. მეც მათთან ერთად ვარ. გამთენიამაც მოატანა. თითქმის დილის 5 საათია. კარლოს ოთხი ქვა აქვს გამოსატანი; თუ არა, პარტია წაგებულია. მოულოდნელად დგება სკამიდან, იღებს ტელეფონის აპარატს და რეკავს.

— ალო, სერგო, შენა ხარ, მე ვარ კარლო.

თურმე კაცო, სერგო კლდიაშვილთან დაურეკავს. ახლა სერგო წითური ხო იყო და...

— სერგო, მჭირდება დუშაში და უნდა მომცე.

კარგა ხნის პაუზის შემდეგ ყურმილში სერგოს ხმა გაისმის:

— მომიცია!

და წყვეტილი ზუმერი. სერგომ ყურმილი დადო.

კარლომ კამათელი გააგორა. მართლა დუშაში არ დაჯდა, კაცო?

მერე მთელი კვირა ემალებოდა გამეხებულ ლევან ასათიანს სერგო კლდიაშვილი.

ყველა ერთად გულიანად ვიცინით. ამას ბატონი გიორგი ნატროშვილი გვიამბობს. თითქმის მთელი ცხოვრება ამ ადამიანთა გვერდით გაატარა, ბოლოს საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი იყო... და მახსენდება: „მუზეუმი ნამდვილი საკუჭნაოა, განვლილი გრძნობების, გადასული ფერების, გადახდილი ომების ძველი საკუჭნაო“ (კ. გამსახურდია). სწორედ ომების, და ომის ყველა კანონზომიერების მიხედვით იყვნენ სარდალნიც და უპოვარნიც, გმირებიცა და მსტოვრებიც. ბრძოლაც უმეტეს, უთანასწორო და უსამართლო იყო, მაგრამ მოპოვებულ გამარჯვებასაც თავისი გამორჩეული ღირსება ჰქონდა. საინტერესოა, თავად რას განიცდიდა ამ დროს. უახლესი ლიტერატურული ნაშრომ-ნაღვაწის ლამის პირველი წამკითხველი და გამომრჩევი ახლა ამ ხელნაწერებს საინვენტარო წიგნში გატარებულ სამუზეუმო ექსპონატებად ალბათ, ძნელად წარმოიდგენდა. არცთუ იშვიათად, მუზეუმში სერგო კლდიაშვილი მოდიოდა (თან-

მხლებთან ერთად). მერე დიდხანს დარჩებოდა. საუბრობდნენ, შეესაძლოა, ხშირად ისეც ისხდნენ უთქმელად, ულაპარაკოდ. სიტყვა კარგავდა თავის დატვირთვას, უბრალოდ, ერთად იყვნენ და „ის დროც“ მათთან ერთად გაირინდებოდა. კიდევ ერთი კოლორიტული პიროვნება — კოლაუ ნადირაძე. შეშფოთებული სახით რომ გაენდობოდა მოსული. რასაკვირველია, გარეშემო პირთათვის უცნობი იყო კონკრეტულად საუბრის დეტალები, თორემ თემა — იმხანად მთელ საქართველოში გახმაურებული. გამოსულიყო კრებული „პოეტის ათასი სტრიქონი“, რომელშიც სხვებთან ერთად ბატონი კოლაუს ლექსებიც იყო დასტამბული. ლიტერატურის მუზეუმის ფონდებში დაცული ლექსი „25 თებერვალი 1921 წელი“ (ხელნაწერის ფაქსიმილე) დაბეჭდეს შემდგენლებმა.

„თოვდა. და თბილისს ებურა თალხი,
დუმდა სიონი და დუმდა ხალხი.
ბილ-ღვიძრად იყო ქალაქი ჩემი,
საშინელებას კვლავ სჭედდა გრდემლი —
ისევ გოლგოთა, სისხლი და ცრემლი!
მშობელო დედავ, ისევ გაგყიდეს...“

ეს სტრიქონები ბევრად განსხვავდებოდა ამ თემაზე დაწერილ უამრავ „ნიმუშთაგან;“ განსხვავდებოდა პოეტური ოსტატობით, გამომსახველობის საშუალებებით და რაც უმთავრესია, ასე პირდაპირ და დაუფარავად, ხმამაღლა გაცხადებული ტკივილით. რეაგირებამაც არ დააყოვნა. ხელნაწერთა განყოფილების გამგე მოხსნეს, მუზეუმის დირექტორს — გ. ნატროშვილს სასტიკი საყვედური გამოუცხადეს. ისე, კაცმა რომ თქვას, არაფერ შუაში იყო, მოთხოვნაზე რეზოლუცია დადებული არ ჰქონია, მაგრამ „ღონისძიება“ თვალსაჩინოდ უნდა გაეტარებინათ!..

ალბათ, ამაზეც ვისაუბრებთ. კიდევ ბევრ რამეს მოიგონებს, გასახსენებელი ხომ უამრავი აქვს.

ტელეფონით შევთანხმდით.

მისთვის ჩვეული თავაზიანობით შემეგება. დავსხედით. სახე შეწუხებული აქვს: რა ვიცი, გული კი არა მაქვს, ისეთი უბედურებაა, ვის უნდა, ვის აინტერესებს, დაკარგა ინტერესი ყველაფერმა. დაიკარგა. რა ღვთის წყრომაა. რა ვიცი, კაცო, რა ვიცი, რა ვიცი.

მოულოდნელად ტელეფონის ზარი გვაწყვეტინებს საუბარს. მოიბოდიშა; ხმამაღლა აწეული ტონი მეორე ოთახში ისმის:

— ყველაფრის გაჩერება შეიძლება, „მნათობისა“ არ შეიძლება. „მნათობი“ არ უნდა გაჩერდეს.

როდესაც აქ მოვდიოდი ბატონი გიორგისადმი მიძღვნილი გიორგი ლეონიძის ლექსი კიდევ ერთხელ გადავიკითხე. „მე მოვდიოდი შორიდან“ — მართალია, ეს სტრიქონი ლექსში სხვა კონტექსტს გულისხმობს, მაგრამ ამჯერად მინდა, ეპოქაზე ვისაუბროთ, იმ შორეულ და ახლობელ ეპოქაზე... ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ საუბარს. უფრო ზუსტად — ვიწყებთ.

— ბატონო გიორგი, თქვენ თვალწინ მთელმა ეპოქამ გაიარა. თითქმის ჭაბუკობიდან იცნობდით თანამოკალმეებს. როგორები იყვნენ ისინი ახალგაზრდობაში და მერე, ხანდაზმულობის წლებში. იგივენი დარჩნენ? ცვლილება ხომ არ შეგიტყვიათ, რომელიმე მათგანი უფრო მგრძნობიარე გახდა თუ პირიქით, გამკაცრდა?

— არა, პირიქით არა... ისე რუსუდან, მგონი, მწერლები საერთოდ არ იცვლებიან.

— უპირველესად ვის გაიხსენებდით. ვინ იყვნენ და არიან თქვენი უახლოესი მეგობრები?

— რა ჩამოთვლის! ბევრი მათგანი აღარ არის ცოცხალთა შორის, მაგრამ ჩემს ხსოვნაში ისინი ცოცხალნი არიან. რა დამავიწყებს თუნდაც იმავე კონსტანტინე გამსახურდიას! მახსენდება ომისშემდგომი წლები, როცა გამოიცა მისი ნოველების ახალი კრებული. ეს წიგნი უმალ დაგმეს და შეაჩვენეს. გაზეთმა „კომუნისტმა“ ამ წიგნს გამანადგურებელი სარედაქციო წერილი მიუძღვნა სათაურით: „ნაბიჯი უკან, ძველი პოზიციებისაკენ,“ რომელშიც აღნიშნული იყო: „ამ წიგნის გამოცემა წარმოადგენს უხეშ პოლიტიკურ შეცდომას. ანტილენინურმა შეხედულებებმა შესაძლებლობა არ მისცეს კონსტანტინე გამსახურდიას, დაენახა საბჭოთა სინამდვილე, დაუმახინჯებლად აესახა იგი თავის ნაწარმოებებში... ნოველების ავტორი ყოველგვარი ამორალიზმისა და გარყვნილების მქადაგებლად გამოდის. ამ ბოდვას საბჭოთა იდეოლოგიასთან საერთო არა აქვს რა... ეს მტრული პროპაგანდაა.“

ნოველების კრებული აკრძალეს და მთელი ტირაჟი გაანადგურეს. ამას გარდა, ქვაბში ჩაყარეს ლითონი ანაწყობისა კონსტანტინეს მეორე ახალი წიგნისათვის, რომელიც დასაბეჭდად მზადდებოდა. ერთხანად აიკრძალა მისი სახელის ხსენებაც კი. შეწუხდა მწერალი. გატეხით კი მაინც არ გატყდა, ესტუმრა ქალაქ რუსთავს და დაწერა მშვენიერი ნარკვევი იქაურ მეფოლადეებზე და ძველ იბერიელებზე და კოლხებზე, რომლებმაც მორგანის აზრით, რკინის დამუშავების საიდუმლო გაუმხილეს მთელ კაცობრიობას. ეს კი

დაწერა, მაგრამ ახლა გამოქვეყნება იყო საჭირო, კარები ყველგან გადაკეტილი დაუხვედა.

მოვიდა მაშინ ბატონი კონსტანტინე „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში და მითხრა:

— გიორგი, შენ ახლა უნდა დაამტკიცო, რომ ჩემი ძმა ხარ!

— ვეცდები-მეთქი, ვუთხარი და გულში გადავწყვიტე, რადაც უნდა დამიჯდეს, აქ უკანდახევა არ შეიძლება-მეთქი. ეს ამბავი თვითონ ბატონმა კონსტანტინემ გაიხსენა შემდგომში თავის წერილში „მწერალი და მხედარი,“ რომელიც „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 1970 წელს, რევაზ მარგიანის რედაქტორობის უამს. მასში მწერალი აღნიშნავდა: „ჩემი ცხოვრების უმძიმეს წლებში გიორგი ძმურად მიდგა მხარში“. ნარკვევი რუსთაველზე იმავე კვირაში დაიბეჭდა, მაგრამ ეს როდი იყო მთავარი. საქმე ის იყო, რომ ამიერიდან ასე ვთქვათ, ყადაღა აეხსნა კონსტანტინეს ნაწარმოებებს, თუმცა უსამართლო გამოხდომები კვლავ გრძელდებოდა. თვე არ გავიდოდა, ამ ჯურის კრიტიკოსებს ქვა არ ესროლათ „ლიტერატურული გაზეთისთვის“. ხშირ შემთხვევაში თავს ესხმოდნენ გამსახურდიას ნაწარმოებებს. მომიტევეთ და ყოველივე ამას რაღაც სახელის მოსახვეჭად როდი მოგახსენებთ. ეს რედაქტორის მოვალეობა იყო და მე შეძლებისდაგვარად, ვასრულებდი კიდეც; და ამას თვითონ დიდოსტატი ისე აფასებდა, რომ საჭიროდ მიიჩნია, აღენიშნა თავისი რჩეული თხზულებების მეშვიდე ტომში: „მანიაკებმა ლამის იყო აიკლეს გიორგი ნატროშვილი.“

მახსოვს ერთად გატარებული დღეები. ხშირად დავდიოდით სანადიროდ მე და კონსტანტინე, ხანდახან ვაუსაც წამოიყვანდა. ჩუმი იყო, ჩუმი და უთქმელი, სიტყვას არ იტყოდა.

— **რაზე ნადირობდით?**

— ფრინველზე, ფრინველზე. დავით გარეჯაში ზვიადიც გვახლდა... ისე უმეტესად, მცხეთაში დავდიოდით.

— **ცხენებით?**

— არა, მანქანით. ისე, კონსტანტინე ცხენით კიკეთში დადიოდა, მწერლების სახლი იყო იქ. ხშირად ქართველი გენერალი... უჰ, რამ დამავიწყა მისი გვარი... აძლევდა ცხენებს. ჩვენ მანქანით დავდიოდით.

ერთი ამბავი მინდა გავიხსენო კიდევ.

ერთხელ კონსტანტინეს ვახლდი თელავში საღამოზე. დაპატიჟეს თელაველებმა. წავედით აქედან მე, კონსტანტინე და მისი ქალიშვილი თამრიკო, კიდევ იყო შოფერი სურიკა. ჩავედით თელავში და ოო, დიდი სიხარულით შეხვდნენ. ჯერ არ დაწყებულა საღამო და მოვიდა ჩემთან ორი თუ სამი ახალგაზრდა ბიჭი და მითხრა, ეხლა

კი ჩავიგდეთ კონსტანტინე გამსახურდია ხელშიო. მე ვუთხარი:

— კაცო, რას სულელობთ, რომ დაპატიჟეთ, როგორ ახლა...

— გაკრიტიკებას აპირებდნენ?

— ხო, ხო, ტყავს გავაძრობთო. მე ვუთხარი, გაჩერდით კაცო, ამდენი ხალხი არის თავმოყრილი... საზეიმო ისაა, დაპატიჟეთ, საპატიო სტუმარია, არ გაბედოთ-მეთქი.

— ეს ახალგაზრდები იბეჭდებოდნენ, თუ ისე, მოყვარული მკითხველები იყვნენ?

— მათ შორის ერთი ბეჭდავდა, გაზეთში მუშაობდა, სხვებიც მოლიტერატურო ხალხი იყო.

მართლაც, ჯერ არაფერი. კარგი მოხსენება წაიკითხა პირველმა მომხსენებელმა, იქაური ქალი იყო... მერე მაინც გამოვიდნენ. თქვეს: სუყველაფერი ყირაზეა ამ რომანში დაყენებულიო. კახელები მეცხვარეებად არიან გამოყვანილი, თუშები ვენახს აკეთებენო.

— „ვაზის ყვავილობაზე“ მსჯელობდნენ?

— ხო. ვის გაუგია თუშის ვენახიო. ეს ჩანგრეული ღობეებიო...

კონსტანტინემ გადმომილაპარაკა:

— ეხლავე ჩავასხმევინებ სურიკას ბენზინს მანქანაში, ჩამოვიველი მაგათთან ერთად და რამდენ ჩანგრეულ ღობეს და მოუველელ, ღარიბ კარ-მიდამოს ვნახავთ, მერე მიყურონო...

... ათასი რაღაცეები. ზომებს არ იცავსო ვაზთა შორის ვენახის რიგებშიო. საერთოდ, ჩვენ კახელები, წინააღმდეგი ვართო.

მე ვუთხარი:

— კაცო, კახელები უკმაყოფილო ვართო, რომ ამბობთ, მე კახელად არ მთვლით, რომ დაებეჭდე ეგ რომანი-მეთქი.

დამიძახეს: — არა, შენ კახელი არა ხარო.

— აბა, ვინა ვარ-მეთქი.

— ქიზიყელიო.

ახლა კი ვისარგებლე ამით და ვუთხარი, ასე დაყავით საქართველო: ჯერ თუშები გამოაცალკეევეთ, მერე კახელები, ახლა ქიზიყელები, ბარემ თითო სოფელს ცალ-ცალკე... ვერაფერი თქვეს ამაზე. გაჩერდნენ.

— ბატონმა კონსტანტინემ არაფერი უპასუხა?

— არა, თქვა რაღაც, მაგრამ მე უკვე ვრცელი სიტყვა ნათქვამი მქონდა.

სამაგიეროდ, მერე შესანიშნავი სუფრა გაშალეს. მაინც წაამწარა კონსტანტინემ იმ სუფრაზე, იქა. მე კი არ მიმიქცევია ყურადღება, შევედით, „მასწავლებლის სახლში“. მე არ მიმიქცევია ყურადღება, ამას მიუქცევია ყურადღება, რომ იაკობ გოგებაშვილის სიტყვები რუსულად იყო მოყვანილი. თქვა:

— კაცო, არ გრცხვენიათ, იაკობ გოგებაშვილიო... თუმცა რაა, რატომ არ შეიძლება, მაგრამ... კაცი შემოდის აქაო, არ გრცხვენიათ, მარტო რუსულით რომაა იაკობ გოგებაშვილი წარმოდგენილიო. სუფრაზე უთხრა.

მოიხადეს ბოდიში, გამოვასწორებთო.

მიჭირს თავის თავზე საუბარი, მაგრამ ვეცდები არა ზოგადი ფრაზებით, არამედ ფაქტებით ვილაპარაკო. სულ იმასა ვცდილობდი, მხარში ამოვდგომოდი იმ ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც თავიანთი ცხოვრების უმაღლეს მიზნად ერის კეთილდღეობას, მის სიკეთეს მიიჩნევდნენ. ასეთი იყო მაგალითად, დიდად სახელგანთქმული მკვლევარი, ისტორიკოსი პავლე ინგოროყვა. იკვლევდა რა თვით უშორეულესი ეპოქების ვითარებას და ხსნიდა ისტორიის ჯერაც ამოუხსნელ საიდუმლოებებს; პავლეს ამ მუშაობის პროცესში დიდად შველოდა მიგნების ჯადოსნური ალღო და გუმანი, პირდაპირ მისნური მიხვედრა და ინტუიცია, რითაც განგებამ ბატონი პავლე გულუხვად დააჯილდოვა. ის მანამდე უვალი და გაუკვალავი გზით მიდიოდა, ამ გზით აღწევდა ჭეშმარიტებას და მაინც, მის გაბედულ დასკვნებსა და დებულებებს ფართო მეცნიერულ წრეებში ყოველთვის როდი იზიარებდნენ. წინ აღუდგებოდნენ ხოლმე და იწყებოდა ფრიად ცხარე პოლემიკა, რომლის დროსაც საქართველოს მწერალთა გაზეთი — „ლიტერატურული საქართველო," რომელსაც იმ ხანებში თქვენი მონა-მორჩილი რედაქტორობდა, პავლეს უჭერდა მხარს; პავლეს განკარგულებაში იყო და ჩვენი ხელშეწყობა, თუკი რამე შეგვეძლო, მას არ აკლდა. რას მიშვებოდა ახლა. იცით, ერთ სარდაფში 10 გვერდზე მეტი არ შეიძლება. რას აკეთებდა. მომიტანდა სტატიას, ბოლო გვერდზე 10 აწერია, შიგნით კი არის — გვერდი 7, 7ᵃ, 7ᵇ, 7ᵇ... და ა. შ. ხომ არ მოვტყუვდები, კაცო (**გულიანად იცინის**). ასეთი უცნაურობები იცოდა. სულ მალე ცხარე დისკუსია გასცდა ლიტერატურული გაზეთის ფარგლებს. ზუსტად იმ ხანებში აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა და მე ერთად დავწერეთ ვრცელი წერილი: „რუსთველოლოგია ახალ მიჯნაზე", რომელიც მარტო „ვეფხისტყაოსნის" საკითხებს კი არ ეხებოდა, არამედ მოიცავდა ისტორიისა და ლიტერატურის განვითარების უაღრესად ფართო წრეს, რომელიც ინგოროყვას კვლევა-ძიების ცენტრში იყო მოქცეული. დაიბეჭდა იგი გაზ. „კომუნისტში" 1964 წლის 23 მაისს. მაშინ დამიგვიანდა მე მიმეტანა ჩემი ნაწილი სიმონთან. მახსოვს, რომ გაიგო: გამომჭერი ყელი? — მითხრა. — არა კაცო, ხვალ მივუტან-მეთქი. აი, ასე იყო. სპეციალური შეკრებაც მოაწყვეს მწერალთა კავშირის დარბაზში. გამოვიდნენ მწერლები, უნივერსიტეტიდანაც... გააძრეს ტყავი. ირაკლი აბაშიძე იყო თავმჯდომარე. კარგი კაცი იყო სარგის ცაიშვილი,

შესანიშნავი მკვლევარი იყო, მაგრამ... ეს იწერს, იწერს, იწერს. გამოდიან ორატორები: ერთი, ორი, სამი, ოთხი და... ირაკლიმ თქვა, მე მეგონა იწერსო, თურმე ხატავს ცხენებს, ვირებს, კურდღლებს. ყურსაც არ უგდებდა. გასაოცარი, უცნაური ხალხი იყო... შემდგომში მე და ლავროსი კალანდაძემ გამოვაქვეყნეთ ვრცელი ერთობლივი წერილი სათაურით: „წიგნი და ავტორი", რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ინგოროყვას ყოველი ახალი გამოკვლევა, მთელი მისი დაუღალავი ძიება, რომლის წყალობითაც ნათელი მოეფინა ბევრ მანამდე ბნელით მოცულ საკითხსა თუ მოვლენას, არის ძვირფასი შენაძენი მეცნიერებისათვის და მოასწავებს ქართული მხატვრულ-ესთეტიკური კულტურის ამაღლებას.

აი, ეს არის, ცნობილი წიგნია **ბატონი გიორგი თავისი სამუშაო მაგიდიდან იღებს და მაწვდის კრებულს**, ეს არის პავლე ინგოროყვას თხზულებათა IV ტ. ძველად ბერები რომ წერდნენ ხოლმე, საძმო ორდენი რომ ჰქონდათ, ისეთი წარწერა არის. ნახეთ ერთი.

— **ძმას.**

— ჰო, ძმას. ახლა რატომაა ასე. ვერ მოითმინა, რომ ჩაესვა ყდაში. სტამბიდან წამოიღო წიგნი, აკინძული ძაფზე და მომიტანა — აქაოდა, დროზე წაიკითხეო. მერე მე წავიღე კერძო ხელოსანთან, ჩავასმევინე ყდაში და მქონდა რედაქციაში. მოვიდა პავლე, ვუჩვენე, გამომართვა და სწორედ მაშინ წამიწერა სატიტულო ფურცელზე:

„ძმას — გიორგი ნატროშვილს ვუძღვნი ამ წიგნს
გულითადი სიყვარულით
ძმა პავლე ინგოროყვა 9 ივლისი, 1978 წელი, ქ. თბილისი"

გასაოცარი ხალხი იყო.

მაგონდება ორმოცდაათიანი წლები. იყო პერიოდები, როცა სტამბაში დიდი გადატვირთვის გამო, „ლიტერატურულ გაზეთს" გათენებისას გაუშვებდნენ ხოლმე მანქანაზე. ისე რომ, ხუთშაბათობით ხშირად ღამის თევა გვიხდებოდა და პავლე იყო ერთადერთი კაცი ავტორთაგან, რომელიც როცა მისი წერილი იბეჭდებოდა, ჩვენთან ერთად ათევდა ღამეს. მზის პირველ სხივებზე რომ გაშლიდა ხოლმე ახალ გაზეთს, ჩაათვალიერებდა თავის წერილს, მერე გადმოგვხედავდა და სანახევროდ ხუმრობით, სანახევროდ სერიოზულად გვეტყოდა:

— მორჩა, გასულია რაკეტა ორბიტაზე!

რა ვიცი, იმდენია გასახსენებელი... ახლა რაშია იცი საქმე? ისე მომიხდა, 40 წელი რედაქტორი ვიყავი, ჯერ გაზეთისა, მერე „დროშისა" და მერე „მნათობის" ე.ი. ფაქტიურად ყველა ეს მწერალთა ორგანო იყო... ბუნებრივია, ყველასთან ახლო უნდა ყოფილიყავი.

— **როგორ ფიქრობთ, როგორი რედაქტორი იყავით?**

— რა ვიცი. ჩვენი დრო, განელილი ათწლეულები თითქმის მუდამ შფოთიანი და საგანგაშო იყო. თითქმის არასოდეს ყოფილა იგი წყნარი და მშვიდობიანი, კაცმა არ იცოდა, რა მოგელოდა ხვალ, ზეგ...

ამ შეკითხვის პასუხად ერთი ამბავი მინდა გავიხსენო. წელი ზუსტად არ მახსოვს, დაახლოებით 50-იანი წლების ბოლო იქნებოდა, როცა მწერლების ერთი ჯგუფი მანქანებით თბილისიდან ჭიათურაში, სოფ. ზედა რგანში მიემგზავრებოდა. ჯგუფში შედიოდნენ ალიო მირცხულავა, ალექსანდრე გომიაშვილი, არჩილ სულაკაური, ოთარ ჩხეიძე, ვახტანგ ჭელიძე, ალეკო შენგელია და მე. სხვებიც იყვნენ. ბოდიშს ვიხდი მათ წინაშე, ვინც არ გამახსენდა. გზა და გზა ვისვენებდით. კერძოდ, გორში მახსოვს, კარგა ხნით გავჩერდით. ამ შესვენებების დროს იყო ერთი დავა და კამათი, ნაუცბათევად, იქვე შექმნილი ლექსები.

იმ ხანებში თბილისის ლიტერატურულ საზოგადოებაში იყო ერთი მითქმა-მოთქმა იმის გამო, რომ ალიო მირცხულავა, ჟურნალ „მნათობის" მთავარი რედაქტორი ერთი გაბედული ნაწარმოების დაბეჭდვისათვის სამსახურიდან მოხსნეს. ბუნებრივია, რომ ამ მგზავრობის დროს მწერლებმა ეს ამბავიც გაიხსენეს. იყო ერთი ხუმრობანარევი მისამძიმრება ალიოსადმი, ნუ იდარდებო, მოხსნა რა ბედენაა, მალე ეგ აქლემი ჩვენს კართანაც დაიჩოქებსო. მოკლედ რომ ვთქვათ, იყო თანაგრძნობით აღსავსე სიტყვები... შემდეგ ყველა შეიპყრო პოეზიის გიჟურმა ეშხმა და კოლექტიურად შექმნეს ერთი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეგრულ-ხევსურული სტროფი:

ალიო ჯვეში მაგვიხსნეს,
ეს დღე მოგველის ყველასა.
მოხსნილი ვაჟი გერჩივნოს
ლაჩარსა, მაუხსნელასა.

ლექსს თავისი ქვეტექსტი ჰქონდა იმის გამო, რომ ჯგუფში იყვნენ რედაქტორებიც, დირექტორებიც, გამომცემლობის ხელმძღვანელებიც, ისე, რომ ლექსი მთლად სახუმარო არ იყო.

ისე, (იდიმება) არც კურიოზების გარეშე იყო...

ზაფხულის ერთ ცხელ დღეს ვართან ატრიანი რედაქციაში შემოვიდა და მითხრა:

— გიორგი, ცუდად ჩამოცხა ეს ტიალი. ბავშვები, ბავშვები მეცოდება. კურორტზე მინდა გავგზავნო და კაპიკი არ მაქვს. ავანსი უნდა მომცე. ვამთავრებ მოთხრობას და სულ მალე მოგიტანო.

წუთიერად დავფიქრდი... გაზეთი თვითანგარიშზე იყო და ფული არც ისე თავზესაყრელი გექონდა. ამიტომ შევეკითხე:

— რამდენსა თხოულობ?

— 600 მანეთი უნდა მომცე.

— აუჰ, რა ამბავია, ვართან. მაგდენს ვერ შეიძლებს ჩვენი ღარიბი სალარო. გაეყოთ შუაზე, 300 მაინც უნდა დამჯერდე.

— ეგ თანხა თუნდა მოგიცია, თუნდა არა. საგ'ხურს მაინც არ ეყოფა.

— რა ვქნა, ჩემო ვართან, მაქვს და არ გაძლევ?

— კარგი, 550 მანეთი იყოს, — დაუკლო ვართანმა.

— მაინც ბევრია. 350 წაიღე. დანარჩენი სხვაგან იშოვე, შე კაცო.

— სად ვიშოვო? სად სხვაგან? განა ცდა დავაკელი? 500 მანეთს მაინც დაგჯერდები.

— 400 წაიღე და მომწყდი თავიდან.

შევხედე სახეში. თვალები ეშმაკურად აუციმციმდა და მითხრა:

— მე შენ ქართველი მეგონე, სომეხი ყოფილხარო (იცინის) სომეხმა თქვა თვითონ, კაცო, სომეხმა თქვა. მე გამეცინა.

— ყოჩაღ-მეთქი, — ვუთხარი და 600 მანეთი მივეცი.

— ბატონო გიორგი, საერთოდ, რა აზრის ბრძანდებით კრიტიკის დანიშნულებაზე?

— ისევ მეგობრებს მინდა დავუბრუნდე და რამდენიმე ამბავი თქვენთან კიდევ გაეიხსენო: ეს ამბავიც კარგა დიდი ხნის წინ მოხდა. სამგზავრო მატარებელი „მოსკოვი-თბილისი“ გუგუნით მოჰქროდა რუსეთის თვალუწვდენელ ტრამალებზე. ის იყო შებინდდა და მგზავრები საძილედ გაემზადნენ, მაგრამ ერთ კუპეში დაუცხრომელი დავა და კამათი იყო გაჩაღებული. ეს კუპე ქართველ მწერლებს ეჭირათ, ისინი ბრუნდებოდნენ მოსკოვიდან თბილისში. მოსკოვში, კრემლში სხვა მწერლებთან ერთად, მათ მთავრობის უმაღლესი ჯილდოები — ორდენები მიიღეს. ამაზე იყო ვაგონში მსჯელობა. გიორგი ლეონიძემ გულისტკივილით თქვა:

— ყველაფერი კარგი იყო და მოსაწონი, მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ერთი ეს იყო საწყენი — რას ერჩიან პასტერნაკს, უზარმაზარი პოეტური ტალანტის კაცს, რად დაივიწყეს. მიეცათ მისთვისაც ერთი ორდენი, რა დაშავდებოდა, მას ხომ პირველს ეკუთვნოდა ყველაზე მაღალი ჯილდო!

გიორგი ლეონიძეს უმალ დაეთანხმნენ იქვე მყოფი პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ილო მოსაშვილი, სერგო კლდიაშვილი. მარტო სანდრო შანშიაშვილი გაჯიუტდა: პასტერნაკი არაევითარი პოეტი არ არისო. შეედავნენ. შეედავნენ, მაგრამ ვერა და ვერ დაიყოლიეს. ბოლოს სანდრომ განაცხადა:

— კარგი პოეტი ის არის, ვისი ლექსებიც ხალხმა ზეპირად იცის.

აბა, პასტერნაკის ერთი ლექსი მაინც მითხარით ზეპირად. თუ ბიჭები ხართ, მითხარით და თქვენი ხმალი იყოს და ჩემი კისერი.

– ერთს კი არა, თუ გინდა, ათს გეტყვი ზეპირად, – შეეპასუხა სერგო.

– ათი არ მინდა, ერთი მაინც მითხარი.

– მაშ მომისმინე, – უთხრა სერგომ და დაიწყო:

Я помню чудное мгновенье:
Передо мной явилась ты,
Как мимолетное виденье,
Как гений чистой красоты.. და ასე, ბოლომდე ჩაიკითხა ეს მართლაც გენიალური ლექსი.

პირველი სტრიქონის წარმოთქმისთანავე კუპეში მყოფთა სახეებზე ღიმილი აღიბეჭდა. რა თქმა უნდა, მიხვდნენ, რაოდენ მაცდური სარმა გამოსდო სერგომ გაჯიუტებულს. სერგომ ლექსის კითხვა რომ დაამთავრა, სანდრომ უთხრა:

– აბა, ეგ ლექსია? წმინდა სილამაზის გენიოსი გამომეცხადაო! ბარემ ლამაზების პრეზიდენტი დეეწერნა!

ახლა კი ატყდა ხარხარი. სიცილით გული რომ იჯერეს, ჰკითხეს:

– მართლა არ იცი, სერგომ ვისი ლექსი წაიკითხა? და უთხრეს, ვისიც იყო.

– იმასაც თავგზა დაბნევია! – უპასუხა გაჯიუტებულმა პოეტმა ისე, რომ წარბიც არ შერხევია.

რა იყო ეს: ლიტერატურული მისტიფიკაცია თუ უბრალო ხუმრობა მომქანცველი მგზავრობის დროს? ეს იყო ერთი მცირე ეპიზოდი მაღალი ლიტერატურისათვის ბრძოლისა, როცა უნდა გამოიყენო არა მარტო პოლემიკის ჩვეული ხერხები, ლოგიკის კანონები, არამედ მძაფრი ირონიაცა და ხუმრობაც.

მაგონდება კიდევ ერთი ეპიზოდი სერგო კლდიაშვილის ბიოგრაფიიდან: მაჩაბლის ქუჩაზე, მწერალთა კავშირის ბაღში ნებივრად ჩამომსხდარან და საუბრობენ რამოდენიმე მწერალი და მათ შორის – სერგოც. საუბრის თემაა – ვინ რაზე მუშაობს. სერგო გულმოსულია ილო მოსაშვილზე, რომელმაც ლიტერატურული წლის შემაჯამებელ დისკუსიაზე უსამართლოდ გაკენწლა მისი ნოველების კრებული – ავტორი არააქტუალურ თემებზე წერსო. და ახლა ცხადია, შეკრებილთ აინტერესებთ, რაზე მუშაობს სერგო კლდიაშვილი, რა აქტუალური თემა აირჩია.

– ჩემი ახალი ნოველის სათაურია „იუდეველთა პროკურატორი," – დაიწყო სერგომ და ზუსტად მოჰყვა შინაარსი ანატოლ ფრანსის

ამავე სახელწოდების გენიალური ნოველისა, რომელიც სწორედ იმ ხანებში ითარგმნა ქართულ ენაზე. ჰყვება ნოველის შინაარსს სერგო და ლაპარაკობს რომის იმპერატორ ტიბერიოსზე და პონტოელ პილატეზე, იესო ნაზარეველზე და მარიამ მაგდალელზე... ერთი სიტყვით, ანატოლ ფრანსის ნაწარმოების ერთი დეტალიც კი არ გამოუტოვებია. მსმენელები იმ ერთის გარდა, იღიმებიან; იციან, რომ სერგო ახლა კისრულით გადაიტანს და მიწაზე დაანარცხებს მოწინააღმდეგეს და მოუთმენლად ელიან საპასუხო რეაქციას. და მართლაც, ანკესზე მარჯვედ წამოგებული მოპირისპირეც არ აყოვნებს:

— გესმით რაებს ჰყვება? — მიმართავს ილო დამსწრეებს. — მოდი და გაუჩუმდი. რა არის სერგო, მაგ სისულელეს როგორ წერ, არც აზრი, არც სიუჟეტი, არც არაფერი იდეა მაგ შენს ახალ ნოველას არა აქვს! არა, ამხანაგებო, ამ უკუღმართ კაცს არაფერი არ ეშველება, მთლად დაკარგული აქვს ყოველგვარი კლასობრივი ალღო და ბოლოს, გაბრაზებით დაასკვნა: არაა მაგ ჩვენი კაცი!

დამსწრენი იცინიან და გაცხარებულ მოპაექრეს ვერ გაუგია, რა არის აქ სასაცილო...

გარეგნულად ეს ყველაფერი თითქოს სასაცილოდ ჩანდა, მაგრამ მას თავისი შინაგანი აზრი ჰქონდა. იგი ბუნებრივად და უშუალოდ ეხმაურებოდა, როგორც წეღან ეთქვი, მწერლის ბრძოლას მაღალი ლიტერატურისათვის და ესთეტიკური მრწამსის სიწმინდისათვის, იმ მრწამსის დაცვისათვის, რომელიც ვერ ურიგდება კონსერვატული აზროვნების შაბლონებში ჩაჭედილ სტანდარტულ ფორმულებს. აი, სერგო კლდიაშვილის შემოქმედებაში ბუნებრივად ერწყმიან ერთიმეორეს უნაზესი ლირიზმი და მძაფრი ირონია, სადაც სატირული ფერები უშურველად და უხვად არის ჩაქსოვილი მწერლის იმ ტილოებში, რომელზეც ქვეყნის აწმყო და წარსულია გამოხატული.

— რამდენადაც ვიცი, თქვენ დიდი მეგობრობა გაკავშირებდათ...

— კი, კი. იმდენია მოსაგონებელი...

ახლა, სადაც შევიდოდით ამ წიგნის მაღაზიაში, უმთავრესად ახალგაზრდა ქალიშვილები მუშაობდნენ. დაუწყებდა გამოკითხვას: გათხოვილი ხარ, თუ არა. მერე ისა, თუ ეტყოდა, გათხოვილი ვარო, ქმარი ვინ არისო. თუ არა — რატომ არა ხარო. კაცო, რა გინდა შენ (**იცინის**) არა, ისინიც იცნობდნენ, მაგრამ ისე უხერხულადა ვგრძნობდი თავს, რომ რა წესი იყო მაინც. არა, ისე ცუდიც კი არაფერი, მაგრამ ახლა მაინც რაა კაცო.

— თამამი კაცი იყო?

— ჰო.

— **რუსუდან, თქვენ დისერტაცია ნიკო სამადაშვილზე დაიცავით, არა?**

— **დიახ, — ვუდასტურებ.**

— ნიკო სამადაშვილს შესანიშნავად ვიცნობდი. ძალიან საოცარი კაცი იყო. სვამდა ბევრს ხო იცი, დარდისაგან. არა, რაშია საქმე, იცი? ყველა გრძნობდა, ყველა ვგრძნობდით, რომ მართლაც ის იყო... ისეთი შეზღუდული ვიყავით, გასაოცარი იყო პირდაპირ. მახსოვს, ერთ ლექსს ებეჭდავდი, აწყობილი იყო უკვე, მთავლიტმა ამოიღო.

— **რომელი ლექსი იყო, აღარ გახსოვთ?**

— არ მახსოვს, არ მახსოვს.

— **ბატონო გიორგი, გიძნელდებოდათ თქმა, რომ ეს სუსტი ნაწარმოები ან წერილია? უკან გატანება როგორ ხდებოდა ხოლმე.**

— არა, პირდაპირ ვეუბნებოდი. ისე, ძნელი იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ...

— **თუ გქონიათ შემთხვევა, რომ დაგიკვეთავთ ვინმესთვის წერილი?**

— კი, რა თქმა უნდა. იყო ეგრე.

— **ვინ როგორ რეაგირებდა ჩასწორებებზე; აი, მაგალითად, გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე...**

— გალაკტიონი? გალაკტიონი სხვაგვარი იყო. ვერ გაუგებდი. მისი უბის წიგნაკი ვნახე. ჩაწერილი აქვს ჩემი გვარი, სახელი და მისამართი. მაშინ ძნელაძის ქუჩაზე ვცხოვრობდი, ძნელაძის I ჩიხში, მეოთხე ნომერში, რად უნდოდა, არ ვიცი. გალაკტიონი უცნაური კაცი იყო, უცნაური. ისე, გენიალური კი ბევრ რამეში იყო. რაში იყო უბედურება იცი, აღიარებული იყო და მაინც არ სჯეროდა, ხომ იცი. მაინც ეგონა, რომ არ აფასებდნენ. არადა, აფასებდნენ.

— **მერე, თვითმკვლელობის შემდეგ მწერალთა კავშირში ითქვა რაიმე?**

— არაფერი. თავის მოკვლამდე ორი დღით ადრე, უნივერმაღის პირდაპირ რომ კაფე იყო, კამოს ქუჩიდან, არ გახსოვს? კამოს ქუჩიდან პირდაპირ იყო კაფე-სასადილო, არ გახსოვს?

— **არა, ბატონო გიორგი. უნივერმაღი ვიცი, კამოს ქუჩაც, მაგრამ ის კაფე-სასადილო არ „მახსოვს“, — ვეუბნები ღიმილით.**

— ჰოდა, — **განაგრძობს ის.** —ვისხედით იქა და ვსვამდით მე, ალეკო შენგელია, ოთარ ჭელიძე და კიდევ ვიღაცა. შემოვიდა გალაკტიონი. ცოტა მარილიანია, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა. შემოვიდა გალაკტიონი და დაჯდა. რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინვე დავუძახეთ, მისი სადღეგრძელო დავლიეთ. დალია რამდენიმე ჭიქა და ეტყობოდა, ცუდ ხასიათზე იყო. არ იყო ხასიათზე. არ იყო. ოთარ ჭელიძეს მიაჩერდა და ჰკითხა:

— შენ ვინა ხარო.

ოთარმა უთხრა: მეო, ბატონო გალაკტიონ, ახალგაზრდა მხატვარი ვარო, აკადემიაში ესწავლობო.

— ჰოო, აბა ის ვინღა არის, უნიჭო ბალადებს რომ წერსო.

— არ გატყდა ბატონი ოთარი? — ვიცინით ორივე.

— არ გატყდა.

ეეჰ, საწყალი გალაკტიონი...

ჰო, ჩასწორებებზე მკითხე. ერთხელ სტამბაში რომ ვიყავი, გოგლამ თან თავისი ქალიშვილი, თინა მოიყვანა. პოემა იბეჭდებოდა მისი. თვითონ დაგვიწყო საუბარი და თინა, შენ წაიკითხეო. წაიკითხა თინამ და ამოიღო ოთხი სტრიქონი. ჩვენ ვერ ეუბედავდით, ხომ იცი და ამან...

მე ეუთხარი, რას შვები-მეთქი.

— ეტყობა, მართლა არ ეარგაო; ენდობოდა, იცი?

— ბატონო გიორგი, ასეთ რამესაც იგონებენ, გიორგი ნატროშვილს ძალიან მოსწონდა ლეონიძის პოეზია, პროზაზე კი ამგვარივე შეხედულებისა არ იყოო. ბატონი ნიკა აგიაშვილის ჩანაწერებში იუმორით გამთბარი ერთი ფუნაგორია წავიკითხე: „როცა გოგლა ლეონიძემ მოთხრობების კრებული გამოსცა, გიორგი ნატროშვილს დიდი რიხით უთხრა: ხომ დავაწვინე ბეჭებზე ჩემი ნოველებით პროზაიკოსებიო.

— მაშა, მაშა, — მიუგო გიორგიმ, — იორამაშვილი და მაისურაძეო“.

— მართლა ასე იყო?

— არა კაცო, როგორ თქვეს ესა. არა. „ნატვრის ხეზე“ ეგიჟდებოდი. ძალიან მომწონდა. აგერა მაქვს, დგება სავარძლიდან და წიგნების უზარმაზარ კარადასთან მიდის. აგერა მაქვს... მაჩვენებს ცოტა ხნის შემდეგ, „ნატვრის ხე“ მისი წარწერით. აფორიაქებული კვლავ იმეორებს:

— არა, კაცო, „ნატვრის ხე“ მომწონდა საოცრად და ახლაც მომწონს, როგორ დაწერეს ეგა.

წიგნის თავფურცელზე კი დიდ პოეტს წაუწერია:

„ძღვნად
ძვირფასს გიორგის
ჩემს მოამაგეს
ბმური სიყვარულით
გ. ლეონიძე“

სკამიდან დგება და რაღაცას კარადაში კიდევ ეძებს. როგორც ჩანს, იპოვა და გადაშალა.

— ეს რადიოში ჩაიწერეს 1967 წლის 10 ივნისს, მინდა შენც

წაგიკითხო, 30 წლის წინათ მონათხრობი. მოზრდილი კია, მაგრამ ეგებ გამოიყენო. სწორედ მის ერთ პროზაულ ნაწარმოებზე ვსაუბრობ.

— კი ბატონო, ძალიან საინტერესო იქნება-მეთქი, — ვეუბნები და მოსასმენად ვემზადები.

მინდა გავიხსენო, როგორ დაიწერა გიორგი ლეონიძის ერთი უმშვენიერესი მოთხრობა, რომელსაც „ორი შემოხედვა“ ჰქვია.

საერთოდ, მწერლის ცხოვრებაში ხშირია ასეთი შემთხვევა, როცა რომელიმე ნაწარმოების დაწერას გადაწყვეტს და საფუძვლად მას ნამდვილად მომხდარ ამბავს უდებს, ან ნამდვილად არსებული ადამიანების ცხოვრებას ხატავს. ასეთ დროს არ შეიძლება, მწერალმა ხელახლა არ მოინახულოს ის ადგილი, ის მიდამოები, სოფელი იქნება თუ ქალაქის რომელიმე უბანი, მთა, ტყე, სადაც მოქმედება ხდება და რის აღწერასაც ის აპირებს. დიახ, ეს აუცილებლად საჭიროა, რათა ფანტაზია დაიძაბოს, ადრინდელი, ბავშვობისა თუ ყრმობისდროინდელი შთაბეჭდილება განახლდეს. ვინ იცის, ნაცნობი პეიზაჟის დანახვაზე იქნებ უცებ გაცოცხლდეს რომელიმე ისეთი წუთი, რომელიც აღარ გახსოვს და რომელმაც შეიძლება ყველაზე მეტად მოხიბლოს მკითხველი. გიორგიმ ცხადია, ეს ძალიან კარგად იცოდა და მწერლის ლაბორატორიული მუშაობის ამ ტრადიციას თუ ხერხს არასოდეს არღვევდა.

ორმოცდაათიანი წლების ბოლო იყო; სწორედ ის პერიოდი, როცა გიორგი ლეონიძე „ლიტერატურულ გაზეთსა“, „მნათობსა“ და „ცისკარში“ ზედიზედ აქვეყნებდა თავის ახალ-ახალ მოთხრობებს. „ორი შემოხედვა“ ჯერ დაწერილი არა ჰქონდა, ყოველ შემთხვევაში, ჯერ არ გამოეტანა მკითხველის წინაშე. ამ მოთხრობაში აღწერილია სოფელი კლდის წყარო და იმისი მკვიდრნი. სინამდვილეში კი ეს არის სოფელი ახალსოფელი ლოჭინის ხეობაში.

იმ ხანებში გიორგიმ რამდენჯერმე გამოთქვა სურვილი, წასულიყო ახალსოფელში, მაგრამ როგორღაც ვეღარ მოიცალა და ეს გამგზავრება რამდენჯერმე გადადო. ერთხელ შუადღისას, გიორგი „ლიტერატურული გაზეთის“ რედაქციაში მოვიდა. აქ ორი თუ სამი მწერალი აიყოლია, ბაზარში გავიაროთო; იქ ბოსტნის სურნელი დგას: ქინძისა, წიწმატისა, ცერეცოსი და ასე მგონია, ბოსტნის კვლებში დავდივარო. იქ მყოფმა ერთმა ახალგაზრდა პოეტმა გიორგის ლექსი გაიხსენა:

„ვხედავ, პატარა ბაღჩაში
ფუსფუსებს ჩემი მშობელი,
გადაკვალთული კალთებით

დღე-ღამე მოსაქმობელი,
წინსაფარში რომ უწყვია
ბოსტნეული და კვერცხები,
მამა-პაპური კერისა
ყოველდღე მომნაკვერცხლები...
თან რომ ჭიკჭიკით დასდევენ
შოშიები და მერცხლები...“

წავედით ბაზარში. გაზაფხული იყო, სწორედ ის დრო, როცა სატაცური შემოდის. გიორგიმ ბაზარში სატაცურს დაუწყო ძებნა. ძალიან უყვარდა.

— ხომ იცი, რომელია სატაცური? — წყვეტს კითხვას და ახლა მე მეკითხება.

— არა, არ ვიცი.

ბატონმა გიორგიმ ენციკლოპედია გადმოიღო, მოძებნა და ხმამაღლა წაიკითხა მისი განმარტება. ვერ დაკმაყოფილდა:

— არ წერია აქ სრულად.

— დიახ, ვერც მე მივინიშნე, რომელ მცენარეზეა ლაპარაკი.

მოხდა ისე, **— აგრძელებს მოგონებას,** რომ ვერ ვიშოვეთ, არავის არ ჩამოეტანა. ერთხანს ვიარეთ ბაზარში და გამოებრუნდით. ახალსოფელში წასელა აღარც კი ახსოვდა გიორგის, როცა ქუჩაში, აუარებელ ხალხში, თითქოს ბედზე ვიღაც ახალსოფლელ ჭაბუკს მოჰკრა თვალი. თურმე იქაური ტრაქტორისტი ყოფილიყო. მაშინვე დაუძახა. ჭაბუკი მოუახლოვდა და მოკრძალებით მიესალმა. გიორგიმ სიყვარულით მოიკითხა და მერე ჰკითხა:

— ახალსოფელში როდის უნდა გაბრუნდე?

— დღესვე უკან მივდივარ, — უპასუხა ჭაბუკმა.

— მაშ, ესმას გადაეცი, ხვალ ჩამოვალ და სატაცური გამიმზადოს.

— ძია გიორგი, ოღონდ შენ ჩამოდი და სატაცური რას მიქვიან, სულ გავწყვეტ, რაც ეზოში ფრინველი მყავს. რამდენი ხალხიც გინდა, იმდენი წამოიყვანე, — გამოიდო თავი ტრაქტორისტმა.

— არა, მთავარი სატაცურია, ესმას ასე გადაეცი, — უთხრა გიორგიმ.

ესმა ამ ტრაქტორისტის ცოლი იყო, იმ სოფლის მასწავლებელი.

მეორე დღეს გიორგის მანქანით გავემგზავრეთ. ლოჭინის ხევს ზემოთ, სათავისაკენ შევყვეთ და გეზი ახალსოფლისაკენ ავიღეთ. სწორედ მაშინ გიორგიმ თავისი ბავშვობა მოიგონა, ჩვენთვის უცნობ რაჟდენა მეწისქვილესა და გნოლა ხარზე დაიწყო ლაპარაკი. მალე

იმ სოფელში ვიყავით. მასპინძლები გულითადად შემოგვეგებნენ. ვიდრე სუფრას გააწყობდნენ, გიორგიმ სოფლის დასათვალიერებლად წაგვიყვანა; გვიამბო, რომ ბავშვობის წლებში თურმე აქაურ სკოლაში ესწავლა. მაშინ აქ ცხოვრობდა მისი მამიდა მაშო. ვიდრე აქაურობას მოვიელიდით, სუფრა გაეშალათ. მართლაც, მარტო სატაცური კი არა, არაფერი აკლდა სუფრას.

საღამოთი სკოლაში მიგვიწვიეს. მასწავლებლებს და ბავშვებს გიორგისთან შეხვედრა უნდოდათ. ნაუცბათევი და იმპროვიზირებული საღამო ძალიან კარგად ჩატარდა. ახალსოფლელების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ძალიან გახარებული იყო თვითონ გიორგიც, ბედნიერი და გაღიმებული, დაბრუნებული თავისი სანეტარო ბავშვობის ბურუსში.

ჩვენ, მისმა თანამგზავრებმა, რა ვიცოდით, თურმე ეს იყო გამგზავრება წარსულში, ბავშვობის წლებში და სატაცური აქ უბრალო საბაბი იყო გიორგისათვის ჩვეული ხუმრობით შეზავებული. მწერალს ახალსოფელში ჩასვლა უნდოდა, რადგან ზემოხსენებული მოთხრობის დასაწერად ემზადებოდა. ამის შემდეგ სულ მალე გიორგიმ გამოაქვეყნა თავისი „ორი შემოხედვა“. მე განსაკუთრებული ინტერესით წავიკითხე ეს მოთხრობა, რაკიღა ნანახი მქონდა ის სოფელი, რომელიც იქ იყო აღწერილი.

მოთხრობის დასაწყისში ლოჭინის ხევისწყალია აღწერილი, თავმდაბალი რომ მოწანწკარებს ქვიშაზე. ყველა მკითხველი ამა თუ იმ ნაწარმოებს თავისებურად იგებს და თავისებური სიამის გამო შეიყვარებს. მეც ეს მოთხრობა ძალიან მომწონს; ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის გიორგისებური სილაღით და გულგაშლილი მშვენიერებით არის მადლფენილი, მეორეც იმიტომ, რომ თავისი პეიზაჟით ილიას მოთხრობას მაგონებს – „სარჩობელაზედ“. დიდი ილიაც ხომ ლოჭინის ხევის აღწერით იწყებს თავის ნაწარმოებს.

ლოჭინის ხევისწყალს რომ აღწერს, გიორგი განაგრძობს: „ამ წყალსაც ახსოვს ჩემი ბავშვობა! ზემოთ, პატარა სოფელში, რომელსაც კლდის წყარო ჰქვია, მამიდაჩემის განიერ მამულში ჩამოჩხრიალებდა, ჩამოციმციმებდა უნაღვლოდ. მე კარგად მიცნობს ეს პატარა წყალი! ჰკითხეთ, მოგიყვებათ, თუ ჩემს ყრმობაში როგორ ვესტუმრებოდი ხოლმე მამიდაანთ. რა მოამაგე ბიძა მყავდა – ნიკოლოზი. რა კარგი ტოლები მყავდნენ იმ სოფელში... ნიკოლოზის ძმას, გარსევანს, ისიც ხომ ნათესავად მომხვდებოდა – ჩარხიანი წისქვილი ჰქონდა ზვარში. მბრუნავ ჩარხზე წყალი იმსხვრეოდა ალმას ჩქერებად. ჩამოვჯდებოდი ხოლმე წისქვილის გვერდით, დიდ, გადაჩრდილულ კაკლის გრილოში და ვტკბებოდი წყლის ჩქერალის ფრქვევით, თითქოს ჩარხზე ათასი ცისარტყელა ყოფილიყოს დახვეული“.

აქ რომ კლდის წყაროა მოხსენებული, როგორც ზემოთ უკვე ვთქვი, ეს ახალსოფელია. მწერალმა მარტო სოფლის სახელი გამოცვალა, დანარჩენი კი ყველაფერი უცვლელად დატოვა. ჩვენს იქ ყოფნისას გიორგიმ გვაჩვენა ის ვენახიც, სადაც ჩარხიანი წისქვილი მდგარიყო და ის კაკლის ხეც, საიდანაც იგი ბავშვობის წლებში გასცქეროდა ერთბაშად დანთებულ ათას ცისარტყელას. სწორედ მაშინ გაიხსენა ნიკოლოზ ელიავაც, მისი ძმა გარსევანიც და მისი მეწისქვილე რაჟდენიც — მთავარი გმირი თავისი მოთხრობისა. დიახ, ამ მეწისქვილეზეა დაწერილი მოთხრობა. ეს ადამიანი დახატა გიორგიმ, მაგრამ როგორ დახატა! უბრალო მეწისქვილე კი არა, აქ მთელი ხალხია თავისი სულით, თავისი დიდი სიკეთითა და სიწმინდით! მთელი ხალხი, პერსონიფიცირებული ერთ კაცში. მეწისქვილე რაჟდენა ძალზე საოცარი პიროვნებაა. თითქოს უბირი კაცია და თანაც დიდი ფილოსოფოსი, უბრალო და უშუალო, როგორც მინდვრის ბალახი და ბრძენი, როგორც მინდია. გულუბრყვილო შემოცქერა აქვს და გამომცინარი თვალები, აჭრილი ეაზის აკიდოს ჰკოცნის, ჭირნახულს აღმერთებს — წმინდაა, მართლაც, ჭირ-ნახულიაო. ნიავწანწალა რომ ჩამოიელის, პირსიცილი მოსდის — ეგრე შემოიქროლე, ნიავო, არ დაიღალო, ცოდეაა ადამიანი. ჩვენ რომ ახლა ამ ჩრდილში ვისვენებთ, რამდენი მუშაობს მზის გულზე. ძნა მოდის ჯარა-ჯარა, ზედ ოფლის წვიმა მოსწვიმს, იცოდე!"

ეს იყო პირველი დიდი უნივერსიტეტი პატარა გოგლასათვის. აქ ეზრდებოდა და უმაგრდებოდა ნორჩი ფრთა მის ფანტაზიას, ფრთა, რომელსაც ასე ღონივრად გაშლიდა და მოიქნევდა დავაუკაცებისას. ეს ავტობიოგრაფიული მოთხრობა ბევრ რამეს ხსნის გიორგი ლეონიძის ბიოგრაფიაში. რამ დაამეგობრა ეს ორი, სრულიად სხვადასხვა ასაკის, სხვადასხვა წრის ადამიანი — ბეჩავი მოჯამაგირე და პატარა ბიჭი შეძლებული ინტელიგენტური ოჯახიდან გამოსული? დაამეგობრა გნოლა ხარის შემოხედვამ. მწერალი ამ ამბავს ასე გადმოგვცემს:

„დედაჩემმა ჩემი საყვარელი გნოლა ხარი გაყიდა. უღელს ეურჩებოდა, უარშიობდა. ლამაზი იყო ჩვენი ხარი, გნოლისფერი, ლამაზთვალება. მეც ვუყვარდი გნოლას, კისერზე ვეკიდებოდი, ბალახს ვთავაზობდი. მაგრამ რა მექნა! მოვიდა მყიდველი, გახარებულმა აპეური გამოაბა, ჩასჭიდა ხელი წასაყვანად და... უცებ, ჭიშკართან გნოლა ხარმა შემომხედა ისეთი თვალებით, რომ კინაღამ იქვე გავიყინე. დღესაც კი მახსოვს გნოლას სამდურავიანი თვალები, გნოლას თვალის ღრუბელი..."

ეს ამბავი მოუთხრო პირველი შეხვედრისთანავე პატარა ბიჭმა მეწისქვილეს და მეწისქვილემ იტირა. ამის შემდეგ დამეგობრდნენ

ისინი. აი, რას ასწავლის მეწისქვილე პატარა ბავშვს:

— ყური მოიმახვილე, ყველა სულიერია! მაშ მიწა რად ტირის? არ გინახავს მიწის ტირილი დილაადრიან? ბალახი რომ ნამს გაუშვებს, ის მიწის ტირილია. რა ატირებს, ჩვენი ცოდვა? თუ მზის ამოსვლა უხარია? შენ იცი, რომ ხემაც და ქვამაც იცის დარდი?

რაუდენამ ყველა ბალახისა და ყვავილის სახელი იცის და ყოველ მათგანს ეფერება, ეალერსება, ესაყვარლება, იმათში ერთი რომელიღაც უკედავების წამალიაო. ეერხვიც იმისი მეგობარია და ქებით ეუბნება რაუდენა ხეს: შენისთანა შრიალი არავის არ გამოყვაო. ეფერება ღობეზე შემომჯდარ წიფლისჩიტას და შიშიმქრალას, მათზე საწყალი არავინ არისო; ეფერება ხარებს — გლეხკაცის ძმები არიანო, ეფერება და ელაპარაკება ვარსკვლავებსაც. წევს რაუდენა წისქვილის გვერდით, ახლოს პატარა ბიჭი უზის. მეწისქვილე ცაზე ხელით უჩვენებს და ყრმა გოგლას ეუბნება:

— აი, ის ჟუჟუნა სამხიარულო ვარსკვლავი მიყვარს, ბღუჯა-ბღუჯა სხივებს რომ ჰყრის, ის მაცოცხლებს. ის კი, მეორე, ჩემსავით მიბჟუტული, გულმიმქრალი, არ მიყვარს, არა!“ ამას მოსდევს კიდევ უფრო საოცარი ფრაზა: მოხუცი მეწისქვილე და პატარა გიორგი გულაღმა გაწოლილები მისჩერებიან ცაზე ირმის ნახტომს და მისი სანახაობით ტკბებიან. ბოლოს, მეწისქვილე წამოიძახებს:

— ეს ირმის ნახტომი რომ არ იყოს, ცხოვრება ჩალად არ ეღირებოდაო!

განსაცვიფრებელი ნათქვამია, ერთსა და იმავე დროს გულუბრყვილოც და ბრძნულიც. აბა, რას უშველის ამ ბეჩავს მარტო ირმის ნახტომი კი არა, მთელი ცის თანავარსკვლავედების ბრწყინვაც, რა სხივს მოუმატებენ მის ჩაბნელებულ ცხოვრებას, მაგრამ რა, თურმე ამ კაცს ისეთი ძლიერი სანთელი უნთია სულში სილამაზის ტრფიალისა, რომ საცოდავ მოჯამაგირეს, ბოგანოს, ცაც და ქვეყანაც თავისი ჰგონია, აკი ამბობენ სოფლელები მასზე — ცის მეცნიერიაო; იმას შეჰხარის მეწისქვილე, სიცოცხლეს ამით იადვილებს და არა მარტო შესაძლებელს ხდის, არამედ ლამაზსაც, თორემ მართლაც ვერ გაძლებდა, იმდენი ჭირი და ვაგლახი უჩვენა ცხოვრებამ. მარტო იაპონიის ომში ყოფნა რად ულირდა, ორჯერ დაუჭრიათ — ლია ონთან და პორტ-არტურთან. მეწისქვილე პატარა გიორგის უამბობს:

„— რა ყოფილა ომი. ნუღარ მკითხავ. მე რომ იქ გაჟუჟული ხალხი ვნახე, გახრული მკლავები. თავის კენჩხო ქვიშაზე მეტი ეყარა. ნეტა რა სამართალმა უნდა უშველოს ჩვენს ხელმწიფეს — ჩუმად იტყოდა, თან სიფრთხილით აქეთ-იქით გაიხედავდა:

— რას სჩადიან ეს ხელმწიფეები... რომ ნახო მათი ნამხეცავი, ნაქნარი, ნადირიც კი არ იკადრებს. ზოგი სალდათი შავად, ქონივით დამდნარიყო მიწაზე... ძნელია საამბობლად.“

რუსეთ-იაპონიის ომიდან შინ მობრუნებულ რაჟდენას სახლის მაგიერ — პარტახი დახვედრია, დედა გარდაცვლია, მერე უკვდება ცოლიც, ხეტიალში თვითონაც უპატრონოს ჭლექი შეპყრია. მის უბედურებას ისიც ემატება, რომ წისქვილის ჩარხში ხელს მოაყოლებს და სიკვდილს კი გადარჩება, მაგრამ ხელს დაპკარგავს. ცალხელა მეწისქვილე ვიღას რად უნდა — გარსევანი დაითხოვს. და აი, მეგობრების — მეწისქვილისა და შვიდი თუ რვა წლის გიორგი ლეონიძის უკანასკნელი შეხვედრა. რაჟდენა დაჩაგრა გარსევანმა, სასამართლოში საქმე მოიგო და ხეიბარ მოჯამაგირეს სულ სამათხოვროდ გაუხადა საქმე.

ერთხელ ვაშლის ხის ქვეშ სხედან გარსევანი და პატარა გიორგი. გზაზე რაჟდენა მეწისქვილე ჩაივლის. გარსევანი დაინახავს და პატარა ბიჭს ეტყვის: მაინც მეცოდება, დაეწიე, დაუძახე, ტკბილ სიტყვას ვეტყვიო.

და მწერალი განაგრძობს:

„მეც გამეხარდა, დავეწიე, გეძახის-მეთქი. აჩქარებული რაჟდენა წამით მობრუნდა, შედგა და ერთი ისეთი შემომხედა იმ გნოლა ხარივით, გული კინაღამ გადამიქანდა. მას მერე აღარ მინახავს...“

ამიტომ ჰქვია ამ მოთხრობას „ორი შემოხედვა“. არ შემიძლია, მოთხრობის ბოლო სტრიქონებიც არ მოვიტანო: „დავინახავ თუ არა ლოჭინის წყალს, მაშინვე საწყალი რაჟდენა მომაგონდება. თითქოს ლოჭინის წყლის წყნარი ზვირთებიდან რაჟდენას სევდიანი ხმა მეძახისო. ამ ზვირთებიდან ჩემი ყრმობა მეციმციმება. ვერა, ვერასოდეს დავივიწყებ რაჟდენას შემოხედვას ისევე, როგორც დღემდე არ მასვენებს გნოლა ხარის თვალის ღრუბელი.“

როცა ეს მოთხრობა პირველად წავიკითხე, მაშინ მივხვდი, თუ რამ წაიყვანა კიდევ ერთხელ გიორგი ლეონიძე ლოჭინის ხევზე და ახალსოფელში. ჩვენ მისი თანამგზავრები ვიყავით, მაგრამ თურმე ის იმ წუთებში ჩვენთან არ იყო, ნაცნობმა ადგილებმა მას საყვარელი აჩრდილები გაუცოცხლეს და თვალწინ დაუყენეს, რომ კიდევ ერთხელ გაეგონა მათი ხმა და ასე სიმართლით, ასე ფაქიზად და სიყვარულით აღებეჭდა ეს ხმები და სახეები ქაღალდის ფურცლებზე.

ასე დაიწერა გიორგი ლეონიძის მოთხრობა „ორი შემოხედვა“.

. . . . . .

გოგლა გადასარევი იყო. გოგლა გადასარევი იყო.

ერთხელ დამიძახა თავისთან, თავის კაბინეტში. რედაქციიდან გამოვედი და შევედი მასთან.

— ეს მწერალთა კავშირში ხდება?

— კი, მწერალთა კავშირში. არ წახვიდე სახლში; მინდა, სადღაც

წაგიყვანოო. გამოვედით, ჩავსხედით მანქანაში და წავედით. „სამგორი“ რომ არის რესტორანი; რესტორანში კი არა, რესტორანს იქით სარდაფი იყო ღვინისა, კახელების. „სამგორი“ იყო ვორონცოვის მოედნის იქიდან. არ გახსოვს, არა?

— არა, — ვეუბნები კვლავ ღიმილით.

— კარგი. შესახვევი იყო. კარგი კახური ღვინო ჰქონდათ. იყიდა გოგლამ ღვინო, 50 ბოთლი.

— და რამდენი იყავით?

— ორნი. არა, განა სარდაფში, შინ წასაღებად. ჩააწყვეს მანქანაში. უცებ გოგლა მომიბრუნდა და მეუბნება:

— ახლა მე სხვაგან მივდივარ, ჩემი შოფერი მიგიყვანს და მერე მიიტანს ამას. სახლში რომ მიხვალ, დაურეკე ფეფუცასო და უთხარი, რომ შენ ღვინო მიიღე კახეთიდანო და თქვი, რად მინდა ამდენი მე და გოგლას გადაეცითო.

— ძალიან კარგი, კი-მეთქი.

მიველი სახლში. დაეურეკე. ფეფუცა შემხვდა.

— ქალბატონო ეფემია-მეთქი, — მე ვუთხარი. ღვინო ჩამომივიდა კახეთიდან, რად მინდა კაცო, მე ამდენი...

— უიმე, რაზე შეწუხდიო. უკვე იცოდა. შოფერს ეთქვა, ესო, გიორგიმ აჩუქაო.

— გიხადათ მადლობები?

— მიხადა მადლობები.

(კვლავ ვიცინით)

მეორე თუ მესამე დღეა და გოგლაც უცნაური იყო, კაცო. მეორე თუ მესამე დღეა და ის ღვინო უნდა დავლიოთო. გოგლას სახლში ვართ. გამოიტანა ეს წითელი ღვინო. ხო, ახლა ფართი-ფურთა კაცი იყო და წაექცა ისა და დაუსვარა ახალთ-ახალი სუფრა. რა ვიცი, ეშინოდა თუ ხათრი ჰქონდა ფეფუცასი, კაცო, მე არ დამაბრალა? მე რას ვეტყოდი, გამოვიდა ფეფუცა... მეორე დღეს კი ვუთხარი... და შენ არაფერს გეტყოდა, მე ამიკლებდაო.

— იმ წლებზე ხომ არაფერს იხსენებდა? ოჯახზე ან ძმაზე, რომელიც დახვრეტილი ჰყავდა, ხომ არ მოიგონებდა რაიმეს?

— არა. არა, ნაკლებად. რა ვიცი ახლა. ლექსში კი ახსენა, მაგრამ ის სხვა ლევანია. ფაქტიურად, ის სახელს ეალერსება. გოგლა იყო ბრწყინვალე, არ გაჩნდება მაგნაირი კაცი... წავიდა ნამდვილი მწერლობა, რუსუდან, ხომ იცი. აი, ასეთი გოგლა რომ იყო, გალაკტიონი, ხომ აღარ განმეორდება...

— იცით, ისინი იმითაც იყვნენ ბედნიერნი... გალაკტიონი აკაკის გზადალოცვილი კაცი იყო, გოგლას რომ აქვს: „როგორც დამლოცა ვაჟა ფშაველამ, დამსკდარი ხელი თავზე დამადო“. მიხეილ

ჯავახიშვილი ილია ჭავჭავაძისგან გზის დალოცვას იგონებს ანუ, მათ ჰქონდათ ის ათვლის წერტილი, ვისაც მხარს უსწორებდნენ, ვისთვისაც ცდილობდნენ...

— რა კარგად თქვი ახლა ეგა, შესანიშნავია. ეგ უნდა დაწერო! რა კარგად თქვი! გახსნილია მაგათი საიდუმლო... შესანიშნავია, რა კარგად თქვი...

რუსუდან, ჩემი წიგნი არა გაქვთ არა, „ბარათაშვილის უკანასკნელი ღამე?" დგება, იღებს ორ წიგნს: „ბარათაშვილის უკანასკნელი ღამე" და „თეთრხალათიანი კაცი". ორივეს წააწერს: „რუსუდან ნიშნიანიძეს — პატივისცემითა და სიყვარულით ავტორისაგან" და ღიმილით მაწვდის. ფეხზე ვდგები და დიდ მადლობას ვუხდი.

. . . . . .

საუბარს ვაგრძელებთ.

სადღაც წავიკითხე. არ მახსოვს, სად წავიკითხე ვაჟას ამბავი, ვაჟა ფშაველას ამბავი. რედაქციაში სხედან და ყვებიან... ათასი ლაპარაკია აქეთ და იქით. თანაც, ერთი მუშაკია რედაქციისა, მგონი ილია აღლაძე. ვაჟას ლექსები რომ მიუტანია, ათვალიერებს იმ ლექსებსა და ამზადებს გასაგზავნად სტამბაში. ვაჟა ჰყვება რაღაცას აქეთ-იქით და დაინახა, რომ აიღო იმან კალამი, კალამი აიღო, რაღაც უნდა, ჩაასწოროს.

— ხელიო, — უყვირა ამან ე. ი. როგორი დარწმუნებული იყო, დააგდეო; როგორი დარწმუნებული იყო ვაჟა თავის თავში და სავსებით სამართლიანად. არა? სავსებით! ზოგიერთი კი ოღონდ დაიბეჭდოს და...

— ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, იქაც „ჩემს მოამაგეს", „ძმას", რატომ დაიკარგა ქართული სიტყვები, რატომ აღარ მივმართავთ ასე?

— საოცრება ხდება. რა ვიცი ახლა. ოჯახიანით იყო მწერალთა კავშირი. რაღაც ისე იყენენ — უფროსი, უმცროსი. ეფერებოდნენ უფროსები უმცროსებს. ახლა აღარაფერი აღარ არის, კაცო. რა ვიცი. დაიკარგა იმათთან ერთად.

— და შესაბამისად, სიტყვებიც დაიკარგა?

— სიტყვებიც დაიკარგა.

ერთ დღეს გრიშა აბაშიძემ შეკრიბა მთელი პრეზიდიუმი და წაიყვანა ინაურთან. წაგვიყვანა ინაურთან და ვეხვეწეთ... ყველა დადიოდა.

— მართლა?

— აბა როგორ, აბა რა? რამდენჯერმე ვიყავით ზეიადის (გამსახურდიას გულისხმ. — რ. ნ.) გამო.

— ეს მაშინ, სკოლის მოსწავლე რომ იყო?

— არა, სკოლის მოსწავლე არა, უფრო გვიან. მთელი პრეზიდიუმი იყო. ვინ იტყოდა უარს.

— ხომ არ გახსოვთ, ვინ იყო?

— ეხლა აღარ მახსოვს, ვინ იყო, მე ვიყავი, მთელი პრეზიდიუმი იყო, მაგრამ გრიშა იყო მაგის ინიციატორი.

— რა ვქნაო, — ინაურმა თქვა, განა მე კი არ მინდა, გავუშვაო, მაგრამ ეს ოხერი, ვალდებული ვარო.

— ბატონი კონსტანტინეც გახლდათ?

— არა, კონსტანტინე არა. არა, ეს ინაურმა თქვა, მე თვითონ მეცოდება, როგორ შეიძლებაო. ვის არ ენანებოდა?! ყველას!

— კიდევ ვის გაიხსენებდით დიდი მწერლური ოჯახიდან?

— საოცრად კარგი პიროვნება იყო ლეო ქიაჩელი. საოცრად ტკბილი კაცი.

— როგორ ფიქრობთ, სად უფრო გამოვლინდა მისი მწერლური ნიჭი — ნოველებსა თუ რომანებში?

— ნოველების ავტორი სჯობს. განსაკუთრებით სამეგრელოზე წარმართული დროის თემაზე დაწერილი მომწონს. მეგრული — უძველესი ქართულის გადმონაშთი. „თავადის ქალი მაია“ შესანიშნავი ნოველაა, „ალმასგირ კიბულან“ იმდენად არა, რამდენადაც ეს „თავადის ქალი...“ „ჰაკი აძბაც“ კარგია, მაგრამ რაა, ამ აფხაზებმა სულ წაახდინეს ყველაფერი, ამან გამიტეხა გული. ისე, გულიამ ხომ დაწერა: ნამეტანს გვანებივრებდითო.

რა ამის პასუხია და კარლო კალაძემ იხუმრა ერთხელ კარგად: მოდიოდა თურმე დიმიტრი გულია და გიორგი გულია. დიმიტრი იყო ფუძემდებელი აფხაზური ლიტერატურისა. ეს კი, გიორგი — მისი შვილი იყო, მაგრამ რუსულად დაიწყო წერა. რუსულად, აფხაზურად არ წერდა. კარლომ შეხედა და თქვა:

"Вот идут начало и конец Абхазской литературы" (გულიანად ვიცინით).

კარლო გასაოცარი ხუმარა იყო.

— უამრავ კურიოზს იგონებენ ბატონი კარლოს სახელთან დაკავშირებით...

— კი. ახლა, რომ იხუმრებს კაცი ცოლის კუბოსთან. გულიკო რომ გარდაიცვალა, ცოტა ადრე მივედით და ვსხედვართ: მე, თამარა ანდღულაძე და კიდევ სხვები... ჩუმად ვართ. შემოვიდა ამ დროს გუგულა, კარლოს მძღოლი. შემოვიდა და ქაღალდები უჭირავს.

— რაია, ბიჭო, მაგიო, — იკითხა კარლომ.

— დეპეშებია, ბატონო კარლო.

— ვისი დეპეშაა.

— ერთია აგერ, შინკუბასიო.

— შინკუბა მინდა ახლა მე, შინ კუბო მიდგას, სახლშიო.

ვართანი რომ ვახსენე, ატრიანი. ვართანი საკმაოდ გულუბრყვილო კაცი იყო და თანაც, გულმავიწყი. ერთხელ მწერალთა კავშირის სასახლეში, მაჩაბლის ქუჩაზე ვართანი ისე მოვიდა პარტიულ კრებაზე, იქვე ახლოს ცხოვრობდა, საშინაო ხალათი ეცვა. საოცარი იყო, კაცო. ისე ჩაგრძელებული მოვიდა პარტიულ კრებაზე. ხალათი ზონრით ჰქონდა შეკრული და ფეხებში ებლანდებოდა. დაინახა ეს განთქმულმა ენამახვილმა კარლო კალაძემ და რატომღაც რუსულად თქვა:

"Что за халатное отнашение к такому важному событию".

სხვათაშორის, რუსმა პოეტმა ზაბოლოცკიმ კარლო კალაძეზე ასე თქვა:

— პირველად ვხედავ ჩემ სიცოცხლეში, რომ კაცი ასე გონებამახვილურად ხუმრობდეს იმ ენაზე, რომელიც მან არ იცისო.

მართლა საოცრება იყო.

— ბატონო გიორგი, ცოტა უფრო შორეულიც გაიხსენოთ ეგებ. თქვენ თავად როგორ დაიწყეთ. სად და როდის დაბეჭდეთ პირველი წერილი?

— პირველი წერილი? რაიონში გაზეთი კი გამოდიოდა, მაგრამ თბილისში, გაზეთში „ახალგაზრდა კომუნისტი" დავბეჭდე. პირველი მოთხრობა კი ომისშემდგომ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ გაზეთში". ჭრილობის გამო ადრე დავბრუნდი. მძიმე ჭრილობა მივიღე. ფეხზე წამომდგარს მთელი ჯერი მომხვდა ტყვიამფრქვევისა, დამიმტვრია ორივე ფეხი.

— ხედავდით მტერს?

— არა, ვერ ვხედავდი. ღამე იყო, შუაღამე. სოფელი უნდა გაგვეთავისუფლებინა, სმოლენსკის ოლქში.

— თქვენ მოხალისედ იყავით თუ გაწვეული?

— გაწვეული. მოხალისედ რა მინდოდა? (იცინის)

— ბრონი არ გქონდათ?

— არა, ბრონი არ მქონდა. ბრონი მწერლებს კი ჰქონდათ. მე არა მქონდა, ალექსი გომიაშვილს, არა ჰქონდა საშა სულავას... არც მიცდია, რა ვიცი, ალბათ, ახალგაზრდა ვიყავი, ხომ იცი. უნივერსიტეტიდანვე... ზაფხულში სტუდენტები მიჰყავდათ ხან გორში, ხან ავჭალაში. შემდეგში აღარ იყო ეს. სპეციალური სტუდენტთა რაზმეულები იყო; რაკიღა ჩინი მომანიჭეს, მერე ვეღარ დავუსხლტი.

— როგორი იყო პირველი რეაქცია, როცა თქვენი მოთხრობა გამოქვეყნდა, მოულოდნელი იყო?

— მოულოდნელი იყო იმიტომ, რომ მე კრიტიკულ წერილებს ვწერდი და მხატვრული პირველად ვცადე. დაიმსახურა მოწონება.

ჩემი პირველი წიგნის განხილვა მწერალთა კავშირში მოეწყო, მოხსენება ლევან ასათიანმა წაიკითხა. უეჭველად მოვნახავ ამ მოხსენებას და გაჩვენებ, მაქვს შენახული სადღაც. პირველი რედაქტორი შალვა რადიანი იყო. წასვლამდე რედაქტორის მოადგილე ვიყავი. მთელი ომის განმავლობაში, რაც მე არ ვიყავი აქ, დაბრუნებამდე მაინც ეწერა რედკოლეგიაში ჩემი გვარი. ჩემთვის ახლა ისე იყო, შინ რომ მიხვიდე, სახლში. ჩამოვედი თუ არა, დამნიშნეს რედაქტორად.

— ბატონო გიორგი, თქვენ იმხელა გზა გაქვთ გავლილი არა მხოლოდ ლიტერატურული, საომარიც... გჯერათ თუ არა ბედისწერის?

— ხან არის წუთები, რომ გჯერა, როცა გჯერა, ხომ იცი, ახლა მაინცადამაინც ფეხებში რომ მომხვდა, ცოტა მაღლა რომ დაეჭირა იმას (იცინის) გათავდებოდა ჩემი ტანჯვა-წვალება. მორჩებოდა. მე ოცეულის მეთაური ვიყავი, ოცეული მებარა — განჯიდან.

— და რამდენი ხანი იყავით ფრონტზე?

— 1941 წლის ოქტომბრიდან 42-ის აპრილის ბოლომდე.

— საიდან დაიწყეთ და სად დაასრულეთ?

— პირველად პოდმოსკოვიე, მოსკოვის ოლქში, მალე გადავედით სმოლენსკის ოლქში. უმთავრესად მაინც სმოლენსკის ოლქში.

— როცა მწერალი მიდიოდით, როგორი განცდა გქონდათ?

— ომში ხო, მართალია. ახლა რაშია საქმე, იცი? საოცარი ამბები ხდება. დავწერე ერთხელ კიდეც, ხომ იცი, მაგრამ კი ვერ გავბედე. როგორ იყო, იცი? საოცრება იყო. სმოლენსკის ოლქში, ერთ სოფელში ალყაში მოგვიმწყვდიეს. ერთ ქოხში ვართ მე და ჩემი მებრძოლები. ჩემი ოცეულიდან ვინც გადარჩა. ოცეულის მეთაური ვიყავი, აქედან წავიყვანე, განჯიდან. ერთ გასასვლელ მხარეს ქუჩაა, მეორე, უკანა მხრიდან — ტყე. ამ ტყის იმედი გვაქვს. არ დავიძარით ადგილიდან, ვიდრე არ გამოჩნდნენ გერმანელი ჯარისკაცები.

— რატომ, რას ელოდებოდით? (ვსვამ, ალბათ, ომისათვის ძალზე გულუბრყვილო შეკითხვას).

— ველოდებოდით საერთო განკარგულებას, უშველეთ თავსაო.

— ეს განკარგულება საიდან შემოაღწევდა ამ ალყაში?

— ალყაში მთელი სოფელი იყო მოქცეული და ბოლოს, მე და ჩემი ოცეული რომ გავედით ქოხის უკანა მხრიდან, ისინი წინიდან შემოვიდნენ. ასე, ამ მანძილზე.

— და არ უსვრიათ?

— არა. არც ჩვენ, არც იმათ! არ ვიცი, რამდენად მართალი იყო, მაგრამ ამბად გავრცელდა, მოხდა ასეთი ამბავიო. ერთი ღამე ერთ ქოხში გაათიეს საბჭოთა და გერმანელმა ჯარისკაცებმა. დაღლი-

ლებმა და დაქანცულებმა. ისინი შევიდნენ და დაეყარნენ. ოღონდ დილით რომ გაიღვიძეს, მეორე მხარე აღარ იყო. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ ეს ამბავი ძალზე გავრცელებული იყო მაშინ. დაწერა მინდოდა მაგისი.

— მთავარია, რომ ქოხში გვამი არ იყო.

— არა. არცერთის.

— ომმა ბევრი რამ დაგიტოვათ?

— ხო, არა, რა თქმა უნდა.

— როგორ ფიქრობთ, შეიცვალეთ? სხვანაირი იქნებოდით?

— არა, არა მგონია... მერე დიდხანს მომიხდა ჰოსპიტალში წოლა. ძალიან ძნელად გამოვკეთდი. ძალიან დიდხანს ემკურნალობდი. სმოლენსკის ოლქიდან თვითმფრინავით გადმოგვიყვანეს ჯერ მოსკოვში, მერე პოდოლსკში, მერე ვლადიმირში, მერე უფაში. უფაში მოვრჩი... წამოვედი აქეთ, კასპიის ზღვისაკენ... და ჩამოვედი თბილისში. აი, გოგლამ დაწერა ის ლექსი მაშინ, სწორედ იმ პერიოდისაა. აღარ აკონკრეტებს ბატონი გიორგი; ლექსს კი „შინმოსულისა“ ჰქვია.

„ათჯერ ვემთხვიე შენს მიწას,
ასჯერ სიცოცხლე მანატრე,
თბილისო,
შენმა ლამპრებმა
როდესაც შემომანათეს!“...

— მართლა იყო ის აღტყინება, რომ მწერლები ითხოვდნენ ომში წასვლას. უნდოდათ, თუ ეს მხოლოდ აგიტაცია იყო?

— არა, აგიტაცია, აგიტაცია იყო... არა, როცა მდგომარეობაში ჩადგები არა. იქ, მაშინ უკვე თავს ავალდებულებ; ვალდებულად ხდი თავს მოიქცე ისე, როგორც შეჰფერის... თავისთავად, სხვაგვარად აღარ შეიძლება...

— ბატონო გიორგი, მახსენდება მირზა გელოვანის მიერ რაჟდენ გვეტაძისადმი გაგზავნილი წერილი, ტკივილიანი წერილი, რომელიც პოეტს ხარკოვიდან გამგზავრების უკანასკნელ დღეს, 8 მარტს დაუწერია: „გამამწესეს“ ანუ ნომერი დამაკრეს და წამართვეს საკუთარი გვარი და სახელი, რომ თუ ვინიცობაა... ნომრით გამომიცნონ“.

უჩვეულო დაძაბულობით და რასაკვირველია, სარკაზმით თქმული: „მოკლე ხანში შემასწავლეს საომარი მანქანა და ხელოვნება როგორ უფრო ადვილად შეიძლება მოკვლა მტრის-კაცის. ეს კი ბევრად ადვილია, ვიდრე ფიქრი სინტაქსზე — და მე ამაში უთუოდ მექნება წარმატება. საინტერესოცაა იბრძოლო იქ, სადაც შენს მამაპაპას არ უბრძოლია არასოდეს.“ თავად სრულიად ახალგაზრდა კაცისგან თითქოს მოულოდნელიც კია სხვათა გაფრთხილების ამხელა ნიჭი და ძალა: „მე მათზე ვფიქრობ — მჭადით დაზრდილ შავ-

ტუხა ბიჭებზე და მენანება მათი უვაჟკაცოდ დატოვებული ოჯახები (ჩვენი ოჯახიც ისე დარჩა ჩემი ძმის წამოყვანის შემდეგ) და მინდა მთელი ძალით ვიყვირო, რომ დაუბრუნონ ისინი საქართველოს ერსა და მიწას. დააბრუნონ ისინი და დაე, პირველმა ტყვიამვე მიმსხვერპლოს მე". წერილი მთავრდება სიტყვებით: „...შეცდომით დამკიდეს ნომერი და წამართვეს საკუთარი გვარი!"

— მართალია. მეც ასე არ ვიყავი? რა მინდოდა ახლა იქ. რა ჭირი მინდოდა, მაგრამ როცა...

— თურმე ერთხელ უილიამ ფოლკნერს ჰკითხეს: ვინ არის თქვენი საყვარელი ავტორი? და მან უპასუხა: ეს შეკითხვა მწერლისათვის უსარგებლოა, რადგან მწერლისთვის მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ დაწერა, არამედ ის, თუ რა დაწერა. ჩემთვის... წიგნში გმირი არის მთავარი და სულაც არ მაღელვებს, ვინაა ავტორი და შემდეგ ჩამოთვლის გმირებს...

თქვენთვის როგორაა?

— არა, რათა კაცო, არა. მერე ეგ ძაან ინდივიდუალურია. საყვარელი ავტორი, საყვარელი მწერალი, ერთი კი არაა. თქვენ ახლა, მაგალითად, რუსუდან, ერთი მწერალი ხომ არ მოგწონთ, ალბათ, ბევრი...

— იცით, როგორ ვგულისხმობ, რომელი ავტორი მოგნატრებიათ ხოლმე, რომელი გმირი.

— გმირი არა, ავტორი, უფრო ავტორი. რუსი თუ ქართველი?

— თუ გნებავთ, მსოფლიო მასშტაბით.

— მსოფლიო მასშტაბით... ახლა ჩემი მდგომარეობა სხვა არის, იმიტომ, რომ რედაქტორი ვიყავი და ბოლოს და ბოლოს, უფლებაც არა მქონდა, უფლებაც არა მქონდა რომ სხვანაირად... უნდა ყველა მყვარებოდა.

—როგორც მკითხველს?

— როგორც მკითხველს? გამსახურდია, გერონტი... რა ვიცი კიდეე... აი, გერონტი ქიქოძის ნაწარმოებია შესანიშნავი, ის მის ტომებში არ შეიტანეს: „არიფიონი ჰერეთში", ჟურნალ „არიფიონში" დაიბეჭდა. ჩვენი კოლეგიის წევრი იყო, პირდაპირი და პრინციპული კაცი.

— ბატონო გიორგი, ამას წინათ ვკითხულობდი ქეთევან ნუცუბიძის მოგონებათა საინტერესო წიგნს. ერთხელ ბატონ შალვასთან სტუმრად მისულთ ღიმილით გაუხსენებიათ თავს გადახდენილი არაერთი ეპიზოდი და მათ შორის — საგამოცდოც. „ერთ გამოცდას გიორგი ნატროშვილიც ესწრებოდაო, — ვკითხულობთ იქვე. როცა თქვენ (იგულ. ბ-ნი შალვა — რ.ნ.) ერთს შეეკითხეთ: „რა ერქვა ბომარშეს საყვარელს? სტუდენტმა გაიკვირვა: „რა მნიშვნელობა აქვს ბომარშეს შემოქმედებისათვის მის საყვარელსო". შენ თუ ეგ არ

გესმის, — უპასუხეთ თქვენ, — არც მისი შემოქმედებისა გაგეგება რამე. ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ბომარშემ თავისი პიესა მასზე დაწერა“.

— კი, იყო ასეთი (ღიმის). შალვა ძალიან საინტერესო და განათლებული პიროვნება იყო.

— ბატონო გიორგი, დღიურებს წერთ?

— არა. არა კაცო. ჩემი ნაწერები, საქაღალდეები მინდა დავალაგო, მაგრამ ვერა ვარ კარგად. სულ ეუცდი, რომ კარგად გაეხდები.

— ჯვარდაწერილი ბრძანდებით?

— არა (ამასაც ღიმილით ამბობს). არავინ იწერდა მაშინ ჯვარს.

— როგორ გაიცანით?

— „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში ვმუშაობდი, რომლის რედაქტორი იყო ვლადიმერ დევაძე. ჰოდა, იმისი ცოლის და იყო ეს ჩემი ცოლი. იმის სახლში გავიცანი.

— რომანტიკული შეყვარებული იყავით?

— ალბათ, რა ვიცი (იცინის გულიანად)

— ბატონო გიორგი, თუ გქონიათ სურვილი, რომელიმე ცხოველი გაგეზარდათ?

— ცხოველი?

— ჰო! ან რომელიმე თუ გაგიზრდიათ?

— როგორ არა. ძაღლი გვყავდა ჩვენ. ძაღლი გვყავდა. იმასთან მეძინა სულ შირაქში.

— და რა ერქვა იმ ძაღლს, ხომ აღარ გახსოვთ?

მცირე ხნით დაფიქრდა და... ტიგრანა.

— რა ერქვა? — ვეკითხები ხელახლა და ვიცინი, ჩავწერო?

— არა, უხერხულია, უხერხული. შეწუხებული სიცილს ვერ იკავებს და ხელახლა იმეორებს: — უხერხული არ არის? სომხებს ეწყინებათ...

— რომ არქმევდით, მაშინ არ გიფიქრიათ სომხებზე, ვაგრძელებ სიცილს. რა უშავს, რა მოხდა, თუკი ასე ერქვა, — ვეუბნები გულწრფელად. რა ჯიშის ძაღლი იყო ბატონო გიორგი?

— ქოფაკი იყო ჩვეულებრივი, მაგრამ ძალიან მგრძნობიარე ძაღლი იყო. სომხებს რომ ეწყინებათ, ძალიან... არ ვიცი, რატომ ავურჩიე ეგ სახელი, არ ვიცი... (კვდება სიცილით...).

— რომელი ფერი გიყვართ?

— ლურჯი და მწვანე.

— თამადობა გიყვართ?

— არა, არა მიძნელდება.

ისევ მწერლობას მივუბრუნდეთ. ცოტა უფრო გვიანდელი პერიოდის ქართული მწერლობა? როგორ ფიქრობთ, მათზე როგორც—

მოგვიანო პერიოდის? შოთა კარგია (**ნიშნიანიძეს გულისხმობს – რ. ნ.**) სხვებიც... (**დაფიქრდება**) მაგრამ ანას არცერთი არ შეედრება. ანა (**კალანდაძეს გულისხმობს – რ.ნ.**) ძალიან კარგია. მახსოვს, „ლიტერატურულის“ რედაქციაში ვსხედვართ; ბევრნი იყვნენ. არის ერთი ლაპარაკი. ლაზღანდარობა. მითხრეს:

– ერთი ქალიშვილია მოსული, ლექსები აქვს მოტანილიო.

– თხოვეთ-მეთქი, – ვუთხარი.

შემოვიდა. მომცა სქელი, შავყდიანი, ასფურცლიანი რვეული და დამიტოვა. წავიდა. ეს ლაზღანდარობა ირგვლივ გრძელდება. ვფურცლავ... წავიკითხე ერთი, მეორე... არაჩვეულებრივია, კაცო.

– არიქა, დაეწიეთ, მოაბრუნეთ. თქვენ არ იცით, აქ ვინ იყო-მეთქი, – ვთქვი ხმამაღლა.

თეიმურაზ ჯანგულაშვილი და ნოდარ გურეშიძე გაცვივდნენ გარეთ, მაგრამ ვეღარ მიუსწრეს...

– პროზაიკოსებზე რას იტყოდით?

– მიძნელდება თქმა, რა ვიცი... იქნება კი ვცდები, მაგრამ ნოდარ დუმბაძეზე არა ვარ მაღალი შეხედულების... სხვები კიდევ... რა ვიცი... ერთხელ ვართ „მნათობის“ რედაქციაში: მე, რევაზ ჯაფარიძე, ოტია იოსელიანი და სხვები. იბეჭდება ოტიას რომანი „ცისფერი და შავი მდინარე“ გაგრძელებებით. მე ვუთხარი:

– კაცო, რა არის ეს დაღვლარჭნილი გრძელი წინადადებები, გაასწორე, შეცვალე-მეთქი.

– როგორო, – თავი ასწია გაკვირვებულმა და სრულიად სერიოზულად მეუბნება:

– მე კი არ ვწერ, ის მკარნახობსო და ზევით მიუთითა.

– ის კი გკარნახობს, მარა ეტყობა, შენ არ უგდებ კარგად ყურსო, – იქვე „განუმარტა“ რევაზ ჯაფარიძემ.

ოთარ ჩხეიძე ეალერსება სიტყვას, აღარ მოეშვება, ატრიალებს. რა ტანჯვა-წვალებით ვბეჭდავდით. ზოგი კი უწუნებს, მაგრამ მე ისე შევეჩვიე, მე მომწონს როგორც წერს, მისი სტილი.

– ბატონო გიორგი, ამ ბოლო ხანებში გამოცემული მისი რომანი „არტისტული გადატრიალება“ ხომ არ წაგიკითხავთ?

– კი, კი წავიკითხე. მართალია ყველაფერი...

ახლა რა უნდა გიამბო: ერთხელ კონსტანტინე გამსახურდიამ დამირეკა რედაქციაში; მოგვიანებით, გამომიარა და წავედით რუსთავის გზაზე „ლურჯი რესტორანი“ ერქვა, იქ. ხომ იცით, გზისპირზე რომ იყო.

– არც ეს არ გახსოვთ? – მეკითხება და სათვალეს უხერხულად შეისწორებს...

– რაა, ბატონო გიორგი, ამ ”до революционный” ამბებს რომ მეკითხებით. საინტერესოა, საიდან უნდა მახსოვდეს. გაგონილი მაქვს

მხოლოდ... იმ „უბრალო“ მიზეზით არ „მახსოვს“, რომ არ მოვსწრებივარ! – ვეუბნები სიცილით.

– უი, კაცო, უი (**დიდხანს იცინის გულიანად**) ეს რა დამემართა, კაცო, რა მომივიდა... (**იცინის**) მაგრამ იმდენ ადამიანზე და ნაწარმოებზე ვლაპარაკობთ, ასე მგონია, არადა იმდროინდელი თბილისი საიდან, კაცო... უკაცრავად, უკაცრავად... (**სიცილი აღარ ასრულებინებს**)

– ჰოდა, ორნი ვართ, – **აგრძელებს მერე.** დავსხედით. მეორე მაგიდასთან შოფრები და ვიღაცეები სხედან. ქეიფობენ. ხმაურობენ. მოკლედ, არიან ერთ ამბავში. მერე ჩვენკენ დაიწყეს ყურება და ხმასაც დაუწიეს. ასე, 6-7 კაცი იქნებოდა. ჩვენც გაწყობილი გვაქვს მაგიდა, ვლაპარაკობთ. როგორც ჩანს, იმათ დაამთავრეს ქეიფი და წამოიშალნენ. წამოვიდნენ აქეთკენ და რომ მოგვიახლოვდნენ, კონსტანტინესთან მივიდნენ, დაიხარნენ და სათითაოდ ცალ-ცალკე ყველამ მარჯვენა ხელზე აკოცა. ასე გაბრუნდნენ და წავიდნენ. საოცარია არა? მოულოდნელობისაგან კონსტანტინეც შეცბა, ისე უცნაურად მოხდა ყველაფერი, უცებ მეკითხება:

– გიორგი, რა იქნება საქართველოში მეფე რომ ავირჩიოთო... ცოტა ხნის დუმილის შემდეგ – ან კათალიკოსიო?...

უცნაური ხალხი იყო, უცნაური.

უცნაურია, სწორედ დღეს ეკითხულობდი "Литературная газета"-ში ვასილი სუბოტინი ამბობს... მოიცა, მოვიტან ამ გაზეთს. **გადის, შემოაქვს გაზეთი** და არ ვიცი, ვინ არის ეს კაცი, იმისი ჩანაწერებიდან ნაწყვეტებს ბეჭდავენ; ეტყობა, აღარ არის. მაშასადამე, ეს ნაწყვეტი ასეთია (**ხმამაღლა კითხულობს**): "когда такая огромная страна разучилась работать, последствия могут быть самыми непредставимыми. აბა, ეს ნახეთ – **მაწვდის გაზეთს და მე თავად მაკითხებს ნაწყვეტს.** – არ დაეთანხმები ამას? ძნელია მაგ თემაზე ლაპარაკი...

რაზეც გინდა ლაპარაკობდე, ფიქრობდე, იგონებდე, არ გცილდება კაცს აზრი: – რა ეშველება ამ საქართველოს და ჩამოგივარდება ხელები... გული არა მაქვს აღარაფრის, დაკარგა ინტერესი ყველაფერმა... „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“ – გახსოვს, ილიას ნათქვამი: „ჩვენ უნდა ჩვენი ეშვათ მყოობადი“... სწორედ ილია მოკლეს... რა გვეშველება, არ ვიცი...

– ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, რას ეტყოდა 85 წლის გიორგი ნატროშვილი 25 წლის გიორგი ნატროშვილს?

– (**იცინის**) რას ეტყოდა? რთული კითხვაა ეგ... მაგაზე მერე... მოვიფიქრებ და მერე...

მისი საავარძლის უკან, კედელზე სურათი ჰკიდია: სამუშაო მაგიდასთან ბატონი გიორგი ნატროშვილი ზის. წინ უამრავი ქაღალდი

და წიგნები უწყვია. ხელები გულზე აქვს გადაჯვარედინებული, სათვალე შუბლზე აუწევია, ზეაწეული წარბებით თითქოს რაღაცას ამბობს ან პირიქით, კითხვას სვამს. მართლაც, უცნაური წუთი დაუფიქსირებია ფოტოაპარატს. ეს სიტყვა „უცნაური“ ხომ, ვგონებ, თავადაც გამორჩეულად უყვარს.

ვემშვიდობები; როგორც ყოველთვის, მადლობას ვუხდი, კარამდე მაცილებს... მოვდივარ... არაერთი ნაამბობი გზაშივე მახსენდება და მეღიმება... ჩვენ კიდევ ბევრ რამეზე ვისაუბრეთ...

1995 – 1996 წ.წ.

ოთარ ჩხეიძე

რა ამბავ მოხდა ეფოსა

ქართველი მწერლები...

გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, სიმონ ჩიქოვანი... ასე განსხვავებულნი და მაინც, საოცრად მსგავსნი...

მოგონება — ის გუშინდელის თუ გუშინწინდელის უცნაურ ხიბლს ატარებს და ნაამბობით ასე ახლობელი ხდება თითოეული მათგანი — ასე ლეგენდურად შორეულიც. თუმცა, ნაამბობსაც ხომ გააჩნია?

ერთ დღეს გიორგი ლეონიძეს თურმე სრულიად შემთხვევით შეხვედრილი ოთარ ჩხეიძე შეუჩერებია; მანქანის კარი გამოუღია და „სადმე ქალაქგარეთ პური ვჭამოთო", შეუთავაზებია. დიდხანს უვლიათ... ქალაქგარეთიც რომ აღარ ეთქმოდა... მცხეთა... კასპი... და... ახალქალაქი დიდ პოეტს საზეიმოდ ეგებებოდა. როგორც ამგვარ შემთხვევებში სრულიად ბუნებრივია (თუმცა, ბატონი ოთარისათვის ასეთივე მოულოდნელი... მაგრამ მოულოდნელობა ჯერ კიდევ წინ ელოდა), იყო სცენა, ყვავილები, ტაში... საღამოს წამყვანმა მწერლისგან დასტური ყოველ შემთხვევაში მაინც ითხოვა: სიტყვით ხომ გამოხვალთო? კატეგორიული უარი ცოტა უხერხული იქნებოდა, მაგრამ ზოგადი პასუხი მაინც უარყოფითი გახლდათ. ზრდილობიანად იუარა, მაგრამ... ოთარ ჩხეიძის გამოსვლა ზეიმის დასასრულისთვის შემოინახეს... და ასე გაცოცხლებული სურათი, აღდგენილი დღე და ცხადად აღწერილი განცდაც... „ბოლოც დადგა და ვერაფერი ვერ მოვიფიქრე, სიტყვა ვერ ავაგე ისე, იმგვარადა, მევე ცოტათი რო მომწონებოდა. ვერ მოვიფიქრე და ისე წავედი ტრიბუნისკენა, ნათქვამი როა, დანა კბილს რო არ უხსნიდაო. ისე წავედი და უცბად გამახსენდა მიძღვნად წანაწერი მიხეილისა (იგულისხმ. ჯავახიშვილი — რ.ნ.) თავის წიგნზედა გიორგისადმი: ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლულ პოეტსაო.

გამახსენდა და აიგო სიტყვაცა, ანთურაღაა აგება უნდოდა, აგებულიყო და ჩამოსხმულიყო: ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული პოეტიო. და მერე სუფრაზე, თავის საზეიმო სუფრაზე, თვითონვე რო თამადობდა გიორგი, შემომძახებდა დროდადრო ხალისითა, ალალი არის ახლა შენზე პურიჭამაო, შემომძახებდა ყელამდე ჩაფლული, ქართულ მიწაში ყელამდე ჩაფლული".

ქართული მიწა, ქართული სიტყვა, ქართული აზრი — რწმენა, ფიქრი, განსჯა, შემართება, სასოწარკვეთა... ეს ისეთი გასაგები და ხელშე-

სახები იყო... ერთი მაინც უეჭველი: აღმერთებდნენ, ეფოფინებოდნენ, იჭვითა და მორიდებით მზერდნენ, სიამაყითაც და საკუთარი ნიჭიერებით (ესეც ითქვას) უკვდავებასაც ანიჭებდნენ... ერთხელ ბატონმა გიორგი ნატროშვილმა რაღაცნაირი დანანებით მითხრა: წავიდა ნამდვილი მწერლობა, რუსუდან, ხომ იცი... ის კიდევ სხვას გულისხმობდა, თორემ ნამდვილი მწერლები თავის გვერდითაც ეგულვებოდა; ამადაც საუბრობდა მათზე, ბოლო ხანს გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზეც... აკი სწორედ იმ დღეებში გამოვიდა „არტისტული გადატრიალება"... ალაპარაკდა თბილისი. არა მხოლოდ ლიტერატურული თბილისი... არც კი ვიცი, მაგრამ რატომღაც მეგონა, ასე სახელდახელოდ ეგებ, არ ჰქონოდა წაკითხული (ალბათ, ასაკის გამოც), მაგრამ (შთაბეჭდილება იმდენად დიდი იყო) მაინც ვკითხე, ხომ არ წაგიკითხავთ რომანი-მეთქი.

— კი, კი წავიკითხე. მართალიაო ყველაფერი... (კიდევ ერთი ნიმუში იმისა, მწერლები ყველაზე აქტიური და კარგი მკითხველები რომ არიან).

ყოველ ეპოქას თუ ათწლეულს თავისი სირთულეები მოაქვს; თავისი საფიქრალი — ტკივილი თუ სიხარული. მწერალს თანადროულობის და იმავდროულად, წარსულ-მომავლის წინაშე სხვა სულიერი, ესთეტიური პასუხისმგებლობა აკისრია. ნამდვილ მწერლობას ვგულისხმობ, რასაკვირველია. ამადაც მინდა, ბატონ ოთარ ჩხეიძეს ვესაუბრო.

— წავიდა ნამდვილი მწერლობაო. ჩემთვისაც უთქვამს გიორგი ნატროშვილსა. დავთანხმებივარ. დიდი სირეგვენეც წავიდა-მეთქი. დამიტანებია. დახანების მერეღა დამთანხმებია. ისიც სიცოცხლე იყო, ისიც წავიდა. მთლად არა. ცხადია. განმეორდებოდა. სხვა სახითა თუ სხვა სახეებში. ოღონდ ის მაინც აღარ იქნებოდა. ის სიცოცხლე აღარ იქნებოდა. სირეგვენე-მეთქი — ანუ ის თუ რაშიც მოქცეულიყვნენ ის საცოდავი ნამდვილი მწერლები, რა გარემოში, რა ვითარებაში, რა დაპირისპირებაში, წმინდა სალიტერატურო თვალსაზრისითა, სხვა ყველაფერს რო თავი დავანებოთ. გიორგისაც თავისი დრამა ჰქონდა. იპყრობდა ჭიდილი შინაგანი. ნამდვილი მწერლობა სწამდა, სჯეროდა, თანაუგრძნობდა და დაკვეთებზედაც ვერ ეთქვა უარი. ვერა. ვერა. უკვეთავდნენ და ასრულებდა. ასრულებდა და კარგადაც ასრულებდა. არ დაგაეჭვებდა არც ნაკითხობაი იმისი, არც გემოვნებაი. ეჭვს შეიტანდი გამოსვლებში ბესარიონ ჟღენტისა, ნაწერებშიცა. დაუწუნებდი განათლებასა, გემოვნებასაც დაუწუნებდი. მაგრამ სხვა გახლდა ცალკე საუბრებში, სრულიად სხვაი. განათლებითაც გაგაკვირვებდა, მოგხიბლავდა გემოვნებითაცა და წარმოიდგინე, ლიტერატურული სინდისიერებითაცა. დიახ, დიახ, ლიტერატურულ სინდისიერებითაცა. ის ამბავი, ანეკდოტურად რო გავრცელდა თავის დროზედა, სრული სიმართლე გახლდა. დრომ მოიტანა და აქებდა ერთ პოეტსა, აქებდა და აქებდა, ტრიბუნა იყო, საგაზეთო ნე-

რილები იყო, აქებდა და აქებდა. ჩუმჩუმად დასცინოდა. იმეორებდა თავისივე ნაქებ სტრიქონებსა, იცინოდა და აცინებდა ხალხსა. ერთხელაც სტუმრები, თავისივე სტუმრები ლამის დაეხოცა სიცილითა. პოეტმა გაიგო. უსაყვედურა, შემოსწყრა. ეს როგორაო. გაუბრაზდა ბესარიონიცა: „კომუნისტში“ გაქე, კრებაზე გაქე, პლენუმზე გაქე, ყრილობაზე გაქე, ჩემს სახლშიაც აღარ მათქმევინებ სიმართლესაო. მოსწრებული სიტყვაცა ჰქონდა ბესარიონსა, მოგერიებაც შეეძლო, გულის მოოხებაც მოუხერხდებოდა. გიორგის ასე არ გამოსდიოდა. დაკვეთასაც ასრულებდა მთელის მონდომებითა და თავდაცვასაც ალევდა ძალღონესა. გაგებით ყველაფერი გაეგებოდა. დავანებოთ თავი ადრეულ წლებსა. ნათლად გაეგებოდა. მეორე მსოფლიო ომი მოიარა ბოლოს და ბოლოსა, ჭრილობებით დაბრუნდა, განვლო სატანჯველი თავისი, სული მოიტანა შინა.

ბოლო დროს ჩვენ ხშირად ვეხმიანებოდით ერთიმეორესა. მწერალთა კავშირს მოიკითხავდა უთუოდა. მე არ ვიცოდი იმისი არაფერი, ანთუ ხსენებაც არ მინდოდა მწერალთა კავშირისა. გიორგის ცოტა ეხამუშებოდა, მთელი ცხოვრება გაეტარებინა იქა, გასძნელებოდა უიმისობაი. ისედაც მოიწყინა. ცოტა ხელჩაქნეულიც გახდა თითქოსა, ცოტა თუ ეგებ უფრო მეტადაცა, ნამდვილი მწერლობა რო წავიდა, შემოეცალნენ რო მეგობრებიცა. ჩამოსხდებოდნენ ხოლმე ისა და ერემია ქარელიშვილი მრგვალ ბაღში რაფიელ ერისთავის ძეგლთანა. ჩამოსხდებოდნენ. უბნობდნენ თუ დუმდნენ, წარსულს გასცქეროდნენ, 20-იანი წლებიდან ბოლო დრომდისა. აღარც ერემია, აღარც გიორგი, ერთხანს მეგონა — რაფიელიც აღარა მეთქი. ვარსკვლავბიჭუნა ჩამოტეხეს კვარცხლბეკიდანა, ეგება რაფიელიც თან გააყოლეს მეთქი. არა. არ შეჰხებიან. ის უფრო შორს გაიცქირება. და მაგონდება იოსებ ნონეშვილი. მიტინგი რაფიელის ძეგლის გახსნისა. იოსები ტრიბუნაზე, ლამის რო აფრინდეს, ლამის რო აჰყვეს მგზნებარე სიტყვასა თავისასა და ლექსსა მგზნებარესა მომეტებულადა. მახსენდება, მიტინგის მერე რო მეუბნებოდა: შეამჩნევდი ტრიბუნაზე რო გვერდულად ვიდექი. თუ იცი, რატომაო. შევარდნაძე დამპირდა, ძეგლის გახსნას დავესწრებიო. აქ არ მობრძანებულა, შინ მივიდოდა. ფანჯრიდან გვიცქეროდა უთუოდაო. რაღა თქმა უნდა. არ მინდოდა ზურგი შემექცია იმისთვისაო. როგორი სიტყვა ვთქვიო. „ლექსი?.. ძეგლი?.. ჰო მოეწონებოდა?..“ მოეწონებოდამეთქი. გადმოჰყოლოდა მგზნებარებაი ტრიბუნისა. მომდევდა და უკან -უკან იცქირებოდა. დრონი მეფობენ და არა მეფენიო, უკეთ როგორღა დადასტურდება — გადმოდგება რო მერაბიშვილი ვარო, თუ გოგიტიძე ვარო, თუ სააკაშვილი ვარო, თუ ნათელაშვილი ვარო, გადმოდგება და რო მოიხსენიებს იმავე, იგივე შევარდნაძესა, აწ პრეზიდენტსა, ისეთი სიტყვებით მოიხსენიებს, კაი ყურით არ გაიგონება!..

ჰო.

ხშირად ვეხმაურებოდით-მეთქი მე და გიორგი ერთიმეორესა. ბო-

ლო დროსა. მანამდე ჩვენი ურთიერთობა უფრო ზიგზაგობრივი გახლდა. ერთხელ ძალიან გამინაწყენდა. აღარც მეგონა, თუ შემირიგდებოდა. „ბურუსის“ გამო სხვაც ბევრი ვინმე გამინაწყენდა. გიორგიცა იმათ შორისა. სხვებს არც ვიცნობდი. გიორგისთან დაახლოებული გახლდი. რას ვიზამთ — მოვლენები ზოგჯერ ისე ვითარდება, გოჩამ რო შვილიც გაიმეტა, ერთადერთი შვილი. საბაბი გიორგისაგან მოდიოდა. ის ჩვეულებრივ დაკვეთას ასრულებდა და არც არსაიდან შენიშვნას არ ელოდა. ცხადია. და რაღა თქმა უნდა. წერილი „კომუნისტში“ დაიბეჭდა. ეს იყო გამოხმაურება იმ დიდი მოძრაობისა, აკადემიკოს ლისენკოს მოხსენებას რო მოჰყვა და რო დაიწყო ულმობელი რბევა იდეალიზმის გადმონაშთებისა საბჭოთა მეცნიერებაში. წერილი გიორგისა ანუ „კომუნისტისა“ ანუ ცეკასი აკრიტიკებდა ქართველ ხელოვნებათმცოდნეებსა, აბუჩად იგდებდა ჩუბინაშვილის სკოლასა, კვლევის მეთოდებსა ამ სკოლისა, გამოცემებსა; ფეოდალური აზროვნებით შებოჭილობასა სწამებდა, უიდეობასა და წარსულის იდეალიზაციას უკიჟინებდა, ფორმალიზმით გატაცებას მიუთითებდა, განსაკუთრებით ველფლინიზმით გატაცებასა. მე ეს დავიხვიე ხელზე: ველფლინიზმი დავიხვიე ხელზე და რამდენადაც შეიძლებოდა, გავაბიაბრუე წერილიცა და კრიტიკოსიცა. წერილს სხვაც აწერდა ხელსა. ალბათ, წაახმარეს გიორგისა, როგორც რო გამოჩენილი ხელოვნებათმცოდნეი ანუ დიდად იდეურად მიჩნეული ქართულ საბჭოთა ხელოვნებათმცოდნეობაში. მაგრამ მე იმას არც შევხებივარ, არც ახლა მიმაჩნია საჭიროდა დასახელებაი იმისი, რადგან წერილი რო გიორგისაა: გიორგის ხელი, ენა, სტილი და სიმძაფრეი მაშინდელი აშკარად ეტყობა. ხელოვნებაც იმაზე უკეთესად იცოდა გიორგიმა, ვეისმან-მორგანის გენეტიკაცა, პავლოვური რეფლექსებიცა, მიჩურინის შეჯვარებაცა, ისიცა აგრეთვე, თუ რა დაესახა მიზნადა მთელს იმა აურზაურსა, ხოლო ლისენკოს ავანტურიზმი თუ ბოლომდის ვერ გაეთვალისწინებინა მაინცდამაინცა, ეს არა ნიშნავდა არაფერსა ამ შემთხვევაშია. ჩემთვის ველფლინიზმიც საკმარისი გახლდა — ცალმხრივი გაგებაი იმისი და მიკერებაი ხელოვნური ქართულ ხუროთმოძღვრებასთანა. ირონია კრიტიკოსიდან რედაქტორს გადასწვდა, თვითვე გიორგისა, როგორც რედაქტორსაცა. მაშინ გიორგი „ლიტერატურულ საქართველოსა“ რედაქტორობდა. ეს ჯერ გიორგის არც უნდა სცოდნოდა. ხელნაწერი ჟურნალ „მნათობის“ რედაქციას ჩავაბარე და რო მეგონა, ჯერ ალბათ, არც გადაუშლიათ-მეთქი, ერემია ქარელიშვილი მეწვია ყელქცეულში. გიორგი ლამის გაგიჟდესო. ერემიამა. ეს რა გიქნია, რა დაგიწერია, რამ დაგაწერინაო. მაშინ ერემია გიორგის მოადგილედ ითვლებოდა ლიტერატურულ გაზეთშია. გამცემობა არ გამკვირვებია. არც ის გამკვირვებია, გაზვიადებულად რო მიეტანათ ამბავი, ჩემთვის გაუგებარი და წარმოუდგენელიც რო მიემატებინათ. არა. არა. რა თქმა უნდა. არა. მე დავპირდი რო: ამოვშლიდი ყველაფერსა, პიროვნებას

რაც შეეხებოდა, ხოლო დანარჩენს არ ვაკითხებდი არავის არაფერსა. და დარჩა დანარჩენი, ირონია გახლდა თუ ეგებ რო სარკაზმიცა „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის გარშემო. ამასობაში სიმონ ჩიქოვანი დაინიშნა „მნათობის“ რედაქტორადა და არც შეჰხებია არც იმ დანარჩენსა, არც სხვა დანარჩენსა. სიმონის გარეშე არც დაიბეჭდებოდა „ბურუსი“.

რაც თუ რა იყო, ასე წაგვკიდა დრომა, ვითარებამა, გარემოებამა. მტრობამდის მაინც არ მივსულვართ მე და გიორგი, ერთმანეთისადმი მტრობამდისა. რაღა თქმა უნდა. კეთილმოსურნეობა არ მოგვშლია ერთმანეთისადმი. და ბოლოს ჰო ჩემთანაცა სწუხდა და ამასაცა სწუხდა-მეთქი: ნამდვილი მწერლობა წავიდაო. წავიდა. წავიდა და მართლაც რო წავიდა. შემორჩება შემოსარჩენი. სამაგალითოც შემორჩება. მაგრამ ეს მაინც სხვა იქნება. რაც რო წავიდა, ის სულ სხვა არის, სხვა იყო და დარჩება სხვადა. ნამდვილი. ნამდვილი. რაღა თქმა უნდა. ნამდვილი მაშინაც მცირედი გახლდა. ისიც ჩაშლილი თუ ჩაღავებული უკეთურთა შორისა, უამრავ უკეთურთა შორისა. ეს უკეთურობა იყო უარესი, ცენზურაზე უარესი, პარტიაზე უარესი, ჩეკაზე უარესი. რომელი ერთს გასწორებოდი!.. მაინც თავისი შესძლო ნამდვილმა მწერლობამა. გადაარჩინა ენაი ქართული: ენაი, ენაი, ენაი ქართული — გადაარჩინა!.. უფრო მეტი ღმერთსაც არ შეეძლო იმ ვითარებაში.

— „მე მხოლოდ სიტყვებს მივჰყვები. სიტყვებია ჩემი ფერები. მელოდიებიც ჩემი სიტყვებია. აზრიც სიტყვებია, რაღა თქმა უნდა. ყველაფერს თავისი ფერი უნდა, ხმოვანებაც თავისი უნდა. მთხრობელს ესა მართებს, მეტი არაფერი, ამისი შეწყობა მართებს, სხვა დანარჩენი მსმენელმა იცოდეს“, — ეს 1999 წელს (რომანი „თეთრი დათვი“) **დაიწერება. ახლა-ღა ითქმება, თორემ ალბათ, დიდი ხანია ასეა. მინდა გკითხოთ, ბატონო ოთარ, ის პირველი ამბავი, პირველი სიუჟეტი, რომელიც ქაღალდზე გადავიდა, როდის გაგიჩნდათ სურვილი, სხვათათვის გეამბნათ იგი? პირველად როდის „გაგიტაცათ“ სიტყვამ?**

— პირველივე განცდაი ჩემი ეს იყო უარჰყოფაი ყოველივე იმისა, რაც რო ჰხდებოდა ჩემს გარშემო, უარჰყოფაი და წყურვილი გაქცევისა. სიტყვებსა სცილდებოდა. სიტყვები ამისათვის არა კმაროდა. წარმოიდგინე ემაგ გასული წყეული საუკუნის 20 და 30-იანი წლები. დარბეული, გაჩანაგებული ოჯახი, ადგილ-მამულიდან აყრილი, დევნილი საკუთარ სამშობლოში. ადვილი წარმოსადგენია, დღესაც რო ბევრია დევნილი ჩვენში და სწორედაც საკუთარ სამშობლოში. უსამართლობა არასოდეს არ მოგვკლებია. უსამართლობა უსამართლობაა, ოღონდ სხვაობა არის რო აქაცა?! დევნილებზე ზრუნავენ ახლა. დევნილს დევნილი ეწოდება და ზრუნავენ: ხელისუფლება, ახლობლები, ნათესავები, კერძო დაწესებულებანი, საერთაშორისო ორგანიზაციები. მაშინ დამნაშავე ერქვა დევნილსა, დარბეულსა, გაძარცვულსა, დახვრეტილსა,

დამნაშავე ერქვა და გრძელდებოდა, დევნა გრძელდებოდა, ხელსაც რო ვერავინ გამოგიწოდებდა, ათვალისწუნება ელოდა იმასაცა, სასჯელი ელოდა. არა. არ უჩანდა დასასრული დევნა-შევიწროებასა, არც სანუგეშო არაფერი ილანდებოდა, გაქცევაც რო არ შეიძლებოდა არსაითა!.. თავშესაფარი მაინც გინდოდა. შენ მაინც გინდოდა თავშესაფარი, შენ უნდოდი თუ არა ვინმესა. და აი მაშინა, სწორედაც მაშინა სიტყვა აღმოჩნდა თავშესაფარიცა, ნუგეშიცა, იმედიცა და საშუალებაცა. სიტყვა აღმოჩნდა. ისევ სიტყვაი. მაინც სიტყვაი. მაგრამ რა აღმოჩნდა — ისიც დევნილი, დაკნინებული, გაპარტახებული, უარეს გაპარტახებას რო მოითხოვდნენ, მოითხოვდნენ და გაძალებდნენ. ვაის გავექეცი, უის შევეყარეო. ან რას გაექეცი ან რას შეეყარე — ეს ჰო ერთი იყო: მოშალეს საყრდენები ერისა და უნდა მოეშალათ ბურჯიცა ერისა — ენაი. სხვა რამ მიზანი არც რო არ გააჩნდა რუსულ მარქსიზმსა. და აქ გაჩაღებულიყო ბრძოლაი უმთავრესი, უკანასკნელი და გადამწყვეტი. რის თავშესაფარიო. თვით ის იყო გადასარჩენი. ოღონდ ისე რო: გადასჯაჭვოდით ერთიმეორესა — გადაარჩენდი — გადაგარჩენდა, ვერ გადაარჩენდი და გადაჰყვებოდი თანა. ეს ის მწვერვალია, მთასვლელები რო ლამობენ, ერთიმეორე რო იხსნან უფსკრულებში გადაჩეხვისაგანა, მაგრამ ეგებ რო ერთმანეთიც თან ჩაიყოლონ. მაინც სიტყვა გახლდა ის ჯაჭვი თუ ის თოკი ხსნისა. სხვა არც რა იარაღი აღარ არსებობდა თვინიერ სიტყვისა. თქვენთვის გასაგებია. რა თქმა უნდა. სხვა შემთხვევაში დავურთავდი: აქ თვინიერ რო — თვინიერებას არა ნიშნავს. რას იზამ!.. ჰო. ჰოდა-რაც უნდა იყოს, სიტყვა გამომიჩნდა, თავშესაფრადაცა, მოქმედების საშუალებადაცა. ტკივილად სიტყვა იქცა, სიტყვა იქცა შინაარსადაცა ჩემი ცხოვრებისა. სიტყვა პერსონაჟადაც შემოვიდა ჩემს შემოქმედებაში. სიტყვა წარმართავს სიუჟეტსა. რაღა თქმა უნდა, ოღონდ თვითონაც იქვე ტრიალებს მოქმედ პირთა შორისა პერსონაჟივითა, სწორედაც რო პერსონაჟივითა. ტკივილიც ის არის, ნუგეშიც ის არის. განცდა ის არის. ერთი სიტყვითა. სხვა დანარჩენი ცხოვრებაა.

— ერთი ასეთი შემთხვევა: აუდიტორიაში ვაჟი წამოდგა. სემინარია, პროზის სემინარი. კითხვა უნდა დასვას და სვამს კიდეც: „თუ როგორ უნდა ვწეროთ, უკვე ვისწავლეთო. ვიცით, როგორ დავიწყოთ, როგორ მოვჰყვეთ, როგორ დავამთავროთ. მაგრამ რა დავიწყოთ, რა მოვჰყვეთ, რა დავამთავროთ?.. რა დავწეროთ, ეს არ ვიციოთო“ („პროზის სემინარი“). **დღევანდელი საქართველოს ტრაგი-კომიკური ამბავი. უცნაურ გეოგრაფიულ სივრცეში გაშლილი სიუჟეტი, გადამთიელის გვარ-სახელით მოქმედი პერსონაჟი და რაც მთავარია — უცხო სათქმელი, რომელიც რა საჭიროებამ მოიტანა, ხანდახან მკითხველი კი არა, პროფესიონალიც ვერ იგებს. ბევრს ვგულისხმობ. მხოლოდ ცალკეულებს — არა. ხშირ შემთხვევაში არც აზრის მეტაფორა და არც სიმბოლური გააზრება. როგორ ფიქრობთ, მათ „მწერალი“ ამგვარ შემთხვევებშიც ჰქვიათ?**

— გასაგებია, საითაც უქნევთ. ცოტა საჩოთირო ნათქვამია. ჟარგონია ხალხური ჟარგონი, უფრო ქართლური დიალექტის ჟარგონი. დიალექტსაცა აქვს თავისი ჟარგონი, როგორც რო სალიტერატურო ენასა. რასაც რო გულისხმობთ — გასაგებია, ასე უნდა თქმულიყო. პროზის ჟანრების გათავისებურებასა გულისხმობთ, არცთუ მაინცდამაინც მიმზიდველი ხერხებითა და შინაარსითა. ცალ-ცალკე ეგებ ასატანიც იყოს, ორივე ერთად ჩამაფიქრებელია თუ რო შემაძრწუნებელი არა. რაც რო ახლა პროზას დამართნია, იგივე მოიცავს ხელოვნების ყველა დარგსაცა. ვერცერთს ვერ გამოჰყოფ, მეტ-ნაკლებობას ვერ გამოარჩევ. ახლა ყველაფერი სიდუხჭირესა ბრალდება ჩვენი ქვეყნისა, ეკონომიკურ სიდუხჭირესა. და პოლიტიკურ ცხოვრებაშიც რო არ გვიდგას კარგი დარი, ესეც იქვეა. რაღა თქმა უნდა. რაც უნდა იყოს, არ იგრძნობა ნაკლებობაი არც წიგნების გამოცემისა, არც ახალი სპექტაკლებისა, არც რო ახალახალი საესტრადო შემსრულებლებისა. არა. არა. რის ნაკლებობაო. ამდენი დასახელებისა და ამდენი საგულისხმო წიგნი არც გამოდიოდა იმ არსახსენებელ დროსა. არა. რა სათქმელია. ამდენი თეატრი არც ახსოვს თბილისსა ერთდროულადა. რაღა თქმა უნდა. არც სხვა ქალაქები რო არა სჯერდებიან თითო თეატრსა. მალე ოპერის თეატრი რო გაჰხსნან მაჩხაანშიცა, არა მგონია, რო ვინმეს გაუკვირდება. რა ჰანგები აღარ გაისმის — რა ჯურისა და სადაურობის აღარა, რა ხელოვნებას არ დაუფლებიან ჩვენი მხატვრები, რა წარმატებას აღარა იქადიან თავაანთი დასავლური გამოფენებითა და ასეთ დროსა, ამ გაქანებაში ერთი სახელმწიფო დროშა ვერ დაუხატიათ, ერთი, ერთადერთი, ქართული, ქართული. რაღა თქმა უნდა. ერთი სახელმწიფო ჰიმნი ვერ შეუქმნიათ, ერთი, ერთადერთი, ქართული, ქართული. რაღა თქმა უნდა. და რო იკითხო ჩვენი ერთი კომპოზიტორი მსოფლიოს აოცებს თურმე. სხვა დანარჩენებსაც ვითომ რა უჭირთ!.. ერთი სახელმწიფო ჰიმნი რა არის?! ერთი სახელმწიფო დროშა რა არის ამ უუუუუუძველესი სახელმწიფოსათვისა. კარგი რამას გერბი მაინც შემოგვრჩენია. ღმერთიმც უშველის წმიდა გიორგისა!.. გაჭირვებაო. სიდუხჭირეო. პოლიტიკური აღრეულობაო. იგივე სჭირდა საქართველოსა ამ წინა საუკუნეშიაც, პირველად რო გამოცხადდა დამოუკიდებლობაი. იგივეი. ოღონდ ის მაინც არ გასჭირვებიათ: ჰიმნი რო შეექმნათ, დროშა რო დაეხატათ. წმიდა გიორგი ჰო მაშინაც თავს ადგა. მაშინ მოევლინათ „აბესალომ და ეთერიცა". უნივერსიტეტიც მაშინ მოევლინათ თავისი უბინაო და მშიერ-ტიტველი პროფესორებითა. შემოიკრიფა გაფანტული ძალები, გადმოვიდა ენერგიაი დაგუბებული, ენერგიაი სახელმწიფოებრიობის განცდისა. გადმოვიდა და აიტაცა ხალხი. სახელმწიფო უპირველეს ყოვლისა!.. — იქცა ერთადერთ მოწოდებადა. ხალხისა, ხალხისა. და საუბედუროდ ხალხი ცალკე დარჩა. პარტიულმა თვითმარქვიობამ დაჰლუპა ყველაფერი მაშინაცა და თუ

სიკეთე არ გვინერია ისევ ეს პარტიული თვითმარქვიობა და აღრეულობა გამოგვიყვანს წირვასა. ისევ ესა ანუ ისა, იგივეი. იგივე თავკერძობა, თვითმარქვიობაი იგივეი, კუდაბზიკობაი იგივეი. თავქარიანობაი.

მტკიცება იმისა, რო: სახელმწიფოს იდეოლოგია არ გააჩნია საქართველოში, სხვა არაფერია თუ არა უარჰყოფა ქვეყნის მისწრაფებისა დამოუკიდებლობისადმი. სხვა არაფერია. და ეს თავსმოხვეულია გარედანა. რაღა თქმა უნდა. და შინაგანი ოპოზიციის დასაყრდენიც ეს არის. არა?! პარლამენტისაცა, პარლამენტისაცა!. და რა გამოდის: სახელმწიფო ცალ ფეხზე დგას. ასკინკილა მიდის, ასკინკილასა თამაშობს ამა უმძლავრესი სამხედრო შეიარაღებითა და სამხედრო პოლიტიკით დამძიმებულ დედამიწის ზურგზედა. ვითარება რთულია. ძნელია გარკვევა ამა ულმობელ გარეგან ხრიკებში და შინაგან მზაკვრულ გამოხდომებში. ძნელია. ძნელი. და დაიბნენ აღიარებული მოღვაწენიცა, აგერ ჩვენს თვალწინ აღიარებულნი — მოცადობისგან რაღა გაგვიკვირდეს ანუ ახალთაობისაგანა, მწერლობის ახალთაობისაგანა, წარსული სიბნელედ რო გამოსცხადებიათ და არცთუ მოწმენდილა ცაი დღევანდელი?! თქვენ იმათს მწერლობას ბრჭყალებში მოაქცევთ: უცხოურ გარემოს, საიდღანღაც მოთრეულ სიუჟეტებს, უცნაურ სახელებსა და სახელწოდებებს, გარეგან სიტყვაწყობას, უწმაწურსა და სამარცხვინო ყოფით სურათებს რო გვთავაზობენ: მოაქციეთ, ჩასვით ბრჭყალებში, ჩაჰყარეთ გოდორში, ჩაამწყვდიეთ ქვევრში, იღონეთ რაც გენებოთ, მოდიან და ვერ შეაჩერებთ ასე ნაუცბათევადა, სახელდახელოდა ასე; მოდიან და შიშვლადაც არ მოდიან, თან ახლავთ ტელემაუწყებლობაი თავაანთი, პრესაი თავაანთი, გამოცემები და ეგრეთწოდებული პრეზენტაციები თავაანთი, თავშესაყრელი ადგილებიცა თავაანთი. გაიჩინეს თაყვანისმცემლებიცა. აბა!.. ვახუშტი კოტეტიშვილიც აიყოლიეს, მიხეილ ქვლივიძეცა. იტყვი: ეგებ, რო ამათ რაიმ ზეგავლენა მოახდინონო! (ახლა ჰო ზეწოლა დაგვიკანონეს ზეგავლენის სანაცვლოდა პოლიტიკოსებმა, პარლამენტმა, ტელემაუწყებლობამა. აი, თუ ენა სად იყიდება, ჯავახიშვილო და ინგოროყვა), მაგრამ პირიქითაც ჰო შეიძლება?.. შეიძლება და შეიძლებოდეს. უცხოური მაინც უცხოურია ქართულისათვისა, ქართული ლიტერატურისათვისა. უცხოური შემოდის და გადის. გადის. ხან უკვალოდა. ხან კვალსა სტოვებს, მერე და მერე შეუმჩნეველსა, გამოურჩეველსა, შეზელილსა, შეხორცებულსა. ქართული მიწა, წყალი ქართული, ქართული ჰაერი მაინცა სჩადის თავისასა. ეს მაინცა, თაობაი ესე, დახაციცებული თაობაა. მოულოდნელად გაცვივდნენ დასავლეთში, სახელდახელოდ წამოისხეს მხრებზედა იქაური გამონაცვალი სამოსელი და თავმომწონეობენ შინმობრუნებულნი. თავმომწონეობენ, უკან რო არ იხედებიან, თორემ თუ ცოტას მიიხედავენ, დაინახავენ, რო აქაც უკვე გადაუვლია იმა მოდასა. არც გასაკვირია საყმაწვილო სენი. ეს არის, დიდხანს რო არ უნდა გაგრძელდეს. არც სახელმწიფოებრიო-

ბის შეუგნებლობა არ უნდა გაგრძელდეს დიდხანსა. ქართული მწერლობის შემდგომი აღმავლობა იმასთან არის დაკავშირებული — საქართველოს სახელმწიფოებრიობის შეგნებასთანა, სისხლხორცეულად არის დაკავშირებული.

— 1956 წლის 18 იანვარი. ვასილ მჟავანაძის გამოსვლიდან:

„ზოგიერთი ჩვენი მწერალი, რომლებმაც სწორად ვერ გაიგეს პარტიის მოთხოვნა, ნაცვლად იმისა, რომ გაბედულად გამოააშკარავოს ცხოვრების წინააღმდეგობანი და კონფლიქტები, მეორე უკიდურესობაში მოექცა. ისინი აზვიადებენ ჩვენი ცხოვრების უარყოფითს, არატიპიურ მხარეებს. სწორედ ამგვარი ნაკლოვანებანი ახასიათებს ოთარ ჩხეიძის ნაწარმოებს „ბურუსს".

კონკრეტული ნაწარმოები... და კონკრეტული ბრალდება არცთუ „დაბალი" ტრიბუნიდან. რას გაიხსენებდით იმ დღეებიდან?

— ბევრ რაიმესა. ამაზე მითქვამს, ოღონდ მაინც დამრჩა სათქმელი. ყველაფერს ახლაც ვერ მოგახსენებთ. ალბათ კითხვები კიდევ გექნებათ და მხოლოდ ამაზე ვერ შევჩერდები. „ბურუსი" 1955 წლის ნომრებში დაიბეჭდა. „მნათობისა". დასაწყისიდანვე მოწონებით განიმსჭვალა მკითხველი, შეიძლება ითქვას, უჩვეულო მოწონებითაცა. თავმდაბლობა კარგი რამ თვისებაა, მაგრამ სიმართლეს მაინც არაფერი სჯობს. მკითხველს მონატრებოდა ლიტერატურაი ამგვარი, მართალი ლიტერატურა მონატრებოდა. მაგრამ მკითხველი მაინც მკითხველია და არც არავინ არაფერს არ აკითხებდა მკითხველსა. ჯერ მაინც მწერალთა კავშირი აბუზღუნდა. მწერლები გაგულისდნენ, აბუზღუნდნენ, აურზაური ჯერ იმათ ასტეხეს. მე ვკითხე ირაკლი აბაშიძესა, რა ჰხდება- მეთქი. მაშინ ისა ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირსა. რა გითხრაო. ირაკლიმა. აგერ დამადგა ოცი მწერალი და მომთხოვა ოცივემა: ან ეგ აღკვეთეთ ან ჩვენც ეგრეევე დავიწყებთ წერასაო. დაიწყონ-მეთქი. ჩემი ირონია არ მოეწონა ირაკლი აბაშიძესა. აქედან პირდაპირ ცეკაში წავიდნენ, ეგ იქ გაუმეორეო. მომიგო ისე, ირონიის ირონიაც რო გამოდიოდა და მუქარაცა. რაღა თქმა უნდა. პარტიული კრებაც დანიშნეს მწერალთა კავშირში. ცეკას პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე მოიწვიეს და პირველად იქ წარმოსთქვა ეგ სიტყვები, მერე პარტიულ ყრილობაზე. მანამდე იმეორებდნენ სხვადასხვა პლენუმებზე თუ დიდ საწარმოთა პარტიულ კრებებზე. იმეორებდნენ და იმეორებდნენ. რაც უნდა იყოს, ვასილ მჟავანაძის იმ გამოსვლაში შემწყნარებლობაც იგრძნობოდა: ზოგიერთმა ჩვენმა მწერალმა ვერ გაიგო პარტიის მოთხოვნაო — ვერ გაიგოო. ამისი ნიმუშია „ბურუსიო". ყრილობაზე ესეც დაუმატა: რედაქცია ვერ დაეხმარა სათანადოდაო. ეს მთლად განწირვას არა ნიშნავდა და არცთუ დიდად სანუგეშოდ გამოდგა მაშინდელი მწერალთა კავშირის აქტივისათვისა. უკვირდათ, რატომ არ დააპატიმრესო. ზოგი სალამსაც აღარ მაძლევდა. ერთი გამომიტყდა კიდევაცა. მერე. მერე. რაღა თქმა უნდა.

არ გვეგონა თუ გადარჩებოდიო. ვასილ მჟავანაძე ლმობიერი კაცი იყო ისედაცა. შავი ღრუბელი გროვდებოდა ცაზე საქართველოსი ისედაცა. დიდი შურისგება იწყებოდა. მძვინვარებდა რუსი. სტალინისა და ბერიას გამო მძვინვარებდა უმადური რუსი. არა კმაროდა?. მეტიც გახლდა. ახალახალი საბაბი საჭირო აღარ იყო კრემლისათვისა. იხვეწებოდა ცეკას მდივანი: დამშვიდდით, ნუ სჭამთ ერთიმეორესა. თუ რამ გვაწუხებს, აქვე მოვაგვაროთ, მოსკოვს ნუ გარბიხართ, ჩვენი სიავე იქ ნუ გაგაქვთო. ვინ შეეპოებოდა?! ყარაყორუმს არ ერიდებოდნენ, იქამდის სიარულს არ ერიდებოდნენ იმ პირობებში, ძირითადი ტრანსპორტი აქლემი რო იყო, ოღონდ ერთმანეთი დაებეზღებინათ, გაეწირათ ოღონდ ერთმანეთი, მოსკოვს გაფრენას ვინ დაიშლიდა, დღეში სამჯერ რო დაჰქროდა თვითმფრინავი. თუ ორჯერა?.. ორი იყოს. ცოტაა რო?!. საბაბმაც რო არ დაახანა!.. 1956 წლის იანვარიო. თქვენვე ბრძანეთ. მარტიც იქავე გახლდა, ის წყეული მარტი, ორბელიანების კუნძულზე სტალინის ძეგლთან რო დაცხრილეს სტალინური ახალგაზრდობაი, სტალინური, სტალინური, სტალინის სიყვარულით აღზრდილნი თვით კრემლის თაღლითებისა და გაიძვერების მიერა.

და მაინც მაშინვე მინდოდა, თანამეგრძნო. იმ ჩემი მაბეზღარებისა თუ თვითმარქვია მრჩეველთათვისა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. ეს ის მწერლობა ბრძანდებოდა, ვინც ჩემგან და კიდევ ორიოდე შემოქმედისაგან განსხვავებით, სწორად გაიგო პარტიის მოწოდება: გაბედულად გამოეაშკარავებინა სოციალისტური საზოგადოების არსებითი წინააღმდეგობანი ანუ ის წინააღმდეგობანი, რაც რო ბრძენი პარტიის მითითებით დაკავშირებულიყო წვრილბურჟუაზიულ ვნებებთანა და გადმონაშთებთანა: მესაკუთრეობის სურვილთანა, მომხვეჭელობასთანა, ნათესაობა-ნათელმირონობასთანა, პირადი კეთილდღეობის მოსურნეობასთანა და სხვა ამგვარ ადამიანურ მოთხოვნილებებთანა. პარტია თვითონვე ამხელდა ასეთ ხელმძღვანელ ამხანაგებს, თანამდებობიდანა ჰხსნიდა, სჯიდა, აციმბირებდა. საამისოდ მომართულიყო ადმინისტრაციული ორგანოი ყოველი, მთლად ხელისუფლება საამისოდ მომართულიყო და არა კმაროდა, იგივე მოვალეობა უნდა ეკისრა მწერლობასაცა, ხელოვნებასაცა, უპირველესად მწერლობასა, აბა მაშ რაო, ტყუილად ჰო არ უწოდა ხრუშჩოვმა მწერლობას თანაშემწეი პარტიისა!.. და თანაშემწეობდა აქტივი მწერლობისა, თანამდებობას ასრულებდა პირნათლადა. და შეუტიეს ეგრეთწოდებულ საქმოსნებსა თვით უნაზესმა ლირიკოსებმაცა. გაემტყუნებოდათ?.. ალბათ, ეჭვი არ ეპარებოდა სრულყოფილებაში კრემლის თეორეტიკოსთა, ვითომც რო სწორად მიეგნოთ სოციალისტური სისტემის რყევის ნიშნები, ვითომც რო განმტკიცების სწორი მეთოდებიც შეემუშავებინათ. გაემტყუნებოდა თუ არ გაემტყუნებოდა, მწერლობამ შეიფერა თავისი როლი, სოცრეალიზმის მწერლობამა, შეიფერა და ადამიანს დაუპირისპირდა, პიროვნებას

დაუპირისპირდა, დაუპირისპირდა ადამიანსა ადამიანში, პიროვნებას პიროვნებაში. ხალხი აქცია კოლექტივადა, კოლექტივი პარტიადა. ხალხმა დაჰკარგა პიროვნება და პიროვნებამ დაჰკარგა ხალხი. არა. ეს უკვე იმათ არ გაეგებოდათ, თუ როგორ დაიკარგა პიროვნება, თუ როგორ დაღავდა ხალხი. ისინი იქ იდგნენ, ვითომ თუ რაც იწვევდა პიროვნების განდგომასა კოლექტივისაგანა — წვრილბურჟუაზიული გადმონაშთებიო. და აი, გამოჩნდა ნაწარმოები, ნაკარნახევი რო არც მოესმინა, სხვას ჩასძახოდნენ, სხვას ამოიძახოდა, სხვას უჩვენებდნენ, სხვას იხატავდა: მართალ მოდელებს იხატავდა, ცრუს არა, არა, ვერც რო ამჩნევდა. და მინდოდა, თანამეგრძნო იმათთვის არა, ვინც ბრმად აჰყოლოდნენ, არა, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმათთვისა, ძალით ვინც რო ათრევინებოდა, ვინც რო მოითხოვდა, ჩვენც ეგრე დავწერთო და რო იცოდა რო: არავინ არ დააწერინებდა ისე არავისა. იცოდა. გაეგებოდა. და მოითხოვდა, ეგეც აჰკვეთეთ, ანთუ მოკვეთეთო.

ეს არ იყო უბრალო რამ მოვლენა ჩვენს ლიტერატურაში. ანთუ გამორჩენიათ, ანთუ ბევრს ვერც გაუგია დღევანდლამდისა. აღსდგა თითქოსა გაწყვეტილი ჯაჭვი ჯავახიშვილ-რობაქიძის სახითა, მიუახლოვდნენ თითქოსა გალაკტიონსაცა, ცისფერყანწელების უკეთ გაგებასაცა ცდილობდნენ, მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილია იმისა, რაც რო გამოიარა XX საუკუნის ლიტერატურამა, დანარჩენი ჯერ კიდევ გამოსახსნელია ულენტ-ჭილაია-მერკვილაძის მიმდევართა და იმათთან, თითქოს თუ ვითომ დაპირისპირებულთა ბრჭყალებისაგანა. ჯერ ბევრი რამ შესასწავლია. ბევრი რამ არის გაბუნდოვანებული მიკერძოებითა, უცოდინარობითა თუ სხვადასხვაგვარი ტენდენციურობითა. მეოცე მეოცეო და საერთოდაც, ჩვენ კარგადაც არა გვაქვს გააზრებული ჩვენი ლიტერატურის ისტორია თავით ბოლომდისა. არც მხატვრული მიმართულებანია ნათლად ჩამოყალიბებული, არც იდეური კანონზომიერებანია მკვეთრად განსაზღვრული. ჩვენ არ გაგვაჩნია ჩვენი ლიტერატურის ისტორიის ფილოსოფია ერთი სიტყვითა. აქ არ იგულისხმება ცალკეული ფილოსოფიური გააზრებანი მხატვრულ ლიტერატურაში. არა. რა თქმა უნდა. იმათი დალაგებაც არ იგულისხმება. ქართული ლიტერატურის განვითარების შინაგანი კანონზომიერების დადგენა იგულისხმება, ისტორიისა და ლიტერატურის თანხვდომა და თანადგომა იგულისხმება ერის ხასიათის ჩამოყალიბებაში, ცივილიზაციისა და ეროვნულის შეპირისპირება და ერთიანი, სრული, სრულყოფილი გააზრება იგულისხმება თავით ბოლომდისა, ხალხის სულიერი ამაღლება იგულისხმება სახელმწიფოებრიობის შეგნებითა და სახელმწიფოსათვის თავდადების რწმენითა, არც რო არაფერი არ არსებობს თავისუფალი, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის გარეშე, არც ლიტერატურა, არც ხელოვნება, არავითარი თავისებურება არ არსებობს საკუთარი სახელმწიფოს გარეშე. სიამაყე რო სიამაყეა, თავმოყვარეობა რო თავმოყვარეობაა,

ულირალია ისიცა უსახელმწიფოო პიროვნებისათვისა. ვეღარც სიმღერა, ვეღარც ცეკვა ვეღარ გვიშველის ბევრს ვეღარაფერსა. ქართულმა სიმღერამ, ქართულმა ცეკვამ შეასრულა თავისი როლი ძველი ცივილიზაციების პირობებში. ახლა ის მხოლოდ ფოლკლორია, ქართული კულტურის მონაპოვარი შედეგია დიდ ხელოვანთა სკოლებისა. რაღა თქმა უნდა. მოგონებაა ძველი სახელმწიფოსი ძველ სახელმწიფოთა შორისა და თუ არ გვინდა, რო დარჩეს მხოლოდ მოგონებადა, მხოლოდ და მხოლოდ საესტრადო გასართობადა, უნდა მოიკრიბოს ძალაი, ღონეი უკიდურესი ხალხმა და აღმართოს სახელმწიფოი თავისი თავისი კულტურითა ამა ახალ ცივილიზაციათა შორისა. სათქმელად ადვილია. საქმედ არ არის ისე ადვილი. და არც დაბნეულობა არ უნდა გაგვიკვირდეს ჩვენი ახალგაზრდობისა. ყველასი არა. რაღა თქმა უნდა. ზოგისა და თუნდაც უმეტესობისა. ისინი დაბნეულნი გამოდიან უნივერსიტეტებიდანა. დააცეცებენ ხელებს სიბნელეში. მოეჭიდებიან რაც რო ხელთ მოჰხვდებათ. დაიბნევიან კიდევაცა. წინააღმდეგობათა გადალახვაც დასჭირდებათ. გადამლახავნი გადალახავენ. უმწეონი ჩაიჭრებიან. რა ვუყოთ. ურთულესი კანონები აქვს ლიტერატურასა. ბევრი რამის ცოდნაა საჭირო. ნიჭიო. იტყვი. დიდი რამ არის ნიჭი. ცხადია. რო არა კმარა?! ნიჭი ის არის, რო მოიცავს აუცილებელსა, სძლევს რო ლამის რო უძლეველსა, თორემ ის რაო, თინეიჯერების ტაში რო დაიპყრობს და ვერც გასცილდება. ბაირონის ასაკს გადააბიჯებენ, თინეიჯერებში რჩებიან ისევა. გოგო-ბიჭობაშიო, ქართულად ითქმის. ბიჭბუჭებიო, ასეც გამოითქმის. ბიჭბიჭებიც მოიხსენიება. ოლონდ ესაო — ბიჭბიჭები — ცელქი გოგონებისათვის შეურქმევიათ. არ მოვისაკლისებთ საჭირო სიტყვასა. რაღა თქმა უნდა. მაინც გვაჩეჩებენ თინეიჯერებსა და ჯერ რო ირონიულად ვათამაშებთ, მალე ჩაგვისახლდება, გაგვიბატონდება. ოლონდ ის მაინცა: ჩვენი სალიტერატურო ახალგაზრდობა მხოლოდ ის ჰო არ არის, რაც რო საჩოთიროა, შემაწუხებელი რაც არის?! არა. რა თქმა უნდა. საღი ახალგაზრდობაც მოდის. საღი. საიმედო. მანუგეშებელი. ზოგჯერა მხვდება საგულისხმო ნაწარმოებიცა, დამაფიქვრელიც როა და სიამოვნებითაც რო იკითხება. მცირედიც რო იყოს, თითო ოროლაც რო იყოს, იყოს, ეპოქას მცირედნი წარმოადგენენ. სხვა დანარჩენი მხოლოდ ფონია, ჭრელი ფონი, ოლონდ ესაა, რო არ უნდა იყოს ფონი იგი დამაბრმავები. არა. არა. რაღა თქმა უნდა. გეთანხმებით. რაღა თქმა უნდა.

— ერთი ეპიზოდი, რომელიც (სხვა მრავალთან ერთად) დახატულია ისეთ საინტერესო და გამორჩეულ წიგნში, როგორიცაა „რკალი". თქვენც თანამონაწილე ბრძანდებით და არცთუ გასაკვირია ის ექსპრესია, ასე რომ გასდევს ნაამბობს. მკითხველსაც მინდა, შევახსენო. 1946 წლის 26 იანვარია. უნივერსიტეტის 86-ე გაყინული აუდიტორია მსმენელებს (პალტოში ჩაცმულთ, გათოშილთ, მაგრამ მაინც იქ მყოფთ) ვერ იტევს. ვახტანგ ჭელიძე „ვენეციელი ვაჭრის" თარგმანს კითხულობს.

არის ერთი პოლემიკა... კამათი... და უცებ:

„— მართალი არის, რა თქმა უნდა...“ — მკვეთრი ხმა გაისმა, მტკიცე, უეჭველი; ის ხმა გაისმა და დუმილმაც ჩამოიარა...

— და... ვახტანგი მართალია!.. — დაამთავრა იმა დუმილში იმავე ხმამა“.

ეს კაცი ერეკლე ტატიშვილია. არაერთი კითხვა შეიძლება გაჩნდეს:

— როგორ გაიხსენებთ სტუდენტობას?

— თქვენი მასწავლებლები?

— და ამჟამად ჩემთვის მაინც ყველაზე საინტერესო, ეს ყიჟინა წლებს რომ გაჰყვება და არა მხოლოდ ერთ ახალგაზრდას გაამხნევებს. „მართალია!“ — როგორ ფიქრობთ, რატომ გაიშვიათდა ამგვარი, სხვათა გასაგონად ხმამაღლა თქმული, არშემდრკალი ამაყი თანადგომა?

— ჯერ 1956, ახლა 1946 წელიო. 10 წელიწადი განრთხმულა ამ ორი თარიღის შუა, ისედაც არეული 10 წელიწადი. ანთუ განა რომელი სხვა 10 წელიწადი გახლდა აწყობილი თუ დალაგებული?! ოღონდ ჯერ მაინც თვით 10-ზე მოგახსენებ ამ საბედისწერო რიცხვზე, საკრალურ რიცხვზე, კომუნისტებმა საქართველოს რო დაუწესეს. ვერ ვიტყვი ადგილობრივი თაოსნობითა თუ კარნახითა მოსკოვისა. თუმცა დიდად გასარჩევიც არ უნდა იყოს, მაშინ რო აქაურნივენი ბრძანდებოდნენ მოკარნახენი იქაურნი. დაუწესეს ერთი სიტყვითა: 10 წელიწადში ერთხელ უნდა გაიცხრილოს საქართველოი უსათუოდაო. და ცხრილავდნენ და ცხრილავდნენ, 10 წელიწადსაც რო არ აცდიდნენ, ცხრილავდნენ და ცხრილავდნენ, 4-5 წელიწადში ერთხელა ცხრილავდნენ... და ის 1956 წლის მარტის ამბავიც ჰო, აგერ გავიხსენეთ. ხოლო 46-ს რაც შეეხება, ეს არ იყო ჩვენი სტუდენტობის წლები. არა. ასპირანტობის წელიწადი გახლდა. ცივი. ბნელი. მშიერი. შიშველტიტველი. რა გასახსენებელია, რა მოსაგონარი? ამჟამინდელი ვითარება — რა შედარებაა!.. ცა და დედამიწაო — რო იტყვიან. ახლა მცირედს არ უჭირს არაფერიო. გაგვაგულისებენ. მცირედს მაშინაც არ უჭირდა არაფერი. სახელისუფლო ზედაფენასა. შავი ბაზრის მფლობელობასა. მე საერთო ვითარებაზე ვლაპარაკობ, ყოვლად გაუსაძლისზე, ყოვლად აუტანელზე, სრული უუფლებობაც რო თან ახლდა. ცხადია. ახლა პური მაინც ჰო არ არის საძებარი. შუქიო. აყვირდები. გაზიო. აგანგაშდები. ხალხს აიყოლიებ. პარლამენტს შემოერტყმი გარშემო. მიეჭრები პრეზიდენტის კანცელარიასა. მინისტრებს გადააყენებ. რაღას არ ჩაიდენ, ვიდრე არ გაიტან შენსასა. ვინ რას გაგატანინებდა?! მახლობელთანაც ვერ დაიჩივლებდი ვერაფერსა. ცხრილავდნენ და ცხრილავდნენ. სტუდენტობისას ჰო... აქეთ ის 42 წლის შეთქმულნიო, იქით ჯგუფები ახალგაზრდებისა — ჩუმად უსმენდნენ გერმანულ რადიოსაო, ეს ისაო, ის ისაო, საბაბს რა დალევდა. მიაყოლეს მიხეილ ზანდუკელი, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვი-

ლი, ერეკლე ტატიშვილი, გიორგი გოზალიშვილი. ყოველდღე ვიღაცის გაქრობას შეიტყობდი. ვინ შემოდიოდა აუდიტორიაში, ვინ გადიოდა, ვეღარას გაიგებდი. ვინ რასა კითხულობდა, ვინ რას ეკითხებოდა, ვეღარ გაარკვევდი. ვინ თუ სად იყო ან შენ სად იქნებოდი, ტყუილად დაიწყებდი მარჩიელობასა. არა. არა ჰღირს. მოსაგონრადაც არ არის ადვილი. მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდიო, ილია რო გვირჩევდა, ალბათ, ამდაგვარ დროისას გვირჩევდა. მოვიკლათ. ჩამოვეხსნათ.

— სარკაზმი. ეს ერთი დამახასიათებელი თავისებურება თუ თვისება თქვენი პროზისა (ასე მგონია). „სახიფათო ეპიზოდებშიაც" შეგიძლიათ „გარისკოთ". ასე მაგალითად: „თავს იმართლებდა თუ თავს ისაწყლებდა სახელმწიფოს მეთაური. „ჩვენ გარეთ გავიჭერით: მე, ყარყარაშვილი, ბათიაშვილი, ხელით ვაჩერებდით გამოქცეულ მებრძოლებსა"... თავს იმართლებდა... ძნელი წარმოსადგენია მაინცა, გაშლილი მკლავებით რო შეეჩერებინოთ მორღვეული ფრონტი თუნდაც რო სარდლებსა... როგორ არ გადაქელეს, როგორ არ გადაუარეს ზედა. უწვრთნელი ჯარი. უწვრთნელი სარდლები. ეს ჰო მაინც ადვილი წარმოსადგენია... რა ადვილი ყოფილა დავითის დროსა: დიდგორს გასული ლაშქარი რო უკან მიახედა: შეჰხედეთ, ჩახერგილია უკან დასახევი გზაო, წინ მტერია, მომყევითო. ადვილი ყოფილა. მიჰყვნენ და გადაჰქელეს ურდოები მრისხანე მტრისა. აქ დასახევი ჰქონდათ და ომიც არ იცოდნენ, ისიც არ იცოდნენ, თუ ვის ეომებოდნენ ცარიელი ხელებითა" (რომანი „თეთრი დათვი").

და მაინც, ყველაზე მნიშვნელოვანი ეპოქა საქართველოს გრძელი ისტორიის მანძილზე, რომელიც თქვენთვის (არა ქრონოლოგიურად, რასაკვირველია) ახლობელია?

— რომელშიცა ვარსებობ. რასაკვირველია. წარსული მხოლოდ მაგალითია იმისა, თუ როგორ ვიცხოვროთ. უკეთეს შემთხვევაში. ანთუ როგორ არ უნდა ვიცხოვროთ. უარეს შემთხვევაში. ბევრი მოგვეპოვება საამისო მაგალითი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. დიდგორის ომის წარმატება მაშინდელმა საერთაშორისო ვითარებამაც განსაზღვრა, ოღონდ ამ ტაქტიკურ ჩანაფიქრსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თითქმის სტრატეგიული დანიშნულება შეასრულა უშუალოდ ბრძოლის ველზედა: „უკან გზა ჩახერგილია. წინ მტერია. მომყევით!" უკან დასახევი გზა თვითონვე ჩახერგა მეფე დავითმა, მთავარსარდალმა, ჩახერგა და ვერც ვერავინ ვერსაით ვერ გაეპარებოდა, ვერცერთი მებრძოლი თავისიანი, წინ ჰო მტერი იყო. და ასედაც წარმოგვიდგება ისტორიაი ჩვენი, აქედანაც რო გადავიხედოთ: წინ მტერი, ირგვლივ მტერი, გზაი მოჭრილი უკანდასახევი. გადარჩენაც ალბათ, ამან განაპირობა — უნდა გებრძოლა თავდადებითა, გამეტებითა, თავგანწირვითა, გზა რო წინღა იდო, უკან აღარა. წინსწრაფვის გარდა ხსნა აღარ იყო. აი მაგალითი, საუკეთესო მაგალითი მარად სამახსოვრო მაგალითი. მაგრამ რატომ-**

ღაც რო გვავიწყდება?! ზეპირად გვახსოვს. ვიმეორებთ კაჭკაჭივითა. ვინ ვის წააჭარბებს, რომელი რომელსა!.. ზეპირად გვახსოვს. საქმობაში — აღარა. ძნელია?.. ჰო!.. ალბათ, იმიტომა. წინათაც არ იყო ადვილი. არა. არა. რა თქმა უნდა. ცუდი მაგალითიც რო ვერ დაგვიხსომებია?! აგერ ეს უბოროტესი მაგალითი: საბჭოური ანუ რუსობის უსაშინელესი მაგალითი. ბევრს რო კვლავაც იქით გაურბის თვალი?! უმეტეს უგნურობას ვეღარც წარმოიდგენ. ვერა. ვეღარა. ესწრაფვოდეს გადაგვარებასა — რაღა უნდა იყოს ამაზე უარესი?! ესწრაფვოდეს, ესწრაფვოდეს, თვითონვე ესწრაფვოდეს, დამთვრალიყოს ამა ჟინითა. ეს თვითმარქვია პარტიებიც რო მხოლოდ აბნევენ ადამიანებსა?! აბნევენ ვისაც აბრიყვებენ. რაღა თქმა უნდა. ყველას რო ვერც გააბრიყვებენ. ხალხი ხალხია, ბრბოდ თუ არ აქციე, ვერც გააბრიყვებ. რო ახერხებენ, ბრბოდაც რო აქციონ?! თანდათან ალბათ, გაუჭირდებათ. ხალხს დაუბრუნდა უფლებაი შრომისა, საკუთრების უფლება დაუბრუნდა, თავისი კარ-მიდამოს, თავისი საზღვრების, თავისი სახელმწიფოს უფლება დაუბრუნდა, ეს დიდი ძალაა შინაგანი სიმტკიცისათვისა, პროვოკატორებს აღარ აჰყვება, აღარ აჰყვება დემაგოგებსა. აღარ უნდა აჰყვეს, აღარ უნდა დაიბნეს. იქაქანონ დემაგოგებმა. აიკლონ პრესა, ტელევიზია, გამოიდონ თავი ჟურნალისტებმა, ვეღარ მოიცლის ხალხი მოსასმენადა. ვერ უნდა მოიცალოს. არ უნდა მოიცალოს. შრომის თავისუფლება სიკეთეა უაღრესი. საკუთრება საფუძველია თავისუფლებისა. არ დაითმობა. არა. რა თქმა უნდა. ხშირად მაგონდება ფლობერის ერთი ჩანაწერი. აქაც უადგილო არ უნდა იყოს. დღეს აღმოვაჩინეო. ფლობერი წერს. ამ ჩემს მსახურსაო, არც ისა სცოდნია, თუ ვინა გვყავს პრემიერი, არც ისაო თუ — მინისტრები ვინა, არც პარლამენტში თუ რა ინტრიგები დახლართულა, თუ ვის დაამხობენ თუ ვინ აღზევდება, არცა სცოდნია და არც არად ანაღვლებს. თავისი საქმე იცის. თავის საქმეს უძღვებაო. რა სულელი ვყოფილვარ მეო. დაასკვნის ფლობერი. რითი მაქვს თავი გამოტენილი, რისთვის ვიჭყლეტ ტვინსაო...

ისევ ამ კითხვის თავურ ნაწილს მივუბრუნდები: სარკაზმიო. ბრძანეთ. კეთილი და პატიოსანი. მხატვრულ ქმნილებაში სტილური ხერხია სარკაზმი. ცხადია. ოღონდ ის ჩემთვის შინაგანი ტრაგიზმის ნაწილიც არის. სარკაზმი მწვავე ირონიასა გულისხმობს, ოღონდ უნდა შეიცავდეს აგრეთვე ტრაგიზმსაცა გამწვავებულსა, ხოლო ზღვარი თუ მაინც დაიდება, ბეწვისოდენა თუ იქნება ზღვარი იგი. შეიძლებოდა მხოლოდ ტრაგედიები მეწერა და პროზას არცკი მოვკიდებოდი, მაგრამ რო არ იყო განწყობილი საამისოდა ქართული თეატრი?.. ტრაგედია დასავლეთშიც მოძველებულიყო, საბჭოეთში ჰო ნიადაგი არც მოეპოებოდა. და როგორც კი გაიჭრა სარკმელი დასავლეთისკენა, მოდერნი შემოვარდა იქიდანა და პირველყოვლისა, თეატრს დაეძგერა. შექსპირი რო შექსპირია, შექსპირიც იქცა მოდერნადა. ხოლო ტრაგედიაი ჩემი ანტიკუ-

რი ტრაგედიის მოდელზე მოჭრილიყო: ირონიისა და მასხარების გარეშე, გუნდითა, განსაზღვრული მოქმედი პირებითა, მკაცრად დადებული ერთიანობის კანონებითა, ჩვენი წარსულის უმწვავეს ვითარებას რო გამოჰხატავდა და არც მოდერნისა და არც პოსტმოდერნისა თუ სხვა აღრეულობათა საშუალებას არ იძლეოდა. თეატრი მე ასპარეზს არ მიქადდა. ვწერდი მაინცა. ტრაგედიებსა ვწერდი და ჩემს შინაგან განწყობილებას რომანტიკისა თუ ტრაგიზმისადმი ამაში ვნთქავდი. გარეთ სიცხადე გახლდა მთელის თავისი სიშიშვლითა და სიმკაცრითა თავისი, არნახული სიმკაცრითა, გადაულახავი სიმკაცრითა და რატომღაც სიცილს იწვევდა ტრაგიკულისაგან დაქანცულსა თუ გაცლილ არსებაში. ვერც დაუფიქრდებოდი მაშინ ამასა. თავისთავადა ვითარდებოდა ეს ყველაფერი, თავისთავად მოიწევდა თუ შეენაცვლებოდა ერთიმეორესა დრამატურგიული თუ პროზაული ჟანრები, ტრაგიზმი თუ სარკაზმი, ენობრივი თუ სტილური მიმოქცევანი, ზოგჯერ მკაცრი განსჯის საგანიც რო გამხდარა, ზოგჯერ ირონიისა თუ სხვა ამგვარისა. ჩემს მიმართა. რაღა თქმა უნდა. და უნდა ითქვას, ერთ ტრაგედიაში მაინც გამეპარა სარკაზმი. ეს „ქეთევანია" — ტრაგედია ქეთევან დედოფლისა. თავიდანვე „ქეთევანი" არც დარქმევია ამ ნაწარმოებსა. „საჭურისნი" ერქვა. და მართლაც საჭურისნი ბრძანდებოდნენ მთავარი მოქმედი პირნი: საჭურისნი — ქორო, კორიფევსი — შაჰის კარზე აღზევებული ქართველი. საჭურისებიც ქართველები. რაღა თქმა უნდა. არსად შაჰი. არსად შაჰის კარი. მხოლოდ დამახინჯებული ქართველები და ქართულივე მშვენიერებაი სიმახინჯის ბრჭყალებშია. სადღაც შორსა საქართველოდანა. ტრაგედიაოო. იტყვით. სარკაზმი არ არის?! „საჭურისნი" მესხეთის თეატრში დაიდგა, „ქეთევანის" სახელით დაიდგა. სახელწოდების შეცვლა დამდგმელმა რეჟისორმა ნანა დემეტრაშვილმა მთხოვა. არ ავხირებივარ. ქეთევანის სახეც ამაღლდა სპექტაკლში არტისტული და სცენიური საშუალებებითა და მაინც ქეთევანის ტრაგედიად იქცა. სხვა არაფერი არ შეცვლილა, ნაბეჭდ გამოცემაშიც არა. სახელად იქაც ქეთევანი ჰქვიან. ქეთევანი იქაც თუ მოქმედებს, თორემ დავუბრუნოთ ნამდვილი სახელი და სარკაზმია თავისი დროისა — როცა დაიწერა, როცა დაიდგა... ეს ყველაფერი დიდებულად გაეგებოდა სათანადო მესვეურთა მაშინდელ კულტურის სამინისტროში, ვისაც რო სარეპერტუარო საქმე ეკითხებოდა: ვახტანგ ჭელიძესა, ვასილ კიკნაძესა, ნოდარ გურაბანიძესა, ალექსანდრე შალუტაშვილსა. მე არ გამომიტყდებოდნენ. რა თქმა უნდა. არა მგონია, ერთმანეთშიც რო გამოტეხილიყვნენ. მხოლოდ ქეთევანის ისტორიული სახე ხიბლავდათ და იმისი გამოცოცხლება ეწადათ, ისე მონდომებულიყვნენ ამ პიესის დადგმითა. საჭურისები ჰო ქორო გახლდა. მოიწონებდნენ ანტიკური ქოროს აღდგენასაცა. თქმით ამას ამბობდნენ... შორს გამიყოლია თქვენმა წამოჭრილმა კითხვამა: სარკაზმიო. და მაინც ასე დავამთავრებ: მცირე რამ ზღვარი

უნდა იყოს ტრაგიზმიდან სარკაზმამდისა, ანთუ პირუკუ — სარკაზმიდან ტრაგიზმამდისა. გახიე — გაფხრიწე. იგივეაო.

— იგავები. რატომ მიმართავთ რომანებში ასე ხშირად?

— ცოტა სულს მოვითქვამ და მოკლედ გიპასუხებთ: იგავები, ამბავნი მცირენი მატიანურია. მატიანეში გამოიყენებოდა. ხერხიც იყო მატიანისა და მტკიცების საშუალებაცა. ერთხანს მონოგრაფიის დაწერასაც ვაპირებდი ქართულ ნოველაზე. რაღაც გამოვაქვეყნე კიდევაცა. რაღაც გამიღავდა. თავი ვეღარ მოვაბი ერთი სიტყვითა.

— „არტისტული გადატრიალება". 90-იანი წლების არაჩვეულებრივი დოკუმენტური რომანი. არაჩვეულებრივი რამდენიმე განზომილებით: არა-ჩვეულებრივი სიმართლით, არა-ჩვეულებრივი პერსონაჟებით, არა-ჩვეულებრივი სათქმელით, არა-ჩვეულებრივი პატიოსნებით დაწერილი ნაწარმოები.

„ერი ერია თუ ერთიანია. გახლეჩილი ერთი ერთი აღარ არის. გახლეჩილი ერიცა აღარ არის ერიო. ამოვარდება. აღმოჰხდება: ერი იდეაა და ხორციელებაცაა ერი. განხორციელდა იდეაი ახლა ამ ერთში და უნდა ვიწამოთ სწორედ ეს ერთი, როგორც რო კაცი, როგორც რო იდეა და როგორც რო ერიო ანუ ერთი და განუყოფელიო".

ორიოდ სიტყვა იმ წლების იდეაზე, ერზე და იმ ერთ კაცზეც, თუ შეიძლება.

— რამ გაჰყო ის წლები ამ წლებისაგანა?.. ჩვენ ისევ იქა ვართ, იმავე ადგილსა ეტკეპნით. ვერ იქმნა და ჩვენი თავი ჩვენად ვერ ვიყუდნეთ. არ იქმნა და არა, ჩვენი სახელმწიფო ჩვენად ვერ დავიმკვიდრეთ. ვერ იქმნა და ვერა, ერთად ვერ შემოკრბა ერი ჩვენი. ვერ იქმნა და ვერა, ერთ მოქალაქეობრიობად ვერ იქცა ხალხი, კარგახანია რო შემოგვკედლებია და შემოგვთვისებია. სახელმწიფო ისე ვერ იგვარებს, ვერა, ერთიანი მოქალაქეობის, ერთიანი ქვეშევრდომობის, ერთიანი ხალხობის გარეშე. კონსტიტუციაში ეს სათანადოდ გამოხატულა. ვიღაცანი დაბნეულან და პარლამენტის დაბნევასაცა ლამობენ. ერიც დაბნეულა. ის აღარ არის, ერთბაშად რო შედგა. თითქოს აღარ იყო და შედგა ერი. შემოკრბა. შედგა. სულმოუთქმელად შედგა და დაღავდა ისევე სულმოუთქმელადა. და ეტკეპნით იქვე, იმავე ადგილსა... ის ერთი კაცი — არ ითქმის რო მოულოდნელად მოექცა სათავეში მოვლენებისაო. არა. ცხადია. თან მოჰყვებოდა მოვლენებსა. შუაგულშიცა ტრიალებდა, წინაც აღმოჩნდა და ააჩქარა კიდევაცა მოვლენები და დროშაც აღმართა საქართველოს დამოუკიდებლობისა. სიმბოლურად ვამბობ. თვით იმ დროშას არცა ვგულისხმობ, დღესაც რო დაგვფრიალებს — იმა უდღეური და უთავბოლო ხელისუფლების დროშასა. არა. რა თქმა უნდა. არც იმასა, თბილისის თავს რო ჩამოაფხატეს. დიახ. უწინამძღვრა დამოუკიდებლობის აღდგენასა საქართველოსი, უწინამძღვრა და დააფუძნა. დიად განზრახვას უწინამძღვრა. დააგვირგვინა ბრძოლები ორსაუკუნოვანი. ეს არ იყო პა-

ტარა საქმეი. რაღა თქმა უნდა. თავგანწირვასაც მოითხოვდა, თვითშეწირვასაცა. და შეეწირა კიდევაცა. და ეტყობა ეს იყო მოწოდებაი იმისი, აქა თავდებოდა როლი იმისი. ეტყობა. ასპარეზი აღარ დარჩენოდა. არ ჩაწერილიყო ტოტალურ პროექტებში გლობალიზაციისა. არც ჩაწერილიყო. არც აღიარებდა. რუსული პროექტები არა სცნობდა იმასა. არც ამერიკული პროექტები არა სცნობდა. ეტყობა და ასედაც უნდა ვიფიქროთ. იმიტომაც იყო, დიდად რო ეუცხოა მამა-ბუშსა: ეს ვიღა არის, დინების აღმა რო მისცურავსო. მიუგე, რაოდენი სიმახვილეც არ უნდა შეგწევდეს, როცა არც განსაზღვრულა შენი ადგილი ამა საპლანეტო თუ საპლანეტათაშორისო მოძრაობაში. ყველაფერი სადღაც გადაწყვეტილა. გადაუწყვეტიათ უძლიერესთა ამა ქვეყნისათა. გადაუწყვეტიათ ბევრად ადრე, ვიდრე ჩვენში მოაფიქრდებოდათ. ჩვენ ვითომ რაო, რა გვინდა ისეთი?.. მხოლოდღა ჩვენი დამოუკიდებლობა გვინდა ჩვენს მიწაწყალზე, ერთ ბოხჩა ადგილზე. მცირე რამ სურვილია უკიდეგანო გაქანებისათვისა, მცირეა, უმნიშვნელო, უკიდეგანოსა და უსაზღვროსათვისა რო ვერ ჩატეულა ველარცა სივრცეში, ველარცა დროში — კაცი რა არის, ხალხსაც შეინირავს, თვალისდაუხამხამებლად შეინირავს. კაცი შეინირა. „ხალხი თუ გადარჩა?" ეს თუღა იკითხა სულის ამოსვლისასა. სამშობლო ეგ არის: მსხვერპლს მსხვერპლზე მოითხოვს, უკეთესსა და უკეთესს მოითხოვს. ისიც უკეთესთაგანი იყო. მართალია, ჩვენ პირველებმა მივიღეთ ქრისტიანული ცივილიზაცია, მაგრამ კერპთაყვანისცემა მაინც არ დაგვიგდია. სამშობლოა ჩვენი კერპი იგი, ბედისწერას რო დაუდგენია და ვეწირებით უყოყმანოდა და ვეწირებით და რო გავძელით აქამდე ამითი, კიდევაც გავძლებთ შესაწირი თუ არ დაგველევა.

— დოკუმენტური პროზა თავისი არსით — თამამია. მხატვრულ ნაწარმოებში მეტი თავისუფლებაა, აქ — კიდევ უფრო მეტი, პასუხისმგებლობა. სათქმელს რეალური (და არა გამოგონილი გვარ-სახელის) პერსონაჟების კონტექსტში გაცილებით მეტი სიმძაფრეც ენიჭება. მაინტერესებს თავად წერის პროცესი, როცა მოქმედ გმირებად პრეზიდენტი, პატრიარქი, ცნობილი ადამიანები: იქნება ეს პოეტი, მსახიობი, რეჟისორი თუ სხვა ვინმე იხატება. ჩნდება თუ არა ე.წ. „მოქალაქეობრივი უსერხულობის" განცდა?

— ვისი ვის მიმართა?.. უთუოდ ავტორისა პერსონაჟების მიმართა. რა თქმა უნდა. უხერხულობა უთუოდ შეიქმნება, სინამდვილეს თუ ასცდება, სიმართლეს თუ ასცდება ავტორი. ავტორის სიმტკიცე სიმართლე გახლავს. მოვალეობაც სიმართლეა ავტორისა. იქვე ტრიალებს პასუხისმგებლობაცა მოქალაქეობრივი, სიმართლის ფარგლებში, სინამდვილის ფარგლებშია. სიმართლეც ის არის, როგორიც რო მოსჩანს სინამდვილეში პერსონაჟად ქცეული ცოცხალი პიროვნება, გამოჩენილი ადამიანი იქნება ისა თუ ობიექტივში მოხვედრილი ვინმე გამვლელი. არ შეიძლება შეურაცხყო, რაიმე დასწამო, აბუჩად აიგდო, არ შეიძლება.

სხვა მხრით ავტორი თავისუფალია. თავისუფალია დაჰხატოს ისეთადა, როგორც წამომდგარა — არცრა მიუმატოს, არცრა მოაკლოს. ეგებ, სწორედ ეს რო არც მოეწონოს ამ ეგრეთნოდებულ ცოცხალ პერსონაჟსა, ეგებ, თვითონ რო სხვაგვარად განსაზღვრავს მოქმედებასა თავისასა, სიტყვა-პასუხსა თავისასა, დამოკიდებულებას სხვათა მიმართა. ეს იმისი საქმეა. ეს ავტორს არ ეხება. პერსონაჟმა თვითონ იფრთხილოს — ყველამ იცოდეს — სხვა სხვის თვალში პერსონაჟია — არ ჩაიდინოს ისეთი არაფერი, რაც თვითონვე არ დაამშვენებს, არ წამოსცდეს ისეთი არაფერი, რისი გამეორებაც ეუხერხულება. ჩხუბშიც არაფერი არ უნდა აკადრო მოდავესა ისეთი, შერიგების დროს რო შეგრცხვესო. და არც საჩხუბარი არ უნდა ჰქონდეს ავტორსა ცოცხალ პერსონაჟთანა, სადაოც არა, საალერსოც არა, ასე არც უნდა გამოიჩინოს თავი — დაჰხატოს ისე, როგორიც არის, როგორც რო მოსჩანს იმწუთში, იმ წამში. იქ უნდა შეჩერდეს წამი. გოეთესი არა. რა თქმა უნდა. იმისი — პერსონაჟისა ავტორისათვისა. ეგ „სამოქალაქო უხერხულობა“ აღარც არ უნდა განიცდებოდეს. ასე ვიტყვით, მაგრამ გააჩნია იმა ცოცხალ პერსონაჟსაცა — არა?! ეს ბოლო ამბები მოგეხსენება. რაღა თქმა უნდა. მაშინაცა, იმ წყეულ დროსა, მუქარას მუქარაზე მითვლიდა ერთი პერსონაჟი, „ბურუსის“ პერსონაჟი — თბილისის ქალაქკომის პირველი მდივანი. „ბურუსის“ გამოქვეყნებისას უკვე განთავისუფლებულიყო თანამდებობიდანა. მაინც გამირისხდა. უფრო გამირისხდა. მუქარა მუქარაზე მოდიოდა-მეთქი. რას ჩაიდენდა, რა მოგახსენო. მაგრამ დამშვიდდა, დაცხრა, ნიშნს მიგებდა და მითვლიდა იმასაცა: ეგეც შენაო, აბა, რა გეგონაო. ეს მერე, მაშინდელი ქარ-ცეცხლი რო გაიარა „ბურუსმა“. გამინაწყენდება ამაზედაცა „მწერალთა კავშირი“ — რაღა დროსია, რეებს იგონებსო. ჯერ ერთი რო: საუბარს მოსდევს. და მეორეცა: თვითონაც მოიგონონ თუ რა პატივში იყვნენ, რა აღმატებაში, ცა ქუდად რო არ მიაჩნდათ, დედამიწა ქალამნადა — მოიგონონ. მე ტაშს დავუკრავ.

და აქვე, ისიც უნდა მოგახსენო: დოკუმენტური პროზაო, დოკუმენტური რომანიო — გაისმის ისე თავისუფლადა, თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილიყოს. ვისთვის როგორაო, მაგრამ მე მაინც სადავოდ მიმაჩნია. არა. დოკუმენტური პროზა არ მიმაჩნია სადავოდ. დოკუმენტური პროზა არსებობს და გამოიყოფა კიდევაცა დამოუკიდებელ ჟანრადა, მაგრამ აი, დოკუმენტური რომანი?! აქ ცოტა დაფიქრება არას გვაწყენდა. ვთქვათ, აი, თუნდაცა: ეგ თვითმარქვია „ეროვნული მწერალთა კავშირის“ თეორეტიკოსები რო მედავებოდნენ: თანადროულ მოვლენებს არ უნდა შეეხოს მწერალიო. ჯერ უნდა შეისწავლონ. ჯერ უნდა დადგინდეს. მერეღა შეიძლება მოჰკიდოს ხელიო. მწერალმაო ესე იგი. შეისწავლონ ისტორიკოსებმაო, სოციოლოგებმაო, ეკონომისტებმაო და სხვებმა და სხვებმაო, მეცნიერებმაო ერთი სიტყვითა. ანუ მე უნდა მომეცადა 100 წელიწადი. აწინდელ არქივებს რო გაჰხსნიდნენ,

იქამდის უნდა მომეცადა. რო გამოაქვეყნებდნენ დოკუმენტებსა თუ: როგორ მომზადდა ოკუპაციაი ცხინვალისა და სოხუმისა, მოსკოვში, რა თანხები გამოიყო, რა დაიხარჯა, რა ამონაგებსა ვარაუდობდნენ, ვის დაევალა განხორციელებაი პირველადა, მერე თუ ვისა, როგორ შეამზადეს შინაგანი ღალატი, რა მოულოდნელი წინააღმდეგობები გამოუჩნდათ, რა მზაკვრობით გადალახეს, რა მუხანათობითა. გამოექვეყნებინათ და გამოექვეყნებინათ. დამარწმუნებნი. დამაბეჯითებელნი. და მართლაც რო მომეთმინა იქამდისა, შემესწავლა რო ყველა ის დოკუმენტი, გამოსაყენებელი გამომეყენებინა, დასამოწმებელი დამემოწმებინა აქვე წიგნში, წარმომესახა თანამედროვენი, როგორც რო პირნი ისტორიულნი იმავე ჩანაწერებისა თუ ოქმების მიხედვითა, მომეშველებინა ანალიზი მეცნიერებისა, სადაო რაღაა — ეს იქნებოდა პროზაი დოკუმენტური. რაღა თქმა უნდა. ხოლო „არტისტული გადატრიალება“, თუ „თეთრი დათვი“, თუ „ბერმუდის სამკუთხედი“, თუ „2001 წელი“, თუ ადრინდელი რომანები ჰო, მოვლენების კვალდაკვალ შეიქმნა, ავტორს ჰო ხელთ არა სჭერია არავითარი გამოკვლევანი, არავითარი ანალიზი ისტორიკოსთა, არავითარი დოკუმენტი, არავითარი მოგონება თუ ჩანაწერი, მონაწილეთა, მომსწრეთა თუ მომსწრეთა მომსწრეთა?.. თვითეულ ამათგანს ჰო, საკუთარი სიუჟეტი გააჩნია, დამოუკიდებელი, ავტორისეული და ძირისძირეული ჰო, სწორედ ეს არის. ესა სიუჟეტი — სხვა დანარჩენი ჰო, მხოლოდ ფონია ანუ გარემოი იგი, სადაც რო სიუჟეტი ვითარდება, მოვლენები დროისა, როცა რო იშლება სიუჟეტი რომანისა?! სხვანაირად როგორ აიგება რომანი?! ან რომელი რომანი შექმნილა სხვაგვარადა?! რა შუაშია აქ დოკუმენტები, ანთუ განა რა დოკუმენტები სჭირდება მწერალსა იმის დასახატადა, რასაც რო შეჰყურებს საკუთარი თვალითა?! მწერალზე უკეთ ან ვინ დაინახავს ან რა დოკუმენტი იქნება უფრო უტყუარი. ჰო არა ჰგონია ვინმესა, მოსკოვში ოდესმე ისეთი დოკუმენტიც აღმოჩნდება, ოქროს ასოებით რო ეწერება: როგორ შევინარჩუნოთ საქართველო, თუ არა და, ბათუმი; სოხუმი და ცხინვალი როგორ გამოვგლიჯოთ ხელიდანაო. ჰგონია?.. უცადოს. და რო ვამბობ, რომანი მაინც ძირეული ამბავით, ძირეული სიუჟეტით განისაზღვრება-მეთქი, არც ახალს ვამბობ რაიმესა და არც უცნაურს ვამბობ. რა თქმა უნდა. ოღონდ აქა — „არტისტული გადატრიალებისა“ თუ „თეთრი დათვის“ შემთხვევაში ყურადღება უფრო ფონმა მიიქცია და ეს იმიტომა, იქ რო სიმართლე გაშიშვლებულიყო, ხოლო გმირები დროისა ცრუობდნენ, იტყუებოდნენ, თვალს უხვევდნენ ხალხსა და გულმოდგინედა ჩქმალავდნენ, რო რაც გვჭირდა, მოსკოვისაგანა გვჭირდა და თვითონაც შიგ ერიათ ხელი. სულ სხვაგვარად დაიმშვენებდნენ თავსა დროის გმირები, სულ სხვაგვარადა, რომანში სხვაგვარნი გამოსულიყვნენ — როგორნიცა ბრძანდებოდნენ ისეთნი, ისეთნი, ზედმეტი არცრა მიეწერებოდა არც რო ნამოქმედარსა იმათსასა. მზიური

შუქითა და ღვთიური სიმართლით მიჰყვებოდა ავტორი. და შეუძლიან პირისპირ წარუდგეს, ვისაც რო ნებავს. თუ რამ შესცოდა, მონანიებაც შეუძლიან. ამასთან დავძენ: რომანს ზედსართავი არა სჭირდება, რომანი რომანია, თანამედროვეა. თანამედროვეი. ყოველთვისა. და ყოველ შემთხვევაში. ამ თვალსაზრისით დაიწერა მონოგრაფიაი ჩემი „რომანი და ისტორია". — ისტორიული რომანი არ არსებობს-მეთქი, არც დოკუმენტური რომანი არ არსებობს, დოკუმენტური პროზა?.. დიდტანიანი, პატარატანიანი, ინებეთ, რამდენიცა გნებავთ!.. რომანს ცოდნა უნდა. რაღა თქმა უნდა. საფუძვლიანი განათლება სჭირდება რომანის ავტორსა, მაგრამ სხვა არის დოკუმენტირება და შემოქმედებითი გარდასახვა სხვა არის. შუა უდევს დიდი მზღვარიო. ურიგო მასწავლებელი არ უნდა გვყავდეს.

— წერილში „პროზის ბილიკებზე" იუმორით ერთ ამბავს ჰყვებით და იქვე განმარტავთ: „ეს პერიფრაზია. ჩემი პერიფრაზი. თავის დროზე ნაპოლეონის ცხოვრებას რო ვსწავლობდი, იქიდან გადმოვიღე. უცხო ქალაქში რო მოჰხვდები, — უჩიჩინებდა ნაპოლეონი თავის გერსა, — დრო არ დაჰკარგო, ყველაფერი კარგად დაიხსომე, შეიძლება ოდესმე მისი აღება დაგჭირდესო". თქვენს ბოლოდროინდელ რომანებში ხანდახან ისეთი სიზუსტითაა აღწერილი არა მხოლოდ სერიოზული მოვლენები, არამედ მიტინგებზე მომხდარი ინცინდენტებიც კი, რომ ეჭვიც შემპარვია, თუ არ საკუთარი თვალით ნანახი, სხვისი ნაამბობით ასე ვერ დახატავდით... პერიფრაზით და იმავე იუმორით, როგორ ფიქრობთ, თბილისი აიღეთ?

— ვერა, ვერ ავიღე. თბილისიც ვერ ავიღე, უცხო ქალაქების აღება ჰო არც მიცდია. სულ სხვა იყო ჩემი ბავშვობის დროინდელი თბილისი. სხვა თუ არაფერი, პატარა გახლდა, ბევრად პატარაი და კონტრასტულიცა საკმაოდა. ძველი იერი მოეტანა იქამდისა. აღმოსავლურიც შემორჩენოდა, მოსჭიდებოდა დასავლურიცა. ქართულიც მძლავრად შემოჭრილიყო. მე რო მიკიჟინებდნენ ა-ნსა და ი-სა, ქართლურ დიალექტს რო მიკიჟინებდნენ, მართალნიც იყვნენ და ბოლომდისაც ვერ გარკეულიყვნენ. ეს მაშინდელი თბილისური ხმოვანების გავლენისაგანაც უნდა იყოს, ანთუ არის და რაღა უნდა იყოსო, ჰა?! ისევა მძლავრობდა თბილისური კილოკავი ჩემს ბავშვობაშია, სხვა კილოკავებიც რო შემოჭრილიყო, მომძლავრებულიყო რო ჩრდილოურიცა, ის მაინც მკვეთრად გამოირჩეოდა — თბილისური: გაგრძელებული ხმოვნები სიტყვათაშუა თუ არ მოსდევდა ბოლოში ხმოვანი, ხოლო თუ მოსდევდა — ჰანგად იქცეოდა თუ მელოდიადაცა. შორეული ბუბუნი ისმოდა, შორეული გზებისა, შორეული ცივილიზაციებისა, ქრისტიანობისა და უფრო ადრინდელიცა, უამრავი წარმართობისა, აქ რო შეჭიდებულიყო მაშინაცა, აქა — თბილისში და თავისებური ხმოვანება შეეძინა. იოსებ გრიშაშვილსღა შემორჩა სულ ბოლოსა. იმასაც ხანდახან თუ წამოჰ-

კრავდა. ბავშვობაში რო მომისმენია თქვენი ლექსები, ისე აღარა კითხულობთ-მეთქი, ვუთხარი ერთხელა. „მოდაში რო აღარ არი?! " მომიგო ცოტა ირონიულადა, ცოტა სინანულითაცა, უფრო სევდითა, გამოუთქმელი სევდითა, თვალებშიღა რო ჩარჩენოდა. ჰო. დიახ. პატარა გახლდა თბილისი-მეთქი, ჩემს ბავშვობაში. ერთი სიტყვითა. ერთი თვალის გადავლება თუ იქნებოდა. მე ახლაც ისევე წარმომიდგენია თბილისი, ერთი თვალის გადავლება თბილისი. იმ თბილისის აღებაცა ჭირდა. თუმცა, რო ბევრჯერაც აუღიათ თბილისი ადრინდელ გამოჩენილ სარდლებსა, მაგრამ მწერლობას ვერც აუღია და არც უცდია მაინცდამაინც დიდი გულმოდგინებითა. ამისი ახსნა ადვილიც უნდა იყოს თითქოსა და ძნელიცა იმავე დროსა: დიდი საქარავნო გზების ჯვარედინზე რო იდო თბილისი, გზაჯვარედინზე აღმოსავლეთ-დასავლეთის აღებ-მიცემობისა, თავისი დღენი გაერთიანებისათვის რო იბრძოდა საქართველოი და ეს ფეხქვეშამოდებული ადგილი — თბილისი დაესახა ერთიანობის ცენტრადაცა და სიმბოლოდაცა. ჰო, თუ რაც იყო, ამის გარჩევას არ შევუდგები, როცა ასე პირდაპირია შეკითხვაი თქვენი: აიღეთ თუ არა თბილისიო. „ვერა, ვერ ავიღე". გიპასუხებთ სინანულითა. ვერც ავიღებდი ერთი. მარტოდა. არც თბილისის მწერლებს არ ვივიწყებ, არც მხოლოდ მწერლობას არა ვგულისხმობ ამ შემთხვევაში. რაღა თქმა უნდა. ფიქრი ყოველთვის უფრო შორს გამირბის — შეკითხვა ჩემთვის არ შემოიფარგლება ერთი მნიშვნელობითა, პასუხიც ამიტომ ცოტა განს იწევს. ვერ ავიღე ანუ ვერ ავიღეთ, ჯერაც რო ვერა. თბილისის აღება საქართველოს სახელმწიფოებრიობის დადგინებასა გულისხმობს ახლა; ბოლოს და ბოლოს იმ ფარგლებში მაინცა, საბჭოურმა კანონებმა რო დაგვიდგინა. იმ ფარგლებში მაინცა. მანამდე მწერალიც ბრძოლის ველზეა... ვერ ავიღე-მეთქი. ბევრი რამ გამომრჩა იმ თბილისიდან — ერთი თვალის გადავლებითაც რო გასწვდებოდი, ამ თბილისამდისა, ერთ უბანსაც რო ვეღარ შემოავლებ თვალსა. ვერ მოვასწარი. რამდენი ხანიც არ უნდა იცოცხლოს მწერალმა, რამდენ ხანსაც არ უნდა შერჩეს შრომის უნარი, სინანული მაინც გაჰყვება. ვის უცხოვრია უსინანულოდა?! არც მიტინგები რო არ დამრჩეს უპასუხოდა: ტრიბუნებიდანაც გამოუგზავნიათ ჩემთანა კაცი: მანდ რას გამდგარხარ, აქეთ მობრძანდიო. კეთილი, მაგრამ: ტრიბუნებიდან მოედნები მოსჩანს, დარბაზები მოსჩანს, ხოლო კალთებიდან დარბაზებისა და მოედნებისა ტრიბუნებიც მოსჩანს. ყველაფერს დანახვა უნდა. ერთიანადა. ერთბაშადა. მწერალმა იცის თავისი ადგილი. ყოველ შემთხვევაში: უნდა იცოდეს.

— მეომარი მწერლები. არა ჯარისკაცები (სამშობლოს ჯარისკაცები), არამედ გენერალი მწერლები (შეთავსებით, რასაკვირველია). ერთი ეპიზოდი რომანიდან „თეთრი დათვი". რომანის პრეზენტაციაზე სიტყვით ერთი „პოეტი" გამოდის: „ჩვენ არა ვდუმვართ. ჩვენ ავიტაცეთ ავტომატები... ჩვენ იქაცა ვართ, სადაც ქუხილია ზარბაზნებისა და სან-

თლის ალთანაც ვათევთ ღამესა. და ვქმნით, ვქმნით: ახალ-ახალ ფოლიანტებსა. ეს ყველას არ ძალუძს. ეს შენ ძალგიძს ჩემო მეგობარო, ეს მე ძალმიძს და ამიტომაც მე შენ გესალმები...“

ბატონო ოთარ, როდის დებენ მწერლები კალამს და იღებენ...

— შეკითხვა ისეთია, ვრცელსა და განზოგადებულ მსჯელობას რო მოითხოვს, მაგრამ ამას ახლა ასე ვერ გამოვეკიდები. ის ეპიზოდი ერთ გარკვეულ მოვლენას გამოჰხატავს და ახლაც იმავეს შევეხები. ის არის სერობა იმა მწერალთა კავშირელებისა, ვისაც რო ევალებოდა აღებაი მწერალთა კავშირის შენობისაცა და ხელმძღვანელობისაცა პუტჩის დღეებში; ევალებოდათ და აიღეს, წარმატებითაც აიღეს შენობაცა და უფროსობაცა. მე არც წინა ხელმძღვანელობის მადლობელი გახლდი. არც იმათ არ ვეხატებოდი გულზედა. როგორც იტყვიან. დამხობილნი თუ დამამხობელნი სამწერლებო ასპარეზზე ერთ ბარაში გადიოდნენ ჩემთვისა. არც ისინი მისულან ნაკლები აურზაურითა მწერალთა კავშირის სათავეში. არა. არა. ესაა რო: ავტომატებით არ დაუცხრილავთ სარაჯიშვილისეული სახლი, თორემ ისე, ნაკლები აშლილობა არ მოუტანიათ მწერლობაში, ცოტა სისხლი არ ურწყევინებიათ ერთმანეთისათვისა. ესენი ეს ავაზაკები, დამამხობელნი, ჯიბიდან გავარდნილი ავაზაკები, განსხვავდებოდნენ იმითიცა რო: თვითონ რო დაცხრილეს მწერალთა კავშირი, აიღეს და უტიფრად გადააბრალეს განდევნილ პრეზიდენტსა, უტიფრადა, უნამუსოდა, უსინდისოდა: დერეფანი რო გაუჰხსნესო, სასახლე რო დასცალა და ქალაქიდან გადიოდაო, შემობრუნდაო, მწერალთა კავშირი დაცხრილა და მერეღა განაგრძო გზაიო. გადააბრალეს და იმეორებდნენ. თვითონვე დაიჯერეს ტყუილი თავაანთი, დაიჯერეს, რაც უნდა ეცადო, ვეღარ გადაათქმევინებ. ამაზე მეტი ცრუმოწმეობა და ამაზე უჭკუო ფანტაზია არა მგონია, რო ვინმეს გაეგონოს: კაცი გარბის, მდევარი მისდევს, ის შებრუნდება მაჩაბლის ქუჩაზე და ტყვიებს დაუშენს ცარიელ შენობებსა. დაე, დიდი ჭკუის ნაყოფად ითქვას. ითქვას. რადაც არ უნდა ითქვას, სერობაი იგი ანუ პრეზენტაციაი ეგრეთწოდებული წარმოდგენილა იმგვარ ფანტაზიორთა თავშეყრადა. რაც შეეხება შეკითხვასა, თუ როდის იღებს მწერალი კალამსა ხელში, ანთუ როდისა დებს, მე ასე მგონია: მწერალი შეწირული ადამიანია. ნამდვილი მწერალი. რაღა თქმა უნდა. ნამდვილი და ნამდვილზე ნამდვილი. კალამს ბედისწერა აწვდის. როდისა თუ როგორა, ეს ბედისწერის საქმეა, ხოლო თუ როდისა დებს — ესეც ბედისწერის საქმეა, ოღონდ შეიძლება, რო მეც მოგახსენო — მოკვდება როცა. შეიძლება კალამი სულაც სიმბოლოდღა იქცეს, ისე ვითარდება ბგერწერაი. მაგრამ ესეც ჰო წერაა?.. ამასაც მწერალი უნდა.

— ბატონო ოთარ, ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ისეთი რომანისათვის, როგორიც „თეთრი დათვია“, სადაც თითქმის ყოველი პასაჟი რეალურ და მხატვრულ ლოგიკას ემორჩილება, მეტისმეტად ოპტიმისტური ფი-

ნალი გამოვიდა?

— მიმაჩნია.

მართალსა ბრძანებთ. „თეთრი დათვის“ მხატვრული ლოგიკა ოპტიმიზმისაკენ არ მიემართება. თავიდანვე ასე არც წარმოიდგინებოდა. პირველივე სტრიქონებიდან მომეხსენებოდა ტრაგიკული დასასრული ნაწარმოებისა. მომეხსენებოდა და მივეშურებოდი. მივეშურებოდი და მეშინოდა თანაცა, ტრაგიკული დასასრულისა მეშინოდა. წარმოუდგენელი რამ უნდა იყოს განცდაი ტრაგიკულისა. წარმოუდგენელი. ვერ გაუძლებენ თვით ტრაგიკული ნებისყოფის ადამიანებიცა. აღესრულებიან ისე, რო ვერც განიცდიან. წარმოუდგენელს ვერც განიცდიან. და სძლია შიშმა, შიშმა ტრაგიკულის განცდისა. განა ისე გვაკლია ტრაგიკული, განა ცოტა რამ გველის კიდევა?! კაი ბიჭობაა გულმედგრობაცა. რაღა თქმა უნდა. ისე თუ მოგვაკლდა, რატომღა დავიშუროთ ნაწარმოებში?.. რაო — არ მოიძებნოს გაძლებაი გაუსაძლისისა?.. საშველი თუ გამწყდარა — საშველი არ არის, არ არის, არ არისო — რად არ მოვიძიოთ მაინცა, რატომ ჩავიქნიოთ ხელი?.. იმედი რაღა ქმნილა — იმედი ჰო შემორჩენილა, რად არ მოვებღაუჭოთ იმედსა?.. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებაო. ხავსსაო. ხავსი. და რაოდენ უსაშველობასაც არ უნდა გამოჰხატავდეს, რაოდენ უფრო უბედური იქნება ადამიანი, ხავსიც რო არსაით არ ეგულებოდეს. ჰო, მიმაჩნია-მეთქი. მეტისმეტ ოპტიმისტურად მაინც არ მიმაჩნია. იმედია — მეტი ჰო არაფერი — გადარჩენის იმედი, გვარის გადარჩენისა, ოჯახის გადარჩენისა!.. რანილა ვიქნებით უამისოდა: უოჯახოდა, უგვაროდა, რანილა, რანი?! რომანს თავისი მხატვრული ლოგიკა აქვს. რაღა თქმა უნდა. მაგრამ თავისი ლოგიკა რო დაუწესოს აღრეულ ცხოვრებასა, ყალიბი რო დაუდოს სიმტკიცისა და გადარჩენისა, ესეც მოვალეობაა რომანისა. აი, თუნდაც „2001 წელი“. ტრაგიკულ ფინალს აქაც დავაღწიე თავი. ცოტა ავუჩქარე და დავაღწიე თავი. ჯვრისწერის შარჟული სურათით გამოვეხსენი. იმედი იმედად გადამირჩა. არა. არ შეიძლება, იმედი რო წაართვა მკითხველსა, ხალხსა ესე იგი, არა, არ შეიძლება, რო არცა გწამდეს, ისევე, რო იმეორებდე შენთვისა: არ არის საშველი, არ არის, არ არისო. ახლა ის ჰო ბავშვმაც კი იცის: სოფელს ერთხელ რო ბოლო უნდა მოეღოს!.. ამას ახლა მეცნიერება ამტკიცებს. და უკეთესადაც ამტკიცებს. ეს მოვალეობა ჩამოშორდა მწერალსა. მანამდის თუ როგორ ვიცხოვროთ, როგორ გავუძლოთ, როგორ გადავრჩეთ, ვის მივბაძოთ და უარვჰყოთ ვინა თუ რაი, ესეღა რჩება ვალდებულებადა. ცოტაა განა?!. ცოტა არ არისო — თავს მიქნევთ და ახალი შეკითხვისათვის ემზადებით?.. ბრძანეთ. ბრძანეთ. სხვებს რო ვურჩევ, მე თვითონაც გაძლება მმართებს. ბრძანეთ.

— რომანის პერსონაჟები, ფილოსოფოსები: ვახტანგ გოგუაძე, მიხეილ ნანეიშვილი, ნოდარ ნათაძე, გერმანე, თედო, ივლიანე... თქვენი კომენტარიც არ დააყოვნებს: „აპა ბატონო, პლატონის პარლამენტი!“

(„თეთრი დათვი“) იქ — არტისტების და რეჟისორების გადატრიალება, აქ — პლატონის პარლამენტი (პაროდია). გავიხსენებდი გამოთქმას: „კოლექტიური პორტრეტი“. რამდენად რთულია ან იოლი ამ პერსონაჟთა ხატვა? მათ მიმართ მკითხველს არცთუ იშვიათად ე.წ. „გამზადებული“ ემოცია თუ შთაბეჭდილება უკვე აქვს. რამდენად გიქმნით ეს სირთულეს წერისას?

— სირთულეს წერისას არც ეს გარემოება და ეგება, რო არც არაფერი არ მიქმნის. პირველივე სტრიქონიდან ვიცი, თუ რა უნდა დავწერო: დასაწყისი ვიცი, შუაწელი ვიცი, დასასრული ვიცი და აღარც აღარაფერი აღარ მაყოვნებს. ერთხელ ერთი გამომცემლობის თანამშრომელი მეუბნებოდა: აქედან — „ჯებირსა“ გულისხმობდა — ათი რომანი გამოვიდოდაო. რა გეჩქარებოდაო. მეჩქარებოდა. დიდხანს ვერ ვიტრიალებდი „ჯებირთანა“. თუმცა მესმოდა მსჯელობანი სხვადასხვაგვარნი. ვთქვათ — დემნა შენგელაია ამტკიცებდა: მწერლობას მაშინ იწყებ, როცა დახევას ისწავლიო. წერ და ჰხევ, წერ და ჰხევ, მწერლობაც იქ არის, მწერალი მაშინა ხარო. მე ვერ დავჰხევდი. არ მემეტებოდა არცერთი ფურცელი. აკაკი ბელიაშვილი ირწმუნებოდა: მწერალმა 50 წლამდის ხელი არ უნდა მოჰკიდოს რომანსაო. მანამდისაო წვრილ წვრილ ჟანრებში უნდა ამეცადინოს კალამიო. ვის ეგონა რო სული შერჩებოდა 50 წლამდისა!!! კონსტანტინე ლორთქიფანიძე აცხადებდა: ერთი წიგნი უნდა დაწეროს მწერალმა. ერთიო. ერთადერთიო. და მერე ის ასწოროს მთელი ცხოვრების მანძილზეო. ასწორე თუ წყალია. წყალი ნაყე, ნაყე, ისევ წყალიაო. უბრალოდ იტყოდა მიხეილ ჯავახიშვილი: ერთხელ, როდისღაც ერთი ბანჯგვლიანი კაცი შემეფეთა ლიახვის ხეობაშიო. ერთხელაც გამახსენდა, დავჯექი და „ჯაყოს ხიზნები“ შემრჩა ხელთაო. კონსტანტინე გამსახურდიას თუ დავუჯერებდი: სიტყვებთან ბრძოლაში ვათენებ ღამეებსაო. ჩემი ღამეები სიტყვებთან ომიაო. ღამეებს ეგება ათენებდა, იმდენსა წერდა, მაგრამ გასაკვირი მაინც ის იყო, თუ რა უნდა ჰქონოდა სიტყვებთან საომარი. ალბათ, ცოტა აზვიადებდა. ხოტბას ასხამდა, უგალობდა ქართულ სიტყვასა და ღამის თევას მეტაფორად გამოიყენებდა. მე სიტყვას არ ვებრძვი, არც სიტყვებთან არ მიომია. სიტყვები თითქოს ყვავილობაა, აფერადებული ველ-მინდორი აბიბინებული ნიავის ფრთებზე, თანაც ფუტკარი ზედ რო დაჰბზუის. თითქოსაო. სხვა სხვაგვარად იტყვის. სხვა დანარჩენი ცხოვრებაა, სინამდვილეა. ჩააწყე ყვავილებში, ფერებში ჩააწყე ცხოვრების ნაგლეჯები, აადევნე ბზუილს ფუტკრისა. ეს არის და ესა. მწერლობაი. ოსკარ უაილდი ჰო დასცინოდა ემილ ზოლასა: ტრაბახობსო, რაც დამიწერია, ცხოვრებისეულია ყველაფერიო — ცხოვრებას რა უნდა ხელოვნებაშიო. უკვირდა. დასცინოდა. არადა, რაც რო დაუწერია ოსკარს უაილდსა თვითონვე, საკუთარ ცხოვრებაზე, საკუთარ განცდილზე უკეთ რა დაუწერია?! აღარას ვამბობ ბოლოდროინდელ მოდერნისტებსა თუ სხვა ისტებზე ლიტერატურაში,**

ვერ რო გაჰქცევიან სინამდვილესა, ცხოვრების სინათლესა, რა ჯამბაზობასაც არ უნდა მიმართონ, რა ხერხიც არ უნდა მოიხმონ, უცნაური და უცნაურზე უცნაური ხერხი. რომანი შინაარსია. შინაარსი ცხოვრებაა. ხელოვნებაც არის რომანი. ხელოვნება სიტყვებია. რაღა თქმა უნდა. ცხოვრება არის ერთგვაროვანი, ანუ შინაარსი ერთგვაროვანია. ვერაფერს მოვიძიებთ თანამედროვეობაში, წარსულის მსგავსი რო არ გამოგვეცხადოს. წარსულს ცოდნა უნდა. რომანი ცოდნაც არის. და აი, მოიყარეს თავი ფილოსოფოსებმა პარლამენტში, ჩვენს პარლამენტში. დიდი ხნის წინათ პლატონი ამტკიცებდა: სახელმწიფო უნდა მართონ ფილოსოფოსებმაო. ეს არის ყველაზე უკეთესი მმართველობაო. სხვა დანარჩენი მმართველობა რო არ მოსწონდა, განსაკუთრებით პოეტები რო არ მოსწონდა მმართველთა შორისა. ჰოდა, შეგროვდნენ ფილოსოფოსნი, ჰოდა, მართავენ, ჰოდა, განაგებენ. როგორ თუ მართავენ საკმარისია დრამატიზმისათვისაცა, სარკაზმისათვისაცა, თუნდაც რო პლატონიც რო მოჰყვეს შიგვე, ანთუ ის აქა და ესენი იქა ამ თავაანთი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიითა. რა უნდა ჰქმნიდეს სირთულესა ავტორისათვისა?.. მკითხველის გამზადებული ემოციაო. ელოდა განა მკითხველი პლატონსა ჩვენს პარლამენტში?.. არა მგონია. თუ ელოდა და ინებოს, ბატონო. მოლოდინი თუ გაუმართლა, არც ეს არის ცოტაი ავტორისათვისა.

— გამსახურდია „... მთლად აკადემიას განახევრებას უპირებდაო. ნეტავი მოესწრო!.. მწერალთა კავშირსაც უპირებდა გაცხრილვასაო. ნეტავი მოესწრო!.. თეატრებსაც, მხატვრებსაც, მოქანდაკეებსაც არ უცქეროდა კარგი თვალითაო" (რომანი „თეთრი დათვი").

ფრაზა: „ნეტავი მოესწრო!" ავტორისეულია. მაშინ, იმ დღეებში როგორ იღებდით ამ განზრახვას, თუ ეს დროის გადასახედიდან განჭვრეტილი სურვილია?

— არც დროის გადასახედია დასაძრახისი, ქალბატონო რუსუდან და არც ისე ადვილია ეს ვითარებაი, რაშიც რო მოვქცეულვართ. ეს ის ხალხია, ვინც რო არ მოსწონდა ზვიად გამსახურდიასა, ვისაც უფრთხოდა და ვინც რო მაინც თავისი გაიტანა და ვისთა თანადგომითაც დაამხო იგი რუსთა ხელისუფლებამა. მაგრამ მთავარი მაინც ეს არ არის და ერთი გადასახედიდანაც არ გამოჩნდება ყველაფერი. არა. არა. არ გამოჩნდება. ეს რუსობაც რო ავიცილოთ და ჩვენი თავი მართლაც ჩვენად რო გვეყუდნოდეს, ჩვენი სოფლის მეურნეობა, ჩვენი ვაჭრობა-მრეწველობა ძალისხმევას მოითხოვს იმდენსა თუ ისეთსა, გავართმევთ თუ არა თავსა დღევანდელ საერთაშორისო ვითარებაში ჩვენი მოშლილი სულიერებითა — საკითხავი ესეც რო არის?.. ეკონომიკა რო საყრდენია სახელმწიფოებრიობისა, ჩემი მოძღვრება არ არის, ცხადია და ახლა არც არავისა სჭირდება განმარტებანი ამისი დაწვრილებითა, ოღონდ ერთი წუთითაც რო არ გვავიწყდებოდეს, ეს მაინც დიდად აუცილებელია. აუცილე-

ბელია. აუცილებელი. მითუმეტეს რო გაისმის აზრი და ლამის რწმენად იქცეს, თითქოს რო ჩვენივე ინტელექტშია ძლევამოსილებაი ჩვენი და ამაზეა დამოკიდებული შემდგომი აღმავლობაი ჩვენი. ზედაფენაში რო გამტკიცებულა აზრი ესე, ღმერთმა ნუ ჰქმნას, რო ჩააღწიოს ქვედაფენამდისა, მშრომელ ფენამდისა, ვისაც რო სწამს ღვთიური განაწესი, ერთადერთი სამართლიანი განაწესი: ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო. კეთილი ბატონო — ინტელექტიო, იყოს ინტელექტი, ნურც მაგას მივაგდებთ უყურადღებოდა. მაგრამ ვითომ რა ინტელექტი გაგაჩნიათ, ბატონებო, ისეთი, ქვეყნიერებას რო გააოცებთ და საქართველოს სახელს გაუხდით საფიცრადა?! სადღაც გააღწევს ჩვენი მომღერალი ოპერის სცენაზე და ტაშს დაუკრავენ, სადღაც ცეკვას მოგვიწონებენ და ტაშს დაუკრავენ, სადღაც გააკვირვებთ მრავალხმოვანებაი ჩვენი სიმღერისა და ტაშს დაგვიკრავენ, სადღაც თეატრს მოგვიწონებენ, ერთსა, მეორესა, მესამესაცა თუნდაცა — ეს ყველაფერი ჰო გასართობია და ერთობიან, რაღა თქმა უნდა. სხვებითაც ერთობიან. ერთმანეთითაც ერთობიან. როცა ერთობიან. როცა საქმე გასართობადა აქვთ. ვთქვათ, საქმე რო აღარა აქვთ გასართობადა — ან ტაშს ვინ დაგიკრავთ ან ვიღა მოგაწვდით ლუკმაპურსა ან რაღას გვიშველის ეს ინტელექტი — გართობის ინტელექტი?! როცა ჩვენ ეს ჰანგები შევქმენით, როცა ჩვენ ეს ცეკვები შევქმენით, დიდი და მძლავრი ეკონომიკაცა გვქონდა იმა დროის კვალობაზედა. ხალხურიო — ადვილად ვამბობთ. მრავალხმოვანება ადვილად არ ჩამოყალიბდებოდა, არც მოძრაობანი მრავალგვარი ქართული ცეკვისა თავისთავად არ მოებმოდა სულ ადრინდელ ხელების ქნევასა, სულ ადრინდელსა, ვიდრე ენას რო ამოიდგამდა ქართველი კაცი. არა. არა. არ დავიჯეროთ. რასაც რო ახლა ხალხური გვირქმევია, ჩვენც რო გვიკვირს და სხვასაც რო ვაოცებთ, ჩამოქნილია უსათუოდ გამოჩენილი ქორეოგრაფებისა თავის დროისა და აწყობილია გამოჩენილი კომპოზიტორების მიერა, როცა რო დიდნი ვიყავით, ძლიერნი ვიყავით, დიდი სახელმწიფო რო გვქონდა, რო გვემღერებოდა, რო გვეცეკვებოდა, რო გველხინებოდა; გველხინებოდა და ვლხინობდით ისე და იმგვარადა რო: სუფრის ფილოსოფია ჩვენ რო გაგვაჩნია, არც არავის ისეთი არ მოეპოვება დედამიწის ზურგზედა, ამ დედამიწისა, ხოლო თუ კიდევ სადმეც არის დედამიწაი, იმისი რა გითხრა. ახლა სხვა მძლავრობს, სხვები მძლავრობენ, სხვები ლხინობენ და იმათს ლხინში გამრთობებად თუ მიგვიწვიეს, ეს არის ჩვენი ინტელექტი, სატრაბახოდ ეს გაგვიხდია?! იყოს თუნდაცა. რო არ იკმარებს?! ვისაც რო თავს ვაწონებთ, ძლევამოსილება რო იმათია — ეკონომიკურიცა, პოლიტიკურიცა, სამხედროცა, ინტელექტუალურიცა მთელის თავისი სისავსითა, სამეცნიერო თუ სახელოვნოო, მთელის თავისი სისავსითა!.. თავს ნუ მოვიტყუებთ ჩვენ ჩვენივე განთქმული თავქარიანობითა. და კუდაბზიკობითა. არ მოგეწონათ ეს ნათქვამი?! ბოდიშიც რო მიჭირს?! აბა, მაშ

რა არის კლდიაშვილის სოფელი — ასი აზნაური და ორიოდე გლეხი?! ამასაც რუსებს ნუ დავაბრალებთ. თვითონ რუსებმაც ვერ გაუგეს ამას ვერაფერი, ვერა, დაიბნენ, პირველივე აღწერა რო ჩაატარეს. ან ვითომ დაიბნენ თუ რაც იყო, ვერც ჩვენი თეატრით გავაკვირვებთ ვერავისა და ვერც ჩვენი რეფლექტორითა, ლიტერატურითაც ჰო ვერა. რა თქმა უნდა. რაზედაც ახლა აქ ტვინს იჭყლეტენ, იქ გაიარეს დიდი ხანია. დიდი ხანია!.. მოვებღაუჭოთ ინტელექტსა, მოვებღაუჭოთ, რო აღარც ინტელექტია უცხოური და აღარც რო ჭკუაი ქართული მიბაძვაიო თუ გადამღერებაიო კარგახანია გარდასულისა. ჭკუა შრომაა და არა ოთურმაი ამ ჩვენი ვითომ ძალიანაც დაქოქილი პოლიტიკოსებისა. ის არის ჩვენი უბედურება, შრომის უნარი რო დაგვაკარგვინეს, განათლების უნარიცა ანუ იმგვარად მომართეს გონებაი ჩვენი, უკულმართობისაკენ რო გაგვირბის თვალი. იმდენი შეგვეძლო თვით იმ უბადრუკი მენშევიკების დროსაცა — საექსპორტო ხორბალიც მოგვყავდა, აბრეშუმიცა. ახლა ნიორიც ვერ მოგვიყვანია ჩვენი სამყოფი, ყველაფერი შემოგვაქვს, ყველაფერი, წიწმატისა და ბოლოკის გარდა. ეს დღევანდელი მოვლენა არ არის. არა. თვალშისაცემი იყო მაშინაცა — იმ გადასახედიდანაცა, იმაზე ადრინდელი გადასახედიდანაცა — და უკვე „ჯებირში" ცხარობდა თავმჯდომარეი კოლმეურნეობისა: შეამცირეთ კანცელარიები და მაგიდები კანცელარიებშიო.. მეურნეობას დაუბრუნეთ ხელმოცარული ხალხი ქალაქშიო. „ჯებირი" კრებულში დაიბეჭდა. იმ კრებულს ერქვა „პროზა 1953 წელი". დიახ. დიახ. ნათელი გახლდა იმ გადასახედიდანაცა რო: ინგრეოდა ჩვენი ტრადიციული დასაყრდენი, ნაცადი წესრიგი ირღვეოდა ჩვენს სოფელში, ირყეოდა ჩვენი ეკონომიკის საფუძვლები, ინგრეოდა და ირყეოდა მცირე რამ იმედი თუნდაც კულტურული ავტონომიისა, მიმდინარეობდა რო სრული გლობალიზაცია სოფლის მეურნეობისა სრულიად საბჭოეთში, ისაა მიკერებული ეგრეთწოდებული დემოკრატიული ქვეყნების ჩათვლითა. არ ვიცი, თუ რამდენად სრულად გავეცი პასუხი ამ თქვენს შეკითხვასა. იმდენი მაინც თუ მომიხერხდა, ჩემი გადასახედი თუ მიგანიშნეთ — ესეც ნაწილია თქვენი შეკითხვისა.

აქვე მოგახსენებთ ერთ ასეთ შემთხვევასა... თუ შეიძლება?.. დიახ. ერთ უდროოდ დაღუპულ მწერალს იგონებდნენ ამასწინათ ტელემაუწყებლობაში. მოიხსენიებდნენ ქებითა. მართებულადა. რაღა თქმა უნდა. მეც ქების გარდა სხვა არაფრის თქმა არ შემიძლიან. ოღონდ და მაინც ცოტა არ იყოს გამაკვირვა იმათი ქების ერთმა მუხლმა. ის იმათ არა ჰგავდა, კოლმეურნეობის თავმჯდომარეებზე რო წერდნენო. ვერ ვიტყვი, ვის თუ რა დაუშავა ან ჯავახიშვილმა, ან გამსახურდიამა, ან ქიაჩელმა, ან კაკაბაძემა, ან „ჯებირის" თავმჯდომარემ რა დაუშავა, ოჯახი რო ენგრევა, კოლმეურნეობა რო ეშლება, ყველა რო ქალაქს გარბის ინტელექტუალური პოტენციალის საძებრადა?! ან ვიქტორ გაბესკირი-

ას თავმჯდომარემ რა შესცოდა ისეთი, პარტკომის მდივანს რო ეუბნება: მინდა, შენსავით ვიცოდე „კაპიტალი". მაგრამ იმდენი დრო რო არა მაქვს, იმხელა წიგნი რო ვიკითხო?! ჩამომიწერე რა, გეხვეწები, რვეულის ერთ გვერდზე ჩამომიწერე „კაპიტალის" შინაარსი. იმას დავისწავლი. პირობას გაძლევო. მარჯანიშვილის თეატრი დგამდა იმ პიესასა. მე ახლაც ჩამესმის, თუ როგორ იწყებოდა ქირქილი დარბაზშია: ჯერ ქირქილი, მერე ფხუკუნი, პირლია სიცილი მერე. ის გადასახედიც იგივე გახლდა. და არა მგონია, ვისიმე გასაკილავნი იყვნენ მწერლები იმ დროისა, როცა რო ირონიაი მცირედიცა თავგანწირვას უდრიდა. არა მგონია. ესეც არ იყოს: ცხოვრებას ისინი წარმართავდნენ: კოლმეურნეობის თავმჯდომარეები, პარტკომის მდივნები, რაიკომის მდივნები, ცეკას მდივნები, პატარა ადამიანებსაც ისინი წარმართავდნენ და დიდ ადამიანებსაცა, რას იზამ, ცხოვრება ისეთი იყო. მწერალი ვერავის ვერ აუქცევდა გვერდსა. ვერა. ვერა. რაღა თქმა უნდა. გაუგონიათ: მოძველებული შეხედულებების გადაფასება დაიწყო ლიტერატურაშიო, გაუგონიათ, გაგებით მაინც ვერ გაუგიათ ისა და იმდენი, თუ რა ძველდება, თუ რა არის დროებითი, მუდმივი რა არის, რა არის შინაარსი, ხელოვნება რა არის, ჭკუა რა არის და უჭკუობა რა არის. რას იზამ!..

— საოცარ სითბოს იტევს თქვენი მოგონება „უკანასკნელი თარი". გიორგი შატბერაშვილის ღიღინი, თარს აყოლილი ღიღინი თაობებს გადასწვდება. მელოდიას აჰყვა და „ალბათ, თუ მე მანუგეშებდა, რო ამბობდა, რო ყველაფერი გადაივლისო, დაბნეულობაც გადაივლისო, ავთა სიავეც გადაივლისო, მოეძებნება ყველაფერს ადგილი, კეთილს თავისიო, ბოროტს თავისიო, მხოლოდ ესაა, გაძლება უნდაო..." და შეკითხვა: კიდევ ვისი გამხნევება გაძლებინებდათ?

— ჩვენ ერთმანეთის გაძლება თუ გვაძლებინებდა. გამძლები უძლებდა. ამყოლი ასდევდა. ვინც ვერ უძლებდა, ასდევდა ისიცა. ასდევდა და შურდა — გამძლებისა შურდა ამყოლსა. რა შურდა, ძნელი სათქმელია. წუთისოფელია ჰო, ეს ჩვენი ცხოვრებაი, ტკბებოდნენ ჰო წუთისოფლითა?! თუ ტკბებოდნენ. რაღა თქმა უნდა. გიორგი მაინც ერთი იმათგანი გახლდა, ვინც რო განიცდიდა ჩემს ისე უღვთო გამეტებასა, ვისაც უკვე გამოეცადა მარწუხები უკუღმართობისა და სხვა არავინ არ ემეტებოდა საიმისოდა. არც მე ვემეტებოდი. რაღა თქმა უნდა. იმასაცა ჰხედავდა, თუ როგორ იზრდებოდა სახელი დევნილისა, პარტიისა და ხელისუფლების მიერ დევნილისა; თუ როგორ თანაუგრძნობდა მკითხველი მწერალსა, ოდნავადაც რო გაეკრიტიკებინათ. და ერთხელ სუფრას რო თამადობდა გიორგი და რო დამლოცა, ასეც დამლოცა: მადლობელი უნდა იყვე შენი კრიტიკოსებისაო. მტერსა და ავსაო, ოღონდაო ახლა რო სიკვდილმა გიწიოსო, უყოყმანოდ ჩაეწერები უკვდავი მწერლების სიაშიო. კარგი თამადაც იყო. მოხდენილი იუმორიცა ჰქონდა. ჰოდა მაინც — ვაძლებინებდით ერთმანეთსა-მეთქი. და ყველას მაინც ერეკ-

ლე ტატიშვილი გვაძლებინებდა. მე და პედაგოგი?! იკითხავდა ხოლმე დანაღვლიანებული, საერთაშორისო სამართლის კურსიც რო ჩამოართვეს უნივერსიტეტში და ენის მასწავლებლობა როლა შერჩა ხელთა. ჩვენთვის ის მასწავლებელი გახლდა და მადლობა ღმერთსა, ის რო შეგვირჩია მასწავლებლადა. მაგრამ იმას ჰო სხვა რამ სამოღვაწეო დაესახა მიზნადა?.. ბუნებით ანარქისტი და ანარქისტული პარტიის წევრი ჯერ იმან დაჩაგრა, უხეირო მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტროში რო მოჰხვდა, მაგრამ და მაინც მოესწრო ჰო დამოუკიდებლობასა სამშობლოსი, დამოუკიდებლობას ემსახურებოდა და თვალსა და ხელს შუა გამოაცალეს ის დამოუკიდებლობაცა, მერე ჰო ეს ბოლშევიკებიო...

— ლიტერატურის ისტორია...

„ისტორია ის შენობაა, რომელსაც ვერანაირი ჩალით ვერ დახურავ," — ბრძანებდა გალაკტიონი. არაერთი გადაფასების მოწმენი ვხდებით. იმ ადამიანების შემოქმედების მიმართაც, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ „კურსს განსაზღვრავდნენ" მწერლობაში. მკითხველი უცვლელია (და მგონია, ბრძენიც). როგორ ფიქრობთ, როგორი მკითხველი გყავდათ და გყავთ?

— როგორი?..

თქვენვე ბრძანებთ: მკითხველი უცვლელია და ბრძენიც არისო. და მართალსა ბრძანებთ. არსებობს ნომენკლატურული თუ კონიუნქტურული მკითხველიცა. სნობებიც არსებობენ. რაღა თქმა უნდა. საყურადღებონი არც არიან ისინი ნამდვილი მწერლობისათვისა, ვინც რო დარჩა არც იმისთვისა, ვინც რო წავიდა, იმისთვისაც არ იყო ანგარიშგასაწევი, თუმცა სიცოცხლე გამწარებული ჰქონდათ სწორედ რო იმათგანა. რას იზამ — ხალხი უცნაურიც არის. ყველა ხელს ურევს ლიტერატურაში. ეადვილება. ყველას ლიტერატურა არ გაეგება. მკითხველი ისაა, ვისაც ლიტერატურა გაეგება. მე მხოლოდ ასეთ მკითხველს ვისურვებდი და ასეთი მკითხველიც მეგულება ჩემს მხარესა. განმქიქებელიც ბევრი მყოლია. ცოტა რამ მაინც რო გაეგებოდეს — იყოს, ჯანდაბას!.. რო არც გაეგება, წაკითხვაც რო არ შეუძლიან?! არც ის შეუძლიან რო არ გამოსთქვას საკუთარი აზრი: ჩხეიძე!.. ახ — ემფატიკური ა!.. — ასეთი მკითხველიცა მყოლია. და ხშირად ასეთ მკითხველსაც ვიხსენებ, პირადად რო უთქვამს ჩემთვისა: იმდენი დრო არა მაქვს, ყველაფერი თავიდან ბოლომდის რო ვიკითხო, არც მინდა რო ჩამოვრჩე ლიტერატურასა, ზოგჯერ გვერდებსაც გამოვტოვებ ხოლმე და მაინც ვახერხებ წარმოდგენა რო მქონდეს ნაწარმოების შესახებაო. შენთან ასე აღარ გამომდის, სტრიქონიც რო გამოვტოვო, ვეღარაფერს ვეღარ ვიგებო; და ასეთსაცა: გაივლის დრო, რაღაც შეიცვლება და შენს ნაწერებს თუ წაიკითხავენ, ვერავინ ვერავის ვეღარ დააჯერებს, თუ რა სასტიკი იყო ცენზურაი ჩვენს ეპოქაშიო. ხალხი ჭრელია და მკითხველიც ჭრელია. მე მხოლოდ ჭკვიან მკითხველს ვისურვებდი. ჭკვიანთან სიკვდილი ჯობიან, სულელ-

თან სიცოცხლესაო.

— ახსოვთ თქვენი აღშფოთება მოთხრობის „შემოზამთრება" თარგმანის გამო: როცა შეიცვალა პერსონაჟები: ქალი — კაცით, ყოფილი მოწაფეები — იატაკქვეშელი ბოლშევიკებით, ხოლო სიმარტოვის სევდა — წითელი დროშითა და მკვდარი მასწავლებლით, „არა მგონია, რომ თარგმანი აუცილებელი იყოს. არა მგონია", — თქვით მაშინ. მე კი მგონია, ეს სიტყვები თავდაცვის ერთგვარი საშუალებაა, როცა მწერალს არ სურს, ისეთ ნაწარმოებს მოაწეროს ხელი, რომელიც არ დაუწერია. ეს ადრინდელი ფაქტია. ბატონო ოთარ, ახლა როგორაა თქვენი ნაწარმოებების თარგმნის საქმე?

— იმ ვითარებიდან ერთ მაგალითსაც გავიხსენებ თუ შეიძლება. ეს ისევ ჩემი ნაწარმოების თარგმანს შეეხება, უფრო — გამოცემასა. ოღონდ სულერთი უნდა იყოს ამ შემთხვევაშია. „ლანდების" გამოცემასა ვგულისხმობ. ითარგმნა. წარედგინა მოსკოვის გამომცემლობასა, საბჭოთა კავშირის მწერალთა გამომცემლობასა. მე ეჭვით ვუყურებდი. მთარგმნელსაც ვაფრთხილებდი, ნუ ეწვალები-მეთქი. ლილი ბაზოვამა თარგმნა. თავიდან უკვირდა ჩემი სიფრთხილეი, მერე გააოცა გამომცემლობამა. ყოვლად გაუთვალისწინებელი წინადადება წაუყენეს. რომანი ხელოვნებას შეეხება. მოქანდაკეთა ცხოვრებას ასახავს. ეს თქვენი საქმე არ არის. თქვენ უნდა კოლმეურნეობაზე წეროთ, ფაბრიკა-ქარხნებზე წეროთო. მოდით და ასე მოვიქცეთო: ამბავი გადავიტანოთ რომელიმე ფაბრიკაში, თუნდაც აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში, უსათუოდ თბილისი თუ გინდათ, თუ არა და სადმე ჩაის ფაბრიკაშიო. არაფერს არ ვაჭარბებ. მე ეს მთარგმნელისაგან ვიცი. მისი აღშფოთება მარწმუნებდა. ბესარიონ ჟღენტისაგანაც ვიცოდი. აქ კრინტი არ დაუძრავს ამ რომანის შესახება, იქ იცავდა განრისხებული: როგორ თუ ჩვენ მხოლოდ კოლმეურნეობასა და ფაბრიკა-ქარხნებზე უნდა ვწეროთო. თარგმანი გამოიცა. მე მაინც არ მომბრუნებია გული თარგმანის მიმართა. უჩემოდ ითარგმნა რამდენიმე ნოველაი „ჩემი სოფლის ეტიუდებიდანა" — რამდენიმე ენაზე დასავლეთისა. ამას მე ოთარ ნოდიას ვუმადლი და იმის მთარგმნელობით კოლეგიასა. საერთოდაცა: უფრო გონივრულად მიჰხედეს თანადროულ ქართულ ლიტერატურასა. ამ ნინა წლებში ნაირა გელაშვილმა გერმანიაში გამოსცა ქართული მოთხრობების კრებული. ერთი ჩემი ნოველა იქაც მოთავსდა. მოგონებით იმასაც მოვიგონებ: ჩემი „ბორიაყი" რო უნდა გამოცემულიყო მოსკოვში, თავს იკლავდნენ და არა თანხმდებოდნენ გამოცემასა, ანოტაციაში თუ არ აღნიშნავთ: ეს ამბავი 1905-ს მომდევნო რეაქციის წლებში მოჰხდაო. ალექსანდრე ებანოიძე მეურვეობდა „ბორიაყის" გამოცემასა. გამომცემლობის თანამშრომელი გახლდა. იმისი განყოფილების განხრით გამოდიოდა. მთხოვა: უნდა დავთანხმდეთ, თუ არა და მე ველარაფერს ველარ გავაწყობო. არა. აღარ მინდა მოგონებანი. ვის თუ რა მოსწონს,

რა მოგახსენო, მე ყოველთვის ცუდ გუნებასა მგვრის. ახლა როგორ არის თქვენი თარგმანის საქმეო. მეკითხებით. მე ეგ არც მაფიქრებდა და არც მაფიქრებს. წიგნი თავისი ქვეყნისათვის იწერება. მწერალი მწერალია თავისი ენისა და თავისი ქვეყნისა. სხვა ქვეყნისათვის ის თარგმანია ანუ სხვა არის, უცხოა, გამვლელია. თქვენ რაო, გნებავთ რო მომაგონოთ ივანე მაჩაბელი?!. ჰოოოო... შექსპირს რო არ დაეწერა, თვითონვე დაწერდა იმ ტრაგედიებსა ივანე მაჩაბელი.

— ადამიანებს ერთმანეთისაგან ძალიან განასხვავებს გემოვნება. ეს ფაქტორი ბევრ რამეში მჟღავნდება და შესაბამისად, უამრავ პრობლემას ქმნის. დღევანდელ დღეს ვფიქრობ, ეს ძალიან თვალშისაცემია. თითქოს გეგმაზომიერად ხდება უკულტურო და უგემოვნო მასის ჩამოყალიბება. მხოლოდ რამდენიმე მათგანს დავასახელებ (მკითხველს შევახსენებ), სადაც საგანგებოდ, ხაზგასმით აღნიშნავთ ამას: „პროზის ბილიკებზე", „არტისტული გადატრიალება", „თეთრი დათვი"... როგორ ფიქრობთ, კიდევ რამდენ ხანს შეიძლება ამგვარი პროცესები გაგრძელდეს (ტელევიზიით, ესტრადაზე, თეატრშიც კი... ეს უკვე თვალსაჩინოა) სამომავლოდ (თუნდ, აწმყოშიც) როგორ იჩენს თავს იმავე მწერლობაში?

— თავს როგორ იჩენს მწერლობაშიო. მეკითხებით. მე მახსოვს თქვენი წერილი „ლამარას" შესახებ რუსთაველის თეატრში. „კლდეკარში" დაიბეჭდა. სწორედ ისევე იჩენს თავსა მწერლობაშიცა. მწერლობა და თეატრი რას გაუყვია. „ლამარა" მწერლობაა და თეატრი აღარ მიჰყვება მწერლობასა, ანთუ ემყარება და აღარც ემყარება მწერლობასა ანუ გამოიყენებს და გარდაჰქმნის, სრულიად გარდაჰქმნის, სრულ ტრანსფორმირებას ახდენს დედანისა. ოღონდ ვგონებ, რო არცთუ უკეთესობის ნიშნეულობითა. ნუ ვიქნებით კონსერვატორები, უკეთესი თვალით შევჰხედოთ. მაინც უკეთესად არ მეჩვენება. მე არ მეჩვენება. სხვამ თავისი თვითონ იცოდეს. ალბათ, მიისწრაფიან უკეთესისაკენა. ალბათა და რაღა თქმა უნდა, მაგრამ უარესში რო იხლართებიან, ამასაც უნდა დანახვაი. რაღა თქმა უნდა. თაობები იცვლება. ვეღარ ივლიან გატკეპნილი გზითა ახალი თაობანი. თუ რატომაო. ვთქვათ და დავეხსნათ ამ მსჯელობასა. ბოლშევიკებმაც ჰო აიხირეს: მოვშალოთ რკინიგზები ნიკოლოზისა, ყველაფერი უნდა მოვშალოთ, ძველი არ გვინდა აღარაფერიო. დროზე შეიკავეს თავი. უარესია ბოლშევიზმი ხელოვნებაში. ლიტერატურაში უარესია. მასკულტურა ბოლშევიზმია და თავშეკავება მართებს დროზედა. მით უფრო — მცირე ერს, პატარა ქვეყანასა მართებს. ევროპის ქვეყნებიც შეშფოთებულან, დიდი ქვეყნები. ჩვენ არ გვინდა არავის ჩამოვრჩეთ. ვიწელებით და ვიწელებით, ვიჭიმებით და ვიჭიმებით, ვიბერებით და ვიბერებით, ინტელექტი მოგვჭარბებია, ჰო, გვჯერა ჩვენი ინტელექტისა, გვჯერა და გვწამს!.. და გაგვაქვს და გაგვაქვს ახალი ბილიკები ლიტერატურაში, თეატრში, ფერწერაში, ეს-

ტრადაზე ჰო — ჰო და ჰოოოო!!!.. ეს მაინც მოგვკლავს, ესტრადა მაინც მოგვიღებს ბოლოსა, თუნდაც ყველაფერს რო გადავურჩეთ. ესტრადა სიმღერაა, სიმღერა სიტყვაა, მელოდიაა, ჰანგია, ჰანგიც სიტყვაა და მელოდიაცა და რო მოჰკლავ ჰანგსა, მელოდიას რო მოჰკლავ, სიტყვას მოჰკლავ. რაღა თქმა უნდა. მერე რიღათი გინდა იარსებო, რიღათი, რიღათი, რიღათი უნდა გეყუდნოდეს თავი შენი შენადა, რიღათი და რა უნდა იყვე?! თუ სულერთია, რაცთუ იქნები — მაშინ რაღა გვალაპარაკებს?! გლობალიზაციამ მოიცვა მსოფლიო და გლობალიზაცია აღშფოთებს მსოფლიოსა. ჩვენ რა ვართ ისეთი, მართლაც ისეთი რა ინტელექტი ჩაბუდებულა ჩვენს თავში, რო გავუძლოთ თუ ავჰყვეთ, რო გავუძლოთ ამ უკიდეგანო და უმძაფრეს შემოტეევასა?! მე მახსოვს ერთი ამერიკელი, ჩვენი სიმღერის გემო რო გაიგო: გაუფრთხილდით, ამას გაუფრთხილდითო. იხვეწებოდა. მე მესმის შიში, სიამაყეცა და შიშიცა, ანზორ ერქომაიშვილისა: აი, რა გაგვაჩნია, აი, სად გვიდგას გასაჭირიო. იგივე გვიდგას, იგივე გასაჭირი ლიტერატურაშიცა. თეატრშიცა. ცოტა ნუ გვგონია, დიალოგი რო დაიკარგა თეატრში, დიქცია რო დაიკარგა; ცოტა ნუ გვგონია, უცხოური სტილური კონსტრუქციები რო გაგვიმრავლდა მხატვრულ ლიტერატურაში, ჟარგონი რო მოგვეძალა, ჟურნალისტიკაზე არაფერს ვამბობ, ტელევიზიასა და პარლამენტზე აღარას ვამბობ, ლიტერატურაში-მეთქი, მხატვრულ ლიტერატურაში, სიუჟეტებიც რო უცხოური შემოგვერია, პერსონაჟები, გარემოი უცხოური, ბუნდოვანებანი იქაურივენი, ცოტა ნუ გვგონია. დიდი ქვეყნებიც ჰო შეაწუხა აღრეულობამა ესევითარმა, შეწუხება იმდენი არაფერი, უბედურობაა, რაც არის, უბედურობაა და ჩვენთვის ეს სწორედაც რო უბედურობაა. და უბედურობაა კიდევ უფრო იმიტომაცა, ყველაფერი ეს რო პირდაპირ კი არ შემოდის დასავლეთიდანა — არა, ისევ ისევე, ისევე იმგვარადვე — ისევ ჩრდილოეთის გზით რო შემოდის. დასავლეთს დაეწაფა დახაციცებული ახალგაზრდობაი ჩვენი, დასავლეთში გაცვივდა და გავლენებს მაინც იქიდანვე ჰკრებს, იქიდანვე, მიჩვეული და გამრუდებული გზებიდანვე. ვერ იქნა, ესეც ვერ მოიშალეს. ეს მაინც საერთო თუ ზოგადი მსჯელობაა, სჯობს რო სათითაოდ ველაპარაკებოდეთ ამ ჩვენს მოდერნ და პოსტმოდერნ ახალგაზდებსა, თითო თითოსა, ანთუ რამდენიმესა, ოღონდ ისე რო: ავუხსნათ ჩვენი თუ რისა გვეშინიან და გავუგოთ იმათაცა, თუ რისი იმედი აქვთ, თუ რას უქადიან ამ ჩვენს უბედურ ქვეყანასა — ლიტერატურა რო მხოლოდ ლიტერატურა არ არის, თეატრიც არ არის მხოლოდ თეატრი, სიმღერა რო მხოლოდ სიმღერა არ არის და ცეკვაც არ არის მხოლოდ რო ცეკვაი ბოლოს და ბოლოსა. დროა. დაგვიანებული თუ არ არის. რაღა თქმა უნდა.

— „... წამოიმართა, წამოიმართა და ავარდა ცაში, უეცრად ავარდა, ვიცოდით, ასე რო ატყორცნილიყო, რო განასახებდა დიად ზესწრაფვასა“... ემოციაც იმ სიმალლეებისკენ მიიწევს, მაგრამ მწერლისეული

(თუ რეალური) მოულოდნელობა და... ერთი მხიარული, ბედნიერი გასეირნების ნაცვლად უსაშველო უპასუხისმგებლობის, უსულგულობის, ნგრევის წინაშე აღმოვჩნდებით. ეს არა მგონია, „მოგონება" იყოს ამ სიტყვის ტრადიციული გააზრებით. მკითხველს შევახსენებ სათაურს: „კუმურდო". სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, სერგო ზაქარიაძე, ლევან ასათიანი და ავტორი — ოთარ ჩხეიძე ერთ დღეს კუმურდოს დასათვალიერებლად გასწევენ... ტკბებიან კიდეც მისი მშვენიერებით, მაგრამ მოულოდნელად თავსხმა წვიმა დასცხებს და თავის შესაფარებლად ეკლესიაში შეცვივდებიან, მაგრამ „... შიგნით შევცვივდით და რაღას შევცვივდით, შიგნითაც რო ისევე ასხამდა, ისევ ისე უბედურადა, როგორც რო გარეთა, მორღვეულიყო თითქოს ყველაფერი, მორღვეულიყო ცაი თითქოსა, მორღვეულიყო და როგორც გვეგონა, მაშინა, ცხადია, არც გამთელდებოდა თითქოს აღარასდროსა; ანთუ ცა რაო, ჯანდაბას ცაი, გუმბათი რო მორღვეულიყო, ჩამოქცეულიყო ერთპირიანადა..."

ძეგლი — არა წარსულის გაყინული ცნება და ეპოქის ნიშანი;

ძეგლი — რას ნიშნავს (რა არის) ის თქვენთვის?

— ძეგლი სალოცავია. რაღა თქმა უნდა. კერპებიც სალოცავი გახლდა. ტაძრებიცა. დრონი რო შეცვლილან, დაუნგრევიათ კერპებიცა. ტაძრებიცა. ტაძრებს მაინც გაუძლია. პირამიდებს ჰო გაუძლია და გაუძლია. ჩვენში ისევ ტაძრებს აგებენ, კერპომანიამ რო გადაიარა. სალოცავადა ისევ ისევე. დაბრუნებული დამოუკიდებლობის სალოცავადაცა. თითქოს რო შეჭირვებულა ხალხი, თითქოს რო აღარც აღარაფერი აღარ აფიქრებს საკუთარი თავის გადარჩენის გარდაო, მაგრამ ფეთქავს მაინცა რწმენაი შინაგანი, ღრმადა ფეთქავს, ძალუმადა ფეთქავს და ძეგლიც ის არის, გამოხატულებაა იმისა. წარსულის ძეგლები თვალნათელი ისტორიაა, აბმული ჯაჭვია ჩვენი ცხოვრებისა. სხვაგვარადაც ითქმის. ბევრგვარად ითქმის. აქ ერთი ძეგლის ამბავიც მაგონდება — ქართვლის დედისა — შუაგულ თბილისს რო დასცქერის ნარიყალას ქედიდანა: ამაყი, ძლიერი, მახვილით ხელში. ღვინის თასითაცა. შთამბეჭდავია — არა?! ახლაც ისევე შთამბეჭდავია. მაშინ აღტაცება გამოიწვია. როცა აღიმართა. რაღა თქმა უნდა. აღტაცებაც გამოიწვია, შურიცა მძაფრი. აღტაცებაი — ხალხში, შური — ხელოვანთა შორისა, მოქანდაკეებში პირველყოვლისა, მერე დანარჩენთა შორისაცა, დანარჩენ ხელოვანთა, მწერალთა ნაწილიც რო არ გამოიტოვება. ეს ის ნაწილია, ყველასი ერთადა, მწერალთა თუ ხელოვანთა, ვინც დაიჯერა სოციალისტური რეალიზმი, დაიჯერა და შეალია რო ძალ-ღონეცა. შურმა დრო იხელთა, ლენინის ძეგლი რო წამოჭიმეს თავისუფლების მოედანზედა, დრო იხელთა და გამძვინვარდა: აი, შეჰხედეთ, როგორ შემართულა მახვილი, ლენინს რო თავი წააცალოსო. გეღიმებათ. რაღა თქმა უნდა. ახლა ეს კომიზმის კატეგორიას მიეკუთვნება, მაშინ დრამატიზმი გახლდა, ტრაგიზმი თუ არა. ქართვლის დედა მაინც გადარჩა. თუ რო-

გორ გადარჩა, მოგვითხრობს ავტორი ძეგლისა — ელგუჯა ამაშუკელი წიგნში „დრო და შემოქმედი“, 2000 წელს რო გამოიცა. წიგნი კრებულია წერილებისა. ეს მონათხრობი დათარიღებულია 1984 წლითა. მანამდე საიდუმლოდ უტარებია აწ განსვენებულ ჩინებულ ხელოვანსა. აღარც რო საიდუმლო აღარ გახლდა, გამოხატულიყო რო უკვე „ლანდებში“, ჩემს რომანში, როგორც კომიზმიცა და როგორც ტრაგიზმიცა დროისა, კომიზმი სოცრეალიზმისა, ტრაგიზმი — სიახლის მაძიებელთა ხელოვნებაში. „ლანდები“ დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ 1968 წელსა. ისე ჩაიარა, სოცრეალიზმის თეორეტიკოსებიც რო არ გამოჰკიდებიან. აქ ყური მოუყრუა ბესარიონ ჟღენტმაცა. აქ ყური მოუყრუა, მოსკოვში იცავდა და თავგამოდებითაც იცავდა, მთარგმნელი როგორც რო მატყობინებდა.

— თქვენ, როგორც იტყვიან, იმდენად „უხვხელიანი“ მწერალი ბრძანდებით, მაინტერესებს, რამდენიმე ტექსტზე ერთდროულად მუშაობთ, თუ ერთს ამოწურავთ და მერე-ღა იწყებთ მეორეს?

— ისევ ბესარიონ ჟღენტი მომაგონეთ.

მოხდა ისე, რო: 1968 წელს ჩემი ორი რომანი დაიბეჭდა ერთდროულადა. „აღმართ-დაღმართი“ — „ცისკარში“, „ლანდები“ — „მნათობში“. ყოველი წლის შემდგომ „კომუნისტი“ ბეჭდავდა ვრცელ მიმოხილვას ბესარიონ ჟღენტისა. იმართებოდა პლენუმი მწერალთა კავშირისა გასული ლიტერატურული პროდუქციის შესაჯამებლადა. რიგი იდგა ტრიბუნასთანა ალესილი მწერლებისა. გაჰქონდათ და გამოჰქონდათ. გამოჰქონდათ. გამოჰქონდათ თუ რამ გამორჩენოდა ცენზურასა, კრიტიკოსებსაც თუ რამ გამორჩენოდათ. იმხანად პლენუმი არ გამართულა. ბესარიონ ჟღენტს მაინც არ უღალატნია თავისი ჩვეულებისა თუ მოვალეობისათვისა, მიმოიხილა რო ყველაფერი თავის „საკომუნისტო“ წერილშია, ორიოდე სიტყვა გაიმეტა ამ ორივე რომანისთვისაცა. და აი, თუ რა გაიმეტა: ერთი და იმავე ავტორის ორი რომანი დაიბეჭდა ერთდროულად შარშანდელ ჟურნალებშიო. ოღონდაო, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს რო ერთდროულადა წერდა ავტორი ორივე რომანსაო. არაო. სხვადასხვა დროს დაწერდა, მხოლოდ დაბეჭდვით დაიბეჭდებოდა ერთდროულადაო. ეს იყო და ესა. რამდენი სიმკაცრე — თუ არ ვიტყვი, სიავე, მომაგონდებოდა ბესარიონ ჟღენტისაგანა პირადად ჩემდამი, სხვებისადმი, საერთოდ, ქართული ლიტერატურისადმი, ოღონდ იმჯერად მადლობელი ვიყავი იმისი, იმისი ტაქტისა, თავდაჭერილობისა იმისი, მეტი რო არაფერი არა თქვა. ცოტა მეტი ან თუნდაც პლენუმი რო გამართულიყო?! ვინ სად გაექცეოდა სოცრეალიზმის მწერლობასა ან რაღა შეაკავებდა თვით ბესარიონ ჟღენტსა?! არა. ზედმეტი ზედმეტია. რაცთუ შენიშნა, მართალი ბრძანდებოდა: დაიწერა სხვადასხვა დროსა. რაღა თქმა უნდა. დაიბეჭდა ერთდროულადა. თვითეულს თავისი ისტორია გადახდა, თავისი და თავისებური. უჭირდათ ბეჭდვაი

ჩემი ნაწერებისა. სხვებს ოღონდ მიეტანათ, მელან შეუშრობელს უბუ-ცებდნენ თავსა სტამბაშია. შორს წაგვიყვანს. ისედაც შორს მოვუარე. შეკითხვას ავჰყევი. პირდაპირი პასუხი არ უნდა იყოს არც ისე ვრცელი: არა. ერთდროულად არა ვწერ სხვადასხვა ნაწარმოებსა. მოკითხვის ბა-რათისათვის არ გავწევ ხელსა, რომანს თუ ვუზივარ. ფიქრით კი ვფიქ-რობ, რამდენიმე სიუჟეტზედაცა ვფიქრობ ერთდროულადა. ზოგს თუ არ გავუშვებ ხელიდანა, ზოგი დამშორდება და ველარც დავეწევი, ზოგი არც მეშვება და ვერც მომიკიდია ხელი.

— ვფიქრობ, სათაურს დიდ, სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებთ. შესაბამისად, ისინი ფრიად მეტყველია: „უშრეტი თვალი", „მოზარე გმირთა ვარამისა", „ბურუსი", „რა გადაარჩენს საქართველოს", „არ-ტისტული გადატრიალება", „ბერმუდის სამკუთხედი"...

აი, ეს „ბერმუდის სამკუთხედი" — ერთ ვარაუდად შეიძლება დავუშ-ვათ: საიდუმლო, რომლის ახსნა კაცობრიობამ ვერ შეძლო.

„ბერმუდის სამკუთხედი" — სადაც უჩინარდება (თუ ნადგურდება) ყველაფერი, რაც მის არეალში მოხვდება. ეს მეორე.

„ბერმუდის სამკუთხედი" — რომელიც გეოგრაფიულად ერთ კონ-კრეტულ სივრცეში არსებობს, მაგრამ რას მოიცავს თავად, ყოვლად გა-ურკვეველია. ესეც მესამე.

თქვენ როგორ ახსნიდით? საინტერესოა თქვენეული დამოკიდებუ-ლება: ბერმუდის სამკუთხედში მოქცეული XX საუკუნის მიწურულის საქართველო.

— XX საუკუნის მიწურულს ჰო გადავურჩით?.. დაიწყო მესამე ათას-წლეული. განსაკუთრებით საშიში იარაღის აღკვეთისათვის ბრძოლით დაიწყო. ბაღდადიო. ფხენიანიო. პირველი ცდებია. და თუ განაიარაღეს მოსკოვიცა, მსოფლიოს ეშველება. მსოფლიოსა. კავკასიასა. საქარ-თველოსაცა. რაღა თქმა უნდა. ჯერ კიდევ რომანოვების რუსეთმა რო მოინდომა დაშლაი საქართველოსი, შეეცადა განკერძოებასა სამეგრე-ლოსი სოხუმის ირგვლივა. არ გამოუვიდა. კომუნისტურმა რუსეთმა სამი ავტონომია ჩადო საქართველოში საქართველოს დასანგრევადა: სოხუმი-ბათუმი-ცხინვალი. სამი კუთხე. ისევ იმას ებღაუჭება. იმიტო-მაც მოშალა ავტონომიები გამსახურდიამა... ისევ აღადგინეს და ებღა-უჭება ისევ ისევე. რაც უნდა გვეშველოს, ეს მაინც გასტანს, კარგახანს გასტანს და კაი გვარიანი ღონისძიებანიც დასჭირდება. სათაურიო. სა-თაურია გასაღები ნაწარმოებისა. გულმოდგინე შერჩევა უნდა. შერჩეუ-ლი გასაღები უნდა უბოძო მკითხველსა, რომანში ისე ვერ შეაბიჯებს, რასაც ჩამოთვლით, ვითვალისწინებდი მაგ პირობებსა. რაღა თქმა უნ-და. ვითვალისწინებდი რაც რამა თქმულა თუ დაწერილა. მომიხერხდა მენახა ამერიკული დოკუმენტური ფილმიცა ბერმუდის სამკუთხედის შესახება. ჩავუჯექი სამკუთხედის თეორიასაცა ისე, რო: ვინც რო სა-თანადო ლიტერატურით მამარაგებდა, მეხუმრებოდა ხოლმე — ემანდ

კათედრაც არ ჩამომართვაო. რომანი მაინც დავამთავრე ისე, ერთი ციტატაც რო არ გამომიყენებია. ოღონდ და მაინც ევკლიდეს ზემოქმედებას მაინც განვიცდიდი, სულ ის მახსოვდა თუ მელანდებოდა — იმისი სამკუთხედები, მართკუთხედები... აქსიომები... წერტილები. წრფეები. სიბრტყეები... ევკლიდეს სივრცე... და რაც უნდა იყოს: ჩვენი ისტორია, სრული ისტორია დაწყიდაბადებიდან აგერ, აქამომდე ბერმუდული ბედისწერაა — ვიღრჩობით და ვიღრჩობით და ვიღრჩობით და... მაინც სულს ვითქვამთ.

— ერთ წერილში („სამშობლო ჯეიმზ ჯოისისა") მწერლის ადრინდელი რომანიდან „პორტრეტი ხელოვანის სიჭაბუკისა" ამ დიალოგს იხსენებთ — დევინი სტივ დედალუსს ეუბნება: „ადამიანისათვის სამშობლოა უპირველესი სალოცავი. ჯერ ირლანდია, სტივი, მერე შეგიძლიან იყვე, რაც გინდა, გინდა პოეტი და გინდა მისტიკოსი". „მერე და, იცი რა არის ეგ შენი ირლანდია? — ჰკითხავს სტივენი ცივადა, მძაფრადა, — ირლანდიაა ბებერი დედაღორი, თავისივე გოჭებს რო თქვლეფავს". ამ სიტყვებს თქვენი განმარტება მოჰყვება: „ესაა პასუხი განრისხებული ჭაბუკისა..." ამ დიალოგს რომ ვკითხულობდი, ტიციანის სტრიქონები გამახსენდა: „მუხრანის ხიდზე დასახრჩობათ კიდევ დავდგებით. საქართველოში ცხოვრება ხომ — თვითმკვლელობაა. ამიტომ გვიყვარს საქართველო ჩვენ თავდადებით, ამიტომ მოგვწოვს და შეგვინდობს ჩვენ ეს ობობა".

ეს სასოწარკვეთილის ნათქვამი მგონია.

არც კი ვიცი, რატომ შემოვინახე ეს ამბავი ბოლოს. მართალი გითხრათ, არ მინდა, ჩვენი საუბარი არც „იმ" და არც „ამ" ემოციით თუ განწყობით დავასრულოთ.

მინდა, ქართველმა მწერალმა მიმართოთ ქვეყანას, ერს, ბერს... რის თქმას ისურვებდით ახლა, ამ წუთს, ასე სახელდახელოდ?

— დიდი რამ სხვაობაც არ ითქმის ამათ შორისა — ჯეიმს ჯოისისა და ტიციან ტაბიძის შედარებათა შორისა. შინაარსობრივად არა, ესთეტიკურად შეიძლება. ისიც იმიტომა: ერთი რო ეპიკოსია, მეორე ლირიკოსი. აზრი არ იცვლება მაინცა. ესთეტიზმი მკრთალდება სინამდვილის წინაშე. ორივე სიმკაცრეს გვიხატავს სამშობლოსი, სიმკაცრესა და ულმობელობასა — საუკეთესო შვილები რო უნდა შეინიროს, უსათუოდ საუკეთესო შვილები. შესაძლოა, ვინმემ იფიქროს კიდევაცა ერთიმეორისაგან გადაუღიათო. არადა, სხვაგვარად ვერ გამოჰხატავდა ვერც რო რომანისტი ირლანდიისა, პოეტიც ვერა საქართველოსი, ერთგვარი უღელი რო დაედგა ბედისწერასა ორივესათვისა — ირლანდიისათვისაცა, საქართველოსათვისაცა. ერთგვარი უღელი, იგივე უღელი, ოღონდ ცოტა განსხვავებულიცა: ცივილიზებული მეხრე რო მიერეკებოდა ირლანდიასა, ხოლო საქართველოს — მოკლებული ცივილიზაციასა. რაც უნდა იყოს, წარსულად ჩავთვალოთ. ილიაც ჰო გვირჩევდა: მოვიკლათ

წარსულ დროებზე დარდიო. მოვიკლათ!.. დროა!.. და თუ კიდევ რაიმე გვაეჭვებს, შიში თუ გვიპყრობს გაუნელებელი: თუ საქართველოს არ უწერია აღდგომაი მკვდრეთითა, დაე, დაინთქას ყოველივე და ყველაფერი თუნდაც ახლავე, ჰო — ახლავე, მაინც, ვითომ რა ბედენაა კიდევ რამდენ ხანს თუ იარსებებს პლანეტაი ესე — დედამიწა რო დარქმევია, მაინც ოდესმე ჰო უნდა დაინთქას ამა წარმოუდგენელ უკიდეგანობაში, უსივრცეო სივრცეში, უდროო დროში, მარადისობაში ამ გასაოცარში, მარადისობა რო არ უწერია არც არაფერსა. სადღა თუ როდის ვიღა შეევედროს ვიღასა: გვიამბე ელიზბარაო, რა ამბავ მოჰხდა ეღოსა... ან ელიზბარა სადღა?!

2003 წელი

კობა ჯუღაი

ჩოკა შნის ნაჩუბს ჩუკაკენ

მზე შუბისტარზე დგას. თბილისური ზაფხულია. ბაბანაქება. როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, იწვის ქვეყნიერება. ალმური ასდის სახლის სახურავებს, ასფალტს. მოღვენთილია მიდამო. ადამიანებსაც მორღვეული გამოხედვა აქვთ. დუნედ მოძრაობენ. ერთი შეხედვით, სრულიად გულგრილად. ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ ახალისებული სამყარო, ესლა გარინდებულა. სიცოცხლის ხმიკი არ ერთის. დროც გაჩერებულა თითქოს.

ზარი დავრეკე. ჭიშკართან გვანცა გამომეგება. მიმიბატიჟა. ის იყო, მამასთან შეხმიანებას აპირებდა და...

— მობრძანდით, ბატონო, — თავისი ჩვეული ღიმილით მომეგება მხატვარი. მიგვიწვია.

სამივენი სახელოსნოში შევედით. საოცრად გრილა. ირგვლივ კედლებზე უმშვენიერესი ჭედური ნამუშევრებია: ძარღვმაგარი, ძლიერი, ქართული. შემოგვცქერიან მათთვის ნიშნეული კეთილი ღიმილითა და გრძელი, ნუშისთდენა თვალებით. ასევე, ყოველ კუთხესთან ერთმანეთთან მიჯრით მიწყობილი არაერთი სურათია მიყუდებული. დიდია მათი რიცხვი. აღარ ეტევა სახელოსნოში. ზომითაც სხვადასხვაგვარია: ზოგი დიდრონი, ზოგიც შედარებით მცირე, მაგრამ უზარმაზარი მნიშვნელობის დამტვენელი. შრომატევადი საქმე — ჭედურობა — იშვიათი, უზომო ლაზათით. ერთი მათგანი ჯერ კიდევ დაუმთავრებელია. სწორედ მასთან ტრიალებდა ჩემს მოსვლამდე ოსტატი. ეს ქაშუეთის ეკლესიის მომავალი კარებია: სამ—სამი წმინდა გიორგი — თეთრი და შავი, გვირგვინში — მაცხოვარი. თითოეულ მათგანს მიხსნის, მის რელიგიურ და სიმბოლურ დანიშნულებას. ელოლიავება ყოველ ხაზს, რომელიც ნაკვთად ჩამოქნილა.

სამუშაო მაგიდასთან ვბრუნდებით. ასე უფრთ თავისუფლად გრძნობს თავს. არც უამისობაა. ირგვლივ ხელსაწყოები. ათასჯერ ხელშენაგლები, სულ ახლახანსაც ხომ მათით ასრულებდა ნახატს. ვიწყებთ საუბარს. რასაკვირველია, ის რამდენიმე კითხვა წინასწარ მაქვს შერჩეული, მაგრამ

ამ შემთხვევაში უკვე ხელოვნურია. მტვრიანი ქალაქიდან აქ შემოსულმა შეუძლებელია, წინასწარ გამზადებული კითხვარი მოიმარჯვოს. არაბუნებრივი იქნება. ეს კი სრულიად არ მინდა. მეც ამ ნამუშევრის შთაბეჭდილებით ვარ მოცული. სხვები არაერთხელ მინახავს, მაგრამ დღეს სრულიად სხვაა და ამადაც ვამბობ: დავემორჩილოთ იმ განწყობას, რაც დაგვუფლებია.

—სიტუაციას, სიტუაციას...

— და მაშინ აი, ამას ვკითხავდით ბირველად: კონსტანტინე გამსახურდიას ტეტრალოგიაში „დავით აღმაშენებელი“ ერთი ასეთი ეპიზოდია: ნიანია ბაკურიანი და მარიამ დედოფალი უახლოვდება მანგანის სასახლეს. დიახ, ქუჩაში სახითაა გამართული დიახ, ერთ-ერთი მსახიობი, რომელიც ვირის როლს ასრულებს, ყროყინს ამოუშვებს ხორხიდან. ნიანიამ ბევრი იცინათ ამ ყროყინის გაგონებაზე. მარიამმა თდნავ გაიღიმა და ესდა უთხრა რაინდს: ღვთის მიბაძვაა, გეთაყვანე, ძნელი, თორემ სახედრის წაბაძვას ყოველთვის მოახერხებსთ კაცი. იცით, მერე წავიკითხე, ბატონი ზვიადის დაკვირვების შესახებ — სახება და მსგავსება, და ეს განსხვავება წმინდა თეოლოგიურია. დიახ, სახე არის ის, რაიც ღმერთმა თავად მისცა კაცს, „სახიდ თვისა“ შექმნა. მსგავსება კი მან თავად უნდა დაამსახუროს დიახ ქართულ მწერლობაში ეს ძალიან გლთბალური და დიდია; ბათას ათქმევინებს დემნა შენგელაია: ამას რაფერ ვირწმუნებდი, ამ შეჩვენებულის სახე რომ აქვს მაგ ღმერთს, ამის რწმუნება რაფერ შემიძლია, ამას რომ ჰგავს, საბალიასთ. როგორაა ეს თქვენთვის, უფრთ სწორად, რას ნიშნავს თქვენთვის რელიგია... შემოქმედი სამყაროისა თქვენთვის?

— ჰო, ეს...

— ჰთ, მართალია, ეს ძალიან ფართთა.

— არა, ძალიან ლოგიკური და ძალიან კონკრეტულიც არის.

— მინდა, ამით დავიწყოთ...

— თუ ჩვენ ავხსნით იმ დიდი საუბრიდან, მარიამის და დიდი ოსტატის პატრონისაგან მოტანილი იმ სცენიდან, ეს სხვაა, ეს დეტალურად თავის ამბავში ხსნის თავის თავს, მოაქვს თავის თავი, პრობლემა და გამძლეა მარადისობისა; და ჩვენ — უბრალოდ რელიგია, როგორც ასეთი. რა არის თვითონ რელიგია? თქვენ მეკითხებით: ჩემთვის რა არის რელიგია. მე გიპასუხებთ: როგორც ყველასთვის, ჩვენთაგანისთვის სწავლებით მო-

ტანილი რაღაც კომპლექსი სარწმუნოებრივ, რწმენითი პოზიცია რაღაც ეს ერთი, მაგრამ რადგან ჩვენ ხელთა გვაქვს განგებით თვითონ სიტყვა „რელიგიის“ კონსტრუქცია, სიტყვა „რელიგიის“ ტვირთი. რა მოაქვს მას მილიონ წლებში? იქიდან პასუხი ჩემთვის უმარტივესია. რე-ლი-გი-ა, რე-ლი-გან-ია, რაე, ენ, ლას, გან, ია იტევს. ეს ტვირთი იმ მოდელით, რა მოდელითაც ქართულმა იცის თავისი ანბანთწყობა, ანბანის ხმარების წესი, ა — თავის ადგილზე გამოთქმად, ბგერა ა, ბე — თავის ადგილზე ბ გამოთქმა და ასე შემდეგ. მაგრამ იქავე იცის: ა-ს პქვია ანი, ბ-ს პქვია ბანი, გ-ს განი და ასე შემდეგ. მე თუ სიტყვის საიდუმლო ვიცი, რომ სიტყვაში ჩაჭირხნილი არის საგნის იდუმალი კოდი და ბგერები არის აღწერა იმ საგნისა, რაც სიტყვაშია ჩადებული, მაშინ მე ვიცი გასაღები ენათ დიდი საუბრისა, მეტყველება პირდაპირ ღვთიურ კავშირში, ღვთიურ კონტაქტში. მაშინ მე შემიძლია თავისუფლად ამოვხსნა: რ-ს მაგივრად ჩავსვა რაე, ე-ს მაგივრად ჩავსვა ენ, ლ-ს მაგივრად ჩავსვა ლას და მივიღებთ პირდაპირ მოთხრობას. სიტყვა არის ღვთიური მადლით მოთხრობა საგანზე, ნოველა საგანზე, პოემა საგანზე, რომანი საგანზე და რაც გნებავთ, რაც, მთელი ტომები რომ დასჭირდება, დიდ მწერალსაც კი სქელტანიანი ტომი დასჭირდება აღწერისათვის. სიტყვას ის მოაქვს ძალიან მოკვართული, ჩოხასავით შემოსხეპილი უზედმეტნაკლებო ღონიერებით. ამიტომ რელიგია ჩემთვის არის ის, რაც მზერა, ცეცხლოვანი რა-მზე, რომ თავისთავში დაირღვა თავის მოპირისპირე მამ-რი სიგრილესთან. ეს ცეცხლია, ის ყინული ურთიერთობაში და რგო დედამიწის ზედაპირზე, განზე განიერებაზე, ია სიცოცხლე. აი, იმის თავმოყრა ერთად იხვის ჭუჭულებივით, ჩახუტება გულში და მის მიმართ ლტოლვილი შეცნებული, შემეცნეული მართალი სიყვარული არის ჩემი რელიგია. სიცოცხლის კრებითობის სათავიდან, მის განშლის წერტილამდე და დედამიწაზე გაშლილი ეს სიცოცხლე აღებული მთლიანობაში. არა ცალ-ცალკე, არამედ მთლიანობაში როგორც რე-ლი-ჰგია. ჰგია დედამიწაზე მზის ნაშალი სიცოცხლე. ის ყოველი ერთეული, რაც მზის წილია არის მამალ-დედალი წილი, ინ-ური წილი და ან-ური წილი და არის ენა სიცოცხლისა. ორივე იქნება ენა. ე-ში ჩატეულია ი და ა. ი და ა—ს მთლიანობა არის ო. ო-ში ჩატეულია ყველა მოცულობა უ-წიაღი. უ-წიაღში არის ინ-ი და ან-ი. ინის და ანის უღლებით იშვება ენი და ენ არის სიცოცხლე, რომელიც რელიგიაში, ენაში, ერთარსებაში, სამებით

შექმნილ ერთარსებაში ტევს გასაგისს გონისმიერ აღქმადს და სულისმიერ ფოფინს, რომ მიუახლოვდეს დამბადებელს და მისგან მოტანილი ბგერით ახსნას სამყარო და ელაბარაკოს მას პირდაპირ კონტაქტში. მაგრამ თუ ეს არ იცის, იგი მოიხმარს ენას, როგორც ყოველდღიურ, საყველპურო სახმარისს და ამ საყველპურო სახმარისში არ იცის მან, რომ მაინც ელაპარაკება ღმერთს, დამბადებელს. ოღონდ თვითონ შეუმეცნებელი. თვითონ გაუაზრებელი, მაგრამ თუ ის რჯულის წესს აასრულებს, მაინც იდგება კანონიკურ დოგმაში ღმერთთან, დამბადებელთან და მაინც მართალი იქნება. ის არ იქნება გაწირული. თუ მოინდომებს, ცოდნით შევიდეს უფალთან და იყოს მართალი ცოდნით, მაშინ მას ეს გარანტიები აქვს, უწყვია და დღეს, ათასწლეულის ბოლოს ეს გარანტიები ყოველი მოკვდავისათვის საუკვდავოდ იარაღად, საუკვდავო ძალად ხელგახსნილია. რადგან უფალი უმდიდრესი და უგულუხვესია. და გვაძლევს ყოველთა მათ ჩვენთა, რაც მისცა ერთ კაცს. აი, ეს არის ჩემთვის რელიგია და არა ის, რომელიმე უდიადეს ქვის თუ ხის ტაძარში ჩასახლებული ცხოველური ნების ადამიანთა ჯოგი, რომელიც გამოწოვს ყოველგვარ ღონიერებას თავის ეროვნულს თუ სხვის ეროვნულს და მერე თავს დაისაკუთრებს სახელად, რომ მე ვარ რელიგიის მსახური, მე ვარ რელიგია, მე ვარ კანონიკა. არ არსებობს სხვა კანონიკა, გარდა უდიადესი შემოქმედის კანონიკისა. მასთან, ვინც ჭეშმარიტში ვერ გადის, ის ბლეფია, XX საუკუნის ენით რომ ვთქვათ. ის მატყუარა ცრუპენტელაა, გასკდომამდე მაძღარი თავისიანის სისხლით. მას მოკლედ, ტკიპა ჰქვია, ან წურბელა.

ეს არის ჩემთვის რელიგია და თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ სულისმიერი ხილვა, ანუ სულისმიერი ყობადი სიცოცხლე არის მარადისობა, ხორცისმიერი — წუთისოფლური, მაშინ გამოკვეთილად იქნება ჩემთვის რელიგია, როგორც მარადიულისკენ მილტოლვის, მარადიულის ამოცნობის, მარადიულის გაგების უდიადესი აქტი არის ერთ ენა სიცოცხლეში. და ის არის დიადი კარები იყოს წუთიერებაში, მატერიაში იდგეს და მარადისობის კავშირში იყოს. მარადისობის იქით შემოქმედი წუთისა და მარადისობისა თქვენთან იყოს თანაალმობაში. ეს არის ჩემთვის რელიგია. დანარჩენი რელიგიები, რომელიც ვიღაცას პოლიტიკური მრწამსით, ვიღაცას ცხოველური დაპყრობითი ნებით თუ რაღაც სხვანაირი სექსუალურ თუ უქსუალური აგზნებობის შესატყვის ფორმებში შეფარულად ეგულვება, ჩემთვის ის რელიგია ვერ იქნება, თუმცა აუცილებელი იქნება როგორც

ასაკობრივი ნიშანი ამა თუ იმ საზოგადოებისა, ამა თუ იმ გენეტიკური ერთეულისა და ჩემთვის ისიც მისაღები და საყვარელი იქნება; ოღონდ ჩემ თავზე მოხვეულობისათვის კი არა, არამედ როგორც ასეთი, ბუნების ღვთიური დაშვებულობის ასაკი. აი, ასე იქნება. ამიტომ ჩვენ გაგებაში რელიგია, სხვის რელიგიას არ ეწინააღმდეგება, ანუ არც უარჰყოფს და არც შეურაცხყოფს, აღიარებს მას, როგორც ისეთს, როგორიც ის არის. როგორც ასეთს კი არა, როგორც ისეთს. და თუ ის ისეთი ეცდება, რომ ჩემზე ასეთად გახდომის... მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ არა დაისვა ტილი ფეხთა ზედა, რამეთუ აი, დასვამ ტილს და აგაღოღდება თავზე. კეთილი ინებოს და აიღოღოს, მაგრამ ცოტა ძნელია. თუ ჩვენ მოდელი გვაქვს, რომ არა დაუყარო მარგალიტი ღორთა ფერხთა ქვეშე, არა დაისვა ტილი ფეხზე — ესეც მივამატოთ. და იქვე მივამატოთ: არა კაც ჰკლა, მაგრამ არაკაც ჰკლა.

— როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა ცხოვრებისეულ შემთხვევებს მნიშვნელოვანი გავლენა პიროვნების შემდგომ ბედზე. შემოქმედიდან, მოდით, თქვენ შემოქმედებაზე გადავიდეთ. თქვენ როგორ დაიწყეთ?

— ღმერთო ძლიერო, რაც მკითხეთ — შემთხვევითი მოვლენები. ჯერ იმას ვუპასუხოთ! მამა, შემთხვევითი მოვლენები არ არსებობს! მე და თქვენ 70 წელიწადი გვაწამეს ურწმუნოების, ანუ ღმერთთან დაშორებულობის, სივრცეში და დროში და აი, იქ გვასწავლეს, რომ შემთხვევითია ყველაფერი, თორემ კანონზომიერება მხოლოდ კომუნისტებს შეუძლიათ დაამყარონ და ჩვენ არ დაველოდებით ბუნების წყალობას, ჩვენ მას წავართმევთ ძალით მას და რასაც მივიღებთ, ცოტა ხანს მოიცდი და მერე ვნახავ შედეგს და ვნახეთ ეს შედეგი. მაგრამ თუ დავუბრუნდებით თავის თავში, ანუ ღმერთში, თუ დავუბრუნდებით თავის ლოკოკინაში ანუ რუსულად скарлупа რომ ჰქვია, თავის ტაძარში. არ მინდა, ტაძარი რომ ვახსენო. ეს ყველა გზა, სულყველა ტაძრისკენ რომ მიდისო, ვიღაცეებს რომ გაუჩნდათ ტვინში ისეთი ავადმყოფური ფორმა. ნაჭუჭში, თავის ნაჭუჭში, თავის ტაძარში კიდევ ისე. არა, თავის სახლში, თავის კანში თუ დავბრუნდებით უკიდურესად და გამოკვეთილად იქიდან იწყება ჩვენი პიროვნული მდგრადობა შეგროვებული. თქვენ იცით, დედა რომ ყველს ამოყვანას დაუპირებს — იყო რძის დიდებული მასა, სითხე თხიერი. მას არაფერი ეტყობოდა სიმკვრივის და რაღაც წვეთი ჩააგდეს დამკვეთი მაჭიკისა და ცოტა ხანში დაიწყება შედედება და თქვენ ნახავთ

სიცოცხლის სასწაულს. ერთი მდგომარეობა გარდაიქმნება მეორე მდგომარეობაში და იწყება ყველის ამოყვანა. აი, ის პლაზმა, რაც ამოდის ყველად, წარმოიდგინეთ, ის არის სამყაროს სიცოცხლის პლაზმა. ისეთია ზუსტად უხილავში, რაც მოეძლევა მერე ადამიანს და ის, რომ შემთხვევითობები თუ გარდუვალობები ღვთიური მადლი და ნება არის. სამყარო ღვთისთვის მთლიანია და იქ, მისთვის შემთხვევითი არაფერი არ არის. როგორც ყველის იმ ქსოვილში ყოველი ერთეული სეგმენტი არის შემადგენელი ყველისა და თუ გამოაკლებთ, ის ხარისხი არ იქნება ყველის. ასევე, ყოველი ჩვენგანის ერთეულყოფნა სამყაროს მთლიანობაში, ყოველი მოვლენის მერე ამ ერთეულთა შეხების, არშეხების და ამგვარი, ეს არის ისეთივე ზუსტი და მარადული გამოთვლილი და კონკრეტულ-კანონზომიერი, როგორც ყოველი მე და თქვენი კომკავშირის კრებაზე წასვლა ან არწასვლა იყო თავის დროზე. მიგებთ? უხეშად რომ ვთქვათ; ბუნებაში გარდუვალობის დიდი კანონი მუშაობს. არავითარი ალბათობის კანონი არ მუშაობს, მუშაობს უთუობის კანონი. უთუოდ არის ის ისე, როგორც მოხდა. მზამზარეული მატერია, კოტორა მატერიაა. კოტორა მატერია მატერიალისტების დიდი სასურველი საგანია. მათ სჭირდებათ კარადა — უნდა გააკეთონ. კარადა არა, „შკაფი". მატერიალისტმა „შკაფი" უნდა გააკეთოს, „ტაბურეტკა" უნდა გააკეთოს. მას სჭირდება ეს და საგანი, ფიცარი სჭირდება. ხედავს, ათასწლიანი მუხა დგას, კარგი ტანი აქვს. მოიტანს „დრუჟბა" ხერხს და გამოხერხავს ამ ტანს და დაარღვევს სამყარო დიად კავშირს. აი, ზევით, კორომი ცაში რომ იყო, „აღაგო ტანი თვისი", იმას ჩამოაქცევს ძირს და ასეთივე კორომი, შებრუნებული, მიწაში რომ იყო წასული, იმას მოუსპობს ციდან მიღების გარანტიას და დაარღვია უდიადესი ჰარმონია და არ იცის, რომ ცოდვილია. აი, იქ რომელ შემთხვევითობაზეა ლაპარაკი. ეს შემთხვევითობა არის სწორედ ის აქტი, რომელიც აღიარებს შემთხვევითობებს, თვითონაა ის. აი, ეს თავისთავ ამღიარებელი შემთხვევითობა, მერე მოგვახვევს მე და თქვენ თავის გაკეთებულ კარადას, როგორც ღვთიურ საგანს, „შკაფს", როგორც „ღვთიურ შკაფს" და არა კიდობანს. გამიგეთ? და მათგან მოტანილი სწავლება დიდხანს ვერ გაძლებს. აი, ეს დიდხანს ვერ გაძლებაც არის არაშემთხვევითი.

სამოცდაათი წელი ვიცხოვრეთ ჩვენ ამ აუხსნელ შემთხვევითობების ლაბირინთში და ღვთის განგებით გასრულდება ექვს წელიწადში ის

დრო. უკვე ნიშანი იქიდან, მარადისობის ნიშანი შემოსულია და ნათელი ფოფინებს ჩვენში და ის გვალაპარაკებს მე და თქვენ აქ. თორემ ათიოდე წლის წინ ჩემ ოჯახში ამაზე სიტყვის ხმამაღლა გაღება არ შეიძლებოდა და რასაც მოგვიტანდა ის, შენმა მეგობარმა გვანცამაც კარგად გამოსცადა, დედამისმაც, მისმა დამ, მე და სუყველამ... მაგრამ ხო, ეს სხვა თემაა.

ჩვენ შევჩერდით კითხვაზე, რომ შემთხვევით იყო ის, თუ არა შემთხვევით, რომ მე მივედი საგანთან, რასაც ჰქვია ჩემი ხელოვნება. მე გითხარით, შემთხვევით არაფერი არ ხდება.

დაბადებიდან მოვდიოდი, როგორც ობოლი სული. ობოლი. ამას განაპირობებდა ჩემი და-ძმებიდან ჩემი გამოყვანა. მე გამზარდა მამის უფროსმა ძმამ და მისმა მეუღლემ — ამბროსი გიორგის ძე გურულმა და ნინა (ნენია) ალექსანდრეს ასულმა ჩარკვიანმა. ისინი, მე მაშინ, სანამ შევიდოდი ღვთის გაგებაში, ჩემი ბედისწერა მეგონა, რომ აი, ეს ბედისწერა იყო ჩემი. მერე მივხვდი, რომ ეს ბედისწერა კი არა, ეს იყო გარდუვალი ის დიდი აქტი, რომელიც აუცილებელი იყო ჩემთან შეხებაში. ჩემი მამა — ელგუჯა გიორგის ძე გურული და ჩემი დედა მარიამ (მარუსა) ვასილის ასული კირკიტაძე ე. ი. უსაყვარლესნი ჩემნი, ჩემგან იყვნენ გამანძილებულნი, არც ისეთი — ერთი კედლის ტიხარით. ერთი სახლი გვქონდა ჩვენ ყველას და მე ვიწექი ჩემ აბულასთან და ნენიკოსთან და იქით, ჩემი დედმამიშვილები. მერე რომ წამოვიდნენ; ბავშვობიდანვე მე მომეცა ეს გახლეჩილი მდგომარეობა, მარადიული ლტოლვა იქითა. მე აქეთა ვარ. და კიდევ უსაყვარლესი ადამიანები, ვერც ამას დავტოვებ, ვერც იმას დავტოვებ. ეს გაორებულობა. მე მაშინ არც ჰოროსკოპები ვიცოდი, არც ტყუპების: ივნისის თუ ივლისის თვეობები ვიცოდი და რამე, მაგრამ ეს მარადული ტანჯვაა. მე მეგონა, რომ ამ კონკრეტულ სიტუაციაში იყო მიზეზი ამის. ჩემი დედმამიშვილებიდან ყველაზე უფროსი ვარ და ჩემმა დედამ რაღაც იძულებით თუ მიზეზით, მე გამაშვილა. როცა ეს შევიგნე, მერე ეს გახდა საფიქრალი. მაგრამ მანამდე ეს ანალიზდებოდა მონატრების სურვილით ე. ი. დედულში წამიყვანდნენ და მარტო თუ დავრჩებოდით იქ მე და ჩემი ძმა, ჩემზე უმცროსი, მკვრივი და ამტანი, მე უნდა მეპატრონა და ის მპატრონობდა... ჩავემხობოდი ბალახებში, სამყურა არის ჩვენთან, იცით თქვენ, მინდვრის და ვტიროდი. ვის ვტიროდი? ჩემს ნენიკოს და აბულა რომ დავტოვე იქ. სოფელში რომ ავიდოდი, ჩემი დედა იქ დამხვდებოდა,

მაგრამ აი, იმათ ვტიროდი. მერე და მერე დროდადრო ვნახე, რომ მარტო ისინი არაა ჩემი ზრუნვა. რაღაცა დიადი, დაკარგული მე მაწვალებდა და როცა წამოვიზარდე და შევედი ყმაწვილობაში ვნახე: დედა ზრუნავს, გამზრდელი ზრუნავს — რომ შენ ვაჟკაცი უნდა იქცე და მათ არ გამორჩეთ რაღაცა... მაშინ სუფრასთან რომ დავსხდებოდით ჩვენ, დიდი ოჯახის სუფრა რომ იყო, სხვები, ჩემი ტოლები ქეიფობდნენ, მხიარულობდნენ და მე არ მქონდა ამის არავითარი სურვილი. გამოვდიოდი და ბუნებაში ვიხედებოდი და ვხედავდი, რაღაცა დიადი დაკარგული მაქვს. მე მაშინ არ ვიცოდი, რა იყო ის დიადი დაკარგული. ეს დიადი დაკარგული მერე თანდათან გადავიდა ხელოვნების ობიექტში. მოიწრიტა ეს. მოიწურა. მე არ ვიცი ეს, როცა პირველად გამოვთალე ქვა, მესამე კლასის მოწაფე ვიყავი. რამ მიმიზიდა მასზე ისე, რომ აღარც ჭამა მინდოდა, აღარც სმა მინდოდა. დღე და ღამე, ორი დღე, სამი დღე... ჩემი გამზრდელი რომ დირექტორთან წავიდა მერე... და ჩვენი იმერული ქვები, რბილი ქვები გახდა საგანი. მე გავაკეთე პირველად თურმე, ახლა ვიცი, რაც გავაკეთე, სამყაროს შემოქმედი კვერცხი გავაკეთე და გავაკეთე მთა... ორზურგა მთა და მზე შიგ.

— გაცნობიერებულად?

— გაცნობიერებაზე ლაპარაკი სად იყო. მე მინდოდა, კვერცხი გამეკეთებია და შევდავებოდი ბუნებას, რომ მეც შემიძლია გავაკეთო ეს ზუსტად. ასე და მერე მთა. მთა იყო. მიზეზი მთის აღძვრის იყო რომანტიული. აი, ციხე-სიმაგრე რომ დგას მთაში. ეს იყო რაღაც ჩემთვის... ჩემი გორის შვილობა, შენი გორის შვილობა, ყოველი ჩვენგანის გორის შვილობა, გვარიშვილობაში რაც კანონდება მერე. ის ბუნება ჩემში იყო. მე მაშინ ეს, რა თქმა უნდა, არ ვიცოდი. და ასე და ასე წამოვიდა ჩემში და კურიოზი ის იყო და შემთხვევითობა ისიც არ იყო, რომ ქიმიის და ბიოლოგიის მასწავლებელმა სკოლაში, რადგან იცოდა, რომ მე ქვაზე ვთლიდი (ხატვა არ ვიცოდი), დამავალა დამეხატა ლისენკოს პორტრეტი. დედა, ეს იყო სასწაული. წავედი სახლში. ვფიქრობ, რაფერ დავხატო. (**ვიცინით**). ავიღე და კი არ დავხატე? ზუსტად, დავხატე ის, რაც მომცეს გადასახატავად. მერე... არა, გადახატვა არ არის ჩემი საქმე, მე უნდა ამოვიცნო და გავაკეთო! მერე მიჩურინი დამახატვიეს და ა. შ. და ჩემი მხატვრობა დაიწყო ლისენკოსა და მიჩურინის დახატვით და ესეც, თქვენ მეტყვით, ესეც შემთხვევითია? არა, ის კანონზომიერება, რაც იყო ჩემს

ირგვლივ, რაც მუშაობდა, იმისი მონა და მორჩილი გახლდით და ისე, რომ შემთხვევით არაფერი არ ხდება. ყველაფერი არის დაკანონებული, ყველაფერი არის გათვლილი კოდშივე. თქვენ კოდშივე არის ჩადებული: თქვენი იღბალი, რა ფერის იყოთ, რამდენი წამწამი ამოგდიოდეთ, რამდენი ხანი ვიცოცხლოთ, რამდენი... და ა. შ. დანარჩენი. ოღონდ ეხლა ვიღაცას გაურბენს ტვინში:

— არა, ბიჭო, დაჯდება ეხლა ღმერთი და სულ შენთვის ანგარიშობსო. დიახ, ჩემთვის ანგარიშობს, თქვენთვის ანგარიშობს... ღმერთს არ სჭირდება ანგარი, მას თავის იდეაში აქვს ჩადებული „უთვალავის ფერითა“ სამყაროს შემოქმედება. და ეს „უთვალავის ფერითა“ მხოლოდ კაცისთვისაა უთვალავი, თორემ ღმერთისთვის დათვლილია, აბსოლუტურად საზღვრული და კანონზომიერი. აი, ამ კანონზომიერებამ მე მქნა, დამბადა. მე ვამბობ ამას უკვე მთელის მერწმენეობით, მთელის გულოვანობით, რომ დედის სიყვარულიც, გამზრდელის სიყვარულიც, მამის სიყვარულიც და მამა-გამზრდელისაც თურმე იყო ის დაკონკრეტებული მარადული დიდი სამშობლოის სიყვარული, რომელიც ჩემგან განსხვისებული იყო და ჩემი ენის დიადის მარადიული გენია, რომელიც ჩემთვის მკვებავი იყო, მაგრამ ძალზე პრიმიტიულ მდგომარეობაში მოხმარებული. მისი უფუნქციობის ანუ სამყაროსთან მთლიანობის დახშული კარი რომ იყო, ისევე ღვთიური ვალდებულებით თუ კანონზომიერებით, იმ დროისათვის ჩაკეტილი. ეს მაწამებდა მე და როცა მე ვნახე გასაღები, მის შემდეგ ჩემი შემწუხებელი კაცი მიწაზე აღარ დადის. ღმერთი კიდევ მაშინ შემაწუხებს, როცა მას ჩემთან მოენატრება (**იცინის**) ე. ი. ჩემთან ურთიერთობა თავისთან კავშირში.

— და ეს ხშირად ხდება ხოლმე? (ახლა ორივე გულიანად ვიცინით)

— ეს ისე, ხუმრობისათვის. დანარჩენ შემთხვევაში სათქმელი ბევრია...

განგებამ მე დამაჯილდოვა და მერე მივხვდი ამას, რომ დაჯილდოვებული ვიყავი. მანამდე არ ვიცოდი, მაგრამ მანამდე მოდიოდა ეს მდგომარეობები. მე შემხვდა უკეთილშობილესი ქართულის მასწავლებლები, არა თბილისელები, არა დედაქალაქისანი, არამედ უბრალო პროვინციისა; ეგერ, ზესტაფონის, ქვედა საქარას და ფეროს მეტალურგიული განყოფილების სფეროში. შემხვდა იქ მე თინა გეწაძე — პირველი კლასის მასწავლებელი, რომელმაც ია, აი ია მასწავლა და იმ სწავლების სურ-

ნელი, იმ სწავლების ფერი, იმ სწავლების ბგერა მე დღესაც და სანამ ცოცხალი ვიქნები; მიდგას ყურში. ის დღე, იხვი რომ მოიტანა, თავის ქალიშვილს დაახატვინა ნათელას და მერგო, გამეტანა და დაფაზე მეჩვენებინა და სილურჯე რომ ჰქონდა ყელზე, იისფერი რომ იყო ის და ითი რომ იწყებოდა ი-ხვი. პირველი ბგერა რომ ჩაიბეჭდა ტვინში, სახლში ნასწავლი მქონდა ეს, მაგრამ ის აკადემიური, ერთად რომ ვსხედვართ ყველა პატარა ჭუჭულებივით სუყველა და პირველად გვეცხადება ბგერა ი. ია და პირველი ია რომ მოაქვს... მერე აი ია. და ეს არგუმენტი რომ ხაზგასმულია. ჯერ არის რეალური ია, მერე არის აი ია. მე მაშინ სად ვიცოდი, რომ არის იბერია — აბერია ანუ ია ქვეყანა ჩემი მთლიანი და აია ქვეყანა, ა-იბერია, პირველი იბერია. ნულ იბერია და პირველ იბერია. ნულ იბერია იყო ჩემი იღბალი. მე მაშინ არ ვიცოდი, რომ პირველ იბერიას თანხვედრილი იქნებოდა მეორე იღბალი, რადგან ტყუპი ვიყავი ჰოროსკოპით, ანუ იღბლით, ბედითა, ტყუპობა ივნისის თვისა. განგებამ ისე გააკეთა, რომ ტყუპი ქმნა ჩემი მეუღლეც და ჩემი უღლების შედეგიც — ჩემი შვილიც. ტყუპების თვეში ვართ სამივე. ჩვენი თამრიკო (**გულისხმობს უფროს ქალიშვილს — რ. ნ.**) მარტში გაიყვანა, დამიპირისპირა მე, როგორც ჩემი ანტიპოდი ე. ი. აბსოლუტური, ჩემი სასურველი იქით რომ მინდა ვიყო იმის ხათრით, ეს ლირიული გადახვევა. რაც შეეხება იმას, რომ შემთხვევითი არ იყო ის, რომ მასწავლიდა მე ნათელა იმნაიშვილი და შემთხვევითი სრულებითაც არ იყო.

— რა საგანს გასწავლიდათ?

— ქართულს — ენას და ლიტერატურას მასწავლიდა ფატი დადიანი. მე XX საუკუნეში ვიკითხე ასე თუ ისე, როგორც სხვებმა იკითხეს, მეც ვიკითხე. გავიცანი და შევესწარი დიდ კლასიკოსებს, მასწავლებლებს, ლიტერატურის ამაგდარებს, დიდ კაცებს და ქალებს, მაგრამ ჩემი წილი დიდები თურმე განგებას ჰქონდა შენახული და ესენი იყვნენ: ფატი დადიანი, შუშანა ქუტიძე, ნათელა იმნაიშვილი, თინა დოგრაშვილი, ვენერა ოტიაშვილი და თინა გეწაძე — ეს სასწაული ადამიანები. თუ გამომრჩება ვინმე, განგებ გამომრჩება, შემთხვევით არაფერი მრჩება (**იცინის**). ჰოდა, ამ ხალხის მადლით დახშულ, დაცობილ საქართველოში მაინც ბოგინობდა, მაინც ბოჟირობდა, მაინც სუნთქავდა ღონიერად ქართული. იმერულ გარემოში, სადაც ყოველი გლეხის ოჯახიდან გამოდის გრაცია სულის და სიტყვას რომ მოაკვარახჭინებს ისე ელეგანტურად,

ტაქტიანად დაგრეხს, მას არც აკადემია სჭირდება ისწავლოს და არც კონსერვატორია, არც ობსერვატორია, თუ გნებავთ. რომ მოდის იქიდან ბუნებრიული ღვთის წყალობა: „ისი, აქანა იმან ჩამეიარა?“ და ყველა სხვა კუთხისათვის გაუგებარ შეკითხვაში ზის, რომ ღმერთო, მამრო, მოქმედო, აქტიურო, სახიეროვო— იმ მანმაო, შენმა მემკვიდრემ ჩამოიარაო აქანა, თუ არა ჩამოიარაო. ღმერთს ეკითხება, ღმერთო, შენმა ძემ თუ ასულმა ჩამოიარა თუ არაო. პასუხიც რომ იმდაგვარია, შესაბამისი: რომ ეტყვის, იმანო, ამანო, ემანო, ომანო და უმანო რომ ეუბნება და სამყაროა ათვლილი, უჭირავს ხელში ღვთის პასუხი და ამ ხალხის გარემოცვაში რომ აღმოჩნდები, ეს მით უმეტეს, არაა შემთხვევითი. გვარად რომ გექნება გურული. მერე როცა მიხვდები, რომ იმერლებში გურული კიდევ სხვას ნიშნავს. ესეც რომ გექნება და მერე რომ მოხვდები გურიაში, რომ დაამთავრებ უმაღლესს, მხატვარიც რომ ხარ და გურულები გაიგებენ, რომ აუჰ, იქ ვიღაცა გურული ყოფილა გვარად და სასწაული, მიგიწვევენ გურიაში 23-24 წლის ბიჭს და ჩახვალ იქ და ნახავ ზღაპარივით ქვეყანას, გურიას. შენი იმერული მარაგი გკიდია მხრებზე და სულში გიზის და რომ ნახავ, რომ აგერ იპოვე ის დაკარგული, ის რაღაც ნაწილი და მერე რომ შეხვდები ქართლელს, რომ ჩამოდი და იქ კრებითობა იყო ყველა: იმერელი, გურული, კახელი, ქართლელი, მეგრელი, სვანი, მესხი, რომელიც გნებავს ყველა და მთლიანობაში მაინც არ გაკმაყოფილებს ეს. რაღაც ხელოვნური მთლიანობაა. ის დიდი მთლიანობა არ არის და ეს რომ მოგყვება, როგორც დიდი წუხილი და მერე გახვალ უდაბნოში აგერ, დელისის ფერდზე, ვეძისის ფერდზე, უფრო სწორად და ერთ კაცად დარჩები შენი ფიქრის და შენი დაკარგულის წუხილში. აი, მაშინ იგრძნობ, რა არის სიცოცხლე. რაფერ უნდა გიყვარდეს მამა და დედაც რაფერ უნდა გიყვარდეს ცარიელი, უფულო, ყველაფრის გარეშე და უკვე იცი, რომ იმ დაკარგულის ძებნის და პოვების გზაზე დგეხარ და მაშვინ აღარც შვილი გახსოვს, აღარც თავი გახსოვს, აღარც დედა გახსოვს, აღარც მამა გახსოვს, არავინ აღარ გახსოვს და გახსოვს ის, რაც დიადია. მაშინ თქვენ განგებამ შემთხვევით კი არ გაგაგდოთ ამ გზაზე, იმ გზის აუცილებელ კვალზე გატარათ და მერე ყველა ტკივილს შეგაგუათ, ყველა ტკივილი გადაგატანიათ, განგაცდევიათ და მაშინ თქვენ იცით, რომ თქვენ უკვე კაცი ხართ, ჩამოყალიბდით და პირველ ფორმას, პირველ ხაზს თქვენ საკუთარს რომ იპოვით, მთელი ღამეები აღარ გეძინებათ, რომ ვაიმე, ეს

შემთხვევითი ხომ არ იყო, რომ დავკარგო, მერე ხომ სიცოცხლე აღარ მინდაო. ეს იქნება დაბრუნება თავის თავში და დაბრუნება თავისუფალ საქართველოში; შენ წილ თავისუფალ საქართველოში, რომელსაც ვერც რომელიმე მიტინგი მოგცემს, ვერც რომელიმე ცეკას მდივანი, ვერც რომელიმე რუსი, თუ თათარი, თუ ბერძენი თუ რომელიც გნებავთ. აი, ის არ არის შემთხვევითი კიდევ. ამ უშემთხვევითობის კანონზომიერების გვირგვინად მე ვეცადე მეკეთებინა ჩემი მოპოვებული დაკარგულის აღდგენითობა და აღვადგინე მე და ყრია აგერ ახლა, აწვიმს და ათოვს ზედ, წყალი ჩამოდის. ჯერ მას პატრონი არ ჰყავს, რადგან საქართველო არა აქვს, რადგან ჯერ კიდევ ფიზიკურად მოგებული არ არის, რაც სულიერად უკვე მოგებულია და განგებით, რაზედაც მე და თქვენ ვსაუბრობთ ეხლა, ენის იდუმალებაზე მეტის მოპოვება, მარტო ჩემთვის კი არა, ჩემო შვილო, ჩემი საქართველოს და მარტო საქართველოს კი არა, კავკასიის და მხოლოდ კავკასიის კი არა, მთელი კაცობრიობისთვის მეტის მოპოვება აღარ შეიძლება, რომ დაიბრუნო ღმერთი და დაიბრუნო მისი ენა, თურმე რით ელაპარაკება ის კაცობრიობას დედამიწაზე. ამ ენის იდუმალი არგუმენტი და გასაღებები მოგეცეს ხელთ როგორც კარგ მემნეს, რომ გახსნა, ჩვენს დროში რომ იშვიათია. მეჭურჭლეთუხუცესს, რომელსაც შეუძლია ყველა სიმდიდრე გააღოს, მაგრამ არ წაცდება ცდუნება გასაღებად, რადგან მან გასაღებები ჩაიბარა დიდი მეუფისაგან და ეს გასაღებები ერის არის, კაცობრიობის არის. უნდა მოვიდეს, ოღონდ ეს მოლოდინი უნდა გეყოს. შენ ხომ იპოვე დაკარგული და მე ამ მოლოდინში ვზივარ; ყოვლად შეურაცხყოფილი გარემოსაგან: უახლოესისაგან და უშორესისაგან, მაგრამ მე ვიცი, რაც მოვიტანე, რაც მომაქვს ამას პატრონი ეყოლება და ის პატრონი მოდის. დგას, წირთხლზეა შემომდგარი, წირთხლზე და რამდენიმე წელი კიდევ სჭირდება. ექვსი წლის შემდეგ შემოვა ის დიადი ღონი და ჩვენს ფიზიკურ ყოფნა-არყოფნას დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ საგანში, რაზედაც ჩვენ ვსაუბრობთ. ეს მე ვიცი. ამიტომ როცა შემთხვევითობების მთელი სამოცდაათწლიანი მასა ამოიწურა და დაემატა 130 წლიანი და 200 წელი გახადა. ჩვენზე ვითომ შემთხვევითობების მოსვლა, არ იყო ის შემთხვევითობა. რუსული იმპერიის ღონი ჩვენზე სრულიად კანონზომიერად მოვიდა და თუ ჩვენ დღეს ხელს ვკრავთ მას, როგორც ღვთის რისხვას, ე, მაშინ მივიღებთ ჩვენ უარეს რისხვას, რადგან ის კი არ მოვიდა ჩვენზე, არამედ ჩვენ მი-

ვედით მასზე, როგორც ღვთის სიტყვა. ის ვერ მიიღებს ღვთის სიტყვას. მას თავისი აღზრდის წესი აქვს ჯერ, ასაკი აქვს. იმ ასაკში არ ეტევა გახსნილი ღმერთის საიდუმლო და ჩვენ, მწვრთნელს, უნდა გვეყოს ღონე, რომ ის ვწვრთნათ ბოლომდე, თორემ თუ დავაგდეთ შუა გზაზე, ჩვენ ღმერთისაგან მივიღებთ შებრუნებით, რაც ჩვენ გვეკუთვნის და მივიღეთ კიდეც ეს ბარი. ჩვენ კი ვეუბნებით: გამიშვიო. ვინ არის ის, ვინც უნდა გაგვიშვას ჩვენ? თქვენ როცა გეცოდინებათ, რომ ჩვენ უნდა გავუშვათ და არა ვინმემ გაგვიშვას ან მივიღოთ... გაშვებით გავუშვებთ მაშინ, როცა დამწიფდება და ვეტყვით:

— იარე ეხლა, შვილო, გზაზე შენ, დამწიფდი უკვე ყოფითი კაცობისათვის. აი, იქ იწყება გაშვება. დანარჩენ შემთხვევაში ვინ ვინ უნდა გაუშვას, ეს თუ გვეცოდინება გამოკვეთილად, მაშინ მე და თქვენი საუბარიც იოლად შედგება, ჩემი გარემოსთან საუბარიც იოლად შედგება და საქართველო არ იქნება მონა. არც არასოდეს ყოფილა. ჩვენ მირაჟებში მერე იოლად გამოვერკვევით. გამოვერკვევით და გავუწერებით ჩვენ თავს. არა, არაფერი შემთხვევითი არ არის. ყველაფერი კანონზომიერია. ამ კანონზომიერებამ 30 წელი მაშიმშილა მე და ვზივარ დღესაც მშიერ-მწყურვალი.

— და ეს კანონზომიერია?!

— ეს არის კანონზომიერი. აბა, ამხელა გასაღებს რომ მოგცემენ შენ, თუ კაი პურიც გაჭამეს, კარგი კონცერტებიც ჩაგიტარეს, ყველაფერი... ასე არ არის. იწონება. იხარჯები შენ, იღებ შენ. არ იხარჯები შენ, არ იღებ შენ. ხარჯვის შესაბამისი არის. ჩემი ხარჯვის, ბავშვობიდან მოყოლებული შიმშილიანი ხარჯვის შესაბამისი მივიღე და ვიღებ ეხლა მე იმ სიცარიელეს, რაც ჩემს ბავშვობაში ამოვწურე და მერე რა, რომ ჩემი გენეტიკური მემკვიდრე განიცდის ცალკეულ შემთხვევაში ამ სინაკლულეს. სამაგიეროდ, ის იღებს უდიადესს, რომელიც არაფრით არ ანაზღაურდება. ჩემს შვილებს უნდათ თუ არ უნდათ, ამაზე არ არის საქმე. ახლა მე გავერთე პასუხში, მაგრამ ეს საუბარი... **კანონზომიერია, — ვერთვები მე,** კანონზომიერია, დიახ, მომცველია, **შეთანხმება,** რადგან რუსუდანი, ნიშნიანის ძე მელაპარაკება. რადგან ჩემთან მოდის ნიშანდებული კაცი, მე ვალდებული ვარ, რომ გესაუბროთ და ნიშანი ხუმრობა არაა ჩემთვის და როცა თქვენც გეცოდინებათ ნიშის საიდუმლო და გეცოდინებათ ანის ნიში, ნიშანი ცეცხლის, დიდი მზის ნიში და ნიშ-ანი და მისი ძე, ეს არის

ქრისტე და სხვა არავინ არ არის, ოღონდ დედურ ფორმაში, ოღონდ ეხლა ქათინაურები ჩვენთან არაა, მაშინ უფრო სერიოზული იქნება და იქნება ჩვენი მიმართება. **სახელოსნოში ბატარა შვილიშვილი შემთბაჯბაჯდა და ბაბუასაკენ წამოვიდა.** მოვიდა მარიამ. ხომ ვახსენეთ ჩვენ ქრისტეს საპირისპირო მდგომარე. ე, მოვიდა მარიამ. ჩემი სიხარული მოვიდა...

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ საუბარს...

— თუმცა ერთიან კი ვისაუბრეთ, აღარც კი ვიცი, გკითხოთ თუ არა, რა შეგძინათ, რა დაგიტოვათ ყრმობის შთაბეჭდილებებმა. როგორ გაიხსენებთ, როგორი ბიჭი იყავით? მთელი თავისი კურიოზებით...

ღიმილი ეშლება სახეზე და პასუხიც: ლამაზი ბიჭი ვიყავი. გამორჩეული ვიყავი ჩემს ტოლებში. ცხრა ვიყავით და უჩემოდ, ახლა ვგრძნობ, რაში იყო საქმე. სიყმაწვილის დღეები მარტო ჩემთვის კი არა, ვინც კი დაბადებულა მიწაზე, მათთვის ყველასთვის არის ის შემოქმედება, რაც მერე იხარჯება. დროში იხარჯება, გააჩნია, ვინ როგორ დახარჯავს. მე უდიდესი მადლობელი ვარ ჩემი დროის, რომ ის სიყმაწვილე მომცა, რაშიდაც ვიყავი. რომ შეიძლებოდეს, ანდა მოითხოვოს განგებამ, ისევე იმ სიყმაწვილეში დავბრუნდები. იმ პირველ შეხებებში ბუნების წიაღთან, წყლის სიღრმესთან, ჯილეებთან, თევზებთან, ვენახთან, ჩიტებთან, ბარტყებთან, სულ ყველაფერთან... ე. ი. დაწყებული მიწის გულიდან ცის სიღრმემდე, რაც სიყმაწვილეში მეძლეოდა მე, ჩემდა საუბედუროდ, თქვენდა საუბედუროდ, ჩემს შვილებს, თქვენს თაობას, ის აღარა გაქვთ. მე ის განგებამ მომცა შენახული: მუხის ტყე, გადარჩენილი ხელშეუხებელი მდგომარეობით თავის ყველა ბუნებით, ნიყვით დაწყებული, გვიმრით, დიდი ბურდებით და ბაძაძგნარით, გაუვალს რომ ეძახდნენ. ის ბუნება მაჩუქა დედულეთში და მაჩუქა ჭეჭეხნარის წყარო, სასწაული, მღვდლისულის წყარო, სასწაულები... იმის მნახველი არ შეიძლება რომ ცუდი კაცი დაფიქსირდეს მერე და ის გარემო, რაც ჩვენს ირგვლივ გვაკრავს, ის გვაყალიბებს ჩვენ.

— ამას გეცილებიან და ნუ დაანებებთ, — გვასწავლის დიდი ალექსანდრე, გახსოვდეს ვისი გორისა ხარ. აი, ეს ხსომება რჩება მარადიულ-წაუშლელ ამბად. ულამაზესი იყო...

ვიყავი ცოტა მშიშარა და მერე შევამოწმე: თურმე მშიშარა არ ვყოფილვარ, არ შემეძლო სხვისი ცემა. თუ ის სხვა გამიმეტებდა, მე მაინც არ შემეძლო. ახლობელი სახე, თუნდაც უცხო ყოფილიყო, ადამიანი იდგა

ჩემ წინ და იმას ვერ გავარტყამდი. უკიდურესი მომენტი ბიჭობაში იყო ხოლმე ის, რომ დაგაყენებენ გამოცდაზე — აი, დედალი ხარ, შენო, დედალიო. მაშინ უნდა გახვიდე, უნდა იჩხუბო და დაამტკიცო: — არ ხარ დედალი! ჩემმა განგებამ მე მომცა სამი მომენტი ამ დამტკიცების. ორ მომენტში მე გამლახეს სასტიკად; არა, ბოდიში, ერთ მომენტში. არ ვტრაბახობ. ერთ მომენტში გამლახეს, მაგრამ ორ მომენტში მე უნდა დამერწმუნებია, რომ კარგად გავლახე და ამიტომ გავლახე. და ეს ისეთი ლამაზი იყო, თუ თქვენთვის საინტერესო იქნება, გეტყვით.

— დიახ, ძალიან საინტერესოა.

— პატარა ბავშვობიდან აი, ვითომ ამოიჩემებს თვალი ვიღაცას, გოგონას, შენს საპირისპიროს და მერე ფიქრობ შენ, რომ აი, ის გიყვარს და... მაგრამ ეს გაუმხელელი რაღაცაა. მოხდა ისე, რომ ჩვენ უსასტიკესი ომის დროს ვსწავლობდით სკოლაში. დაჩეხილი ბავშვობა გვქონდა. მიუხედავად იმისა, რაც მე გითხარით, რომ ულამაზესი იყო, ეს იყო დაჩეხილ ბავშვობაში გადარჩენილი მაინც რაღაც სიკარგეები და ამ ომის დროს სახელმწიფო ახერხებდა, უფრო სწორად, კანონზომიერად ფიქრობდა, რომ ომი გაგრძელდება დიდხანს და ახალი თაობები უნდა დაიზარდონ. შიმშილმა არ უნდა შეაჩეროს ნამატი. ამიტომ სკოლებში იყო გაცემული მჭადის ულუფა.

— გამოცხობილი?

— გამოცხობილი. გამოცხობილი. აი, ხელის (**მიჩვენებს**) აი, ამხელა სისქის მჭადს გვაძლევდნენ. თუ ოჯახიდანაც მშიერი იყავი, იქ მიიღებდით და ზრდა არ შეჩერდებოდა, ე. ი. ზრდის რაციონი გეძლეოდათ. ოთხკუთხედი იყო ტაფა და იმაზე ეტეოდა 56 ნაჭერი. ზუსტად 56 ვიყავით ჯგუფში. ორგანიზატორი მე ვიყავი და შემომქონდა ჯგუფში.

— დამჭრელი? დაჭრა თქვენ გეხებოდათ?

— დაჭრილი იყო ის. იქ, ბუფეტიდან მოგვცემდნენ დაჭრილს. თითო ულუფა ზუსტი იყო.

— მე ვიფიქრე, ორგანიზატორი ჭრიდა, — ვიცინი მე.

— არა, არ ჭრიდა ორგანიზატორი (**იცინის**), უკვე დაჭრილი მოდიოდა. ესეც კანონზომიერი იყო, მაგრამ ისიც კანონზომიერი იყო, თქვენ რომ ახლა გიკვირთ, კომბინატების მმართველები რომ ქაფავენ და „ლევი-ლევის“ ააცურებენ გვერდზე. მაშინაც იყო ასეთი რამეები. ჩემთან სწაულობდა პურ-ვაჭრობის, პურ-მომარაგების და საერთოდ, მომარაგების და

დირექტორების შვილები. ქვეყანას რომ შიოდა, აი, იმ ბურთან კავშირში გასულ რამოდენიმეს, ექვსჯერ ჩარჩენილებს მოჰქონდათ ყოველ დილას ორ-ორი ბუხანკა, სამი მანეთი ღირდა მაშინ ბური. ხელს რომ დააჭერდით, აგაგდებდათ სახლის სახურავზე, ისეთი ფუმფულა და ქათქათა იყო. შემოვიდოდნენ ამ შშიერ სკოლაში, დიდი მერხების უკან დასხდებოდნენ. მთელი კლასი, დიდი კლასები იყო, ავსებული იყო ამ სურნელით... მაგრამ ესენი იყვნენ უსასტიკესნი, უცოდინარნი და შემშურენი იმათი, ვინც რამე იცოდა. მე პირველ მერხზე ვიჯექი, შუაგულში, მასწავლებელთან ასე ვიჯექი (**მიჩვენებს**). ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ იყო. დიახ. ჰოდა, ამათ მოახერხეს, მაიძულებდნენ, რომ მათთან დავმჯდარიყავი იმ საბაბით, რომ მეკარნახა.

— სამაგიეროდ, მერე ბურს მოგცემდნენ? — ვიცინი მე.

— სამაგიეროდ, ბურს მომცემდნენ (**იცინის თვითონაც**). მაგრამ მე არ ვიყავი ის, ვინც მათ ბურის გამო ვუკარნახებდი. ვუკარნახებდი ისეთ რამეს, რომ გასკდებოდა სიცილით ჯგუფი (**ახლა ორივე ვიცინით**). ეს დებილი იყო და ვერ მიხვდებოდა.

— ბურს წინასწარ ართმევდით თუ მერე, ნაცინებზე?

— არა. მერე, რომ მომინდომებდნენ გალახვას, მერე გამიშვეს. მიხვდნენ, არ ჭრიდა ჩემზე ბური. აი, ეს გამოვიდა. მათ იხმარეს ეს ხერხი, მაგრამ მე ბურში არ ჩავიჭერი. მერე ეს უფრო ბინძურ ცხოვრებაში მარტო ერთეულებმა კი არა, სისტემამ იხმარა ეს ხერხი ვიღაც-ვიღაცეებზე, მაგრამ იქ ჩაჭრა, რადგან ბავშვობაში არ ჩაიჭერი, გამორიცხულია... მერე არ ჩაიჭრები. იქ თუ ჩავიჭრებით, მერე სხვაგანაც ჩავიჭრებით.

ჰოდა, ეს ხომ იყო ჩვენთან.

ზაფხულში სახელმწიფოს გავყავდით რაღაც ბანაკში. მესამე კლასიდან ვიღაც გოგო გადმოიყვანეს და მომხვდა ის მე გუნებაში. უკვე ჩემი კლასი იყო აშლილი: ბავშვობაში ცხოველური გამოვლინებები რომ ჰქონდა ქალისა და გოგოს მიმართ. მე ეს არ მქონდა. მე მქონდა რაღაც შეკავებული. ნნ კაცის წინააღმდეგ მე ვთვლიდი, რომ ვიყავი ის, რომელიც ვტიროდი იმათი მოქმედებისა გამო, გოგოებს რა ყოფაში აყენებდნენ. იმ გოგონებსაც მოსწონდათ ეს ურთიერთობა. ჩემთვის ეს გაუგებელი კი არა, მიუღებელი იყო. მიგებთ? ეს უცნაურად ჩანდა, საერთოდ, ჩემს ყოფაში, მერე. ჩემი დონ-კიხოტური, რაინდული დამოკიდებულება. ჰოდა, ამ მომენტშიც ე. ი. დილას რომ მივდიოდი სკოლაში,

უნდა გამევლო რუსული საცხოვრებელი უბანი, ბარაკები, ქარხნის მუ-
რომელების. იქ ომიდან დაჭრილი პარტიზან-ნამყოფის ჩამოსულის შვი-
ლი იყო, ორმეტრიანი ბიჭი, ჩარჩენილების ერთი. სხვა გზა არ იყო, იქ
უნდა გამევლო. ბოლოს, ვატყობ, რომ ვეგუები, რომ უნდა მცემოს და
მაინც უნდა გავიარო. ვნახე, მე მივდივარ. ბოლოს მოხდა ისე, არდადე-
გები დადგა და აღმოვჩნდით ბანაკში. ახლა უკვე წამოყვინჩილებული
ბიჭები ვართ. ეს ბიჭიც აქ არის. ეს ბიჭიც და ის გოგოც აქ არის. ვისზე-
დაც მე უკვე არ შეიძლება სხვანაირად თვალი არ მეჭიროს და რაღაც...
ვზივართ ბიჭები, ვთამაშობთ რაღაცას. ეს ბიჭი მოვა, წამომარტყამს
თავში, უნდა ამაგდოს, რადგან მისი გალახული ვარ და აქ გოგოები
სხედან და ფანჯრიდან იყურებიან. ამის დაშვება უკვე აღარ შეიძლება.
მე ვაჯობე ჩემს თავს და რომ მოვიდა, წამოვდექი და ესევე, თავი ავარ-
ტყი სახეში და დავცხე. დავცხე მარა, რას დავცხე. მე რომ არ მეგონა,
ისე დავცხე. მე ვნახე, რომ მე გავიმარჯვე. ჩემს თავს ვაჯობე, იმას კი
არა. იმან მიიღო ჩემს ღონიერებად ეს და მერე მე ვნახე, რას ნიშნავს
გალახული და მოთვინიერებული რუსი. ჩემს ბავშვობაშივე ვნახე ეს, მა-
გრამ ისიც ვნახე, რომ თუ მოგერია, რას გიზამს და რომ არ არსებობს
უღირსი ისეთი რამე, რომ არ იკადროს და არ გაგაკეთებინოს, თუ შენ
დანებდი მას. ეს იყო ჩემი, ყმაწვილობაში მოგებული ერთი ჩხუბი. ერთიც
— ჩემს ბიძაშვილთან, ჩემ სისხლსა და ხორცთან, ზურიკოსთან მაჩხუბეს.
ზურიკო იყო უსწრაფესი მამის შვილი. აი, ჰიპნოზური. მამამისი გველს
გააჩერებდა. მივიდოდა, აიღებდა, როგორც უნდოდა, ისე მოექცეოდა.
ხანჯლიან კაცებს, რომ ჩხუბობდა ორი, ეს ჩაუდგებოდა უიარაღოდ და
ახსნიდა ხანჯლებს, გატყეპავდა მერე და გაუშვებდა. ასე იყო. ეს ბიჭი
იყო უსწრაფესი. ცუხს ეძახდნენ. პავლე ცუხის ბიჭი იყო, ჩემი ტოლი,
როგორ გავიმეტებდი დასარტყმელად. მეგონა, ისიც არ გამიმეტებდა.
ბიჭებმა წაგვაქეზეს და მაიძულეს გასვლა. დავდექით პირისპირ. ვერ
გავიმეტე, იმან გამარტყა. გამარტყა, თვალში ჩამარტყა და ჩაეთვალა
მას გამარჯვება. ეს იყო ჩემი ორი ჩხუბი. მესამე ჩხუბიც მქონდა, სადაც
მე გავლახე პატარა, ჩემი ტოლი, რომელიც წააქეზეს... რადგან მე ვი-
ყავი გამზრდელების შვილი და ამიტომ ვიყავი გამორჩეული იმათგან და
ამდენად, „დედას ბიჭი“ შეიძლება ვყოფილიყავი. იმათ არ გაუმართლათ
ჩემთან. სამჯერ მივიღე ბავშვობის უწრფელესი, მაგრამ ჩემთვის არასა-
სურველი პოზიცია; მაგრამ მერე განგებამ ნამდვილი ომი რომ მაჩვენა,

მე შევენატრე იმ ულამაზეს ჩხუბებს, რადგან აქ მანძილიდან დაგიგებენ მახეს. არც ჩანს, ვინ მეჩხუბება **აქ ბირისპირ ხედები** და უვერაგესი ხერხით, უსასტიკესი ბოროტებით რომ მოდის და უწმინდურს აკეთებს, ე, მაშვინ მოგენატრებათ თქვენ ბავშვობის ის ლამაზი ჩხუბები, სადაც მერე მიხვალთ და გადაეხვევით ერთმანეთს და ეტყვით:

— არა, ჩვენ გამოვცადეთ ერთმანეთი. აი, ეს ყმაწვილობა მუდამ ეხლება გაუფუჭებელ თაობებს. გაფუჭებული თაობებიც არიან, ჰოდა, ღმერთმა მისცეს მათ მომავალი უკეთესი, ვინემ ეკუთვნით.

— ბავშვობაში უფრო მეტს კითხულობდით, თუ რომ მოიზარდეთ, სიყრმეში?

— ბავშვობაშიც ბევრს ვკითხულობდი და სიყრმეშიც. ბავშვობაში გაკვეთილს ვერ ვკითხულობდი ისე, ვინემ გადახვევით წიგნებს და მერე ჩემი გამზრდელი ამაზე რომ წუხდა, ამოვიდებდი ქვევით საკითხავ წიგნს, ჩამოწეული მქონდა, ზევიდან გაკვეთილს დავადებდი და იმას ვკითხულობდი. ეს ეშმაკობა მქონდა. საბოლოო ჯამში ბევრი ვიკითხე, მართალია, ბევრი ვიკითხე. მაგრამ ეხლა რომ ვუკვირდები, არც ისე ბევრი არ მიკითხია, როგორც ჩანს.

— ამორჩევით კითხულობდით თუ რაც ხელთ მოგხვდებოდათ?

— რაც მომხვდებოდა. ვინც ამორჩევით კითხულობს, იმისი გარდუვალობა ის არის. ჩემთვის იყო ყველაფერი საინტერესო, რაც ჩემ თვალწინ არ მომხდარა, რაც მე არ გამიკეთებია და სხვას გაუკეთებია, ეს ყველაფერი ჩემთვის საინტერესო იყო. სხვა რას ფიქრობდა, როგორ განიცდიდა. ეს ჩემთვის საინტერესო იყო. მე ახალ-ახალ სამყაროებს ვეხებოდი.

— ეს ძირითადად სკოლის ბიბლიოთეკიდან თუ ოჯახური?..

— ძირითადად სკოლის ბიბლიოთეკა, რაიონის ბიბლიოთეკის წევრიც ვიყავი. მერე სამხატვრო აკადემია. გითხრა სიმართლე, საჯაროში არ ვყოფილვარ, ის აკადემიური ტაქტები არ ჩამიტარებია: უნდა მიხვიდე, გატარდე და ასე და ისე. არა. ეს არ მქონია, მაგრამ მქონდა ულამაზესი თბილისური ყმაწვილობა. დავამთავრე საშუალო სკოლა, ჩამოვედი. პირველ წელს ვერ მოვხვდი აკადემიაში და მოსამზადებელზე შევედი. ჩემთან რომ აბარებდნენ, პროფესორები მეგონა მე ისინი, ასაკითაც და ისეც. ჩემი ამხანაგები რომ გახდნენ მერე. ჰოდა, ერთი წელი ვემზადებოდი. რადგან პოეტური ვიყავი სულით და ბავშვობაში ლექსებს და მოთხრო-

ბებს ვწერდი, ამიტომ მე ვერ მოვისვენებდი, მარტო ხატვაზე გავჩერებულიყავი. აკადემიის მოწაფე ჯერ არ ვიყავი. აღმოვაჩინე, რომ პლეხანოვის კლუბთან, ნაძალადევში, სტალინის ყოფილი ქარხნის კლუბში იყო მუშათა წრე — პოეტების წრე და პოეტი ვახტანგ გორგანელი იყო მისი ხელმძღვანელი. რაფიელ მამულაშვილი დამამახსოვრდა ერთი იქედან, ბიჭებიდან, ნაზი წერს კიდევ მოთხრობებს, გვარი კი დამავიწყდა. და იყვნენ იქ. ყოველ შაბათ-კვირას მივდიოდით იქ ლექსებით...

— მარტო კითხულობდით თუ კრიტიკებდით კიდეც?

— კრიტიკაც. ყველაფერი იყო. ყველა სექცია ერთად იყო. რაფიელს მოპქონდა კრიტიკული ნარკვევები, მეორეს პოეზია, მეც ჩემი ლექსები მიმქონდა და ასე. გაზეთიც იყო, მუშათა გაზეთი და ვინც გამოირჩეოდა, იმაში დაბეჭდავდნენ. პირველად ჩემი ლექსი რომ დაბეჭდეს, იყო უძილო ღამეები... ახლა მეცინება, რაები მქონდა დაწერილი, არჩევნები რომ იყო და მარტივად... (**გულიანად იცინის**) რა კარგია...

— ერთი წაგვიკითხეთ, ეგებ შოძებნოთ რომელიმე.

— აუუ, აიბურძგლები თუ გინდა, მაშინ...

— არა, რომელიც გნებავთ, თქვენ ამოარჩიეთ, თუნდაც ბუნების შეიზაჟი, ოღონდ იმდროინდელი იყოს, — ვიცინით და ვცდილობ, როგორმე წაგაკითხო რომელიმე...

— ჰოდა, მე ვერ ვიმახსოვრებ ჩემს ლექსებს. ზეპირად არასოდეს მითქვამს.

— რვეულში გეწერებათ! — არ ვებუები, თან არ ვიმჩნევ.

— დაწერილი შეიძლება მქონდეს.

ახლა ხმამაღლა იცინის.

— თქვენ წაკითხულს სხვა ხიბლი ექნება... არაფერი გამომივიდა...

— ისე, რომ ბავშვობაშივე მქონდა სულიერი ტაძრის ძებნა და ერთხელაც...

— ე. ი. თქვენი, როგორც შემოქმედის ნათლობა, პირველად პოეტისა მოხდა და მერელა მხატვრისა.

— დიახ, ბატონო. მხატვარი თურმე რომ შემზადდეს, უნდა იყო პოეტი, უნდა იყო მუსიკოსი...

— პოეტობა საფეხურია? — ვიკვირვებ და ნათქვამს ვუსვამ ხაზს.

— აბა, აუცილებელი საფეხურია. უნდა გაამკვრივო ის მატერიაში, მასალაში, რაც სიტყვაში მოდის, როგორც ფენომენი ღვთიური. იქ დაა-

ფიქსირო უკვე. თქვენ ეს თუ არა გაქვთ, ტყუილად ნუ მოკიდებთ ხელს ქვას, თიხას, ან რკინას. იმის გარეშე არ არსებობს მხატვრობა, დანარჩენ შემთხვევაში თქვენ იქნებით ხელოსანი და გადმომხატავი, გადმომღეჭავი სხვისი ნაღეჭისა. ეს რეალობა გვაქვს დღეს. ესაა ჩემი შემზარავი ყოფის ყველაზე მომაკვდინებელი შემზარაობა, რაც ეხლა ხდება გარემოში: მხატვრობაში, მუსიკაში, პოეზიაში, ყველაფერში. შენ ღმერთმა დაგბადა განუმეორებელ ფენომენად. მისი კავშირის შენი ხაზი გაქვს, შენი სიმი გაქვს, შენი მიბმული ჭიპლარი გაქვს... შენ მიდიხარ და ვიღაცა მაიმუნის ნაწოვარაზე მიებმები და ცდილობ... ვერ მიხვალ ღმერთთან, ტყუილი ამბავია. აი, ეს რეალობა მოგვიწყო ჩვენ გარემომ, ისევე, ღვთის უფლების დაშვებით, რადგან სიბერეში, ანუ როცა ამოიწურება შემკავებლები, მერე მოფამფალებული ვინ სად წავა, ღმერთმა იცის. სიმკაცრეა ყოფის.

— თქვენ თავისუფალ არჩევანს სულ არ იღებთ?

— არა, მე ვიღებ მას, როგორც თავისუფალ არჩევანს და მერე ვაკონტროლებ მას, თურმე ბედისწერა იყო. რა ვქნა მაშინ მე?

— არა, ეს ორი ძალიან განსხვავდება: ან ბედისწერა, ან თავისუფალი არჩევანი, „თავის-უფალი“.

— არ განსხვავდება. თავისუფალი — არჩევანია ის ჩემი, როცა ვაკეთებ.

— თუკი ეს ბედისწერით განსაზღვრულია, მაშინ თავისუფლება აღარ არის.

— თუ ჩემი შინაგანი მე მეძახის, რომ ეს უნდა ვაკეთო, მე სხვა ხომ არ ვარ, ვიდრე ჩემი შინაგანი მე.

— კი, მაგრამ ეს თუკი განსაზღვრულად, კოდირებულად დევს თქვენში?

— მე თქვენ ხომ არ გკითხავთ იმ მომენტში და იმ პროცესში, რას აკეთებთ თქვენ, რომ ვიღაცამ განსაზღვრა? მთლიანობაში განსაზღვრული გახლავთ, ჩემო ბატონო. მე კი არ განვსაზღვრავ, არც თქვენ განსაზღვრავთ, არც ვინმე... და თუ ვინმე იკითხავს: — აბა, ღმერთი რაღას გვიტოვებს? იმას გიტოვებს, რომ განცვიფრდე მერე, რომ აღმოაჩენ, შენ რომ აკეთებდი ყველაფერს და შენ მაშინ ინდივიდი იყავი, პერსონა იყავი და აღმოჩნდება თურმე შენ იყავი ყველაზე ახლოს მისული დიდ შემოქმედთან...: იმის მადლით იყავი. ამაზე დიდ ჯილდოს ვეღარ მიიღებთ ვერასოდეს. თუ არ მიგიღიათ, ვერ მიიღებთ. აი, ეს არის ის დიდი ჯილდო! მე

გეუბნებით თქვენ ყველაზე ჯიუტი, ყველაზე უხეში, ყველაზე ტლანქი თავის თავის „მეს“ მოპოვებაში, მე გეუბნებით ამას თქვენ და ამის კი არ მრცხვენია, მე მესახელება უდიადესად. რომელიმე „მეს“ მომპოვებელი ეხლა თუ დგას, დგას და უნდა იდგეს პროცესში, ოღონდ მისთვის არ შეიძლება ამ მაგალითების დაფენა. იმან უნდა ეძიოს თავის „მე“, მეტ-ნაკლებად უნდა იცოდინოს ის, რაზედაც ჩვენ ეხლა ვსაუბრობთ. ეს არის მოპოვებული, ათასი წლის ბოლოს ერთხელ იხსნება. დანარჩენ შემთხვევაში მან უნდა ეძიოს, ეძიებდეს და პპოვებდეს. ის პროცესი არის მისი ზრდის პროცესი და ეს თავისდაუნებურად აახლოებს მას ღმერთთან. მერე გამოიხედავს თვალში და ნახავს: — დიდუუ, რა ლამაზი იყო ეს ყველაფერი. მერე რა, შეურაცხმყოფელი იქნება ეს თუ ღვთის ნებით სრულდებოდა?! არა. პირიქით, იქნება დაჯილდოებული. აი, ეს თუ არ შედგა, დანარჩენ შემთხვევაში ჩვენ ადრე მოკრეფილი ხილის მდგომარეობაში აღმოვჩნდებით და არც ის გვეცოდინება და არც ეს და თვითკმაყოფილებით დალუქული ვინმეები ვიქნებით. ერთი მომენტია, როცა თქვენ იწყებთ „მეს“ მოპოებას, თუ ის „მე“ თავიდანვე გაწუხებთ, ვერ მოისვენებთ. ღმერთი არ გეცხადებათ თქვენ, ის, რაც ვერ გასვენებთ, არის თქვენში მოქმედი ღმერთი, ის გაბორგებთ, რადგან ისაა სიცოცხლის სათავეც, უსასრულობაც და ყველაფერი. და როცა თქვენ იპოვით „მეს“, მაშინ ხდებით ყველაზე დიდი ეგოისტი, რადგან სანამ თქვენ „მე“ არა გაქვთ, არც ავტორიტეტი გაქვთ, არც დასაკარგი, არც მოსატოვებელი, პიროვნება არა ხართ. მაგრამ როცა „მე“ გამოკვეთილი გაქვთ და თქვენ რაღაცაში დაოსტატებულმა, რაღაცაში გამოჩენილმა, რაღაცაში გამორჩეულმა მოიპოვეთ თქვენი თავი, ე, იქ იწყება მერე ნამდვილი ომი თავის თავთან. როცა თქვენ მოერევით მოპოვებულ ეგოს, „მეს“ მერე იწყება ღმერთთან გახედვის გარანტია.

— თავის ინდივიდუალობას როდისღა გამოავლენს?

— სანამ თავის ეგოს— „მეს“ არ მოიპოვებს... „მეს“ რომ მოიპოვებს, ინდუვიდუალობა მოპოვებულია; მერე იწყება მისი დაკარგვა, ანუ დახარჯვა, ანუ თავ-და-ვიწ-ყე-ბა. თავის თავის „მეს“ ანუ ეგოს მორევა და გამარჯვება. და მე არაფერიც არა ვარ. მე ვარ ფიორი, რომელმაც შავად ვიარე თუ თეთრად ვიარე, გავედი, ღვთის ნება გავასრულე. მე ვარ ვალმოხდილი, ვალდებულება ვალმოხდილი, ეგოზე გამარჯვებული.

— თუ შეიძლება, რომ „მე“ ვერ იპოვოს კაცმა?

— როგორ არა. მთელი, მაპატიე, შვილო, ახლა ჯოგები რომ დაძრწიან, ავტომატები რომ აქვთ მიცემული, ეს არის „უმეო“ ხალხი. სატანამ აუშვა ეს, რადგან ამოლეულია შემკავებელი „მეების“ სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ რუსულმა იმპერიულმა ძალამ დაგვადო ხელი, ჩვენ ჩვენი ღვთიური განგებით „მეები“ მოვიბოვეთ, ჩემო კეთილო. გვინდოდა, უნდოდა ვინმეს თუ არ უნდოდა, „მეებად“ ვიქეცით და ამან თავზარი დასცა იმ მმონებელს... ის „მე“ ვერასოდეს ვერ იქნება, ჯერ მას „მეს“ ასაკი არა აქვს. „მეები“ რომ ჰყავს, ისინი სულ იმათი „შპილკები“ არიან გადმოღებული, ევროპულიდან გადმოღეჭილი. მათში არაა დიდი, ნაღდი რაცაა. როცა ის მიხვდა, რომ ჩვენი მოპოვებული მეობა მონობას კი არ გვაძლევს, არამედ აბსოლუტურ თავისუფლებაში გვაყენებს, მაშინ დაძრა ჩვენ შორის არსებული „უმეო“ მასა. მას მისცა ბრივილეგია. ამით დაახშო ეროვნული, რაც იყო მოპოვებული. ამაზე იყო გათვლილი ეს. ახლა უყურე, 6 თაობა, 7 თაობა საშუალო სკოლებში გამოუშვეს აბსოლუტური უცოდინარი და მათ მისცეს მერე ხელში იარაღი. ამან არც და იცის, არც ძმა იცის, არც ისტორია, არც გვარი, არაფერი არ იცის, არც საქართველო იცის და არც ყოფა. იცის მხოლოდ თავის თავი. აღგზნებული არის ინსტინქტით. ეს ყველა ყმაწვილს აქვს: თოფის სურვილი, მეც მქონდა ეს უსასტიკეს მორეული და იმ დროს თუ მისცემთ ამას ხელში, როცა მას სურვილი აქვს და არ იცის მისამართი, სად ისროლოს, მტერი დარჩება გვერდზე. მტერი აძლევს იარაღს, მტერი ასროლიებს... ის „მე“ მოუპოვებელი ჩავა სამარეში. ის ბრიყვია და დაიხარჯა აუცილებლობისათვის... მე არ გავალ იმ შუაში, არ ჩავდგები იქ და გავიტანე ეს ომი მთლიანად და თუ აქ მოვა ჩემთან „უმეო“, ჩემი ღონე ეყოფა მას, რომ მან ჩემზე ვერ ასწიოს ხელი. თუ ასწევს ხელს, ეს მისი იღბალი იქნება, ღმერთმა გაუმარჯოს.

— **არ უნდა გაუმარჯვოს...**

— არა, თუ ის ღმერთმა იცის, რომ ჩემზე მან უნდა ასწიოს ხელი, უნდა გაუმარჯოს, აბა... მარა, სასწაული რა იყო, იცით? ის ამბები რომ იყო, მოდიოდნენ ჭიშკარზე სამი კაცი, ოთხი კაცი და სინათლე გამორთულია ყველგან. სიბნელე, სიცივე. ქაჩავენ, აბა, მოსწიე ქანი ერთი, ორი... და ანგრევენ ჭიშკარს, მაგრამ შიგნით არ გადმოდიან. უფალო, დიდ არს ძალი შენი! დილას გამოვდივარ, სისხლითაა მოთხვრილი იქაურობა. ჭიშკარი მიგრეხილ-მოგრეხილი, მაგრამ შიგნით არ გადმოდიან. რა არის ეს

ღონე?

— ულონობა?

— დიახ, ბატონო, მაგრამ ღონე დიადისა. იქიდან აკეთებს ყველა თავის უკაცურს. მას ჩაეთვალა უკაცურის კეთება. მაგრამ შიგნით არ გადმოდის. აქ უკვე სხვა ენერგია მუშაობს. ღმერთო ძლიერო, დიდ არს შენი ღონი (**ბირჯვარს იწერს**).

ის, რაც მე და თქვენ მივიღეთ ბოლო პერიოდში. თქვენ გახსოვთ, საგანათლებო სისტემა ისაზღვრება ცენტრიდან ახლაც და მაშინ ხომ ისაზღვრებოდა. იყო მოსკოვის დიდი შეკრებები. ნათელა ვასაძე რომ მიჰყავდათ, მინისტრი და იმის მეთოდი რომ უნდა შემოეღოთ, სკოლაში ჰუმანურად უნდა ვასწავლოთ, ის უნდა ვასწავლოთ, ბავშვს რაც უნდაო. ამაზე მიდიოდა რუსეთის სწავლება და ჰუმანიზმს აცხადებდა. ვიკითხოთ ერთი პატარა მომენტი: ვინ ამბობს ამას, ვინ ხალხი, რა ავტორიტეტის ხალხი, რა ტრადიციის ხალხი ამბობს, რომ ბავშვს ეყრდნობა. ბავშვს, როგორც გაუფუჭებელ საგანს. თუ გავიხრიკავთ, როგორც ამოსავალ არგუმენტს, მაშინ ძალიან ბინძურ რაღაცას წავადგებით: ოჯახი, სადაც არც მამას აქვს ავტორიტეტი, არც დედას, მხოლოდ ბავშვსა აქვს ავტორიტეტი იმის გამო, რომ ის ჯერ გაურყვნელია, მაშინ უვიცობას მივადექით. განა მინდვრის სარეველა ბალახს ნაკლები სიწმინდე აქვს, სანამ ის ყანას მოერეოდეს? არა. აბა, მაშინ ბავშვმა რა იცის, რა უნდა ასწავლო მას. თუ ეროვნებებში ტრადიცია არ არის, სწავლების მეთოდი არ არის, წესი არ არის და არგუმენტი, საით წარიმართოს სწავლება და რა უნდა გამოვიყვანოთ ამ საზრდელი ერთეულიდან. თუ ეს არ არის, მაშინ იქ ლაპარაკი სწავლაზე სრულიად ზედმეტია. გაუშვით თქვენ სარეველა ბალახი და მიიღებთ ქვეყნის გადამთხრელ მომსპობ ღონიერებას. და ამას ითხოვდა პატივცემული ბოლო პერიოდის რუსეთი, რომელსაც დედა გაუბოზდა, მამა გაულოთდა და დარჩა ბავშვი ოჯახში. ეთიკა ხომაა გადარჩენილი და ის, რასაც მოითხოვს, ის ვასწავლოთო. ის კი მოითხოვს ექვსი წლიდან სექსუალურ ურთიერთობებზე გადასულ გარყვნილ მდგომარეობას. შეიძლება ეს ვასწავლოთ? და ნუ აუწევთ თქვენ მას ყურს, ნუ შეაყენებთ წკეპლით ნორმალურ გზაზე, მაგრამ ვინ უნდა შეაყენოს? თუ გაფუჭებულია გამზრდელიც, მასწავლებელიც, პროფესორიც, სუყველა. ვიღამ შეაყენოს იმ წესრიგზე? და ჩნდება მაშინ ცრუ თავისუფლების მოდელი. მივცეთ ცხოველს, მივცეთ მხეცს თავისუფლება და კაცობრიუ-

ლი მოვკლათ, ე. ი. წესრიგი, რომელსაც მივყავართ ღმერთისაკენ ის შეყოვნდეს და ის უწესრიგობა, რომელიც მხოლოდ ცხოველს გვაძლევს, ის აიშვას. ამ აქტის წინაშე ვიდექით ჩვენ და მერე ეს აქტი ჩვენზე გადმოვიდა, გადმოიტანეს და ამ აქტის შედეგი ის იყო, რაც ჩვენს ქუჩებში ხდებოდა მერე: აიძულებული ბიჭები ავტომატებით რომ გამოდიოდნენ და ერთმანეთს ესროდნენ. აი, ამას უნდა დავკვირვებოდით. მაგრამ რუსმა თავისი საქმე გააკეთა, თავისი უცოდინარობა მოგვახვია თავზე, თავისი ბავშვის მორალით ჩვენზე გადმოვიდა. ამის მიხვედრას დრო უნდა და ხომ იხარჯება ღვთიური სისხლი, ეროვნებები დაიხარჯა და ყველაფერი. ეს იმ უგუნურების შედეგი იყო, სადაც გაულახავი და უწვრთნელი, დაუსჯელი დარჩა რუსი; თორემ, სადაც იყო გეგმაზომიერად გასული იბერიული მოძღვარი წინ, კარგი მკაცრი მათრახით და წესრიგით, იმან შექმნა დიდი რუსეთის იმპერია. მსოფლიოსაგან მოურეველი შექმნა. ქართულმა გენიამ შექმნა. ამას თუ თქვენ დაივიწყებთ, მაშინ არ იქნებით ღირსეული მემკვიდრეები ქართული გენეტიკის...

— ვიცით თქვენი პირველი ნამუშევარი, პირველი ლექსი. პირველი ჭედური ნახატი რომელი იყო და რას იტყოდით?

— შენახული გვაქვს რაღაცეები, ერთ-ერთი ავერ არის: გოგონა რომ ზის, დამწიფებული მტევანი. მე მაშინ არ ვიცოდი, რომ იქ სამება-ერთარსების საიდუმლოს ვაკეთებდი მტევანში. და ისიც არ ვიცოდი, რომ აქ ვაკეთებდი სიცოცხლის მოდელს. მატერია რომ შექმნა ღმერთმა და პალმის რტო რომ მისცა ხელში, ანუ მშვიდობა ქვეყანასა ზედა.

ერთ-ერთი პირველი იმათგან დაჟანგულა უკვე, — ერთვება საუბარში გვანცა, იმ მხარისაკენ მიბრუნებული, საითაც ნამუშევარი ეგულება და თითქოს არბილებს თავისსავე ნათქვამს:

— მოუხდა, სხვათაშორის, მამა.

— თქვენი პირველი პერსონალური გამოფენა.

— პერსონალური გამოფენა 1971 წელს მოეწყო გამომცემლობა „მერანში“. ეხლა თქვენ გაიკვირვოთ შეიძლება, რამეთუ მხატვართა კავშირს ჰქონდა თავისი საგამოფენო გალერეა. მე იქ არ გამოვიფინე. არ გამოვფინე ჩემი ნამუშევრები. მე პირველივე პროტესტი გამოკვეთილად ვუთხარი მხატვართა კავშირს 1971 წელს, როცა გამომცემლობა „მერანში“ გავაკეთე გამოფენა. ის ადგილი ვაქციე საგამოფენო დარბაზად. მინიმალური საცხოვრისი ოჯახს დავაკელი, ვიყიდე ტილოები და გამოვაკარი იმ შენობაში. კარლო კალაძემ დამიშვა მე იქ.

— ბატონი კარლო „მერანის“ დირექტორი იყო, ხომ?

— დიახ. კარლო კალაძე ის ღონიერი კომუნისტი იყო, რომელსაც შეეძლო თავის კოლეგა მხატვართა კავშირის კომუნისტებთან ეთქვა: — ჩემი ცოლი მოქანდაკე იყო, მე ლექსებს ვწერ და ახლა ვაკეთებ გამოფენასო. ის ამას მოიდევდა და მე კიდევ ვინ გამიშვებდა, მხატვართა კავშირის წინააღმდეგ წავსულიყავი. მე ის კაცი ვარ, ვინც მხატვართა კავშირმა მოსკოვის პარალელურად, იქ რომ სოლჟენიცინს ასამართლებდნენ, აქ მხატვართა კავშირში მე გამასამართლეს, რადგან მწერლებში არ პყავდათ გასასამართლებელი პარალელი. იმ მიზეზებით, სოლჟენიცინს რომ იქ ასამართლებდნენ, აქ გამასამართლეს მე. ოღონდ მერე გაირკვა, რომ ის ფუნქციას ასრულებდა და მე მართლა გამასამართლეს, დედა მიტირეს. ჰოდა, ამ ფონზე მე არ მქონდა არავითარი გარანტიები. გაზეთები წერდა ჩემზე, რომ ვიყავი ჩავარდნილი პესიმიზმში, რადგან ქვეყანა არის უძრაობაში და ეს მაინც ფართხალებს. მიგებთ? ცოცხალი რომ ვიყავი, ეს მეთვლებოდა დანაშაულად. მე დამქონდა გამოფენები მსოფლიოს ირგვლივ, მოვდიოდი სახლში და ჩემს სახლში იყო მკვდარი დუმილი და ამ მკვდარ დუმილში თუ გაინძრეოდით თქვენ... მე ვნატრობდი თურმე გარდაცვლილ სულებზე და სულების გადასახლება და... მოკლედ, მათი სიტყვით, პესიმიზმი შემოვიდა ჩემში... და ამ ფონზე მე მასამართლებდა ყოველი გამვლელი ვიგინდარა, რომელსაც მხატვართა კავშირის წიგნაკი ედო ჯიბეში. ეს იყო.

— იმ დღეებში მხატვრებიდან ვინ იყო თქვენთან?

— ჩემთან იყო ერთადერთი კაცი მხატვრებიდან ლადო გუდიაშვილი. ჰოდა, რომ არ ყოფილიყო ლადო გუდიაშვილი... როცა ვნახეთ, რომ გაგვწირა სუყველამ, ჩვენ — მე და ჩემი ლილი (**მეუღლეს გულისხმობს — რ. ნ.**) ჯერ წავედით იმ კაცთან, რომელიც გამწირავებს მეთაურობდა. არ ვასახელებ. იმან თავი მოიავადმყოფა, ვითომ ავად იყო. ჩვენ ვკითხეთ:

— თქვენც გვწირავთ?

— არა, ჩვენ რა შუაში ვართო.

— აბა, მაშინ ლილის ვუთხარი, უფრო სწორად, ლილიმ მითხრა, ლადოსთან წავიდეთ, ლადოსთანო. გავიგოთ, ლადო როგორ თვლის, როგორ ფიქრობსო. წავედით ლადოსთან. მე მქონდა გუნებაში, რომ თუ ლადოც იმას თვლის, რომ მე ზედმეტი ვარ ქართულ მხატვრობაში და ვუშლი ხელს, მაშინ მე სიცოცხლე არ მინდა, მხატვრობა კი არა, მარტო. მი-

ვედით ლადოსთან. დაგვხვდა ნინო და ლადო. ჩემმა ლილიმ მოუთხრო ყველაფერი. ლადო უსმენს აქედან, მისი ეშმაკური ღიმილი ახლაც მახსენდება.

— აბა, ბიჭო, მე რომ სარდაფში მამყოფებდნენ 1936 წელს, 37-ში რომ ხვრეტდნენ ირგვლივ ყველას და გამოხედვის უფლება არ მქონდა, მე რა უნდა მექნა მაშინ? და გაეცინა.

— ბატონო ლადო, თუ თქვენც ასე თვლით... — **და გაეცინა.** ჩემს სახლში გვანცას აქვს ზევით სურათი დაკიდებული, ჩამოხსნა თავისი გრაფიკა, გამოიტანა და დააწერა ზედ. რაღაცეები წერა, წერა და წადი ახლა შენ სახლში, მითხრა.

წამოვედით ჩვენ რეაბილიტირებული, დაბრუნებული მხატვრობაში. სიცოცხლეში კი არა მარტო, მხატვრობაში. და მოხდა ისე, რომ იქ წერია რაღაცეები... მერე მე ჩემი ომი წარვმართე უკვე გამიზნულობაზე...

იყო ჩემს ცხოვრებაში სამი-ოთხი შემთხვევა, როცა ლადო ვეღარ აუდიოდა თავისი სტუმრების შემოტევას და კობა გურულს უთვლიდა, ერთი ნამუშევარი გაუკეთე ამათო. მე მქონდა ოთხი რეკომენდაცია, წერილებიც არის ჩემს არქივში, ნინო რომ მწერს, ლადო გთხოვს, ერთი ნამუშევარი აჩუქე ამასო, ერთი ნამუშევარი იმასო და...

— ეს, ეს უკვე გასაგებია.

— აი, ამ დონეზე ვიყავით ჩვენ და მე მაქვს ფოტოების მთელი კოლექცია, კინოფირებივით, საუბრის მთელი თემა...

ყველას მოეკითხება, ვინც ჩემი ნამუშევრები, ნატყვიარი ნამუშევრები როგორც ისტორია, ლიტერატურის მუზეუმამდე მიიყვანა განგებამ და მერე იქიდან გადაყარა შეგნებულად ვინმემ... დედა ეტირება, საფლავში ამოუტრიალდება ყველაფერი, ეს უნდა ჩაწერილი დარჩეს. რადგან რა ნამუშევარიც გაჩვენეთ ქაშუეთის კარებისა, გამიზნული იყო იმავე გამიზნულობით, უნდა გაკეთებულიყო იმ დროს, სანამ დაიწყებოდა ეს ამბები და უნდა დაცხრილულიყო ტყვიებით. მე რომ ეს ვიცოდი, არ გავაკეთე! აი, რაშია საქმე, მაგრამ რაც იყო ჩემი უპირველესი გაკეთებული ჭედურობა იქ, ის რომ დაცხრილეს, იმაზე ამოიყარეს გულისჯავრი.

— როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი და ლადო გუდიაშვილის შეხვედრა ნათმარ ტაძარში?

— აი, ჩვენ უკვე მივედით იმასთან, მე წინასწარ ვისაუბრე იმაზე.

— თითქმის.

— მე განგებამ უდიადესი ჯილდოები მომცა. ჩემიანი თუ მიხვდება ამას, ამას რა სჯობს. თუ არ მიხვდება და... მაინც მომცა. ლადო გუდიაშვილთან მე უფაქიზესი შეხვედრები მქონდა. მოხდა ისე, რომ მოვიდა ცკ-ს მდივნად ის კაცი, ვინც ეხლა არის (**გულისხმობს ე. შევარდნაძეს — რ. ნ.**). ყველგან მივიდა, ჩვენთან არ მოვიდა, მხატვრებთან. მე მოვითხოვდი, რომ მოსულიყო ჩვენთან. გლეხებს შეხვდა, მუშებს შეხვდა, ინჟინრებს შეხვდა, ექიმებს შეხვდა, პოეტებს შეხვდა; ყველას, ყველას და მხატვრებთან არ მოდიოდა, რადგან მხატვრობა ითვლებოდა როგორც რაღაც ბალასტი, რადგან სიტყვა არ იყო იქ. და არავის შეეშალოს რამე არც არასოდეს; სადაც მხატვრობა არ არის, იქ არც სიტყვაა და არც მუსიკა. სადაც მხატვრობაა, იქაა სიტყვაც, მუსიკაც, ფერიც, გრაციაც და სუყველაფერი ერთად. აი, ეს რომ ეცოდინებოდეს ცკ-ს მდივნებს და ქვეკას მდივნებს და ზეკას მდივნებს — ყველას, ვისაც ავალია კულტურის საგნები, მაშინ იმათ არ შეეშლებოდათ; მაგრამ შეშლილ დროში და შეშლილ დავალებულ ქვეყანაში შეშლილი იყო განგებით ყველაფერი. უკუღმა გადატრიალებული. ცკ-ს ბიუროზე, როცა ას რაღაცა მხატვარი და ფუნქციონერი შეხვდა ერთმანეთს, გამოვიდა თქვენი კობა ბიძია და გააშიშვლა მთლიანად ქართული ვაი მხატვრობის არსი და უკანსკვლის, დეგრადაციის ყველა მიზეზი, საგანი წარუდგინა ახალმოსულ კაცს, რომელიც ქართული ტკივილის შველას იჩემებდა. ა, თუ შენ უნდა უშველო ქართულ ტკივილს მედიცინაში, სხვაგან და სხვაგან, მხატვრობაში თუ ვერ უშველი, იქ, მაშინ ვერ იქნები შენ სრული კაცი. ამიტომ მე რომ ვარ ვალდებული მხატვრობისა, შენ უნდა გაცოდინო ყველა ტკივილი თუ შენ იღებ. თუ შენ თამაშობ, მერე მოგხვდება... და აი, იქ, იმ ყრილობაზე თუ ბიუროზე იყო ნათქვამი ყველაფერი. მაშინ მე ავწიე მოდელი, რომ ეს გაცხოველებული ვაი-მხატვრობა რომ ჭამდა ლადო გუდიაშვილს, ჭამდა დავით კაკაბაძეს, ელენა ახვლედიანს, ქიქოძეს და სხვებს და სხვებს და ფიროსმანს მით უმეტეს ჭამდა და იმ გზაზე შემდგარ ახალგაზრდობას. მაშინ გამოვიდა ისე, რომ მე გავწირე მთელი ჩემი ყოფითი, მოპოვებული ყველაფერი და მე ავიღე ხელში მფარველობა, პატრონობა და ტკივილი იმის იმედით, რომ აგერ მპირდება კაცი, რომ სერგო ზაქარიაძის მკვლელს და სხვებს არ დაიყენებს გვერდში. ამ დროს გვერდში უყენია. მე რომ ვამხილე ესეც, მაშ, როგორ დავიჯეროთ ჩვენ თქვენ რომ გვეშველებით-მეთქი, იქიდან რაც იყო ნათქვამი, ალბათ, ოდესმე, სხვა დროს

ვილაპარაკებთ... მთავარი იყო, რომ მე გამოვედი და ლადომ მოისმინა ის, რომ პირველად გაჩნდა ვიღაცა, აშკარად რომ ამბობს თაობების გულისნადებს. მაშინ ვეღარ დამალა მოხუცებულმა კაცმა და რომ მოვბრუნდი მე იქიდან, აიღო ფურცელი, აკადემიური ფურცელი, დადო მარჯვენა ხელი და შემოხაზა ესე (**მიჩვენებს**) ნერვიულად, ფანქრით და დააწერა: ჩემო კობა, მეტი ჯილდო მე არაფერი მაქვს, ჩემს მარჯვენას გჩუქნი შენ. ეს ქაღალდი შენახული მაქვს მე აქ. არის. მეტი ჯილდო და ლაურეატობები არ მჭირდება მე... ეს იყო უდიადესი შეხებები ჩემი...

— და აი, როცა ახლა შემოქმედებითად ხვდებით თქვენ და ბატონი ლადო ერთმანეთს ქაშუეთში?

— შემოქმედებითად რომ ვხვდებით ქაშუეთში, ესეც კანონზომიერი აქტია.

— დიახ, რასაკვირველია. მაგრამ განწყობა?

— არც გადაბრანჭულად და არაფრით. დიდი მოკრძალების გრძნობა მაქვს და თან შიში იმისი, რომ ჩემი იღება კარები და მე ვუშვებ. იქაც მე ვუდგები ლადოს დარაჯად კი არა, გუშაგად. ეს მე უუფაქიზესი და უთავმდაბლესი განცდით მავსებს... პატარა ბავშვი რომ მიუშვას უსაყვარლესმა ბაბუამ თავის თავთან სიახლოვეს. აი, ასე. ფიროსმანის სახლ-მუზეუმი რომ არსებობს, სასახლე. კაცს, რომელსაც არ ჰქონდა სახლი კი არა, ოთახი არ ჰქონდა, ბინა არ ჰქონდა და რომ შევძელით ეს გაგვეკეთებია, ხუმრობა საქმე არ არის ეს. მე დავით კაკაბაძესთან არ შემახვედრა განგებამ. ვიღაცეები ჩაეჩხირნენ, ვითომ ევროპეიზმის აპოლოგები, ებრაიმეებიდან გადმოხრილ-გადახრილები. მაგრამ დავით კაკაბაძესთან მე დიდი სულიერი ნათესაობა მაქვს. არ იყო საჭირო მე და ის ფიზიკურად შევხვედროდით. იმერელი ვარ მეც და ისიც იმერელი იყო. იმერული დიდი სიყვარული მოფოფინებს მის ფერში, ხაზში, ინტელექტში და აი, ის, რაც მას აქვს დახატული წერტილებად, ბიოლოგიაში რომ შეიჭრა ის, მე შევეხე მას უკვე ენის სტრუქტურით. დავით კაკაბაძე მისული იყო იმ მიჯნებთან, საიდანაც იხსნება ის, რაზედაც მე და თქვენ ენაზე ვსაუბრობდით. მიგებთ? აი, იქ მემკვიდრე მე ვარ, ოღონდ ის ენაში კი არ ხსნის, ფერით მოაქვს. ჩემთვის ის ფერიც გახსნილია უკვე და მთლიანობაში მეძლევა.

ჩემი მემკვიდრეობა უუპირდაპირესი მიბმით არის ჩემი ეროვნული გენიის მემკვიდრეობაზე. ეს არის ყველაზე დიდი ღონიერება ჩემში და აი,

მე რომ ვიცი, რომ ჩემი ეროვნული გენეტიკის მემკვიდრეობა კი არის დედამიწის ეროვნული გენეტიკის მემკვიდრეობა და პატივი და ღირსება და კიდევ ციურის მემკვიდრეობა, აი, მაშინ მთლიანად იქმნება ბაწარი და ჯაჭვი გაუწყვეტელი, რომელიც ათქმევინებს ქართველ მეზღაპრეს, უფრო ზუსტად, ნაცარქექიას: მე იმიტომ ვარ მსუბუქი, რომ ცაში მიკიდია ხელიო.

— რა არის ქაშუეთი თქვენთვის მანამდე, სანამ თქვენი სულის ნაწილის გარკვეული თანაზიარი გახდება?

— ამ კითხვაზე ცოტა შორს მოვლით მოგვიწევს პასუხის გაცემა. და ცოტა ის გავხდები... რა ჰქვია... არა ინტიმური მომთხრობი, არამედ ცოტა მკაცრი და ცოტა მკვეთრი. ჯერ უნდა გამოვკვეთო ჩემ თავშივე, რა არის ქაშუეთი, საერთოდ, და მერე ჩემთვის, რა არის. გახდება თუ არა ის, თუ მე თუ შევძლებ გავხდე თანაზიარი მისი, თუ ვერა — ეს არის პრობლემა. ჩემი პრობლემა კი არა, მთელი საქართველოს პრობლემა. თუ ქაშუეთი არ იცის საქართველომ, ის არც დასვამს საკითხს: გახდეს თუ არა მისი სულიერი ნაწილი. ამიტომ ჯერ მაინც გამოიკვეთოს უნდა და ჩემ თავში გამოკვეთილიყო ქაშუეთის რაობა. რქა-რქა. ორი რქა ხარისა და მას შორის ჩადგმული მზე. ეს არის ქაშუეთი. მზის ქაშვეთი. მაგრამ ორი რქა მთვარისა, მთვარის ორი დალეული ფაზა და მთლიანი მთვარე. ეს არის ქაშუეთი მთვარისა — თუთაშხო. თუთაშხო, თუთაშხუ, თუთაშხი, თუთაშხა, თუთაშხე, თუთაშხია — ეს არის სიცოცხლის მოდელი, მთვარული სიცოცხლის მოდელი და წინ ხარზე რომ გითხარით, მზიური სიცოცხლის მოდელი. მზიური დიდი ენერგიაა, მოძღვარი ენერგიაა, მთვარე დაქვემდებარებულია, მაგრამ მისი საპირისპირო მამრული ენერგიაა და მამრული ენერგია არის დიდი თუთაშხია ანუ დიდი გიორგი. თუ გვეცოდინება იმ რქათა ოდენობა და ხარისხი, ერთი ფაზა მთვარისა ე. ი. მთვარიდან მარჯვენა მხარე არის თეთრი გიორგის, თუთაშხის არგუმენტი. ის ფაზა ი-ს წერს, თეთრი რაცაა, მეორე ფაზა ა-ს წერს, ეს არის თუთაშხას ი-ნიც რაც იწერება, ის არის თუთაშხი თეთრი გიორგი, თუთაშხა — შავი გიორგი. ორივე ერთად აღებული კი არის წმინდა აბსოლუტი ანუ სრული გიორგი — გორგო. აი, ეს მოდელი არის ის, რაც განსახებული არის ქაშვეთის ეკლესიაში. შუათანაობა, ზომიერება არის ორი დაპირისპირებულობის შუა. ყველაზე ზომიერი მატერიაში ყოფა ღვთიური ყოფაა. ღმერთი არის ზომიერი, ღმერთი არის წონასწორი, ღმერთი არის

შემომქმედი ყოველთა კეთილთა, ბოროტთა, ყოველთა მაშუანებელი და მაწონასწორებელი. საქართველოს ღმერთმა დაანათლა დედამიწის ზომიერ შუა სარტყელზე ყობადობა. ყინულის პოლუსიდან და ეკვატორის ცეცხლიდან შუა ზომიერზე და დედამიწის შუა ზომიერ სარტყელზე ბეჭდის თვალივით კავკასიაში გული-გულში, უშგულობა, ჩასმა და მისი იღბალი არის ქაშუეთობა ანუ შუალედობა, შუათანობა. შუანი, შუანეთი დევს როგორც ნიშნული დედამიწაზე სვანეთში — შუანეთში. ქაშუეთობა დედაქალაქ თბილისში არის შუანობა, წონასწორობა, რქათა შუაობა ანუ გიორგის, შავი და თეთრი გიორგის თანასწორობა; და ამათი გვირგვინი ე. ი. წმინდა გიორგობა. ყველაფერ ამას თუ დავიტანთ ქვა-შვეტამდე ანუ ქვასვეტი. თუ ის ყველაფერი, რაც ვთქვით, გამკვრივდება, გამოიკვეთება ქვაშვეთში — ქვასვეტში ეს იქნება ნიშანი, ზოდი, სვეტი ქაშვეთისა. ამ ქაშვეთის სვეტის მოდელზე არის შექმნილი ხალხური ქაშვეთის სვეტის ლეგენდა; ქვა შვაო. არა, ბატარა, ბავშვური უსაყვარლესი განცდით გაკეთებული ლეგენდაა, მაგრამ ქვაშვეტია იქ, სვეტი ცხოვლის გაქვავებული, გახევებული, გაადგილებული. აი, ეს არის ჩემთვის ქაშვეთი — წონასწორობა ღვთიური. თუ ჩემს ცხოვრებაში მე ვერ შევქმნიდი, ვერ მივაღწევდი ჩემ ღვთიურ წონასწორობამდე, ვერ გავწვდებოდი მას, უფლება არ მქონდა შევხებოდი ქაშუეთს. ქვაშვეტს არ შევხებოდი და ქვათა შუას არ შევხებოდი, თორემ შობდა დედაკაცი ქვას. ეს აქტი მოხდებოდა. ეს ჩავთვალოთ, რომ დარჩება ისევე მყარ არგუმენტად უწონასწოროდ შობილი ქვადნაშობი იქნება; მაგრამ მოხდა ისე, რომ განგებამ გახსნა ჩვენთან სულიწმინდის კარი და ამ დიადი მადლის ქვეშ ჩვენ მოგვეცა ის, რაც გითხარით. და გიორგის მოდელი. დღეის ამას იქით მე ვიცი, რომ არის ქართულ სულიერებაში, ქართულ ირეალურში გიორგი, რაც არის წმინდა გიორგი; მას აქვს ორი ბუნება: თეთრი და შავი ბუნება და მთლიანობაში არის წმინდა, მთლიანი, აბსოლუტი და მისი რეალიზებული სახე არის ქართველი კაცი — თეთრი და შავი გიორგი და მერე ზეკაცი მისი ბუნებისა შუანი და წონასწორი კაცი, სრული კაცი, წმინდა გიორგი რეალური კაც — ღმერთი. ეს რომ გეცოდინებათ ყველაფერი, მაშინ დედამიწაზე ცხოვრება იოლია. როცა თქვენ იცით, რომ შავლეგო არის შავი გიორგის, ყველაზე მკაცრი გიორგის, ყველაზე დახარჯული გიორგის, რადგან ყველაზე მხურვალ დროში უხდება შავ გიორგის მოღვაწეობა, მხურვალე დრო ცხოველი მატერიის მხურვალების დროა.

ამ მატერიის მხურვალ დროში შეკავება ცხოველმოქმედებისა ყველაზე მძიმეა, როცა გრილი დროა თეთრი გიორგის, ნაკლები ხარჯი უხდება მატერიის მიმართ ბრძოლაში. მას თავის მატერია თავისი ბუნებისა გამო და კოსმიური დროისა გამო, სიცივისა გამო შეკავებული აქვს. მას არ აუხდება მატერია. ის მხედარია თავისი მატერიისა. ის კარგი მხედარი-ვით მართავს თავის მატერიას, მაგრამ შავმა გიორგიმ უნდა ყველა ღონე მარადული სიფხიზლე უნდა ატაროს, რომ ამ მატერიის ცხოველმოქმედ აქტიურობის დროს იდგეს შუანში, იდგეს წონასწორში და მოიგერიოს შემოტევა მატერიის — სატანისა. მიგებთ, რა სასტიკია შავი გიორგის ხვედრი?

— დიახ.

— აი, როცა თქვენ იდექით აპრილის ამბებში, ქაშუეთის წინ (**1989 წლის 9 აპრილის დღეებს გულისხმობს — რ. ნ.**), შავი გიორგი იგე-რიებდა უთავზარდამცემეს მატერიულ შემოტევას და უთავზარდამცემეს ნებას აცხადებდა საქართველოს აბსოლუტური სიხარბით მოფლობისა. ვინ დაგანებებს, გიორგი შვილო, შავო გიორგი თუ თეთრო გიორგი; ვინ დაგანებებს იმას, რაც მარადული და ღვთიურია და შენ განგიკარგავს შენი თავიდან შენი უწონასწორობისა გამო. აღარ ხარ შუანი, აღარ ხარ წონასწორი, მაშინ მოდის რაღაც ღონიერება ქაშუეთის ძალისა და შენ გდებს ბრალს იმ უწონასწორობაში, რაც შენი ბრალი არ არის.

— მაშინ ყველაზე ბობულარული სიმღერა სწორედ ეს იყო:

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა“...

— დიახ, ბატონო, დიახ. ისე არ ხდება არაფერი, შვილო, ისე, მე როცა ეს ვიცი...

— მთელი საქართველო მღეროდა მაშინ, სწორედ იმ წლებში ამოტივ-ტივდა.

— დიახ. ეს იყო შავი გიორგის.

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, შავლეგო,
სისხლში გაგიხამებია, შავლეგო.
ყაწიმები გიხდებოდა,
მტერთან ბრძოლა გიხდებოდა...“

ყველაფერი: უთოფო, უიარაღო ხელით სიკვდილთან მისვლა ესაა. გიორგი იყო იქ, ის შავი გიორგი — უმკაცრესი და უსასტიკესი განცდილი შავი გიორგი. ეს რომ გეცოდინებათ ერსა და ბერს, ჩემო კეთილებო, მა-

შინ ქაშუეთის მღვდელი იქნება, მოძღვარი იქნება თუ ფოფოდია, თუ რომელიც გნებავთ, არ მოვა და არ ატლიკინებს ენას: — რას აკეთებ, კაცო, შენ, დაგვიჩქარე, ჩვენ ღონისძიება გვაქვს პარტიული ჩასატარებელი და დავკეტოთ უნდა კარები. ასე არაა; ფეხსადგილის კარები არაა ქაშუეთის კარები. ქაშუეთის კარები არის უდიადესის კარები და უდიადესი უნდა დაბრუნდეს საქართველოში, როგორც გიგანტური სიმართლე, როგორც გიგანტური თეთრი. ეხლა მე ვხედავ მას უკვე, ღმერთო ძლიერო... და ვაი მას, ვინც ვერ მოიმხრო შავი გიორგის იმხელა სისხლდათხეულობა, თავდადებულობა და მის სისხლზე დღეს ფერხულს მართავს და მოსაგებელი ჰგონია შავი გიორგის სისხლი. არა, შავი გიორგის სისხლი მოსაგებელი არ არის. შავი გიორგიც და თეთრი გიორგიც წმინდა გიორგის ორი ნახევარ-ნაწილია და მათი მთლიანობის დრო მოდის ეხლა. იმას უნდა შეეგებოს ქაშუეთის კარები და მე როგორ გავებედავ ჩემი უღირსი თავით თუ განგებამ დამასრულებია ეს და მე ვიცი, რომ დამასრულებიებს; როგორ ჩავთვალი, რომ მე მივწვდი და თანაზიარი გავხდი, მე ხოხვით მივალ, ლოცვით მივალ ქაშუეთის კარებთან, სადაც შეებმევა ის ჩემი ხელით გაკეთებული კი არა, ღვთის ნებით გაკეთებული კარები. გიორგების ის ორი სისტემა, სამ-სამი გიორგი თეთრი გიორგი და შავი გიორგი და გვირგვინში კიდევ მაცხოვარი, როგორც წმინდა გიორგი აბსოლუტი. მივალ ფორთხვით და ე, მე მაშვინ მე არ გავშინაურდები და მითუმეტეს, ვერ გავებედავ და კადნიერი ვერ ვიქნები, ვიყო შინაური. ვეცდები კი, რომ ღირსი ვიყო.

— ბატონო კობა, განწყობით იწყებთ სამუშაო მაგიდასთან მისვლას თუ განწყობა მუშაობის პროცესში მოდის?

— ეხლა, როგორც ყველა გონიერ არსებას აქვს რაღაც გამიზნულობა. ეს გამიზნულობა ამ მომენტში ჩამოყალიბებული იყო. ჩემი უსასტიკესი ცხოვრების ფონზე მოსულიყო ვიღაც კაცი და ეთქვა, რომ ბატონო, ჩვენ ვიწყებთ ქაშუეთზე მიშენებას და იქ გვინდა, გაკეთდეს კარები და ეს კარები ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ თქვენ უნდა გააკეთოთ.

— უკაცრავად, ეს „ჩვენ" ვინ იყო, საეკლესიო სინოდი ანუ...

— არა, საეკლესიო სინოდი არა, ეკლესიასთან არსებობდა მშენებლობის რაღაც ორგანიზაცია და ქალაქის...

— ე.ი. საერო?

— საეროც არის და საეკლესიოც, ორივე. მე არ ვამბობ ეხლა გამოკვე-

თილად, სანამდე არ ჩამოყალიბდება ყველაფერი. მთავარი, გადამწყვეტი ვინ იყო ამ საქმეში, კაცი, არქიტექტორი ირაკლი მოსულიშვილი. ჩვენ ერთად დავამთავრეთ თბილისის სამხატვრო აკადემია. მან არქიტექტურა დაამთავრა. ჩვენ გაგვყარა განგებამ მერე. ის წავიდა. ბევრ საქმეში მიიღო მონაწილეობა და ბოლოს, როცა მე გამოვიარე სიმწრით ჩემი სიცოცხლე, დამიბრუნდა ის კაცი და მოდის, რომ მე მაქვს დავალებული, გითხრა, რომ შენ ქაშუეთის კარები... ეს იყო ამ თავზარდამცემი არეულობების წინ. მის წინ იყო ჩემი ასპინძაში წაყვანა და მოსაკვდინებელი შხამის გავლა და მთელი ამბავი... და მე სახლიდან აღარ გამოვდიოდი. ამ დროს მოდის ჩემთან ასეთი ამბავი. მე ვიფიქრე, ვიფიქრე და ჩავთვალე, რომ ეს განგებით ხდება. მათ არ იცოდნენ, რომ განგებით ხდება. ესეც მე მივხვდი... მაგრამ მოხდა ისე, რომ ორი წელი მაწვალეს, არ მოიტანეს მასალა. მათ იცოდნენ. მე ვუთხარი მათ:

— მე გავაკეთებ!

— ხელშეკრულებას დაგიდებთო.

— არა, — მე ვუთხარი, მე რამდენი ხელშეკრულებაც დამიდეს, სუყველა ხელშეკრულება შევასრულე პირმართლად და ბოლოს, ჩამიშალეს. და მე ეხლა მოკლული კაცი ვარ და აღარ მინდა, კიდევ მოვიტყუო თავი ვისმეს ხელშეკრულებით. ოჯახსაც არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ მე ხელშეკრულება მაქვს. მე ვიცი, თქვენ მოხვედით, აკეთებთ, ქაშუეთის კარები გინდათ. მე ამას გავაკეთებ. ოღონდ ფული არა მაქვს, საჭმელი არა მაქვს, სასმელი არა მაქვს, ჩასაცმელი... წყალი ჩამომდის და თქვენ ამას არ გთხოვთ, ოღონდ მასალა მომიტანეთ, რაც სჭირდება მას და მე კიდეც თუ მომატყუებთ, მე გაკეთებული დამრჩება და შთამომავალს დარჩება ჩემი გაკეთებული. ეს არის პირობა დღესაც. ეს პირობა არ გადავა. მოხდა ისე, რომ მე სად დავაყენო ეხლა ჩემი თავი, როდის მაქვს განწყობილება. მე განწყობილება სულ მაქვს ღმერთის სამსახურში ვიყო, ჩემი ერის სამსახურში ვიყო. მისგან არ მივიღო მინიმალური საცხოვრებელი სახსარი და რაც მაქვს, მივცე ყველაფერი. არ ვქადილობ მე და არც მჭირდება, რომ ვიქადილო... მაგრამ თუ ლუკმა-პურიც აღარ არის, მაშინ განწყობილება ვეღარ მოვა, იმიტომ... ფიზიკა წყვეტს სულიერების საკითხს რაობაში. ხო. და მოხდა ისე, რომ მე არ მომიტანეს, წლები მაწვალეს მასალის მოტანაზე. მაშინ მოხდა სასწაული. ეხლა შეკითხვას არ ეხებოდა ეს, მაგრამ მე მაინც...

— **არა, ეს ძალიან საინტერესოა...**

— უძლიერესი რაღაც მოხდა და მე შინაგანად გავნაწყენდი... რომ კიდევ მომატყუეს. ამ განაწყენების ფონზე გამოჩნდა კაცი. ვინმე კაცი ენუქიძე და მითხრა:

— აი, ბატონო, ჩვენ მოვიტანეთ ქაშუეთის კარებების მასალა. მოვიტანეთ თვით კარებების საყრდენი რაცაა და შემოვიტანოთ. ეხლა გამოგვხედე.

გავედი და 4-6 მუშა ახლდათ. შემოიტანეს ეს ყველაფერი და უუდიადესად გამიხარდა გუნებაში, მაგრამ გული დამწყდა, რომ აქამდე, თავის დროზე მოტანილი ყოფილიყო, ეს კარები უკვე გაკეთებული იქნებოდა. ეხლა მოიტანეს. ეხლა მოიტანეს და რაღამც მოიტანეს, მე უკვე აღარაფერს აღარ ვკარგავ. მასალა მაქვს, მე დავჯდები და ვიმუშავებ... მაგრამ მე მაინც ვერ შევძელი, რომ რისხვა არ გამომეთქვა მათდამი, ვინც შეაყოვნა ჩემამდე არმოტანა კარებებისა. როცა დავალაგეთ ესენი და მუშები დავლოცე, თითო ჭიქა ღვინო მაინც მოვახერხე, რომ დაგველია, დაგველოცა ქაშუეთის კარების მობრძანება აქა. წავიდნენ ისინი. ნახევარ საათში მოვიდა ორი ქალი, რომელთაც აინტერესებდათ ჩემი ემოციური მდგომარეობა იმის შემდეგ, როცა ორი წლის ლოდინის შემდეგ მივიღე კარებები. ერთს ვიცნობდი, მეორე — ახალი იყო. მე მივხვდი, ეს ჩემთვის ნაცნობი ხელწერა იყო. მივხვდი, რაშიც იყო საქმე და დეტალურად ავუხსენი მე მათ ჩემი რისხვა... და ჩემი რისხვა ავიდა კულმინაციაში და ამ დროს მოხდა ჩემთვის თავზარდამცემი სასწაული: შექანდა სახლი და დაიწყო მიწამ რხევა. ზღაპარს არ გიყვებით! ეს იყო რეალობა და ეს ქალები დაფრთხნენ და მეც დავფრთხი, მაგრამ მერე მოვედი უცბად აზრზე და მე ვიცი, რომ მე არ უნდა გავბრაზებულიყავი და ვეცადე, რომ დამეწყნარებია ჩემი თავი. მაგრამ ქალები, რადგან ვიცოდი, საიდანაც იყვნენ მოსულნი, მე ჩავთვალე, რომ ცოტა არაუშავს, შეშინებულიყვნენ. კარგა რომ მოიჯერეს გული, მერე ვუთხარი:

— ეხლა გავიდეთ გარეთ. დანგრევით, ნუ გეშინიათ, არ დაინგრევა...

მოხდა ის, რომ გავედით გარეთ. კარგა ხანს იყო ეს მიწისძრევა. ეს ქალები მერე წავიდნენ. რა სიტყვა მიიტანეს იქ, სადაც საჭირო იყო მიტანა, ეგ მე არ ვიცი. მაგრამ მეორე დღეს გაზეთებმა და რადიომ შენიშნა, რომ ეს იყო 13 რიცხვი, როცა მოხდა დიდი მიწისძვრა: დაინგრა ეკლესიები, დაინგრა შენობები, მაგრამ ხალხის მსხვერპლი არ ყოფილა. ეს იყო 13^{00} საათზე. მოიტანეს კარები 12 საათზე და 30 წუთზე და ნახევარ საათში მოხდა ეს. ზუსტად შედგა იმ დღეს, იმ რიცხვში. მოტანა ამ კარებისა

და ჩემგან რისხვის გაშვება — აი, ეს აქტი ერთმანეთს დაემთხვა. ამას არავითარი სენსაციისთვის არ ვყვები. ვაფიქსირებ მხოლოდ ფაქტს! ეხლა ეს რატომ მოვყევი. გავიდა ხანი და ის კაცი, ვინც ეს კარებები მოიტანა, მოვიდა ჩემთან, როგორც ავადმყოფი. ავადმყოფი, მაგრამ როგორც ჩანს, მისი ღვაწლიც იყო შეკავებულობაში ჩემამდე კარების არმოტანისა გამო და კიდევ რაღაც თავის ცოდვები პქონდა, როგორც ჩანს და ერთი წელი არ უცოცხლია. ის კაცი გარდაიცვალა. ახალი კაცები გამომეცხადნენ მერე, ერთი წლის შემდეგ. მე ვმუშაობდი უკვე. ვაკეთებდი ნელ-ნელა. და მასალა მქონდა ახლა და კარები, ეს იყო. მერე გამოვიდა ისე, რომ წამოსწიეს ამათმა ეს პატრიოტობა და ეროვნული განთავისუფლების „დიდი მოძრაობა“ — ვამბობ ჩემთვის მე. გამოიკვეთა, რომ მე იქ არ უნდა ვყოფილიყავი, ამიტომ მოიტანა ვიღაცამ ეს კარებები ჩემთან, რომ მე ვყოფილიყავი ყველაზე სერიოზულით დაკავებული და მეტი აღარ შეიძლება... რა გინდა მეტი, კაცო. დაეტიე შენ სახლში. მე უნდა მივ-მსვდარიყავი ამას. მე მივხვდი, რასაც ისინი ფიქრობდნენ, მარა მე კიდევ ცოტა სხვა რამეს მივხვდი, რომ იქ, რომ ნგრევა დაიწყებოდა გარემოში, მე აქ უნდა მეკეთებია. მე უნდა გამეკეთებია ბალანსი, რომ დანგრევა არ მომხდარიყო. როცა ისროდნენ იქ, მთავრობის სასახლიდან თუ ქაშუეთი-დან, ერთმანეთს ესროდნენ თუ სხვებს ესროდნენ, თქვენ გესროდნენ... მაშინ მე ვიჯექი აქ, ჩემი შვილი რომ იქ იყო, ერთად რომ იყავით... და სუყველა. მე ვიჯექი აქა და გულისფანცქალით ვურტყამდი, სათითაო იმ გაჭყლეტილ, გახვრეტილ, დანგრეულს ვამთელებდი! ეს რეალობაა. მე მხატვრულობისთვის არ მცალია. ვაფიქსირებ ისევ და ისევ ფაქტს და... სიცივეში, შიმშილში, სისხლში, ოფლში, ყველაფერში გაკეთდა ექვსი გიორგი და ეს ხუმრობა არ არის და თბილისმა გადაიტანა ნგრევა. რო-გორ ფიქრობთ ეხლა თქვენ, დანგრეულ თბილისში, როცა მიჭყლეტილი იყო, მოჭყლეტილი ყველაფერი და ამოშანთული და ძმის სისხლით დას-ვრილი ერთმანეთის ხელები და კედლები, სუყველაფერი, მე გამოვიტან და მივადგამ წმინდა გიორგის ქაშუეთის კარებზე არა? ასე არ იქნება. განგებას ასე არ უსურვებია. ვინც ისურვა ის, რომ მე ორი წლის წინ უნდა გამეკეთებია და განგებამ არ გაუშვა, რომ გამეკეთებია, რომ გა-მეკეთებია, ისევე დაცხრილული იქნებოდა ტყვიებით. ჩემს ნამუშევარს კი არ ვჩივი მე, გიორგის არ შეიძლებოდა შეხებოდა ტყვია. მიგებთ?! ეს მოხდა განგებით. არ შეეხო. ეხლა ვინმე თუ რამეს კიდევ „ზრუნავს“ და ფიქრობს, არ გამოვა ისიც. გიორგის დამარცხება არ შეიძლება. გიორგი

— შავია თუ თეთრი, წმინდა ხარისხში უნდა გავიდეს. ის დრო მოდის ეხლა — ფინალი... მხოლოდ მაშინ შეიდგმება ქაშუეთის კარებები, როცა სამივე გიორგი კი არა, ორივე გიორგი — თეთრი და შავი სამ-სამ ხარისხში ავა ქაშუეთის წმინდაობაში და იქ მაცხოვარი, როგორც წმინდა გიორგი ისე, რუსთაველის გამზირზე გამოტყორცნის განგებით ენერგიას სიკეთისას, სითეთრისას, სიშავის თანაალმობისას ოღონდ დამარცხებული, ძირს დაწოლილი შავი და ზემოდან თეთრი და არა პირუკუ, შავით დათრგუნული თეთრი. აი, ეს დრო რომ დადგება, მაშინ შებმული იქნება ქაშუეთის კარებები. ღმერთის ნებით და არა ჩემი ნებით და მე ამ პერიოდში განწყობილება, გეუბნებით, არ მიჩნდება, რომ ვიმუშაო. ვებრძვი ჩემ თავს. ქარში თუ გამოგიცდიათ თქვენ ქარის საწინააღმდეგოდ წასვლა, ასე რაღაც მაწვალებს უფრო დიდი ენერგია და მაგდებს იქიდან. მე ელიზბარს დავუჯერო, ახლა ვიღაცას იქ ბარი რომ ელოდება საწანწალოდ, მთა და ბარი, თუ კეფაში რომ ელოდება ბარი, თუ ღმერთს დავუჯერო; რომელიც მეუბნება: ციც, შვილო, ახლა არა, ჯერ არა, ჯერ ადრეა, ჯერ ადრეა, ჯერ ადრეა! რომელს დავუჯერო? მე ვეკითხები ბატონ ელიზბარს და კიდევ სხვებს. თუმცა ეს შეკითხვა ირონიულია და მე შესაკითხი ობიექტი მყავს უფრო დიდი. აი, ამ განწყობილებით ვარ ქაშუეთის მიმართ და სხვა შემთხვევაში მე არ ვმუშაობ თუ არა მაქვს მხატვრული აფოფინების ანუ სულიწმინდაში დგომის ასპექტი ჩემში... მე ისე არ ვხატავ. მე რომ დავხატო, თქვენ გაგეცინებათ, მე ორი კლასის უსწავლელი, ხატვის უსწავლელი მხატვარივით ვერ დავხატავ. უარესად დავხატავ და როცა ვხატავ, მაშინ თუ რამე გამომდის, ეგეც საკითხავია... (იღიმის)

— ბატონო კობა, საუბარმა მოიტანა და მინდა გკითხოთ, ამ ბოლო წლებში ყურადღების ცენტრში ქაშუეთი დადგა. ახლა მე მაგონდება ბატონ მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკების დადგმის ამბები ქაშუეთის წინ...

— ამას ნუ მათქმევინებ ბოლომდე, თუ არა, ჩემს კოლეგებთან უხერხულობაში არ გამოვიდე. მერაბი ჩემი უსაყვარლესი კაცია, მაგრამ მერაბსაც, ელგუჯასაც, გოგისაც და კიდევ სხვებსაც თავისი, შეიძლება შინაგანად ჩაუღრმავებლობისა გამო აქვთ რაღაც ისეთი... ეს ქანდაკებას ეხება და ეხება ეკლესიას. თქვენ კარგად იცით, რომ მრგვალი ქანდაკება არის კერპი, კულტი ქართული მართლმადიდებლური ქრისტიანობისათვის. ჩვენ ვიცხოვრეთ 70 წელიწადი უღმერთო სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ თუ უეკონომიო საზოგადოებაში, სადაც ღმერთი მოსპობილი

იყო. გაკულტებული იყო პარტიული მატერიალისტი. მე არ გამიკეთებია ეკლესიაში ქანდაკება. ჩემ უსაყვარლეს კაცებს ყველას გაკეთებული აქვთ. ჰოდა, მათ უნდა პყოფნოდათ ამ ცოდვის სიმძიმე და მერე ქართული ეკლესიის პარალელურად არ შეიძლება კულტის დადგმა, კერპის დადგმა. ელგუჯამ ჯერ გააკეთა ეკლესიაში, მერე გამოდგა გვერდზე. მეტეხის კლდის ეკლესია რომ არის, იმას ტოლფარდი, შემტოტებელი და შემპაექრებელი არ სჭირდება. გამიგეთ?

— ორი ძეგლი?

— ორი ძეგლი ერთად და მით უმეტეს, იდეოლოგიური თუ იდეური ძეგლი რომ უპირისპირდება. ელგუჯამ დააფიქსირა ამ დროის კერპული ბუნება. ამით მან ლახვარი ჩასცა, მან კი არ ჩასცა, იმ კოსმიურმა რეალობამ, რეალობამ რომ ჩასცა ლახვარი, ელგუჯამ ის დააფიქსირა, თავის ყოფითაც და თავის შემოქმედებითაც... მერაბს უნდოდა, დავით გურამიშვილის ძეგლი დაედგა ქაშუეთის ფონზე. აი, ის კედელი რომ იყო, იქა...

— რატომ ქაშვეთი?

— აი, გითხრათ. მერაბმა ხომ არ იცოდა, რომ იქ მისაშენებელი იყო ის კედელი. იყო სიბრტყე და ოთარ ლითანიშვილის მინგრეულ-მონგრეული გათავისუფლებული გაზონები ქმნიდა მაცდუნებელ ფონს, რომ ამ სიცარიელეზე უკეთესი ადგილი არ შეიძლებოდა, თან ცენტრია. მერაბს უნდოდა, დავით გურამიშვილი რომ აქვს მას ყველაზე უკეთესი პლასტიკა, რაც აქვს თავისი, ის უნდოდა, იქ დადგმულიყო. ყველა ღონე იხმარეს იმისმა კოლეგებმა და მე, რომ ეს არ მომხდარიყო. და ჩაიშალა ეს და ჩაუშალეს. მერე თქვენ ნახეთ, რომ დავით გურამიშვილი დგას ეხლა ვაკეში.

— მეცხრე საავადმყოფოსთან.

— ხო. მეცხრე საავადმყოფოსთან და აი, ის, ვინაც ჩაუშალა მერაბს იქ დადგმა მაგისი, მეცხრე საავადმყოფოში სამკურნალო ხალხია (**იცინის გულიანად**), მაგრამ ჩემი კოლეგები არიან და უსაყვარლესები. მიუხედავად აბსურდული ინტრიგებისა... და მოხდა ისე, რომ რადგან იქ არ დაადგმევინეს, ბიჭო, ახლა გაჩნდა მომენტი: მოხდა 9 აპრილი, მარიამი დაჩეხეს, გიორგი დაჩეხეს და მერაბს შეუძლია, გააკეთოს ეს. მას რელიგიური პოზიციიდან სრულიად არ უფიქრია. მერაბს უნდოდა, მიეშენებია ქაშუეთის ტაძარზე და იქ გაეკეთებია ქანდაკება. ეს უკვე უდიდესი კერპობა. და ამაზე გამოვიდა საქართველოს ეკლესია. ცოტა ჩვენ ვუჩურჩულეთ, რომ გითხრათ სიმართლე. არ შეიძლებოდა კერპის დადგმა, რა

გამოდის? ვიცით და ვცოდავთ. როცა არ ვიცოდით და ვცოდავდით, ის უნდა გვეპატიოს და როცა ვიცით და ვცოდავთ, მაშინ აღარ გვეპატიება. მოკლედ, მოხდა ისე, რომ მერაბს უარი ეთქვა მრგვალი ქანდაკების დადგმაზე. მისი ქანდაკება სადაც არ უნდა დაიდგას, ის თავის ადგილს იპოვის და ყველაფერი იქნება. ჩვენ არ შეგვიშლია ხელი, მას ღმერთმა შეუშალა ხელი, რადგან მოდის ეხლა არა კერპის და კულტის დრო, არამედ ღმერთის დრო მოდის. ამისათვის არის, წინგასული კაცები მუშაობენ თავჩაწყვეტით, თავჩაუწყვეტლად, რათა განიწმინდოს უფლის მობრძანებისათვის გზა. ამას თუ ვერ მივხვდებით ჩვენ, გვეცოდინება ისევე ინტრიგები საეკლესიო, ეროვნული თუ სახელოვნებო და იმაზე ვიქნებით აწყობილი. აი, ეს ქაშუეთის კარები, ყოველი ინტრიგიდან გამოთიშულია. მე კი არ გარწმუნებთ, უბრალოდ, ფაქტს აღვნიშნავ. ვისაც უნდა იკვეხნოს, ვისაც უნდა... რაც უნდა... ეს კარები კეთდება. ჩამოჰკიდებს იქ ვინმე თუ არ ჩამოჰკიდებს, ეს ჩემთვის არ არის გადამწყვეტი. ეს კარები ღვთის მიმართ კეთდება. და თუ მოვა და როცა მოვა ნამდვილი საქართველო, როცა ღმერთში შესული საქართველო იქნება, ის მოიმხრობს ამ კარებებს თუ დღევანდელი საქართველო ვერ მოიმხრობს.

— ყველაფერს ეცნობით რაც თქვენზე დაწერილა, ან აგრთვებთ?

— ნაწილობრივ რაღაცეები... ჩემმა ლილიმ (**მეუღლეს გულისხმობს — რ. ნ.**) შეადგინა რამოდენიმე ანბანურად... მაგრამ ეხლა მეცინება ყველაფერზე. რაც დაწერილა, ეს იყო უწრფელესი პატივისცემით, სიყვარულით. მე იქ არ განვსჯი იმას, მცოდნეობას თუ არ მცოდნეობას, ვინ რა დაწერა. ერთია მთავარი, გულწრფელობით იყო ის დაწერილი. ვიღაცეები აფიჩინებდნენ ფეხებს. მე არ ვწერდი. არც არავის ვთხოვდი, რომ დაეწერათ ჩემზე და თუ წერდა ვიღაც, ვერც ავუკრძალავდი. კიდეც რომ ავუკრძალე, მერე გაზეთში ვიპოვე დაწერილი, მერე გავიგე, რომ დაიწერა. მე გაზეთსაც ვთხოვე, ტელევიზიასაც, რადიოსაც ვთხოვე, რომ თუ აუცილებლობა არ იქნება და რაღაც... არაა საჭირო. მარა, თქვენ არავინ გკითხავთ მაშინ. ხელს აწერენ თქვენს მაგივრად, რომ ვითომ თქვენ თანახმა იყავით. კი, მე მაინც ვამბობ, ის რაც გულწრფელად კეთდება, თქვენს მიმართ იქნება თუ სხვის მიმართ, დასაძრახისი არაა. ალალად, გულწრფელად გაკეთებული. და ისე, დოსიეებს რომ ბეჭდავენ მავანნი გაზეთებში, ვითომ მხატვრები, მხატვრობა რომ არა აქვთ და უცხოეთში დაზვერვისთვის რომ გააგზავნეს. მერე რომ ჩამოვლენ და აქ დაბეჭდავენ: ასე იყო, ისე იყოო. მე ვიყავი წამყვანიო... იქ გულწრფელობაზე და

პატიოსნებაზე შორს არის საუბარი. ეს ისე... **ილიმის კვლავ.**

— იყო დრო, როცა პოპულარობა საზიანო იყო...

— დიახ, ყოველთვის საზიანოა პოპულარობა.

— ე. ი. არაფერი შეცვლილა? როგორ ფიქრობთ, თქვენ პოპულარული ხართ, ქუჩაში გრძნობთ ხოლმე?

— არა, მე მივჩაჩუნობ ერთი ჩამოხეული ჩაჩუნა კაცი და ეხლა უპრიანია თქვენი შეკითხვა. შაქარი არ გვქონდა და ვერცერთ ამათ დაშვებულ წერტში ვერ ვიშოვე და იძულებული გავხდი, ახალგახსნილ ბაზრამდე ჩავხოხებულიყავი. აქედან დაღმართია და კი ჩავედი, მაგრამ იქიდან რომ შემოვუტიე, ცოტა გულმა შემომიტია და ჩემი ბედის ირონია ნახეთ: მე არ მგონია მთლად დაბერებული ჩემი თავი და აღმართში ვეღარ ამოვედი. ვეღარ ამოვედი, ამოვათავე და ბოძია... და მივეყუდე ზედ. არავინ არ შემნანებია, დამინახავდა ვინმე თუ არ დამინახავდა. ახლა (**იცინის**) გამოვცადო უნდა ჩემი თავი, ძაან ცუდად თუ ვარ... კაი ქალი თუ ჩაიკლის, შევხედავ, თუ არა (**ციცინით ორივე**) და ეს არც გამიფიქრებია და გამოტეხილად ვამბობ ცოდვას, ვიფიქრე გუნებაში, რის ქალი, რა ქალი, ბიჭო, ვიღუპები, მგონია. ამის გაფიქრება და აქედან, ბოძის მხრიდან გამოვარდა თითქმის ნახევრად წელს ზემოთ შიშველი ქალი, შარვალი აცვია... და... ახლა კი ვიფიქრე, რომ ახლა ამანაც თუ ვერ გამოგაცოცხლა, მოთავებული ხარ (**ახლა უკვე ხმამაღლა იცინის**) ხო. ამდენად, ჩემი შემოქმედებითი იმპულსი გაისინჯა და... ძლივს მივწოჩდი სახლამდე; თქვენ ხედავთ, ჩვენი საუბარი მაინც შედგა.

— საერთოდ, კრიტიკას როგორ ხვდებით?

— ადრე იყო, კრიტიკა ძალიან არ მსიამოვნებდა. იმიტომ კი არა, რომ მე ვინმე... ჩემი უსაყვარლესი განცდა იყო განქიქებული ხოლმე, შეურაცხყოფილი ჩემი გულწრფელობა. მერე მივხვდი, თურმე გულწრფელი არ უნდა იყო. ბრიყვია გულწრფელი თურმე. ასე ესმის გარემოს, ცრუგარემოს. აბა, გულწრფელი თუ არ იყო, ხომ დაიღუბა ქვეყანა უგულწრფელო კაცებით. თუ არა უგულწრფელო კაცები, რასაც აკეთებენ დღეს 160 პარტია რომ გვაქვს მე და თქვენ, ძალიან ჭკვიანები რომაა სუყველა...

— იცით, ზოგადად ნამუშევრებზე ალბათ, მერე კიდევ ერთხელ გისაუბრებთ. ახლა მაინტერესებს, რას ნიშნავს თქვენთვის მხატვრული ნაწარმოების ილუსტრაცია? ეგებ რამდენიმე ჩამოთვალოთ, რომელიც

გაგიკეთებიათ. ის დამოკიდებულება, რაიც იმპულსს გაძლევთ ლიტერატურული ნაწარმოების ილუსტრირებისას.

— მხატვრული ნაწარმოები თავისთავად არის მხატვრული ნაწარმოები.

ლიტერატურულ ნაწარმოებს თუ აკეთებს მხატვარი, მაშინ ის ილუსტრატორია. რა თქმა უნდა, თავისი ორიგინალური, „მე"ური პოზიციიდან უნდა აღიქვას გმირი და ის უნდა მოიყვანოს, რა თქმა უნდა, მწერლის თანაალმობაში. ცხადია, მწერლის გაგებაში, მაგრამ მას როგორ ესმის...

— დიახ, ეს რასაკვირველია.

— თუ წიგნი მისთვის არის სტიმული, იმპულსი და მერე აყენებს ის ამ სფეროში, მაშინ ის ნაწარმოები თავისთავადია. მხატვრობა ზომიერებაა, აბსოლუტური ზომიერება. ისე სასურველია, როგორც უცხოურიდან კარგი თარგმანი, ასევე, ილუსტრაცია — მხატვრობაში. თუ მხატვარს თავისი იმპულსები არ ჰყოფნის და ვინმე მწერლის იმპულსებით საზრდოობს კარგი მხატვარი კი ერქმევა, მაგრამ მაინც ილუსტრაციის იმპულსებით იქნება... ვისაც ეს სჭირდება, ღმერთმა შეარგოს. ჩვენ ზოგ შემთხვევაში იძულებით გაგვიკეთებია ილუსტრაცია. ოღონდ რუსთაველის პოეზიის მიმართ იძულებით არა, არც გალაკტიონის მიმართ, არც ხალხური პოეზიის, არც „დიდოსტატის"... **არაჩვეულებრივი ნამუშევარია** და მე ძალზე გულდაწყვეტილი ვარ იმისი, რომ არა, ამას არ ვიტყვი... ღმერთო ძლიერო.

— თქვენი საყვარელი ავტორი, ან თქვენი საყვარელი გმირი. გნებავთ, ქართული, გნებავთ, მსოფლიო ლიტერატურის მასშტაბით.

— ავტორი მკითხე. ავტორი. გმირი ავტორისაა. ხო, მარა ავტორი რაღაც უხეში სიტყვაა: ავი ტორი, ავი თათი (**ციცინით**) — **კარგი ბატონო, ასე გკითხავთ: მწერალი ან პოეტი.**

— არა, გასაგებია. გასაგებია შეკითხვა.

ჩემთვის უსაყვარლესში არ ეტევა რუსთაველი. ვერ ჩაეტევა. ჩემთვის უსაყვარლესია გალაკტიონი, მაგრამ ჩემთვის არანაკლებ უსაყვარლესია იქით უფრო დიდი აკაკი, დიდი აკაკი. მერე ჩემთვის უსაყვარლესია ვასილ ბარნოვი; მისი პოეტური პროზა, იქითურ წიაღში გასული კაცი და იქიდან ღინჭილების, ლამაზ-ლამაზ ღინჭილების მომტანი. ჩემთვის ვაჟა არის უსაყვარლესი და უსაყვარლესი. ბარათაშვილი ხომ არის და არის. აი, თქვენ რასაც გრძნობთ, ის ჩემთვის მეტრები კი არ არის, არამედ ჩემი

ცხოვრების არგუმენტი, ჩემი ცხოვრების შემქმნელი. მათი იმპულსებიდან ჩემში ჩემი წილი რომ იკრიბება ერთად და დიდ კონსტანტინესთან, დიდ ვასილ ბარნოვთან და დიდ გრიგოლთან რომ ვარ მე მთლიანობაში, ისინი არის ჩემთვის უსაყვარლესნი და უმეტესი, დროდრო შექმნილი ხელოვნური უიმპულსო ილუსტრაციული კი არა... აი, გუშინ მაგალითად, დღეს კი არა, იმ წასულ დროში, გუშინ ქალაქმა დადგა რაღაც დიდი უნიტაზი. ქალაქს აწუხებდა უუნიტაზობა და დადგა უნიტაზი და იმ ღამეს არ უძინია მავან პოეტს და დილას გაზეთებმა ააჭრელეს ლექსებით: უნიტაზი ეღირსა ქალაქს, უნიტაზლექსი. აი, ასეთ პოეზიას თავზარდამცემად განვიცდიდი მე ჩემს ყმაწვილობაში, შუაობაშიც და ახლაც. მითუმეტეს ახლა, როცა ყველა უნიტაზური გაზეთი ბეჭდავს უნიტაზური ლექსების მთელ უწყებათა წყებას. ბოდიშს არ მოვიხდი. დიახ.

— ბატონო კობა, ამ წუთას გამახსენდა, ერთი ძველი ანეგდოტი იყო: კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაიბარა მთელი სოფელი.

— სალხნო, ხვალ ყველა გამოდით გზის გასაწმენდად, ქალაქიდან სტუმრები ჩამოდიან და ნარ-ეკალია მოდებულით.

— რავა, ფეხშიშველა მოდიან ის სტუმრებით?

აი, ამ საჩვენებელ ე. წ. „ხელოვნების ნიმუშებზე“ რას იტყვით კიდევ?

— აი, ეგ ვიგულისხმე მე (**იცინის გულიანად**) დიახ, ეს იყო ნაგულისხმევი. სიტყვამ მოიტანა და საჩვენებელი კი არა... ჩემთან ჩამოყალიბდა ასეთი კომპლექსი კი არა, კონსტრუქცია, როცა ჩვენ გვაქვს სამხატვრო აკადემია, გვაქვს უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი გვაქვს, ახლა კიდევ სასოფლო, კონსერვატორია, თეატრალური და რა ვიცი, ათასნაირი. გამოდის — მთელი სისტემური კრებითობები გამოდიან ყმაწვილებისა. არ გვაქვს მხატვრობა, არ გვაქვს პოეზია, არ გვაქვს მუსიკა, სოფლის მეურნეობა, არ გვაქვს სურსათი, არაფერიც არა გვაქვს. რაშია საქმეო? — იკითხავს კაცი. საქმე იმაშია, რომ ათასწლეული მარაგი ამოიწურა ნიჭიერებისა და მოკრეფილ ვენახში ნაძებარაზე დაძრწის მთელი თაობები და ამ ნაძებარას ძებნაში თუ ვისმეს წააწყდება ერთი ღინჭილა მტევანი, ის გახდება დიდი შედევრის მფლობელი ტელევიზიაში, პრესაში... თუ ესეც ვერ მოიძევა, ეგერ არის ევროპის სანაგვედან გადაყრილი დიდი ნაღეჭ-ნარწყევი და გამოყენებული, იმას მიუჯდება, კარგა გვარიანად გამოწუწნის და მოგართმევს როგორც თავის ნაღეჭს. მთელი პოეზია, მთელი მხატვრობა აიკვსო ამდაგვარი რამეებით. ესეც ლოგიკაა.

ამოწურული დროის ლოგიკა.

— ძალიან პესიმისტური ნათქვამი ხომ არ არის.

— არავითარი პესიმიზმი არ არის აქ. როცა ამოწურავს კაცი თავის თავს — ის უნდა მოკვდეს, გარდაიცვალოს, რომ დაიბადოს ახალი კაცი. ეს პესიმისტური არ არის...

ერთი კაცია ერი, რომელიც ბერდება დრო და დრო. წლის განმავლობაში ხე შეიმოსება, მარადიული ხე შეიმოსება ახალი ფოთლებით და რომ დამთავრდება ერთი წელი, ის ფოთლები უნდა ჩამოცვივდეს ბოლოს და ბოლოს. აღარ შეიძლება აშრაშუნოს, აჭრაჭუნოს ხმელი ფოთლები იმავე ხეზე. ახალი ფოთოლი ამ ათასწლეულში ვერ ეტევა, ახალი ფოთოლი ახალი ათასწლეულის ფოთოლი და ენერგიაა. ის შეიმოსება და ნურავის დაადარდებს... ტერენტი გრანელის პესიმიზმი არ იყო იმ მოწყვეტილი, ჩამოვარდნილი, დახარჯული ფოთლების პესიმიზმი. ის მარადული ხის, მარადული ხის გახუნებისადა გამო იყო, ჩვენში რომ გახუნდა მარადული ხე. **ძალიან საინტერესოა.**

— ბატონო კობა, რომელ მწერლებთან შეგობრობდით? რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით...

— უცხო მწერლებიდან, რაც კურიოზულად კი არ გამოჩნდება, ჩემთვის უსაყვარლესი ფრანგი — ეგზიუპერი და ამერიკული მწერლობიდან — ჰემინგუეი იყო. მაგრამ ეს იყო ორი მეტრი. აგერ მაქვს მე ჰემინგუეი, იმ ნამუშევრის ქვეშ (**სამუშაო მაგიდის კუთხისაკენ მითითებს**) და ეგზიუპერი გულში მაქვს, აქა. იმიტომ კი არა, ფრანგს ვეკეკლუცებოდი. მე ვიბოვე ჩემი სულის ნათესავი კაცი ფრანგულში და უდაბნოში გასული. მე მთელი სიცოცხლე, გითხარით წინ, უდაბნოში ვიცხოვრე მარადულ-დაკარგულის და დიადი დაკარგულის ძებნაში და მოლოდინში. ეს დაკარგული მე დღეს ნაპოვნი მაქვს. თქვენ წელან მოისმინეთ ქაშვეტის სვეტი, ქვაშვეტი და დიდი ქართული სულიწმინდა ენის იდუმალება გახსნილი, რაც არის. ის ნაპოვნია! დღეს მე აღარ მენანება აღარც ჩემი ფუტურო სხეული და აღარც საქართველო, რახან მას ნაპოვნი აქვს თავისი ნატვრის თვალი. თუ ის მოიმხრობს, ეს ნატვრისთვალი მისთვის ხელსაწიფია, აგერ, ნუცუბიძის 147-ში აწყვია ის თვალი, ოღონდ მისთვის ჯერ ბნელი თვალი დახურულია და ამდენად, მისთვის მიუწვდომელია. რეალობაშია ეს მოტანილი. ამიტომ აქ არც გარდაცვალება, არც გლოვა, არც ტირილი არ არის. ვინც იცის, ეს ყველაფერი, რაზედაც ეხლა ვისაუბრე, მისთვის მარადულია აქ ყოფნაც და იქ ყოფნაც. აქ წუთისოფლური ყოფნაა, იქ

— მარადული ყოფნა. ეს მიმოქცევა მარადულია. ამის მცოდნეობა ჩვენ გვხსნის ყველა საშიშროებას, ყველა წუხილს, ყველა იმ პესიმისტურ, ძალიან პესიმისტურ გულისმომწურავ, წუთისოფელს რომ გვიმწარებს, განცდას გვხსნის და ამ თავისუფალი ყოფის გარანტიას გვაძლევს, რომ პეპელასავით ვიფრინოთ ამ სამოთხეში და ყვავილებს მოვეფეროთ, ერთმანეთს მოვეფეროთ; გვიყვარდეს ერთმანეთი და სიყვარულში ფოფინებდეს ცა და ქვეყანა. აი, მაშინ იქნება სამოთხე საქართველო; მაშინ იქნება დედამიწა სამოთხე, როცა საქართველო სამოთხე გახდება.

— და მაინც, რომელ მწერალთან მეგობრობდით და რას გაიხსენებდით?

— ვმეგობრობდი ვაჟა ფშაველასთან, გალაკტიონთან და კონსტანტინესთან — ეს სამი და გრიგოლ რობაქიძე, გარეთ გასული...

— პირად მეგობრობასაც ვგულისხმობ.

— კონკრეტულ პირად მეგობრობას? მე განგებამ არ დამაჯილდოვა მწერალთან ასეთი ფიზიკური მეგობრობით. გალაკტიონს შეუბედავი მოკრძალებით დავსდევდი უკან... ლეონიძეს... იოსებ იმედაშვილის ნაბადს შევხებივარ, თეთრი ნაბდით რომ დადიოდა, თეთრი თმა-წვერით. განგებამ შემახო მის შვილ შალიკოსთან, გაიოზთან და დანარჩენებთან. მეგობრობით, კონკრეტული მეგობრობა არა გვქონია. ეს ძალიან დამკლებია გულს... ლიტერატურულ წრეზე მოგახსენებდით წინა შეხვედრაზე და გითხარით, შევხვდი ერთ ჩვეულებრივ კარგ კაცს. იოსებ ნონეშვილს შევხებივარ და მეგობრობა არ მქონია მასთან. შალვა დადიანს არ შემახვედრა განგებამ. იყო აბსოლუტური კონტაქტის გარანტია, მაგრამ ფეხსაცმელი არ მქონდა და ვერ წავედი (იცინის) სასწაული იყო ესეც.

ერთ მწერალს ჰკითხეს: — ერთი შეხედვით შეყვარების საწინააღმდეგო თუ იცი რამეო.

— კით, — გაეცინა, მეორედ უნდა შეხედო. დაკვირვებითო.

— კარგია (**ციცინით ორივე გულიანად**).

— ბევრჯერ გყვარებიათ? — ვაგრძელებ სიცილს და შეკითხვასაც, იმავდროულად.

— ბევრჯერ მყვარებია და მუდამ მიყვარს. მაგრამ არის ერთხელ შეყვარების დიდი გარანტია, რომელიც მარად ახლავს ყველა იმ ბევრჯერ სიყვარულს. გასაგებად ვთქვი?

— დიახ. აბსოლუტურად გასაგებად. იმ თქვენ დიდ სიყვარულზე, იმ თქვენს დიდ მეგობარზე ხომ არაფერს მეტყვით?

— არაფერს არ ვიტყვი, რადგან ის ჩემი მეგობარი იყო. იმპულსი ჩემთვის — მე შემექმნა ჩემში მისი სიდიდე და არ ყოფილა ის არც დიდი და არც პატარა. ამით არც შეურაცხყოფ და არც ვაგინებ. ჩემში იყო ის და ჩემი ღვთაება მე შევქმენი. ყველა ასე ვქმნით ჩვენში ჩვენ ღვთაებას. სხვის მიმართ როცა იმპულსს მივიღებთ, მერე შევქმნით ილუზიებს, მირაჟს წარმოვსახავთ და ვაღმერთებთ მას, და მის მიმართ თავი მიგვაქვს როგორც სამსხვერპლოზე მისატანად. დიახ.

— ჯვარდაწერილი იყავით?

— ჯვარდაწერილი არა ვარ. ხელმოწერილი ვარ და ხელგაწერილი ვარ და კიდევ ხელმოწერილი ერთი და იგივე ქალთან.

— თპო, — ვიცინი და თვითთნაც გულიანად მყვება.

— ეს როგორ? მოდით, მაშინ იქედან დავიწყოთ, როგორ გაიცანით?

— ახლა, ეს იმხელა კურიოზია, რომ აღარცერთი პროფკომის საწევროს არ გადაიხდის მე რომ მოვყვები ამ ამბავს და არცერთი საგზურს არ მიიღებს.

— ე. ი. ისეთი იღბლიანია? — ვიცინი მე.

— ისეთი იღბლიანი რაღაც ყოფილა, **შეთანხმება თავადაც სიცილით.** ბრატოკა გვყავდა აკადემიაში, ფილიპოვი, პროფკომი. მე კურსის კომკავშირის ბიუროც ვიყავი და პროფკომიც — შეთავსების დიდი „თანამდებობები“ მქონდა. **იცინის** და დავამთავრეთ კურსი. მეორე კურსზე გადავედით. დამთავრდა კურსი და ყველა გაიქცა სახლებში; რადგან დავალებული ვიყავი პარტიული და პროფკომული სამუშაოებით, მე დარჩენილი ვიყავი საწევროების და რაღაცეების გამო. ერთხელ შემხვდა ეს ჩვენი ბრატოკა და მეუბნება:

— აი, ექვსი საგზური მოგვცესო.

ადრე არ მოუციათ, ახლა ყველა რომ წასულია, მოგვცეს ექვსი საგზური. ჰოდა, სამი გერგება შენო.

მე ვუთხარი: — ბავშვები წასულია, მე როგორ?

— აბა, მაშინ შენ წახვალო!

გაცდენა ამის არ შეიძლება. უფასოდ გაძლევენ. ნაომარია, ორმოცდაცხრა-ორმოცდაათი-ორმოცდათერთმეტი წელი. მშიერი ქვეყანა და ამ დროს სახელმწიფო ზრუნავს შენზე, გაძლევს საგზურს და უარის თქმა არ შეიძლება. რადგან სხვები არ არის, შენ უნდა წახვიდეო. ერთი პატარა ხელჩანთა მქონდა და... იძულებული გავხდი და... წავედი ბორჯომის პლატოზე. ავტობუსიდან ჩამოვედი და ვხედავ, ერთი გოგონა მიათრევს

ჩემოდანს. ახლა მე რაინდი ვარ. როგორ შეიძლება, მე ვიყო იქ და ქალი გაისარჯოს. ვუთხარი: ბოდიში, მე მოგეხმარებით-მეთქი. პლატოზე ავედი, ავუტანე ჩემოდანი; რასაკვირველია, ეს მე გმირობად არ ჩამითვლია, რიგითი ამბავი იყო ჩემთვის. გავიდა ხანი და ყოველდღე გვინდოდა, თუ არ გვინდოდა, იქ ვხვდებოდით საუზმეზე, ნასაუზმევს სასადილოში. იქ აღმოჩნდა აკადემიიდან ხელოვნებათმცოდნეობის კათედრის ლაბორანტი, კიდევ ერთი — ქალბატონი რუსუდანი და ეს გოგონა — ლილი ჭუმბურიძე. შეიკრა წრე. ღმერთო. შეიკრა ინტელიგენტური წრე. სხვები იყვნენ კიდევ. ყველას თავისი წრე ჰქონდა და მერე, ყველა ცდილობდა ჩვენთან შემოერთებას და ჩვენ შევიქმენით შეკრებითობის გული. გავიდა ეს დღეები და უკვე უნდა დამთავრდეს. ერთ საღამოს, წამოსვლის წინა საღამოს, ამ ქალბატონს ნაძვნარის დათვალიერება შევთავაზე. პირველად მოხდა ეს. განვმარტოვდით. მე ეს ქალბატონი მომწონდა, გავბედე, რომ ხელი მეთხოვა ამბორისათვის. მან იუკადრისა. როგორ გამიბედეო და გაქანდა... პლატოზე... დიდუნ... ხოდა, ბოლოს თბილისში მოვძებნე. ცხოვრობდა ოპერის უკან 9 კვ. მეტრ ოთახში, მეოთხე სართულზე. თუ მკაცრად ვიტყვი, ის ბინა კი არ იყო, პატარა სორო იყო, მაგრამ მის დედულას, მის დედიკოს ორი ქალიშვილი გაეზარდა იქა და ეს, უმცროსი სწავლობდა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში კი არა, მაშინ ზიფსი ერქვა, სარკინიგზო განყოფილებაზე. მე ვიყავი მეორე კურსის სტუდენტი. ერთი წელი თუ წელიწადნახევარი ვიარეთ, გამოვცადეთ ერთმანეთი და ვნახეთ, რომ მგონი, აღარ შეგვიძლია ერთმანეთის გარეშე. ეს იყო და ჩემს გამზრდელებს გავუტყდი, რომ ვიპოვე ის ქალი, ვის გარეშეც არ შემიძლია. ჩემმა გამზრდელმა მითხრა, მე ვერ წარმომედგინა, თუ დადიოდა შენი შესაფერისი ქალი ქვეყანაზეო, მაგრამ რახან შენ ასე თვლი, ჩემთვისაც ისევე იქნება, როგორც შენ თვლიო, შვილოო. ასე მოხდა ჩემი ბორჯომში წასვლა, ჩემი საგზური, ჩემი დაგვირგვინების, დაოჯახების ამბავი. ერთი პერიოდი ყველას ვურჩევდი წასვლას **აგრძელებს ღიმილით,** მერე რომ გართულდა სიცოცხლე და ცხოვრება, მერე დავანებე თავი რჩევას და თავის იღბალზე მივუშვი ყველა, ვისაც ბორჯომის საგზური შეხვდება...

(ჩემი მხრივ, უბრალოდ, ხმადაბლა, მკითხველისთვის დაგამატებ, ამ უნიჭიერეს კაცს არაჩვეულებრივი თჯახი აქვს)

— ბატონო კობა, არ ვიცი, რამდენად ლოგიკური იქნება ეს შეკითხვა ესლა, მაგრამ მაინც მინდა, გაგიგო თქვენი მოსაზრება და ზოგადად, დამოკიდებულება. ერთხელ ფოლკნერს ჰკითხეს: „ხერ, ნობელის პრემიის

მიღებისას წარმოთქმულ სიტყვაში ბრძანეთ: ჩვენი დღევანდელი ტრაგედია საყოველთაო და ყოვლისმომცველი შიშია, რაც იმდენი ხანია გვაძრწოლებს, რომ ლაპის შეგვეჩვეოთ კიდეც. სულიერ ბრობლემებს ვიღა ჩივის. ყველას ერთი კითხვა აკვიატებია, როდის გააცამტვერებენ", და მე მაინტერესებს, სერ, ჩვენი თაობა ხომ არ განიცდის ამ გრძნობას, როდის გამაცამტვერებენო, იმაზე მეტად, ვიდრე იყო ვთქვათ, 1950 წელს, როცა თქვენ ეს სიტყვა წარმოთქვით?"

— თქვენი ფიქრით, რა არის შიში?

— სასტიკია ეს შეკითხვა, რაც ეხლა ჩვენ... ატყობდით თქვენ, მე ყველაფრით ვცდილობდი, რომ არ დავბრუნებოდი იმ განცდას, რასაც მე თქვენი თაობის გამო განვიცდი, ჩემი შვილების თაობის გამო. თვითონ გამოცდილი 1956 წელს იმ განადგურების განცდას, ფილმებში რომ გვინახავს ფაშისტური ავტომატებით რომ იცხრილებოდა ომი და თბილისში რომ იყო ის ჩემ ყმაწვილობაში; მე 9 მარტის შემდეგ რომ უნდა ავსულიყავი აკადემიაში, უნდა გადამევლო რუსთაველი და რუსთაველზე ავტომატიანი ჯარისკაცები რომ იდგა. არა, აღრიცხვაზე არ შევდგებოდი უკვე დაფიქსირებული ვიქნებოდი. მე მზარავდა, რუსი ჯარისკაცი რომ იდგა. და თქვენ ის გზარავთ, რომ თქვენივე ჯარისკაცები... თქვენივე ხელით შეებით გარემოს და ერთმანეთს უმისამართოდ ესროლეთ, ეს არის ჩემთვის მომაკვდინებელი. სხვა ვერ გაგვსრისავს ჩვენ. სხვა ვერ მოგვსპობს ჩვენ, ჩვენ თვითონ თუ არ გავსრისავთ ერთმანეთს, სხვის საქმეს თუ არ შევასრულებთ; მაგრამ ჩვენ უძლურნი ვართ იქ, როცა რამოდენიმე თაობას სისტემური კონსტრუქციით ამზადებენ იმისთვის, რომ არ იცოდეს თავისიანი, არ იცოდეს ნათესავი, არ იცოდეს მემკვიდრე, არ იცოდეს შთამომავალი. 6-7 წლის თაობა გამოუშვეს სკოლაში დაპირისპირების ფონზე, რომელმაც გეოგრაფია არ იცის, ისტორია არ იცის, მათემატიკა არ იცის, ჰუმანიზმი არ იცის, პოეზია არ იცის, სიყვარული არ იცის და მისცეს თოფები ხელში და დაუპირისპირეს ერთმანეთს. ეს უსასტიკესია. ჩემს დროს ეს არ იყო. ჩვენ ვიცოდით. მტერი გამოკვეთილი იყო და მტერს პირდაპირ ვებრძოდით. მარა, როცა ქართველი ქართველზე მიდის — მტერიც თვითონაა და მოყვარეც თვითონაა, ე, ეს უკვე თავზარდამცემია, მაგრამ ესეც დროებითია, შვილო. არა, არ შეშინდე. ეს არ შეიძლება. ერთი წუთითაც არ შეიძლება დაშვება. აწი უკვე მოდის ის კრებითი დიდი ღონი სიყვარულისა, სიძულვილის ათასწლეული ამოიწურა. მოდის სიყვარულის ათასწლეული. მისი შუქი უკვე შემოსულია.

და მე გეუბნებით თქვენ მთელის მარწმუნებლობით: 94 წელს ცხრება დედამიწის სრული ბუნება, ცხოველმოქმედი. დედამიწის ღონი მუშაობდა ამ ათასწლეულში. ცის ღონი კი არა, დედამიწის. 95-ში დაცხრება დედამიწის ნაშობი ყველა სიცოცხლე. ის ნებელობა აღარ ექნება, ერთმანეთი რომ ანადგუროს. 96-ში დაცხრება ცხოველბუნების უმაღლესი ადამიანის დონემდე, 97-ში დაცხრება კაცი, ეს ნიშნავს, რომ 98-99-ის რღვევით დაიბადება ერთი ახალი სიძულვილისგან შეუვალი დიდი სიყვარულის ათასწლეული. აი, ეს არის იმედი, თქვენ ჯერ წინა გაქვთ ეს ყველაფერი და იმ ათასწლეულში მაცხოვარი ხალხი ხართ თქვენ. ამიტომ მე თქვენი შემშურს ნაწილობრივი ლამაზი შურით — თქვენ იცხოვრებთ იმ ულამაზეს დროში. ეს გადატანილი თქვენთვის იქნება როგორც დიდი ტრამპლინი, დიდი იმპულსი, რომ იმ დროში, იმ ენერგიას, წამაქცეველ ენერგიას შეგაგებოთ და შეგიყვანოთ... ის პროცესი მიდის ეხლა დედამიწაზე და ამ პროცესის ღერძია საქართველო. ნული და პირველი წერტილი აქ არის და იმიტომაა ეს ყველაზე მეტად გამცდელი აქ. ეს რომ გვეცოდინება, მაშინ იოლია გადატანა. ვერ გაგვსრისავენ. ვერ წაგვლეკავენ. ვერ მოგვსპობენ, რადგან მათშიდაც გაიჭიატებს ნათელი: თუ ჩვენ მოგვსპეს, მათ თავისი სულიც მოკლეს, უსულოდ კი ვერც კომუნისტი იქნება, ვერც კაპიტალისტი, ვერც ფაშისტი. ვერავინ ვერ იქნება. აი, რაშია საქმე. თავის თავს ვერ გაიმეტებენ, რადგან დამცხრალი იქნება. როცა ატეხილია, მაშინ თავის თავსაც აღარ ზოგავს ის არაკაცი — ჩვენია თუ სხვისია. დიახ. მე მგონი, გიპასუხეთ, არა?

— დიახ, გმადლობთ. აქედან გამომდინარე მინდა გკითხთ, ვიცი, ნაფიქრი გაქვთ, რა დატვირთვას ატარებს იოანე ზოსიმეს: „რამეთუ ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს“.

— ღმერთო, შენ კიდევ მომემხარი.

თვითონ იო-ან-ენ ეს არის ღვთის გამოცხადებული კაცი და ზოსიმე არის ზენონ — მზის ვინმე ე. ი. მზის კაცი. ღმერთკაცი არის იოანე ზოსიმე თავისი კოდით, რაც უზის მას იოანეობით და ზოსიმეობით. ჩვენამდე იოანე ზოსიმეს რამოდენიმე ლექსმა თუ იამბიკომ მოაღწია, როგორც მე ვიცი. რუსთაველმა „ვეფხისტყაოსნით“ უდიადესი საიდუმლოებები თქვა, რომლებიც სამიჯნუროზე არ დაიყვანება. ეს მხოლოდ ქარგაა. სამყარო აღთვალა ღვთიურად, გამოიტანა პოეტურად; ასევე, იოანე ზოსიმეს იმ წიგნში დევს გიგანტური საიდუმლო. ეს არ მინდა ისმოდეს „გიგანტური“ თანამედროვე კონსტრუქციული და რაღაცეების დონეზე. იქ დევს

საიდუმლოთა საიდუმლოს გასაღები, რომ „ამა ენასა შინა დამარხულ არს ყოველი საიდუმლოი“. „ყოველი საიდუმლო“ არის ღვთის შექმნილი სამყაროს შექმნის იდუმალება. აი, ეს არის დამარხული ამა ენაში. ეს ენა არის სულიწმინდის ენა. ამას გვეუბნება იოანე ზოსიმე... მისი შინაგანი კოდი არის ღვთის გამხელილი კოდი. იმის მადლით გელაპარაკებით მე თქვენ ამ წუთში. ენა არის სახლი ერისა, შესაკრებელი ერისა. ენა არის ის გენეტიკური ღვთიური კოდი, რაც დაშლილი არის ერში. ერის ყოველი ერთეული წარმოადგენს ენის ნამატს, წილს, როგორც რუსთაველი ამბობს:

„ძზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“, ასევე, ენა ვერ იქნება უშენოდ, რადგან შენ ხარ მისი წილი. ყოველი მისი ეროვნული ერთეული არის მისი აბსოლუტური სრულობის გარანტი.

საქართველო რჩება უბაგრატიონოდ, უთავგვირგვინოდ; მონგრეული, მოშლილი დიდი „იმპერული სახლი,“ სახაროვის თქმით და, ისე კი, ღვთაების საგვირგვინო უგვირგვინოდ დარჩენილი ქვეყანა. ამ პერიოდის დროშა არის ქაქუცა ჩოლოყაშვილის მიერი თუ მის მიერ ატაცებული სიკვდილის დროშა, რომელიც შედგება ასეთი თანწყობით: მკაცრი, ჰარმონიულს ვერ ვიტყოდი, შეშზარავი თანხმობით სიკვდილის ბატონობით. შავი გაბატონებული თეთრზე და შავით თეთრზე ბატონობის ნთხევით გაღებული სისხლის ფონი. მუქი შინდისფერი სისხლი. დაბერებული იბერული სისხლის და ეს დროშა მემკვიდრეობად გადმოეცა 70 წლის შემდეგ ჩვენს რეალობას, ჩვენს დღევანდელობას, როგორც თავისუფალი საქართველოს დროშა.

თუ შევჩერდებით ბაგრატოვანთა ბოლო მოჰიკანის ნახევარბაგრატოვანის ამ დროშაზე, მას საქართველოს თავისუფლების დროშას შეგნებული შინაარსით ვერ დავარქმევთ. იგი არის საქართველოს თავზე აფრიალებული სიკვდილის დროშა, რომელიც კოსმიური იღბალი არის ბაგრატოვანებისა. კოსმიურ იღბალს კი ვერც ბაგრატოვანები ვერ გაექცევიან. კოსმოსი მუშაობს, ათასწლეული იწურება და ბაგრატოვანების საბოლოო მისია ქართულ მიწაზე გვირგვინში შედის, უფრო სწორად, გვირგვინიდან გადის. ამის დროშა არის შავ-თეთრ-წითლიანი დროშა. საქართველოზე გამარჯვებული სიკვდილის დროშა. ამ დროშის დრო 2000 წლის ბოლოს კოსმიურად ამოწურული ხდება და ხვიმირაში არცერთი მარცვალი რომ არ დარჩება დროის, სწორედ მაშინ იწყება მიჯნა ცინცხალი ცისფერი თეთრი და ოქროს სირმით შემოკვართული სულიწმინდა დროშისა, რაც

ერთბაშად მოულოდნელი შემოფეთება იქნება დამწვარი მცხუნვარების ფონზე, დამწვარი მხურვალი ცხოველმოქმედების ფონზე ახალი ქართული სულის მობრუნებისა. აი, ასე ესმის დრო და სივრცეს სულიწმინდა ქართული ენის ცოდნის საიდუმლოთი ბაგრატოვანთა იდუმალება, ქართული დროშის აი, იმ სისხლიანი სიკვდილით გაბატონებული დროშის იდუმალება და მომავალი ახალი ცისფერი-თეთრი-ოქროსფერად შემკობილი დროშის მოსვლის ფონზე.

ღმერთთან მისვლის მისია არის ერების ისტორიული ზრდის გზაზე გვირგვინი. თუ ჩვენ შევძელით ვინმეს მიყვანა, მიახლოება ღმერთამდე, ჩვენ ჩვენი მისია შევასრულეთ. ჩვენ თუ ამოვიწურებით, ახალი მისიონერი მოვა. ეს არ უნდა გვაშინებდეს. ჩემო კარგებო, ჩემო ახალგაზრდებო, ისტორია ლოგიკას არ ექვემდებარება. ის არის სწორი, ის არის სტორი, რაც ღვთით აღსრულდება, რაც ღვთით არ აღსრულდება, ის სტორი არ არის, ისტორია არ იქნება.

ახლა მავანთა და მავანთა მცდელობით, უნდა გამოვტყდეთ, რომ ამ დროშის ფრიალი დღეს რაღაცნაირად — ტექნიკურად თუ მექანიკურად, შეკავებულია, შეყოვნებულია. ღმერთო, შეაყოვნე ბოლომდე! დღეს ჩვენ გვმართებს, რომ იმ დროშის აქტიურობა არ გამოცხადდეს. იმ დროშამ გაფრიალებით არ გაიფრიალოს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და არც სხვას არ ვუსურვოთ ისა. ვეცადოთ, მოვიხადოთ ისტორიული ვალი იმ დროშის ქვეშ და ის დროშა სამუზეუმოდ, სასიყვარულოდ დავტოვოთ, როგორც დიდი, მწარე მოგონების გაკვეთილები. სიკვდილი სასურველი არ არის, მაგრამ სიკვდილი თან ახლავს ყოველ წამს სიცოცხლეს. მითუმეტეს, თუ თქვენ სიცოცხლეში სიძულვილით დადიხართ, მაშინ სიკვდილი ბედნიერებაცაა... მაგრამ თუ სიყვარულით მოვდივართ სიცოცხლეში, მაშინ მოსწრებული უდროო სიკვდილი ძნელია; ძნელია და არ არის მართებული... ახლა დღესდღეობით ახალ დროშას გვთავაზობს ვიღაცეები; დღესდღეობით ახალ ქარგვას ქარგავს ვიღაცეები. სანამ 2000 წელი არ გასრულდება იმ დროშებს, რასაც ვიღაც-ვიღაცეები გვპირდებიან, არც მერე არ უწერიათ გამარჯვება, რადგან ისინი შემოთავაზებული დროშები არიან, რაც არ უნდა თავაზით იყონ ისინი მოტანილნი, ისინი ვერ გაამართლებენ. კოსმიური დრო თავის დროშას მოიტანს... და ისე, როგორც იაკობ ნიკოლაძემ და დიდმა ჯავახიშვილმა ამოიცვნეს კოსმოსი საქართველოს იღბალზე დაბრუნებული, ქარბორბალი სიკვდილისა ბაგრატოვანების თავით მთელ საქართველოზე სისხლად

დაწოლილი ერთად გარდაცვალებაში შემყვანი, აი, ისევე მოვლენ დიდი კაცები, კოსმიური კაცები და საქართველოს ახალი დროის შესაფერის უტყუარ ჭეშმარიტ დროშას მისცემენ, რომელშიდაც ნაკლები სისხლი, მეტი სული, მეტი სიყვარული იქნება ნაღონიერები და ნასურვები კი არა, დაკანონებული კოსმიური იღბალით. აი, ეს არის ის დიდი გონიერება და ღონიერება ღვთიური, რაც საქართველოს მარადული სიცოცხლისკენ ეჭაჩება, რომ მან კვლავ გააგრძელოს ციკლი კაცობრიობის ირგვლივ მობრუნებისა ერთ ბმულ წერტილში და მის ირგვლივ ბრუნავდეს მქროლავი თუ მხოხავი თუ მღოღავი ცხენებზე, რაშებზე, ტანკებზე, თვითმფრინავებზე ერები, რომელთაც ჯერ სვლის ბოლო წერტილი არ მოუპოვებიათ და მათაც მოძებნონ თავისი მუდმივი ბმის წერტილები. აი, ეს მისია ადევს საქართველოს და აი, ამ ბმის წერტილებში ის კვლავ აიღებს ტვირთებს ახალ-ახალი ბავშვებისას, რომლებიც მის შეჭმას, მას თავზე დაჯდომას მოუნდომებენ, მაგრამ დიდი ბერი პაპა მხოლოდ ხელის ოდნავი სათუთი შეხებით თუ მოიშორებს მათ და მისგან სიკვდილი არ გავა. ჩვენ კი დავივიწყეთ, ქართულის ღონიერება რომ არა ხელშებრუნებაშია, არამედ მარადულ დიდ ამაღლებულ, თავის თავის ცოდნაში და მით კი, მარადულ მზიურ მოთმინებაში... არის მარადული სიცოცხლის ხე, რომლის ფოთლები გარდაიცვლებიან, ხე კი მარადულია.

ერთია კიდევ, სიყვარულში თავის თავის მიტანა და შთანთქმა. განა აგონია სიკვდილისა ნაკლებ მშვენიერია თავის თავში? არა! აი, თქვენ რომ იხსენებთ ხოლმე 9 აპრილის ტანკების წინ გამოსვლას. ყმაწვილი ტანკს ჯოხს რომ ურტყამდა მაშინ. აჩერებდა. განა ეს ულამაზესი სანახაობა კი არა, განცდა არ იყო, კოსმიური? განა ყოველი ქართველი თავის თავში არ იამაყებს იმის უთქმელი ღრიალით, რომ გამოდიოდა და მან იცოდა, რომ სიკვდილში შედიოდა და ეს იყო მისი სიდიადე. განა ქართველმა დაივიწყა სიკვდილი რა არის? და თუ ეს მოვხსენით ჩვენ მაშინ გადედლებული, გაქალაჩუნებული ერთი მუჭა ქართველები არავის არ შეებრალება, შვილო. მას არავინ გაუწევს ანგარიშს. ქართველობა ერთი მუჭა როცაა, მაშინ უდგას მთელი ღირსება ამაღლებულობისა, ის ხელისგულზეა საგოგმანები. მშიშარა ქართველი, სიკვდილთან შეგუებული ქართველი ის იმედი ვერ იქნება. ახლა მე გეტყვით ერთს: 300 არაგველი იცის საქართველოს ისტორიამ. ეგერ ციციკოსს გაკრავს გუნებაში, რომ როგორ, 300 სპარტელი გაიმეორეთ? საქართველო არავის არ იმეორებს. საქართველო ბადებს, სხვა იმეორებს. 300 არაგველი ჩამოვიდა წაგებულ

ომში. დღევანდელი განსჯით რომ განგვესაჯა, იქედან რაღა უნდოდათ, წასულიყვნენ სახლში. ხომ გადარჩებოდნენ? და თავის ცხოველს კიდევ გაახარებდნენ. არა, ისინი ჩავიდნენ. ჩავიდნენ და დაიხარჯნენ — ერთიდან უკანასკნელამდე ომში. ხომ უნდა ვიკითხოთ: რაშია საქმე? მე და თქვენი მამების ტოლ სუფრაზე ეს თემა იყო უსასტიკესი ცინიზმით გაქილიკებული. ეხლა გაუმარჯოს სამას არაგველს, მაგრამ იქიდან პირველს უფრო შეეშინდებოდა თუ მესამასეს? ეს ანგარიში მაპატიეთ, მხოლოდ და მხოლოდ ცვედანების ტვინში შეიძლებოდა, დაფიქსირებულიყო. როცა თქვენ გეცოდინებათ მოდელის საიდუმლო: არის გველი, არის სატანა, არის ვეშაპი, არის ურჩხული, არის სულთამყლაპავი და ამავე დროს, არის არა გველი, არა სატანა, არა ვეშაპი, არა ცხოველი, არამედ კაცი, რომელმაც იცის წუთისოფლის უწუთურობა, გაუტანლობა და იცის მარადისობის უდიადესი ღონე, მაშინ საქართველო იქნებოდა ის ლამპარი, ის დიადი ოლიმპი, სადაც ღმერთები ნადიმობდნენ და ნადიმობენ და სადაც სიცოცხლე და სიკვდილი სასწორზე იწონება და ულამაზესია ორიეე, რადგან სიკვდილს მარადისობაში მივყაყართ, სიცოცხლე წუთისოფელში გვტოვებს. რომელია უფრო დიადი? მარადიული სიმაღლე თუ მატერიაში წუთიერი ჩახრჩობა. რომელია?!

განსჯის უფლება ღმერთის გარდა არავის არა აქვს. დღეს ყოველი ვიგინდარა, ქუჩაში გამვლელი, ორი კლასი რომ არა აქვს დამთავრებული, განმსჯელია. რას განსჯის? მეფე ერეკლეს განსჯის. მე მაპატიებთ, ღმერთი მაპატიებს. კახეთში წამიყვანეს მანქანით, ჩართეს სამღერი აპარატი და აქედან კახეთში ჩასვლამდე ვუსმენდი მთელ გზაზე:

„ეს ჩვენი მეფე ერეკლე
. . . . . დასაკიდია.“

ამას მღეროდა ლაწირაკების ჩახლეჩილი ხმის ვიღაც ქალაქელი, ვიღაც რამის თუ რუმის შვილები. მთავარია, მეფე ერეკლე თქვენგან რომ ამ საქმეში ჩასაყენებელი გახდება, ღმერთო, დაგვიფარე მაშინ. მეფე ერეკლეს მვ ომიდან მი ომი თავისი სისხლის წვეთებით, შადრევნებით აქვს მოგებული საქართველოსთვის. რომელ ჩვენგანს გაუკეთებია მსგავსი თავგამეტება საქართველოსთვის, რომ ის განვსაჯოთ ჩვენ: მას არ ეყო დიპლომატია, პოლიტიკა და ჩვენ, ყველა პოლიტიკოსები ვართ, 2 ანბანი დავისწავლეთ და ვსჯით...

ვუსმენ აღშფოთებულ მხატვარს, ახლა თითქოს შორიდან მესმის, არა

ერთი რომელიმე უგიცი მომღერლისაკენ მიმართული რისხვა, უმადურება იკვეთება, სხვისი ჭრილობების დაფასება კი არა მხოლოდ, ფიზიკურად განცდაც კი იკითხება ნათქვამში. არადა უკან, კედელთან უზარმაზარი ნაშუშეკვარია აღმართული (თუ კედელს მიყრდნობილი) და არა მიყუდებული. მეფე ერეკლეა სწორედ. მეფე ერეკლე ხმლით ხელში!

— იცით, მაინც ჩვენი თათბის ფაქტი იყო. მე როცა ვამბობ: „ჩვენი თათბის"-მეთქი, მარტო ჩემს თათბას არ ეგულისხმობ, რასაკვირველია. ჩვენი თათბის ანუ მათი, ვინც შეესწრო საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალურად გამოცხადებას, დამოუკიდებლობის აქტის აღდგენას. დიახ. ჩვენ ამ წუთში ერთი თათბა ვართ! ამას წინათ ვკითხულობდი, კალისტრატე სალიას ეკითხება გრიგოლ რობაქიძეს, რას იტყოდითო, როცა ამგვარი ფაქტი მოხდა, დამოუკიდებლობა გამოცხადდა, მასზე და მისი მთავრობის თავმჯდომარეზეო. ჩვენ ჯვარი გვწერია, ორივე გარდაცვლილია, ის შესაძეც, მაგრამ მინდა, ჩვენ ამაზეც ვისაუბროთ. ოღონდ ჩვენს დამოუკიდებლობაზე და საქართველოს პირველ პრეზიდენტზე.

— ახლა მე ვიცი, რომ ჩვენს საუბარში ბზარი არ არის, ლიქნი არ არის და კრისტალის გარდა არ არის. დიახ. შენს კითხვას, მე წყალს გადავასხამ. პირველ თავმჯდომარეზე კი არა, სხვა საგანზე. ბატონ კალე სალიასთან განგებამ შემახო... უნდა განვიხილოთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება თუ დეკლარაცია. ეს არის მთავარი. თუ ჩვენ მივიღეთ პირველ შემთხვევაში ისე, როგორც დამოუკიდებლობის გამოცხადება და ახლაც იგივე მივიღეთ, მართალი არა ვართ. არც კალე სალია, არც გრიგოლ რობაქიძე და არც სხვები მართალნი არ იქნებიან, რადგან საქართველოს დამოუკიდებლობა არც მაშინ მიუღია და არც ახლა. ეს იყო დეკლარაცია. რუსეთის დიდ სახელმწიფოს ჩვენივე მიზეზით ატკივდა მუცელი და ამ ტკივილის დროს უნდა გაეშვა ჩვენთვის ხელი. ეს სამი წელი იყო, რომ დასცალდა... საქართველოს თავისუფლება არ მიუღია. რუსეთის იმპერიული, ჩინოვნიკური ყოფითობა მუშაობდა აქ, სოციალ-დემოკრატები იქნებოდნენ ისინი, ოპორტუნისტები თუ ვინც გნებავთ. ის იყო რუსული დაზვერვის ძირითადი ბირთვი. მაგრამ ამ ბირთვში მუშაობდა იტალიური, ინგლისური, ფრანგული ინტერესები, სულყველა. ჟორდანია პირდაპირი კაცი იყო იტალიელების. ეს თქვენ არ იცით, მე უნდა გითხრათ. პირდაპირი კაცი, უშუალო კაცი. მთელი XVI-XVII-XVIII და XIX საუკუნის ჩათვლით იტალიის მისია მუშაობდა საქართველოზე. გაიხსენეთ საქართველოს ისტორია და თქვენ ნახავთ, რომ ჩამოდიან იქედან შარლ დე კასტელი და

ექიმები, მრჩევლები და საქართველოს მთავრობის კარზე ისინი პირველი კაცები არიან. ამ დროს რუსეთს ჯერ კიდევ სძინავს, ხვრინავს. მერე, როცა მოიმხრობს რუსეთი საქართველოს და კავკასიას, იქედან სიცივე შეაწუხებს და აქეთ მზის ქვეყანა ეგულება, ლიმონების და მანდარინების ქვეყანა, მერე იმას იტალია ვეღარ დაუდგება წინ. ხდება კონფლიქტი, შეჯახება. ამ შეჯახებაში იტალიას თავისი ინტერესები, საფრანგეთს, გერმანიას — ყველას თავისი ინტერესი აქვს; და ნოე ჟორდანიას ბაბუა, მამის მამა იყო ის ერთ-ერთი იტალიელი მისიონერი, რიგითი თუ ურიგო, რომელიც ჩამოვიდა, დაესახლა გურიაში და შეირთო ქართველი ქალი. მისი შვილი ნახევრად ქართველი და ნახევრად იტალიელი იყო. იმანაც შეირთო ქართველი ქალი და იქიდან მერე ჟორდანია გახდა. და ამის ინტერესი, როგორც რუსდაბადებული კაცის ინტერესი, ნახევრად რუსი რომაა, რუსეთისკენ იხედება, ისევე იქნება იტალიისაკენ. ამიტომ იყო, რომ ერთა ლიგაში ჩვენი წარმდგენი იტალია იყო. მიგებთ, ჩემო კეთილო. გამოიკვეთა ისე, რომ არ ყოფილიყო ნოე ჟორდანია, საქართველოს არავინ დაამტკიცებდა იქ. იტალიას რომ არ ეზრუნა. ის ამას იმიტომ კი არ სჩადიოდა ჩვენ რომ თავისუფალი ვყოფილიყავით, არამედ იმიტომ, რომ ჰქონოდა შანსი ჩვენზე მოსვლისა. მათი კაცებიდან ჩვენთან ყველაზე ახლო იყო ნოე ჟორდანია. მიგებთ? საქართველოს არ ჰქონია თავისუფლება, შვილო. არსებობს საიდუმლო დოკუმენტი: როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია ფრაქციებად — მენშევიკებად და ბოლშევიკებად გაიყო, გამოგზავნა მენშევიკური წრე და დაუშვა თბილისის საქართველოში, რომ თურქებს არ აეღოთ, ფრანგებს... და როცა რუსეთი მოიშუშებდა თავის ჭრილობას, ესენი წავიდოდნენ შეუდავებლად. ისინი იმ პარტიის დავალებას ასრულებდნენ. დოკუმენტი არსებობს, ასე კი არ არის, ეს. ამდენად, რუსეთს მოწყობილი ჰქონდა საქართველოში საქმე და იტალიელებს უნდოდათ, თავისთვის გაექაჩათ. ჩვენთვის ინტუიციით შეგრძნებული იტალიელი პრეზიდენტი თუ თავმჯდომარე უფრო ჰუმანისტურად მიგვაჩნდა, ვიღებდით, ვიდრე, ვთქვათ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრს მივიღებდით. ეს საიდუმლო ხელშეკრულებები ამხელენ მათ, როგორც დეკლარირებული თავისუფლების ცრუ ავტორებს. სად იყო თავისუფალი საქართველო? ტაბახმელაზე ორი ზარბაზანი ვერ გაისროლა. როგორც ახლა არის მუშაობა: არ შედგეს ეკონომიკა, არ შედგეს... ყველაფერი. ზვიადის დროს მსოფლიო მასშტაბის სამი ეკონომისტი მივუგზავნე. ვინ გაუშვებს იმას? თვითონ ზვიადმა

არ იცოდა, რომ იმას არავინ გაახარებს? ის იყო დეკლარაცია. ამ დეკლარაციაში მე ზვიადი ძაან მენანებოდა, რომ შეჰყო თავი. ეს მისი საქმე იყო.

— პოლიტიკას გულისხმობთ?

— დიახ, ბატონო. მისი საქმე არ იყო იქა. კონსტანტინეს შვილის საქმე არ იყო, რომ ფიზიკურ-მატერიალური ბუნების სურვილებს აჰყვეს და წავიდეს. იმაზე ნაკლები ბიჭები არ არიან, მაგრამ თუ არ მოერიენენ თავის სიცხოველეს შიგნით, ანდა, რაღაც თუ გაქვს ჩადენილი შეცდომა, გამოჭერილი თუ ხარ, მაშინ ძნელია, მაშინ ვეღარ იტყვი უარს. გააფუჭეს ზვიადი იმით, რომ გაიყვანეს პრეზიდენტად. მინდა, ეს თქვენ იცოდეთ. მაგრამ როცა ის პრეზიდენტად კი არა, ლიდერად რომ გადგეს წინ ამ დიდ თამაშში; ეს თამაშია, დეკლარირებული თამაში. მაშინ ზვიადი გაწირეს მათ. ზვიადი უფრო ადრე იყო გაწირული, მერაბიც იყო გაწირული.

— იმდროინდელ საქართველოში შეიძლებოდა ვინმე დაეყენებინათ მის წინ?

— არა მაგი... მომხედე, ის იყო ყველაზე სასურველი, ავტორიტეტული, რომელსაც წაპყვებოდა ყველა. ამაში იყო მისი უბედურება. საცეცი, თქვენ რომ კარგი თევზის დასაჭერად წამოაგებთ ყველაზე კარგ ჭიას, ის ჭია არის კონსტანტინეს შვილი, ინტელექტი, ყველაფერი სიკეთე რომ ახლავს თან. არ უნდა იმას ეს საცეცობა, მაგრამ შენ დაიჭირე და აგებ ზედ, მერე რა ქნას მან? ვერაფერს ვერ იზამს. და ეს აქტი მოხდა. დიდი ტრაგედია არის. გავა კიდევ წლები, საქართველო ნამდვილი თავისუფალი იქნება და მაშინ, რასაც კობა ბიძია გეუბნებათ, ის იქნება ჭეშმარიტი ისტორია... იმიტომ არ ვიყავი მე გარეთ გასული. მიგებთ. ღმერთო დაგვიცავ.

— ბირადად იცნობდით, არა? რაიმეს ხომ არ გაიხსენებდით თქვენი და ბატონი ზვიადის ურთიერთობიდან.

— გავიხსენებ, როცა ვახტანგ გურგენიძე მოდიოდა ჩემთან, საქართველოს არქივის დირექტორი, მეუბნებოდა, ასპინძაში უნდა წავიდეთო, შენი ძეგლი უნდა დავდგათ იქო. ახლდა მას აღმასკომის ვიღაც კულტურის განყოფილების გამგე, სვანური ქუდი ეხურა იმ კაცს. ამგვარი საუბარი შედგა: ამ კაცმა, არა, ვახტანგმა მითხრა მე:

— კობა, ახლა შენი არქივი უნდა მოგვცე ჩვენ.

— ე, ბიჭო, რატომ, რატომ უნდა მოგცე არქივი?

იმ კაცს წამოსცდა: — მალე მოვა ჩვენთან მაინცო, თუ არ მოგვცემო. მე ეს არ მენიშნა კარგად. მაშინ ვიყავი უკიდურეს დათვალთვალებაში და უკიდურეს ნერვიულ აგზნებაში, რომ ყველა წერტილი, ყველა სიტყვა უნდა გამეზომა და არ უნდა ჩავჭრილიყავი. უფლება არ მქონდა, რომ ჩავჭრილიყავი. მათ შემომთავაზეს, ასპინძაში წასვლა. იქ ესკიზებს გავაკეთებდი მე და ქალაქის გაფორმება იყო საჭირო. აქ მე გავუკეთე რამოდენიმე ესკიზი და ეხლა გიტყდებით, სულ ვარსკვლავებით გავუკეთე, რადგან ვიცოდი, ვინც იყვნენ. ბოღმით დაიგლიჯნენ, სულ. მე ვუკეთებ, სვასტიკას რომ უკეთებდნენ, ვარსკვლავი, ვარსკვლავი, ვარსკვლავი... ამათ იციან, მე რა დამოკიდებულება მაქვს ვარსკვლავთან.

— რამე ქართული!

— არა ხართ თქვენ, ქართველები, — ვეუბნებოდი.

შემომთავაზეს: იქ წავალთ, იქ სამუშაო იქნება ყველაფერი და შენი ცხოვრება გავა წინ. მე ვიცოდი, სადაც გადიოდა, იძულებული ვიყავი, წავყოლოდი, რათა ჩემს ოჯახს არ განეცადა ჩემი ტრაგედია თვალხილულად. მათი თვალის გარეშე უნდა მომხდარიყო. ესენი დროდადრო შემოდიოდნენ და ესკიზებს ათვალიერებდნენ.

ერთ დღესაც შემოვიდა ბატონი ვახტანგი. იქით გამარჯობა თქვა, დაუწყო ლაპარაკი და მე არ მიშლის ვითომ ხელს. შევხედე, ვიღაცა ბიჭი შემოჰყვა ამას. ავდგები ეხლა და გაჩვენებ, როგორ შემოვიდა (**დგება**) სვანური ქუდი ეხურა, მოიხადა, დაიკავა ესე. გავხედე — ვიღაც ბიჭია, მოჰყვა ამ კაცს. შემოვიდა და გამარჯობა არ თქვა. შეტრიალდა ესე და ჯერ იქით გაიხედა, მერე... ვუთვალთვალებ, უყურებს ნამუშევრებს და მიდის. ვუთხარი:

— ყმაწვილო, შენ სახლში შემოხვედი და გამარჯობას არ ამბობ, ეგ რა ნიშანია. და ეს დათვალთვალებული უსმენს, ამან მიხვდა, რომ მე ვერ ვიცანი ის. ის იყო მთავარი, რომ მე მას არ ვიცნობ. და — ბატონო ზვიადო, — დაიძახა ამან.

— ააა, შენა ხარ ბიჭო, ზვიადი? — ეს იყო ჩემი განკვირვებული სიტყვა და მერე:

— ბიჭო, მე რა დაგიშავე შენ, რომ გამარჯობას არ მეუბნები.

— არა, ჩემო ბატონო,— მოვიდა და... დაიწყო ზვიადმა საუბარი, როგორ მუშაობდა წმინდა გიორგიზე.

— ზვიად ბატონო, — მე ვუთხარი, მე თქვენთან სალაპარაკო მაქვს, მაგრამ ჩემი და თქვენი პოზიციები ერთმანეთს არ დაემთხვევა. შენ ზვი-

ადი ხარ, მე სხვა ვარ, მაგრამ ჩვენ შეხვედრის წერტილები გვაქვს. აი, შეხედე, შენი წიგნი სად მიდევს? შენ რომ დაჭერილი იყავი და მე რომ მაწუხებდნენ, რა პოზიცია მეჭირა, იმის გასაგებად, ის წიგნი მქონდა გადაშლილი და დაწერილი ზედ: ამ კაცს პირადად არ ვიცნობ, მაგრამ მისი ინტელექტუალური ამბავი ჩემი სულიერი საზრდოს შეჭამანდად მიმაჩნია. ის კაცები დახედავდნენ, კმაყოფილნიც იყვნენ, დაკითხვა აღარ დასჭირდებოდათ. პასუხი გაცემული იყო. ხოდა, ეხლა მე ვუთხარი: აი, სად დევს შენი წიგნი. აქ არის. მე შენ პირადად არ გიცნობ, მაგრამ ვიცი, რასაც შენ აკეთებ. ისე, რასაც შენ გააკეთებ გიორგიზე, ეს იქნება დიდი საქმე. ეს უნდა აკეთო შენ, მაგრამ სადაც შენ მოხვედი, რაც კეთდება აქა, მერე იწყება ეს ეტაპი. თუ შენ გეყოფა ღონიერება... მაგრამ კარებში რომ შემოხვედი და გამარჯობა არ თქვი, არ ვარგა ეს. დაიწყო თავის მართლება. მე გავკიცხე და ჩავაყენე მდგომარეობაში. მერე მოხდა ის, რომ მესამე დღეს უნდა წავსულიყავით ასპინძაში. მოვიდა ბატონი ვახტანგი და მეუბნება, ზვიადის მანქანით უნდა წავიდეთო. იმ წუთში ჩემთვის გავიფიქრე: ზვიადს თავისი პრობლემა აქვს, მე — ჩემი. იმის პრობლემა ეხლა ცოტა შეღავათიანია, გამოშვებულია, მაგრამ ეგერ კაცი დაპყვება. მე ვითომ არც დამყვება და არც არაფერი, მაგრამ მე ვიცი, რა მდგომარეობაცაა და მე რატომ უნდა გავსვარო ზვიადი? მიგებთ, რა იყო? მე ვუთხარი:

— მაშინ მე არ მოვდივარ.

ზვიადსაც ვუთხარი. არა, ზვიადს არ ვუთხარი, ამას ვუთხარი: თუ ზვიადის მანქანით უნდა წავიდეთ, მაშინ მე არ მოვდივარ. ამათ აწყობილი აქვთ საქმე. ერთბაშად ეშლებათ.

— კარგიო, მაშინ არაო, აბა, სხვა მანქანა იქნებაო.

— კეთილი. თუ ზვიადს იქ დამახვედრებთ, მაინც არ მოვდივარ.

დამიდეს პირობა. არ იქნებოდა შეხვედრა. შინაგანად აბსოლუტურად ვიცოდი, რომ ჩემი პრობლემა და ზვიადის პრობლემა — არც მისთვის უნდა გადამედო და არც იმისი მიმეღო მე; რადგან ეს უნდოდათ სწორედ იმათ, რომ ჩვენ ერთში გავეყვანეთ. მიგებთ რაში იყო საქმე? როცა მე კატეგორიული უარი ვთქვი, ამათ უკვე აწყობილი ჰქონდათ და რომ ჩაეშლებოდათ, თქვეს, რომ ისე იქნებოდა, როგორც მე ვითხოვდი. კეთილი. მაშინ მე გამოვიძახე ჩემი სანდო კაცი და იმის თანხლების გარეშე არ უნდა წავსულიყავი. ლევან ფრუიძე იყო ეს კაცი. მოხდა კი ისე, რომ ჩვენ ჩავედით და დამახვედრეს მე ზვიადი. ვნახე, რომ ზვიადი აგერ დგას მან-

ქანით, ე. ი. ამათ თავისი მაინც გააკეთეს. მივედით, გააჩერეს მანქანა და აგერ დგას ზვიადის მანქანა. გადმოვიდა, რომ დამინახა. მან ხომ არ იცის ჩემი ნათქვამი: თუ ზვიადი იქნება იქ, მე არ წამოვალ-თქო. მოვიდა.

— გამარჯობა.

— გამარჯობა.

ხუთი წუთი მოგვცეს ჩვენ. მეტი არ გვალაპარაკეს. ხუთი წუთი განგებამ — კომუნისტურმა განგებამ.

— როგორ ცივაო, შემოდით ჩემს მანქანაში შევიდეთ, დავსხდეთ, თბილა იქო.

უარს ხომ არ ვეტყვი. შევედით, დავსხედით. პირველი, რომ დაიხურა კარები, ის იყო.

— იღუპება ქვეყანა და რას ვშვებით?

მე ვეუბნები: — იქცევა ქვეყანა და რას ვშვებით?

ორივეს, ჩემი შეკითხვაც ის იყო, იმისი შეკითხვაც — ის. ეს ვთქვით და მოვარდა კაცი, ვიღაცა კაცი, ვინც ჩვენ წაგვიყვანა.

— უუუ, რა ცივა, რა ცივაო, — შემოვიდა და ჩაჯდა. ჩვენ მტკვარს გადავხედეთ. მტკვარი მოდის. აქ შეიძლება ერეკლე დაიდგასო და რაღაც... მორჩა და გათავდა. ასე დამთავრდა ჩემი შეხვედრა ზვიადთან. მე მასთან შეხება აღარ მქონია.

— რას ეტყოდა 60 წლის კობა გურული 20 წლის კობა გურულს?

— ოოო, მაგი ძნელი ამბავია **იცინის და ასევე აგრძელებს:** რას ეტყოდა? 20 წლის კობა გურულს სული უსწრებდა წინ, მაგრამ არ ჰქონდა გამოცდილება და ქაჩავდა უკან. დღეს 20 წლის კობა გურული უფრო მეტს ეტყოდა 60 წლის კობა გურულს, რადგან 60 წლის კობა გურულს გამოცდილება აქვს, სულიც წინ უსწრებს, აღარ უსწრებს უფრო სწორად, წინ. გამოცდილება და მისი სულიერება თანხვედრილია და ამიტომ ის სტაბილურში დგას. მას შესანიშნავი აღარაფერი აქვს.

— თქვენი სანუკვარი სურვილი ან ნატვრა, რომელსაც ვერ შელევიხართ.

— ჩემი სურვილი თავიდან მოგახსენეთ მე თქვენ, რომ დაკარგულის, დიადის ძებნაში ვიყავი. დაკარგული ნაპოვნია და ახლა ეს ნაპოვნი დავუბრუნო პატრონს. ესაა ჩემი სურვილი. ამით დედამიწა ჩაირთოს ახალი კოდით, რომ ახალი რეაქტორი ამუშავდეს მისი დიდი სიყვარულისა. საქართველოში დევს ეს რეაქტორი და ის კოდი, რაც მოვიპოვეთ ჩვენ, არის ის მუხტი, რაც უნდა ჩაიდოს შიგ. ის ამუშავდება და საქართველო-

დან გასული იმპულსი აღძრავს დედამიწას დიდი ახალი ქრისტიანული სიყვარულისათვის და ეს იქნება ჩემი დიდი ოცნება და ნატვრა კი არა, ეს ვიცი, ახდენილი რეალობაა, მაგრამ მე იქედან კი არ დავინახავ...

— ჩვენ ერთად ვიქნებით დიდი მფლობელები.

— დიდი მფლობელები ვიქნებით. ესაა ჩემი ოცნება კი არა, ესაა ახდენილი რეალობა. მე მეტი ოცნება არა მაქვს. მე მაქვს სურვილი, რომ დროში ჩაეტიოს, რაც შეიძლება ნაკლები მარცხის ხარჯზე, რაც შეიძლება ნაკლები უარყოფითის ხარჯზე. ის, რაც უნდა მოხდეს — ახალ ათასწლეულში შეკიდეს საქართველოს ბურთი და არ დაიწვეს ის თავისი მატერიის სიმძიმით, არ დაიწვას სასუფეველში შესვლის ჟამს. აი, ეს არის ჩემი ნატვრა და ჩემი ლოცვა. მარტო ქართველებისთვის არა, ეს უნდა ვიცოდეთ. თუ მე მარტო ქართველებისთვის ვილოცებდი, თქვენთვის კითხვების მისაცემი ობიექტი ვერ ვიქნებოდი. კაცობრიობა არის ის დიდი სიყვარული, რაც ქრისტეს ნაშიერია. და ქრისტეს ნაშიერი მოდგმა არის საქართველო!

. . . . . .

უკვე გვიანი შემოდგომაა. მყუდრო სამუშაო თთახში ხელახლა ჩავრთე ფირი და გუსმენ. გარეთ ქარი გრიალებს. შეორე თთახიდან ტელევიზორის აწეული ხმა ისმის. დიქტორი სინთეტიკოსების მიერ მიწოდებულ ამინდის პრთგნოზს აცხადებს: თბილი, უნალექო.

— ღმერთმა ქნას, — ვფიქრობ ჩემთვის, შზიანი და ნათელი ხვალინდელი დღე გათენებულიყოს!

1994 წელი



მამია ბერიშვილი

მოულოდნელ ნინაშე

უფლებამოსილი.

6 იანვარს ლევილის მიწას კიდევ ერთი ქართველი მიაბარეს. ეს სამწუხარო ამბავი საქართველოში იმ დღეებშივე გახდა ცნობილი. გარდაიცვალა ბატონი მამია ბერიშვილი — ქართველი ემიგრანტი, საზოგადო მოღვაწე, ნოე რამიშვილის დისწული; კაცი, რომლის სახელზეც 1949 წლის 8 მარტს ვანვში ფრანგულ ენაზე შედგენილი, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული ასეთი რწმუნების მანდატი გაიცა: „მე, ქვემოთ ხელის მომწერი ნოე ჟორდანია, საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე, ვნიშნავ ბატონ მამია ბერიშვილს საქართველოს ეროვნული მთავრობის წარმომადგენლად და ამ უფლებით ის სრული უფლებამოსილია აწარმოოს მოლაპარაკებები აღნიშნული მთავრობის სახელით“.

თვითმფრინავმა რამდენჯერმე წრიულად შემოუფრინა თბილისს, შემდეგ ნელ-ნელა დაეშვა, საფრენ ბილიკს შეეხო. უძვირფასესი და ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმენტები საქართველოს უბრუნდებოდა. ეს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918—1921 წწ.) მთავრობის არქივი გახლდათ. იდგა 1996 წელი, ხოლო ტრაპზე ორი ადამიანი, ბატონები მამია ბერიშვილი და გურამ შარაძე. შეიქმნა სახელმწიფო კომისია და არქივზე მომუშავე საგანგებო ჯგუფიც (ციცი ბუქურაული, ლია გედევანიშვილი, რუსუდან კობახიძე, რუსუდან დაუშვილი, ნინო აფაქიძე, ია ხატისკაცი, ნინო ტიტვინიძე, გიული კალატოზიშვილი და მეც, მათთან ერთად). ორივე კომისიას ბატონი გურამ შარაძე თავმჯდომარეობდა. აქვე ვიტყვი, რომ ეს გახლდათ ურთულესი საქმე არა მხოლოდ სამეცნიერო თვალსაზრისით, არამედ ტექნიკური მოსაზრებითაც. ეს დოკუმენტები ათეული წლების განმავლობაში ხელშეუხებლად იდო; დაზიანებული წყლის, მტვრის და ათასგვარი დაავადებისაგან. ხელნაწერებიდან აღებული იქნა არაერთი სინჯიც. პირველადი დამუშავების ეტაპი — ასე თუ ისე, დამთავრდა, მაგრამ ქაღალდებს მძაფრი სუნი ჯერ ისევ შერჩენილი აქვთ. შუა ზამთარია, არადა, ჩვენ ფანჯრებიც დაღებული გვაქვს და თუ სხვაგან ოთახები თბება, ჩვენთან შენობის სიცივეს გარედან შემოსული ყინვა ემატება.

მიმდინარეობს მასალის დალაგება—კატალოგიზაცია. მოგვიანებით,

ეს კატალოგები წიგნადაც გამოიცემა, სათაურით: „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“.

ბატონი მამია ყოველ დილით მოდის. ყველას აუცილებლად ცალ-ცალკე მოგვესალმება, მოგვიკითხავს და მერე დიდხანს რჩება კიდეც; არაერთი დოკუმენტის თუ ხელნაწერის გარჩევაში, გაშიფვრაში გვეხ-მარება. დახედავს თუ არა, ნაწერზე ცნობს, ვის შეიძლება ეკუთვნოდეს. რაღაცას ვერ ვარკვევ, ვაწვდი. თავადაც ჩაჰკირკიტებს, ამოკითხვას შე-ეცდება:

— აჰა, ვალა (ეს სიტყვა განსაკუთრებით უყვარს), — მომილოცავს დამოუკიდებლობა, ჩემო ძველო რკინის ღობეო; ექიმ ჟორჟოლიანს. დედა, ღმერთო, — თავადაც გაიოცებს, ვიღაცა ფარმაცევტი წერს, დიდი პორტია ეს ატლანტიკის ოკეანესთან, აზუსტებს გეოგრაფიულ ადგილსაც.

ემიგრანტთა საერთაშორისო უფლება-მოვალეობის განმსაზღვრელი ცნობარი; კარლ კაუცკის მიერ გაგზავნილი წერილი აკ. ჩხენკელისადმი; ვლადიმერ ვოიტინსკის მიერ გაგზავნილი წერილი კ. კანდელაკისადმი 4.I. 1927 — ეს ხელნაწერია, თუმცა აქვეა ნაბეჭდი წერილი კ. ბალმონ-ტისა ჩხენკელისადმი. ის 1926 წლის 22 დეკემბრითაა დათარიღებული და საინტერესო იმითაცაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემას ეხება; შვეიცარიის საელჩოს მიერ გაგზავნილი წერილი პარიზში საქართ-ველოს საელჩოსადმი. აქ რამდენიმე ცალია: 19.I. 1928 წელი, 27.IV.1928 წელი; ერთი მათგანი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის საქმეს ეხება. ბატონი მამია ხელში ატრიალებს წერილს: მე არ მინახავს, მაგრამ ძალიან ლამაზი კაცი იყო თურმე, ძალიან ლამაზი. ორჯერ იყო სანატორიუმში. სმა უყვარდა. სმა და ცეკვა. არ ეშვებოდნენ. ვკითხულობთ: პარიზის სტუდენტთა ასოციაციის მიერ გაგზავნილი წერილი. ამასაც დეტალუ-რად ჩაჰკირკიტებს. ქართველი არცერთი არაა შიდ და რათ უნდოდენ, თუ ქართველი არ იყო, მე არ ვიცი.

რასაკვირველია, შიგა და შიგ ბევრს ვსაუბრობთ კიდეც. უამრავი რამ მაინტერესებს. მეტწილად იმ ადამიანების შესახებ ვეკითხები, რომელთ-აც არცთუ უმნიშვნელო როლი ითამაშეს XX საუკუნის „საქართველოს თავგადასავალში“. ისიც დაუღლელი მთხრობელია და გვიამბობს, გვი-ამბობს... ათეული წლებია საფრანგეთში ცხოვრობს. ჩვენს შორის ენო-ბრივი ბარიერი არ არსებობს, არანაირი განმარტება არ მჭირდება, ყოველი ფაქტი გასაგებია და თავისუფლადაც ვუსვამ შეკითხვებს ერთი უბრალო მიზეზის გამო, ბატონ მამიას (ზემოსურების) გურული კი-ლოთი შეფერილი ქართული (ძვალსა და რბილში რომ აქვს გამჯდარი), რასაკვირველია, არ დავიწყებია! ერთ დღეს ჩაწერაც გადავწყვიტე, მო-

ვილაპარაკეთ კიდეც, მაგრამ მაშინ გამოქვეყნება არ მიფიქრია. ეტყობა, ვიმედოვნებდი, მომდევნო ჩამოსვლაზე ისევ გავაგრძელებდით საუბარს, ბევრ დეტალსაც შევავსებდი, სამწუხაროდ...

მაშინ კი არაერთ თემაზე ვისაუბრეთ.

— ბატონო მამია, დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, რა ასაკის ბრძანდებოდით?

— ოცდაერთ წელში მე ვიყავი მეხუთე წელიწადში. მაშინ ბავშვი ვიყავი. ძლივს-ღა მახსოვს, ბიძაჩემმა რომ გამეიარა დასამშვიდობებლად. მიდიოდა. ისეთი პატარა ვიყავი, გავიქეცი, ვითომ შევეგებები-მეთქი, დამიცდა ფეხი და ჩავვარდი ტალახში, დამესვარა შარვალი...

ერთხელ კარლო ჩხეიძესთან ლაპარაკი შეიქნა, ვინ არი უფრო მეტი ემიგრაციაშიო. ვინ და გურულებიო. ისე, მართალია. ხოდა, კარლომ: ვინ აჯობებს გურულებს გაქცევაშიო (**იცინის გულიანად**).

— ბატონო მამია, წლების შემდეგ ისევ რომ გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა, თქვენ, ახლა უკვე ემიგრაციაში, ასაკითაც სხვამ, უკვე დროის გადმოსახედიდანაც... როგორ შეიტყვეთ ეს ფაქტი, რა განცდა გქონდათ?

— ისეთი აღფრთოვანებული ვიყავი, რომ არ შეიძლება, არ შეიძლება. მერე რა მოხდა?! ყველაფერი აირია-დაირია. კაცი რომ თბილისს ტყიას ესვრის; რა მოხდა, არ ვიცი. მე ვფიქრობდი, მთელი ერი შეიკრიბებოდა, დაიწყებოდა აღმშენებლობა, რეფორმით, თანდათანობით დაიწყებდით დამოუკიდებელ ცხოვრებას და ეხლა თუ ამას დამოუკიდებელი ცხოვრება ჰქვია, მაშინ... მე მაინც, რაც მოხდა, უშედეგოდ ვთვლი. თუ რაღაც არ შეიცვალა და არ მოინახა რაღაცა გამოსავალი, სულ უარესი და უარესი იქნება, მე ასე ვფიქრობ და თქვენი აზრი არ ვიცი; ვიღაცა უნდა გამოჩნდეს, რაღაც უნდა მოხდეს. სხვათაშორის, დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, მე ვიფიქრე, გათავდა, ეროვნული სული აღსდგა—მეთქი, მარა, მერე ვეღარ დავინახე. ერთხელ ნოე ჟორდანიას ვკითხე, ექვსი ომი როგორ მოიგეთ-მეთქი. მითხრა, მობილიზაციის გამოცხადება არც კი მჭიროდა, ხალხი ქალამნებით და საწიგნეში ჭადით, ისე მიდიოდა ფრონტზეო.. ახლა მორბოდენ ფრონტიდან. არ ვიყავით ალბათ, მზად, მე ასე ვფიქრობ. საუბედუროდ. მე კიდევ იმასაც ვფიქრობ, დიდხანს ვერ დავდგებით ფეხზე.

— უთქვამთ, რომ ხესა და დგამს ბჯენი სჭირდებაო. მაგრამ ადამიანს ბჯენი ვერ უშველის, ადამიანის ბჯენიაო რწმენა.

თქვენ როგორ ფიქრობთ, იმ ქართველებს და დღევანდელ საქართველოს... თქვენ როგორ გესახებათ რწმენა.

— რწმენა, პირადად მე რომ მკითხო, ეს არის ერთგვარი მუხრუჭი,

რომ არ გადააჭარბო შენს ნაბიჯებს. ხოდა, მე რომ მკითხოთ თქვენ ახლა, ღმერთი არისო? მე გეტყვით, არ ვიცი, მე იმხელა თავი არ მაქვს, რომ... მაგრამ არც ისეთი პატარა თავი მაქვს, რომ ვთქვა — არ არის. მაგრამ ვამაყობ იმით, რომ ვარ ქრისტიანი და ის მე მყოფნის, რომ არ გადავაჭარბო. დამოუკიდებლობის დროს, სხვათაშორის, ღერბზე კამათი იყო: თეთრი გიორგი თუ წმინდა გიორგი. ეროვნულმა საბჭომ მიიღო და იქ დაასაბუთეს, რომ ბატონო, სახელმწიფოში არიან მორწმუნეები, მაგრამ არიან ურწმუნოებიც. წმინდა გიორგი რომ ავირჩიოთ, გამოვა თეოკრატიული. თეთრი გიორგი კიდევ მისაღებია ორივესთვის.

— კაკი წერეთელს წინადადება წამოუყენებია, „სანახევროდ" გათავისუფლებული ამირანიც გამოეხატათ. რამდენადაც ვიცი, ნოე ჟორდანია „თეთრ გიორგის" თანაუგრძნობდა და ეს იყო ის შემთხვევა, როცა ფრაქციის წევრებს თავისუფალი ხმის მიცემის ნება დართო.

— დიახ, ასე იყო და პარლამენტმა — სოციალ—დემოკრატები, ნაციონალ—დემოკრატები, ფედერალისტები, ესერები — თითქმის ერთხმად მიიღო თეთრი გიორგი. ამირანზე მე რა მეთქმის. ჩვენ, ქართველებს, ბედი არ გვწყალობს მაინცდამაინც. ეს ჩვენი ლეგენდარული ამირანი... არ ვუწევთ, ხომ იცი, ანგარიშს, არა, იქამდე მივიდა, ღმერთს დაუწყო ჭიდაობა. ჩვენ არ გვაქვს მითიური... რო გავსინჯავთ, კარგია ყველაფერი, მაგრამ ისეთ ადგილზე გოურევთ შეცდომებს, რომ ყველაფერს უფუჭდება შინაარსი.

— ღერბი, ჰიმნი, პარლამენტი, I თავმჯდომარე, II თავმჯდომარე, მთავრობის წევრები — ადამიანები, რომლებთანაც თქვენ ძალიან ახლო პიროვნული თუ საქმიანი ურთიერთობები გაკავშირებდათ.

— ნოე რამიშვილი იყო ჩემი ბიძა. ის იურიევის უნივერსიტეტში რომ შევიდა, სტუდენტების არეულობა მოხდა და გამეიქცა. წამოვიდა. სახლში რომ მისულიყო, მიაკითხავდნენ. ჩვენთან იყო. გასაკვირი კია ბევრად, ახლა რომ ვთქვათ, მარა მეფე უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე ბოლშევიკები. მერე ნოე წავიდა გერმანიაში, იქ დაიწყო სწავლა, როცა ჩამოვიდა, ესწრებოდა ყველა კონფერენციას. სწორედ 1904 წელს ბათუმში იყო სოციალ—დემოკრატების დიდი კონფერენცია. სტალინიც ესწრებოდა. სილიბისტრო ჯიბლაძე და ნოე რამიშვილი გამოვიდნენ მაგის წინააღმდეგ. სტალინმა იქ ვერაფერი უპასუხა, გამოვიდა და თქვა: გადაგიხდით ქართველებო, ამასო და წევიდა ბაქოში. — **და გადაგვიხადა?** —გადაგვიხადა. მერე ოდესაში იყო კიდევ კონგრესი, 1913 წელში. იქ ესწრებოდნენ ნოე და სამსონ ფირცხალავა, ეს ფედერალისტი იყო. და ამათ თქვეს: საქართველო უნდა იყოს დამოუკიდებელიო. ამას ნახავთ მერე თქვენ ამ დოკუმენტებშიც (**არქივს გულისხმობს — რ.ნ.**).დიდხანს

არა, მაგრამ კერენსკის დროს სახელმწიფო საბჭოს წევრი იყო. დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, ეროვნულმა საბჭომ ის I მთავრობის თავმჯდომარედ აირჩია. სხვათაშორის, ძალიან შორსგამჭვრეტელი, რკინისმკვნეტელა კაცი იყო. მიხვდა, რომ ნოე ჟორდანია ორგანიზატორი, პრაქტიკული უფრო იყო და კი არ გადაუჯნებიენ, თვითონ გადადგა — ნოე ჟორდანია აირჩიეს მთავრობის თავმჯდომარედ. მაგას სამი სამინისტრო ჰქონდა: შინაგანი, სამხედრო და განათლების. ნოე რამიშვილის დროს 2 წლის განმავლობაში, საუკუნის დასაწყისში მთელი საქართველო ტელეფონით დაიფარა, გაიხსნა უნივერსიტეტი. მერე მარტო შინაგან საქმეთა სამინისტრო დაიტოვა. სხვათაშორის, სტალინი ბაქოდან რომ ჩამოვიდა, რგანი რომაა ჭიათურაში, იმის გვერდზეა სოფელი, იქ მოუვიდათ ჩხუბი, დაარტყეს ერთმანეთს და მიბერტყა სტალინი.

— ეს დაახლოებით რომელი წელი იყო?

— დაახლოებით ეს 1909—ში თუ?

— ე. ი. ჯერ კიდევ 10—იანი წლებია.

— ჰო, მანამდე, მანამდე, აბა მერე (იცინის) და მერე, როგორც ჩანს, მაინც უნდოდენ მოშორება. იყიდენ ერთი ჭანუყვაძე. დაპირდენ: შენ მოკალი მაგი, ჩვენ ისეთ ადვოკატს აგიყვანთ, გამოცხადდება პოლიტიკურ მკვლელობად, ჩამოხვალ აქანე და ყველაფერი იქნებაო. ერთ დღეს ნოე კრებაზე მიდიოდა, აღმართია გობლენზე, იქ. მენაღარიშვილი მიყვებოდა, ხელი ჰქონდა გამოდებული. ჭანუყვაძე კუთხეში სახლს იყო მოფარებული. გამოვარდა უცებ და პირდაპირ გულში დაახალა. მენაღარიშვილს ტყვია ასე მოხვდა. მან იარაღი როგორც იქნა, წაართვა, მარა, დეიჭირენ. საუკეთესო ადვოკატი აუყვანენ. სასამართლომ მიუსაჯა. ეცადა ბევრს ტორეზი, პოლიტიკური მკვლელობააო, მაგრამ ვერ დაამტკიცა.

— ე.ი. ვერ „შეუსრულეს" დანაპირები. თუ იცით, ჭანუყვაძის ბედი როგორ დასრულდა?

— სამუდამო პატიმრობა ჰქონდა და გაგიჟდა ბოლოს. ბურდის ციხეში დაიღუპა. ასე იყო ეს. ნოე წმინდა კაცი იყო. რომ მოკლეს საწყალი, დახეული პერანგი ეცვა. მამულშიც მუშაობდა. პატარა ბოსტანიც ჰქონდა. მერე ბევრს ლაპარაკობდნენ ნოე რამიშვილზე, ნოე ჟორდანიაზეც. დავა იყო თითქოს. რო ჩევედი, მითხრა, რას მელაპარაკებიო, მე ვიყავი თეორეტიკოსი, იმან ყველაფერი იცოდა: ორგანიზაციული ჩაწყობაც, ყველაფერიო; ჩვენ შორის უთანხმოება არ ყოფილა. მხოლოდ ეს იყო — სომხები მიფერთხ-მოფერთხა იქით-აქეთ.

— ბატონო მამია, საკმაოდ წინააღმდეგობრივი მოსაზრებები არსე-

ბობს. მე თქვენეული დამოკიდებულება და შეფასება მაინტერესებს: ნოე ჟორდანია, როგორც მთავრობის თავმჯდომარე და როგორც პიროვნება. თქვენ მას კარგად იცნობდით.

— სანამდი ბოლშევიკური პროპაგანდა არ იქნება გაწმენდილი, არ უნდა ვილაპარაკოთ! ხალხს ჩარჩენილი აქვს — რუსოფილი იყოო, მეორე, ეგერ მუჩაიძე იმას აბრალებს, ნამეტანი ევროპოფილი იყოო.

— თქვენ როგორ შეაფასებდით. მე თქვენეული დამოკიდებულება მაინტერესებს.

— მე როგორ და, რასაც მე ველაპარაკებოდი, ძალიან ეროვნულად იყო განწყობილი. იმას კი არ ვამბობ, რომ მე იმას ვემხრობოდი და იმიტომ, მაგრამ ერთადერთი ჟორდანია იყო, ვინც პირველმა თქვა, რომე ეკონომიური თავისუფლება, როგორც დედაბოძი, ყველა ერისაო. ეს 93 წელში თქვა. ნუთუ ნოე ჟორდანია ისეთი სულელი იყო, რომე საქართველოს არ თვლიდა ერად. თავისუფლება ყველა ერისა 1893—ში! მასზე ადრე არავის არ უთქვამს ეს. მაგრამ სანამ არ გაიწმინდება... გუშინ არ ვამბობდით, მენშევიკებიო, მოღალატეებიო, გაყიდესო საქართველოო, რომ გაიძახოდნენ. 93 ათასი კვ. კმ. ტერიტორია იყო დამოუკიდებელი საქართველოს დროს, თამარ მეფის შემდეგ, მგონი, ამხელა საქართველო არ ყოფილა. 93 ათასი კვ. კმ. ვიყავით, 69—ზე დაიყვანეს და მენშევიკებმა გაანიავეს ტერიტორიაო. თვითონ დაარიგეს ართვინი, არდაგანი, სოჭი, საინგილო და მაინც მენშევიკებმა გაყიდეს საქართველო და ტერიტორია?! მე ისიც არ შემრცხვება, რომე დიდი ერის შვილი ყოფილიყო, შეიძლება მსოფლიოში ცნობილი... მაგრამ პატარა ერის შვილი იყო. ერთი მრჩეველი არ ჰყავდა სოციალ—დემოკრატი იმიტომ, რომ სხვისგან გეეგო, რას ამბობდნენ. ბოლშევიკებს თუ დავუჯერებთ, მოღალატე იყოო, გამყიდველი. კიდე, ძალიან დაფიქრებული იყო. ილია ჭავჭავაძეს ეკამათებოდაო. არაა მართალი. ილია ჭავჭავაძეს კი არ ეკამათებოდა, ილია ჭავჭავაძე ეკამათებოდა მას. „ივერიის" ის შესთავაზა — **რედაქტორობა.** —დიახ. რედაქტორობა. ამან უარი უთხრა და მერე რა არ დაუწერა: ფართხი—ფურთხი ტომარა, ჩევიდა შვეიცარიაში, არაფერი არ უსწავლია, ისე ჩამეეთრია. რას თხოვდი, კაცო, მაშინ რედაქტორობას. თქვენ თუ მონახავთ ერთ რამე ცუდ სიტყვას, რამე თუ დაეწეროს ნოე ჟორდანიას, ეკამათება ჯენტლმენურად, კამათი სხვაა, თუ ვინმე ნახავს, კისერი მომჭერით. ილია ჭავჭავაძე რომ აუცილებლად დიდი პოეტი იყო, ამას თქმა არ უნდა! საზოგადო მოღვაწე იყო — თქმა არ უნდა!

— ეს დამოკიდებულება იმ ცნობილმა დეპეშამაც გამოიწვია, ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების დღეებში მოსულმა: როცა მუხას ჭრიან, ნაფოტები ცვივა...

— მაგაშია საქმე. მაგი არაა ჟორდანიას ნათქვამი. შემდეგ მიმატებულია. პირიქით, დასაფლავებაზე კარლო ჩხეიძემ თქვა სიტყვა, ვლასა მგელაძემ... ბოიკოტი გამოუცხადესო. ეს არის ყველაფერი ბოლშევიკების მოგონილი. ეხლა, თუ გინდა, ისიც ვთქვათ. ვიღაც პროფესორია, რა გვარია... სიგუა ორ გვერდზე სხვადასხვას წერს: ჯერ ამბობს — მეფის მთავრობას ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში არაფერი მონაწილეობა არ აქვსო და იქვე ლაპარაკობს, რომე ფილანდიაში რომ იყო ნოე ჟორდანია მეფის მთავრობამ მისცა შვებულება ჩამოსულიყო და ხმა მიეცა ილიას სიკვდილისთვისო. კი მაგრამ, თუ მეფის მთავრობამ მისცა შვებულება, მაშინ არ ყოფილა შუაში?? როგორ შეიძლება ასე წერა? მე ბევრი მაქვს მაგაზე სათქმელი... მაგრამ საბუთებიც მექნება. მეფის მთავრობამ ქართველი ბოლშევიკები იშოვა, რომ ტყვია ესროლათ და მოაკვლევინეს. მეფის მთავრობა კი არა, ლენინიც ერია და სტალინიც ილიას სიკვდილში. ლენინს გეტყვით. ლენინი იყო პირდაპირი ჯაშუში თვითმპყრობელობის. ის ცდილობდა, ყოველნაირად გაეწმინდა გზა და მე მაქვს ჟანდარმერიის გენერლის სპიდონოვის წიგნი; იქ, სადაც პირდაპირ ოქმებით ამტკიცებს და ასაბუთებს, რომე ლენინი ასმენდა თვითმპყრობელობასთან იმათ, ვინც გზაზე წინ შეხვდებოდა. ლენინს ყოველგვარ ცნობებს აწვდიდა ნიკო კიკნაძე... მე რას ვიტყვი, იცი? ილია ჭავჭავაძე და დიმიტრი ყიფიანი ერთი და იგივე ძალის მოკლულია, ესაა თვითმპყრობელობის ტყვია და ნაჯახი. ქართველ ბოლშევიკებსაც უნდოდათ, გზა გაცლილიყო — მოკლა ბერბიჭაშვილმა. მე ვიცი კიდევ ერთი კაცი... რომელსაც მოწმედ ისახელებენ. იმას და ბერბიჭაშვილს ორივეს პენსია ჰქონდათ. **როგორ?** ამ მეორეს, ფილიპე მახარაძემ დაუნიშნა. მართალია, კი, მარა იმას — ფაღავა რა შუაში იყო? გუბერნატორი იყო. რომელ გუბერნატორს მეტყვით მე თქვენ, ბოლშევიკებს ან არ დაეჭიროთ, ან არ დაეხვრიტოთ.

— თქვენ ფიქრობთ, „დამსახურებისთვის"?

— მე დავამტკიცებ, რომე სტურუასთან მივიდა და ბერბიჭაშვილს რომ აძლევთ პენსიას, მეც ხომ მერგებაო. მე იმასაც ვფიქრობ, რომე შეიძლება სამი საათის განმავლობაში ჟანდარმერია 3 კმ-ზე რომ იყო, შეიძლება იქ იყო, სანამდის ესენი არ გაიქცეოდნენ. ამას უნდა დიდი გამოძიება. ეს ფაღავა დუშეთის გუბერნატორი იყო, ოთხი თვალი სახლი ჰქონდა, პენსია და ცხოვრობდა მშვენივრად, ე.ი. დამსახურება ჰქონდა, ხომ?

ნოე რამიშვილმა და ნოე ჟორდანიამ დაადგინეს ბახვშიო. არც ერთი ყოფილა ბახვში და არც მეორე. ეჰ, მერე რა გვარი ვთქვი ახლა?

ფალავა? არა, **ბერბიჭაშვილი?** No, No პროფესორი... სიგუა... წერს ერთ-ერთ მივარდნილ სოფელ ბახვშიო. ბახვი გურიაში ერთი ჯველაზე კულტურული ცენტრი იყო. 1905 წელს პირველი კონფერენცია აქ იყო მოწვეული: 100 კაცი ხმის მიცემის უფლებით და 50 — დამსწრე. ასე წერა შეიძლება?

ილია ჩემთვის, რა თქმა უნდა, დიდი მწერალია. დიდი ეროვნული მოღვაწე. ჯველაფერი...

— გურია, კერა, მშობლები — რამდენადაც ვიცი, მრავალრიცხოვანი ოჯახი გყავდათ. ეგებ, მათზეც გვესაუბრა.

— ჩემი ოჯახი შეძლებული ოჯახი იყო. სხვათაშორის, მამაჩემი გლეხი იყო. ნოე რამიშვილმა ასწავლა წერა, იურევიდან გამოქცეული ჩვენთან რომ იმალებოდა, მაშინ. ისე, ჩემი ოჯახი შეძლებული ოჯახი იყო. ვიყავით 12.

— თქვენ მეთორმეტე ბრძანდებით, ხომ?

— დიახ, მეთორმეტე. მამაჩემმა 1913 წელში სახლი იყიდა და ცხოვრობდნენ იქ. 25 თებერვალს მაგენი შემოვიდენ და 5 მარტს გაყარენ გარეთ. მერე 30 წელში მთელი ოჯახი დაგვიჭირენ. მე მეთოთხმეტე წელიწადში ვიყავი. 19 თვე და 5 დღე გავატარე ციხეში. მთელი ოჯახი იყო დაჭერილი. ზოგი გადაასახლეს. ორი წლის შემდეგ მე, ჩემი ძმა და ერთი და გამოგვიშვეს. ხოდა, ვიშოვეთ ბინა კალინინის ქუჩაზე, ძველი ნიკოლოზის ქუჩაზე. იქ მაშინ მეორე დაჭერები მოხდა, დაიკარგა ის ბინა. ციხიდან რომ გამოვედით, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე ვიშოვნეთ ბინა. იქაც დაიჭირეს სუჯელა. მე და ჩემი ძმა ჯარში ვიყავით. იქაც დეიკარქა ჯველაფერი. ისე, რომე ჩემი ოჯახიდან, ნათესავებიდან და მოყვრებიდან 56 კაცია დაღუპული. პირველი ძმა 1921 წელში კოჯორში დაიღუპა, ჩემი და ერთ-ერთი დაკითხვის დროს რუხაძემ ხელით დაახრჩო. ჩონჩხები რომ ნახეს ახლა, იქ არის, ალბათ. ისე კი, მე სამჯერ გადმოვედი საქართველოში არალეგალურად. რაფავა იყო ჩეკას უფროსი და ის კი შეეწირა ჩემს ამბავს: როგორ გაგექცაო. ის და რუხაძე დახვრიტეს მერე.

— საინტერესოა, როგორ გაიქეცით?

— მე ვიცოდი, იმიტო რომე, ახალგაზრდა რომ ვიყავი, 13 წლის, მეკონტრაბანდები დადიოდნენ. იმათ გადმოჰქონდათ საზღვარგარეთიდან არალეგალური ლიტერატურა. მივყობოდით საზღვარზე და ვიცოდით: ეს სურების, ეს გოდერძის გადასასვლელი, ეს ის... და ეს ჯველაფერი კარგად ვიცოდი. თურქეთში რომ ჩამოვდიოდით (15 დღე) თურქული ფორმები გვეცვა და ვათვალიერებდით: სად იცვლებოდა, რა დროზე

იცვლებოდა და რო გადმოვდიოდით ერთი 100 მეტრზე, სადაც გადმოვდიოდით, პუდრს ვაყრიდით. ფხვნილს. **ეტყობა, გაკვირვება შემატყო და** პუდრს ვაყრიდით, სუნი რომ არ აეღოთ ძაღლებს. ახლაც ისე გადავალ, რომ არ შევცდები. **გულიანად იცინის.** რომელ წელში იყო, აღარ მახსოვს. ბევრი გვქონდა ხაბაკი, ლიტერატურა, რაღაცა იქით–აქეთ... გაგვიჭირდა... თოფი გამოვხვიეთ. შევდევით საფარში.

— ახლაც იქ ხომ არაა, დატოვებული?

— კი, კი, ახლაც იქაა. რო გაგვიჭირდა, სხვათაშორის, ისიც გვქონდა, უხმოებიც. გვქონდა ყოველგვარი იარაღი. ხელის ყუმბარებიც წელზე გვქონდა შემორტყმული და ვიფიქრეთ, დაბლა არ ეყაროს, სად ვათრიოთო და დავტოვეთ ღრუში.

— ბატონო მამია, რომელ წლებში შემოხვედით?

— 1949–50–51–ში.

— ახლა ალბათ, საიდუმლო აღარ არის, ვისთან ამყარებდით კავშირს?

— მაშინ ადვილი იყო ჩვენთვის, იმიზა, რომე 1940 წლამდი, ჩემი ძმა რომ დეიკარქა რუმინიაში, ის ითვლებოდა ცენტრალური კომიტეტის მოლარედ. სიხარულიძე იყო, მარგალიტაძე იყო, ხოფერიები... ყველას ვიცნობდი. ადვილი იყო. რომ ჩამოვიდოდი, მივაგზავნიდი. უფრო მეტს გეტყვით, კიდევ. ერთჯერ ტყეში დევიმალე. მევიდა, 15 მეტრზე დადგა. შემომხდა, ასე, ზიზღით.

— აჰ, გამარჯობა, ბატონო კირილე და...

— მე მაგას არ ვფიქრობდიო, რომ შენი ოჯახის შვილი ჯაშუში იქნებოდიო. იფიქრა, რომე მე ჩამოვედი, რომ... ამოვიღე წერილი, მივაწოდე. ჟორდანიას ხელი იმწუთში იცნო. ხელი გადამხვია და გადამკოცნა. სოფლებში კი არ დავდიოდი, მივიდოდნენ, მოვილაპარაკებდით. ცნობებს თქვენ ახლა ნახავთ — ზოგი დაშიფრულია, ზოგი დაუშიფრავი **(მართლაც, არქივის დამუშავებისას არაერთი ასეთი ცნობა შეგვხვდა: გაშიფრულიც და გაუშიფრავიც — რ.ნ.).** დათქმული გვქონდა ერთი ხის ღრუ. ჩვენ იქედან გამოვატანდით თათარს, ფულს მივცემდით, რა თქმა უნდა. ჩადებდა იმ ღრუში. აქედან მოვიდოდნენ, იმას წეიღებდნენ. თვითონ ჩაგვიდებდნენ, არალეგალური ფოსტა! მაშინ ადვილი იყო.

ახლა პატიოსნებაც უნდა კაცს. ფული დაგვიგროვდა ბევრი. დაგვიგროვდა ბევრი და ვეღარ გავაგზავნეთ. რა ვქნათ. რა ვქნათ. ჩემი ძმა წუხდა ძაან. ბიცოლა მყავდა ბათუმში. წევიდა იქ. იფიქრა: ვალუტას ვიყიდითო. ხინა ვიყიდოთო. ხინა ყოველთვის ვალუტის ფასია. 5 კილო ხინა ვიყიდეთ. მივაბარეთ ზესტაფონში. როგორც გევიგე მერე, არ ვყო-

ფილვარ, თითქოს ის სახლი დეიწვა თუ დაწვეს. მაგი არ ვიცი, მარა, მივაბარეთ იქ. ეს ფული უნდა გაგვეგზავნა საზღვარგარეთ. საწევროებს იხდიდნენ მაშინ.

— პარტიული იყო, სოციალ—დემოკრატების?

— როცა საერთო ფონდი კეთდებოდა, ორივე. როცა დეიშლებოდა, მაშინ მარტო სოციალ—დემოკრატიული იყო. საერთო ფონდი ხშირად იყო, რა თქმა უნდა. ეხლაც გვაქვს ეროვნული საბჭო. მივწერეთ კოლონიას, რომ მივცეთ მაგალითი საქართველოს, რომ შეგვიძლია ემიგრაცია გაერთიანდეს, სხვა პარტიებს... რა გგონიათ? პასუხიც არ მიგვიღია. გავჩერდით. იქაც ასეა დაყოფილი. ჩვენ პირველმა მივულოცეთ გამსახურდიას, მერე იგიც ვთქვით, რომე იარაღით არ უნდა... ჩვენ გაზეთში გამოქვეყნდა — შეცდომა იყო. დანარჩენი ჩვენ რა შეგვეძლო. სხვათაშორის, სხვას მაგიც არ გაუკეთებია, ჩვენ — გავაკეთეთ!

მამაჩემი გადაასახლეს, დააბრუნეს 3 წლის მერე. ავადმყოფობამ, რევმატიზმმა შეაწუხა. რომ გაუთავდა წამალი, ჩავიდა პროვიზორთან. მიუტანა რეცეპტი. იმან გაუკეთა წამალი და გამოატანა. ვერცხლისწყალი თუ მაგიერი, არ ვიცი, დალპა კაცი, დაწვა სულ. 13 დღეში მოკვდა.

— შეეშალა პროვიზორს თუ?

— არა, მერე კი გვინდოდა, გვეჩივლა, ჩემი და ექიმი იყო, მაგრამ ერთმა ახლობელმა გვითხრა, არაფერი გამოვა, მოშორება უნდოდენო. დედაჩემი 51—ში გადაასახლეს. მაშინ დედა 83—ის იყო. 86 წლის დეიკარგა, კაცმა არ იცის, სად დეიკარგა, ჩააგდენ მიწაში. ჩვენი ოჯახიდან, ნათესავებიდან 56 კაცია დაღუპული, 22—ის საფლავი არ ვიცით, სად არის.

ასეა თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, მე ბევრი არ დამრჩენია ჩემი ცხოვრების. რაღაცას ვაკეთებდი, მინდოდა დავხმარებოდი, მაგრამ ცოტა არ იყოს, მე მაინც უკმაყოფილო ვარ ჩემი ცხოვრების; მიტო რომე, აქ რომ ვყოფილიყავი, შეიძლება, ქე დავეჭირე, ერთი-მეორე; დედაჩემი რომ წაიყვანეს, მეც იმასთან გადავესახლებინე, ქე მაინც საფლავი მეცოდინებოდა. მოშორდი შენს ქვეყანას, ვერც ვერაფერი გაუკეთე, შეიძლება, ცოცხალი ვყოფილიყავი დედაჩემთან... დედის საფლავი რომ არ ვიცი, ძნელია. **ხმა გაუტყდა და ცრემლიც მოერია, არც უცდია, დაემალა. ბოდიშს ვუხდი ამ ტკივილის გახსენებისთვის და მართალი გითხრათ, აღარ ვიცი, როგორ გავაგრძელო ან გავაგრძელო თუ არა, საერთოდ. ისევ თავად მოინდომებს.** ჩვენი ცხოვრება იყო ტრაგედია! 56! ამას წინათ დასაფლავებაზე ვიყავი. საწყალი ჩემი ბიძაშვილი დახვრიტეს,

ცოლი მოკვდა ახლა... ცრემლი მომდის, მეტი არაფერი.

— ბატონო მამია, როგორ „აღმოჩნდით" ემიგრაციაში. ქვეყნის, სამანს იქით. მინდა, გაიხსენოთ ომში გაწვევის, შემდეგ ტყვედ ჩავარდნის ამბები ცოტა უფრო დეტალურად, ეს ხომ თითქმის უცნობია.

— ომში წავედი როგორც ექიმი (უფაში ვსწავლობდი სამედიცინო ინსტიტუტში). ახლა, დეტალურადო მითხარით და კი, ბატონო. 4 დღე მქონდა თავისუფალი და წავედი დედაჩემის სანახავად სურებში. კარგი ამინდი იყო, ივნისი და დედას ვუთხარი: - დამიგეთ ლოგინი ბალკონზე, იქ დავიძინებ—მეთქი. იქ დავწექი. დილაა და ვიღაცა მოდის. არა, უფრო გამთენიაა. დიდი ეზო გვქონდა. დავინახე, ვიღაცა მოდის. ვინაა, ვიფიქრე: რომ მოდის. სიპიტო იყო, ტრაპეიძე. ამოვიდა ბალკონზე და დამიწყო კოცნა. ვიფიქრე: — რა უნდა ამ კაცს? — ბიჭო, გვეშველა, გერმანიამ ომი გამოგვიცხადაო (**იცინის**). ახლა მეც კი გამიხარდა, მაგრამ ომი რომ გამოცხადდა, როგორც სამხედრო ვალდებული, უნდა გამოვცხადდე კომისარიატში. უნდა ჩამოვიდე თბილისში. თბილისში ვმუშაობდი. მეორე დღეს ევიკარი ბარგი და წამოვედი. ჩამოვედი. დავიწყე მუშაობა. 204 ექიმი ვიყავით გამოძახებული. მივედით სადგურზე. გაგვაცილა კონსტანტინე ერისთავმა, სიტყვა თქვა: ნუ გეშინიათ, ომი არაა საშიშო, შეგვაქო... დაიწყო ამოკითხვა გვარების. 200 ექიმის გვარი ამოიკითხეს. მე და ჩემი ძმა არ ამოგვიკითხეს. ვუთხარით, რა ვქნათო? წადითო, გვითხრეს, სახლშიო. წამოვედით. სექტემბრის ბოლომდე გავაგრძელეთ მუშაობა. მაგრამ სექტემბრის ბოლოს, რომ გაუჭირდათ, მაშინ წაგვიყვანეს. მაგრამ არ გვენდნენ. მე და ჩემი ძმა წაგვიყვანეს ვაზიანში, იქ უნდა გაგვეფორმებია ჯარისკაცის ამბები; 75—ე დამატებით პოლკში ის იყო და 34—ში მე. ვნახულობდით ერთმანეთს, რა თქმა უნდა. ვიყავით იქ დეკემბრამდე. გაჩნდა დიზენტერია. მეც დამემართა, რა ვიცი. სტუდენტთა ქალაქში დავრჩი. რომ მოვრჩი, გამოვცხადდი კომისარიატში. მითხრეს, ახლა წადი სახლში და გამოგიძახებთო. გამომიძახეს. მატარებელი — ბაქო—კრასნოდარი. კრასნოდარში დავრჩით. 7 ექიმი ვიყავით.

— ეს ზუსტად რომელი წელია?

—41.

— ე.ი. ეს ხდება დასაწყისიდანვე.

— დასაწყისი, კი. დავრჩით რამდენიმე ხანი კრასნოდარში. იქედან პირდაპირ ნოვოროსიისკში. პორტში მისვლა ცოტა შეგვაგვიანდა და გვითხრეს, გემი „კრეისერი მოლოტოვი" ძალიან დატვირთულია და ხვალ მოდით, ახლა წადითო. მოვედით მეორე დღეს და ვაი, უბრალო გემი იყო, ერქვა „აფხაზია". რა გზა იყო, წავედით. სევასტოპოლში 9 თვე დავრჩი. 9 თვის მერე ჩავვარდი. როგორ იყო ეხლა: მთელი ეს არ-

მია, ნახევარი მაინც, მივადექით ზღვის ნაპირზე. შტორმებია მაღალი. გადმოიფრენდა გერმანელების აეროპლანები და როგორც ჩალას, ისე აწვენდა ამ ხალხს. კვდებოდა უამრავი. ვიფიქრე, სადაც მოვკვდები სულერთი არაა-თქვა? ზღვაში ჩავედი. ერთი დიდი ქვა იყო ჩარჩენილი ნაპირიდან იქეთ და იმაზე დავწვები-მეთქი. ერთი ჯარისკაცი მკვდარი იყო ზედ. შინელი ჰქონდა გადაფარებული და ის შინელი გადავიფარე მეც. მეორე დღეს დავინახე ერთი თეთრი ზეწარი. კომისრებმა ხელათ დახვრიტეს. მერე მეორე, მერე მესამე... მთელი იგი და დეიწყენ ასვლა. ჩაბარება. მეც გამოვედი. ჩემი რუკზაკი მოვნახე და გამოვედი ზევით.

გადაარჩიეს ებრაელები და კომისრები. რომ ვნახე ეს მდგომარეობა, მაშინ ვთქვი: გლახათაა საქმე. მე მეგონა, მომცემენ იარაღს ხელში და გამიშვებენ აღმოსავლეთის ფრონტზე და მაგი კი არა... მშიერ–მწყურვალი დაგვტოვეს რამდენიმე დღე და მერე ფეხით ბალჩისარაიში. იქ ემიგრანტებიც იყვნენ და ეძებდნენ ქართველებს. მათ შორის ერთი ინწკირველი, სწორედ ის არის, დღეს რომ შეგვხვდა მე და თქვენ.

— ის, ჩვენ რომ დღეს წერილი ვნახეთ?

— ხო იმისი, ის იყო, ის ინწკირველი... მაგრამ იმ ინწკირველამდე — მზე იყო მაგარი და ის ჩემი შინელი, ჩექმები — „ცარსკებს" რომ უძახდნენ და რომ შევხედე გერმანელებს, რომე ამ ჩექმებს აძრობდნენ და კიდევ რაღაცეები, ვიფიქრე, ეს რაღაცა არაა კარგი ამბავი. ფულიც კი მქონდა და ბალჩისარაიში ჩავედი „სალდათის" ჩექმებით. გზაზე ვინც იღლებოდა, ხელათ იქვე კლავდნენ. ჩავედით. იქ კიდე ხე არ იყო, არაფერი. დაგვყარეს. ცხელოდა. მძინავს. არა, მძინავს კი არა, დაწოლილი ვარ. გაიარა ვიღაცამ, მკრა გვერდში. წამოვხტი. გერმანელი...მეგონა.

— გამარჯობა შენი, — მეუბნება. ვიღაცამ უთხრა, ეტყობა. ქართველები ბევრი იყო.

— შენ შალიკოს ძმა ხარ, ხომ? მე მშვიდობაძე ვარო, მითხრა. ეს იყო ტარასი წულაძე. წამოდი ჩემთანო. წავედი. ვალიკო ინწკირველი და ფილიპე შარაძე და დამავიწყდა კიდევ ერთი გვარი, გამახსენდება, ეგერ არ არიან მდინარის პირზე?

— უკაცრავად, ისინი რა ფუნქციით იყვნენ. როგორც მონაყოლიდან ვხვდები, ტყვედჩავარდნილებს არ ჰგვანან, ხომ?

— არა, რუსუდან, ისინი ეძებდნენ ქართველებს, რომ გამოეყვანათ. ეს ვალიკო ინწკირველი მეუბნება, დაწერე აგერ მოხსენება, მე ეხლა საფრანგეთში მივდივარ და ჩავუტან ნოე ჟორდანიასო. მე ვუთხარი, რაფერ დავწერო... ნუ გეშინია, შენო, მე ისეთი ის მაქვსო... დავწერე და გავუგზავნე. იქ ვწერდი, გერმანიის გამარჯვება არ შეიძლება-თქო. გამაკრიტიკეს. მარა მერე, ამასობაში ვიღაცამ გერმანელებთან დამას-

მინა, სოციალისტიაო. მიკრეს თავი ებრაელების ლაგერში;

— შესაბამისად, ალბათ, პირობები კიდევ უფრო დამძიმდა.

— ხო, მაგათთვის სოციალისტები, მარქსისტები, კომუნისტები — ერთი იყო. როგორც პოლიტიკური — 6 თვე გამაბრძანენ, 6 თვე გამატკუციენ. მერე გადამიყვანეს ლაგერში. ეს ერთი ქალაქის ხელა იყო. იქ იყო სხვათაშორის, სტალინის შვილი, ჩაპაევის შვილი, გერმანელების კომუნისტური პარტიის ბელადი ტელმანი. მაგრამ ჩვენ ერთად კი არ ვიყავით, ჩვენ მეორე მხარეზე ვიყავით, 15 მეტრი იყო იქით. ჟორდანიამ ამასობაში ჩემი წერილი ხომ მიიღო, ცხონებულმა კედიას მოსწერა. დაეხმარეო. ისიც 6 თვე მოუნდა ჩემს გამოყვანას. 1943 წლის მაისში ჩავედი საფრანგეთში.

— ბატონო მამია, ე.ი. გერმანიის ხელისუფლება გარკვეულ მნიშვნელობას თუ როგორ ვთქვა, ანგარიშს უწევდა საქართველოს ყოფილ მთავრობას თუ ეს როგორ..?

— არა, სრულებით არა. იმიტომ, რომ ომი რომ გამოცხადდა, ეს იყო სწორედ ჩვენი მთავრობის უბედურება. ომი რომ გამოცხადდა, ჟორდანიამ გააკეთა დეკლარაცია, რომ ჩვენი გზა მხოლოდ დემოკრატიისკენ არისო. ეს იცოდნენ, რასაკვირველია. მაგრამ აქ ერთია: მიშა კედია გერმანელებთან მუშაობდა. სხვათაშორის, კედიამ დიდი საქმე გააკეთა: ქართველი ებრაელები რომ არ დაუხვრეტიათ. ესენი ქართველები არიან, მხოლოდ სარწმუნოებით არიანო ებრაელები. ერთი ქართველი ებრაელი არ დაუსჯიათ. კედია იყო, ზეინაბ ზურაბიშვილი რომ არის, იმის ძმა. გადაარჩინა! კედიამ დიდი ამაგი გასწია. ძალიან კარგი კაცი იყო. ორი შვილი ჰყავდა. ერთი მოუკვდა საწყალი კიბოთი და მეორე — რადიო ლუქსემბურგის სპორტული მიმომხილველია ახლა.

ასე დავრჩი! სხვათაშორის, ვინც კი გადარჩა, საფრანგეთის განთავისუფლების დროს ჩამოლაგდნენ რუსი ჩეკისტები, გავსებული იყო. ვინც საბჭოთა მოქალაქე იყო, იჭერდნენ და მიჰყავდათ. მე მოვასწარი საფრანგეთის ჯარში ჩაწერა. ორი წელიწადი იქიდან ვიბრძოლე, ორი წელიწადი აქედან და მეტი რაღა?.. **ისე იცინის, არ შეიძლება, ამ უკუღმართ ბედისწერაზე შენც არ გაგეცინოს.**

— ომი რომ დამთავრდა თქვენი პროფესიით ალარ გიცდიათ მუშაობის გაგრძელება?

— ომის შემდეგ საფრანგეთში არა, მაგრამ რომ წავსულიყავი ამერიკაში, გერმანიაში ანდა ვენესუელაში, ბრაზილიაში — შემეძლო. სხვები რომ წავიდა: ჩხატარეიშვილი, გაბლიანი, ვეფხვაძე, ჩხაიძე, ახლაც აქვს საავადმყოფო. მეც ასე შემეძლო, მაგრამ მე ვიფიქრე დარჩენა. მე

ვანსხვავებდი პოლიტიკურს და ისე წასულ ემიგრაციას. მე გადაწყვეტილი მქონდა პოლიტიკურ ემიგრანტად დარჩენა და დავრჩი! ერთია რომე, არავისი არაფერი არ მმართებს, ჩემი ვისაც მართებს — ღმერთმა შეარგოს.

— მოდით, თუ შეიძლება უფრო მეტად დავაზუსტოთ: ბანაკი, ადამიანები, მომავალი გარემო.

— პოლიტიკური ლაგერი იყო ბერლინიდან 32კმ. მანამდე, პირველად ხომ ებრაელებთან გამაგზავნეს; იქედან მერე იქ გადამიყვანეს და დავრჩი იქაც 6 თვე. ჟორდანიამ იცოდა, რომ ჩავარდნილი ვიყავი და თხოვა მიშა კედიას. მიშა კედია ხომ თანამშრომლობდა გერმანელებთან, მაინც დიდი ხანი მოუნდა ჩემს გათავისუფლებას... ერთ დღეს მოვიდა მიშა კედია და მოიტანა განთავისუფლების ქაღალდი. მერე ერთ თვეზე მეტი დავრჩი ბერლინში. ამის შემდეგ, თვითონ ჩამიყვანა ნოე ჟორდანიასთან და უთხრა: — ა, გაბარებ შენ ამას... მივეჩვიეთ ერთმანეთს. რა ვიცი, რა მოეწონა. დავდიოდი იქ. მერე ისეთი ნდობა მომცა, რომ მისი ნაწერებიც კი ჩამაბარა. თვითონ უკვე მოხუცებული იყო, მთავრობა... კანდელაკიც მოხუცებული იყო... დამიტოვა მანდატი, რომ მე ყოფილი მთავრობის სახელით შემიძლია, ველაპარაკო მთელ დედამიწაზე ყველას. მე მაქვს! მოგიტანთ, თუ გინდათ. მეორეც ისიც კიდე, თუ რაიმე, ის კი ცოტა გასაკვირიც იყო ჩემთვის, თუ რაიმე საჭირო იქნებოდა, ხომ იცი, მაშინ ბევრი ჰყავდა ამხანაგები ჩვენ მთავრობას და ბიუროს და მთავრობის სახელით მომანიჭა ის, რომე ყველა ქვეყნის სოციალისტურ მთავრობებთან შემიძლია ვითანამშრომლო. როგორი მანდატი მაქ! მერე კი გარდაიცვალა. პატარა ლექსიც კი შემიძლია გაჩვენო.

— თქვენი მიძღვნილი?

— დიახ. მოგიტან. სხვათაშორის, ისე თავისებური კი იყო.

— ბატონო მამია, თქვენ ურთიერთობაზე ბიძის სახელმაც იქონია გავლენა?

— არა, რა ვიცი. მარა, ერთი რამეც არი. მაშინ რომ ჩავედი, იყო ევგენი გეგეჭკორი, იყო ჩხენკელი, იყო კანდელაკი, ერაძე... ისე კი, არ ვიცი, მაგრამ ყველამ ნდობა გამომიცხადა.

— კეთილგანწყობა.

— მე არ შემიძლია, ვთქვა რამე. გვანცელაძე, ვანიჩკა ჭავჭანიძე — ესენი ისე იყვნენ ჩემთან, რომე ვითომ მათი შვილივით ვიყავი. ყველაფერს მენდობოდნენ. რატომ? მაგი მე არ ვიცი, მე არ შემიძლია, ვთქვა. ყოველ შემთხვევაში, გარდა მაგისა, მე არ მინდოდა, რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ვფიქრობდი: ეს ახლა გამოიწვევს ეჭვიანობას, შურს,

იმას... მარა მთავრობის კრება როცა იყო, მე მიწვევდნენ, მისწრებდნენ... რას წარმოვადგენდი? მე მახსოვს, ევგენი გეგეჭკორი წავიდა მოსალაპარაკებლად, იყო საქართველოს მეგობარი ფინეთში, დაგვხმარებოდა ჰიტლერთან, სხვა პოლიტიკა მიეღო იქით და ჩამევიდა და ვიღაცამ დაასმინა თუ რაღაც, ეშინოდა, გერმანელებთან თანამშრომლობა არ დამწამონო, არ დამიჭირონო... მაშინ მე უკვე ფრანგული ფორმა მეცვა და მითხრა: მოდი, კაცო, ჩემთან დაგინახავენო (**იცინის**) და მაშინ კი მითხრა, როცა ჟორდანიას წერილი გავუგზავნე... ხომ გახსოვთ, რომ გიამბობდით, საკონცენტრაციო ბანაკში ვალიკო ინწკირველი მეუბნებოდა, დაწერე მოხსენებაო, გაუგზავნეო და მე ჩავუტან, არ გამსინჯავენო. დავწერე ხუთი გვერდი და იქ, თურმე ევგენი გეგეჭკორი იყო პირველი, რომელმაც თქვა, რა ესმის იმასო, რა იცის იმანო. დავწერე, რომ გერმანიის გამარჯვება შეუძლებელია-მეთქი. რომ ვნახე: კაცი ჩავვარდი ტყეედ, მეგონა, მომცემენ იარაღს. გამიშვებენ. იმის მაგივრად... მერე კი მითხრა საწყალმა, რომე, კაცო, შენდა რომ დამეჯერებიაო... ყველა მელაპარაკებოდა. კანდელაკი, მაგალითად. ეს იყო ნამდვილი მეცნიერი კაცი. ბევრი წიგნები აქვს გამოცემული. დამირეკავდა ტელეფონით, მოდიო. მივიდოდი სახლში და დავუჯდებოდი და საათობით ვლაპარაკობდით. ჩხენკელი ხომ... ერაძე. ერაძე მინდა გითხრათ, ასეთი მართალი, მასეთი ჭკვიანი კაცი... ყველაფერს ჭვრეტავდა შორს და განათლებული დიდი კი არ იყო, მაგრამ ნიჭი ჰქონდა, ნიჭი.

— გრიგოლ რობაქიძესთან თუ გქონიათ ურთიერთობა?

— გრიგოლ რობაქიძე. ეხლა მაგი, მე ხომ ადრე ჩავედი 43—ში, არა? გრიგოლ რობაქიძე ჩამოვიდა საფრანგეთში. ჩამოვიდა და მოიწვია ახალგაზრდები. მაშინ ბევრნი ვიყავით ახალგაზრდები. მაშინ მეც ახალგაზრდა ვიყავი და, რა თქმა უნდა, აღფრთოვანებით შევხვდით, ყველაფერი. ჰოდა, ორ რამეში ვერ დავემოწმეთ ჩვენ მას. ერთი, მეო ლექსი დავწერეო. 34—ჯერ იქნა წაკითხულიო მწერალთა იმაზე და სულ ყოველთვის შეცდომითო. ჩვენ ვთქვით, მწერალმა თუ ვერ გაიგო, ჩვენ რაფერ გაგვეგო? ერთმანეთს ვუთხარით. მეორე. ახლა უკანასკნელ ლექსს წაგიკითხავთო, არ უნდა იყოს გამოქვეყნებული, და დაიწყო და ვერაფერი ვერ გავიგეთ: გათქვნილი, მათქვნილი, ჩათქვნილი, წართქვნილი და ვერაფერი ვერ გავიგეთ და გამოვედით გარეთ. ვკითხულობდით: რაიო..? **იცინის.** მე, მაგალითად, უნდა გითხრათ, ისეთი ენა... „გველის პერანგი" ვერ... ორი სიტყვა წერტილი, ორი სიტყვა წერტილი. ძალიან მძიმე ენა ჰქონდა. ღმერთმა აცხონოს. როგორი ტრაბახი იყო, დედა, ღმერთო. მოხსენებაში თქვა, როდესაცო ჩემმა „ლამარამო" ქართული

თეატრის კედლები შეანგრიაო. რა საჭირო იყო ახლა ასეთი ის. ნამეტანი ტრაბახი იყო. მარა, ისე, რა თქმა უნდა: დიდი მწერალი იყო. არა, მე მაგას კი არ უარვყოფ, მარა ნამეტანი თავზე წარმოდგენა ჰქონდა — ქართული ენა მე შევინარჩუნეო, ე.ი. არც ილია, არც იაკობი და არც არაფერი არ ყოფილა. ის იყო ყველაფრის გამკეთებელი...

— ახლა ლევილში ცხოვრობთ, ხომ?

— კი, ახლა ლევილში. ნოე ვანვში ცხოვრობდა. ლევილში ჰქონდა ოთახი. ნოე ჟორდანია, კანდელაკი, გეგეჭკორი, ჩხენკელი, ერაძე — ყველამ სიმპათია გამომიცხადა. ეხლა მე არ ვიცი, მარა, ყველას ეგონა, მე სერიოზული კაცი ვიყავი და რა ვიცი...

— ბატონო მამია, რომელ სამ ქართულ წიგნს ამოირჩევდით, უცხოელს რომ წაეკითხა?

— სამ წიგნს?

— დიახ, სამ ქართულ წიგნს.

— მე ვურჩევდი, რომ წაეკითხა „ქვათა ღაღადი", ძალიანი საჭიროა. მერე „გამზრდელი" რომაა, აკაკი წერეთლის, მერე... **დიდხანს ფიქრობს.**

— ჩვენს საუბარში რუსთაველს მოიხმობთ ხოლმე ძალიან ხშირად.

— შოთა რუსთაველი. მაგდენი შორე არ მინდა წასვლა, თორემ ჩვენ იმდენი გვაქ: რუსთაველი, ბარათაშვილი... ისე, „ვეფხისტყაოსნის" 200 ტაეპი ზეპირად ვიცი... ახლა მეუბნებიან, ბოლშევიკებმა გაცენო ბრძანება: ილია ჭავჭავაძის ტომები დაწვითო. არაა მართალი. მე მაქ 1947 წელში 10 ტომი გამოცემული პავლე ინგოროყვასი. დაწვითო კი არ უთქვამენ, აკრძალეს და სკოლიდან გამეიტანეს. ვალა. ეს სხვაა. ხოდა ახლა, დაწვენო, რატომ უნდა ვთქვათ სიცრუე. არ დოუწვავენ. რაფერ გამოაცემინენ, თუ დააწვევინებდენ. ჩვენმა შვილებმა უნდა იცოდეს, რა იყო. აკრძალული იყო სკოლაში, მაგრამ არ დამწვარა... თქვენ თუ წეიკითხავდით ილია ჭავჭავაძეს, მაგისი უფლება გქონდათ... „ქვათა ღაღადი" ყველამ უნდა გეიგოს... ილიას უკეთესი აქვს ნათქვამი და იმას არ ვაქცევთ ყურადღებას:

უსახლ—კარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
კურდღელივითა ფხიზელი ძილი
და იარაღი დღე და ღამ ხელში;
მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ფუჭი ცხოვრება ეგ დასაღუპი
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,

სადაც ჩვენა ვართ ჩვენი პატრონი.

ბატონი მამია ზეპირად ამბობს სტროფებს, ერთგვარი აღტაცებითაც. ამაზე უკეთესი ილიას არაფერი არ უთქვამს! იქ ყველაფერი გვიადვილდება, სადაც „ჩვენა ვართ ჩვენი პატრონნიო". **ბოლო სიტყვებს განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვამს.**

— ანბანი ვინ გასწავლათ?

— ანბანი მე ვინ მასწავლა და სახლში ვისწავლე. მეშვიდე წელში რომ ვიყავი, წევედი სკოლაში, მარა, ვიცოდი წერა. ჩემი ძმა უფროსი იყო, იგი ადრე წევიდა და მე... მეორე წელიწადს უნდა წავსულიყავი კანონით. გამიშვენ სკოლაში. ჩემი ძმა მეორე ჯგუფში იყო. ავდექი, წავედი და დავჯექი იმასთან. არ წავალ აქედან-თქო. მითხრეს: მეიცადე შენც და ერთად ისწავლეთო და ერთად იქნებითო. გადმოვიდა ჩემი ძმა I ჯგუფში და ერთად ვისწავლეთ და ერთად ვიყავით სულ, დაიღუპა მერე რუმინიაში, ექიმი იყო... ეჰ, რამდენ რამეს წერენ... არქივზე რომ წერდა ავალიანი, გაყიდენ არქივიო და შეჭამენ ფულიო. ასეთ სისულელეებს ბეჭდავდენ. რო ჯერავდა ყველას, მე ეგ მაკვირვებს.

— ბევრს არ სჯეროდა, ალბათ. ბატონო მამია, ახლა, ამდენი წლის გადასახედიდან, თვითმფრინავი რომ დაეშვა და ტრაპზე გამოხვედით, განძი „თქვენთანაა". რა განცდა გქონდათ?

— მე, უნდა გითხრათ, არავითარი ამბიცია არ მქონია. მე ვიცოდი — ვასრულებდი მთავრობის ანდერძს. ეს განძი საქართველოს ეკუთვნის. ის საქართველოს უნდა დაუბრუნდეს. მაგრამ ნახეთ ახლა იქ, სათვისტომოში, მე ვარ ჯაშუში, მე ვარ გამცემი, მე ბოიკოტს გამომიცხადებენ, რომ ჩავალ იქ.

— თქვენ ხომ იცით, რომ მართალი ხართ.

— მაგი კი არა, ღმერთმა ის მომასწროს, ის მამულიც გადმოგვეცეს. ეს მთავრობა ხომ არ იქნება ყოველთვის. თუ არ გადმოვეცით, ფრანგები წაგვართმევენ. მაგი როცა შეიძინეს, უნდა ყოფილიყო დამხმარე ხელმოკლე ქართველებისთვის. ამ შემთხვევაში გადასახადი ნაკლები იყო 22 ათასი ფრანკი, მაგრამ ეხლა დაიწყეს მდიდარი ხალხის შესახლება. ხომ მოვა გადასახადი? მაგალითად, ჩვენ თუ 32 ათასამდე ვიხდიდით, ახლა 400—500 ათასს შეაწერენ. ვინ გადაიხდის მაგას? ერთჯერ ვერ გადაიხდი, მეორეჯერ, მესამედ მოვა სახელმწიფო, დაადებს ხელს და წაიღებს, ასეა. ის კია შენი, მაგრამ გადასახადი ხომ უნდა გადაიხადო? თუ ვერ გადაიხდი ერთი წელიწადი, ორი, რომ დაგროვდება მილიონი, წაიღებს. გათავდა! როცა მე ვიყავი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მე ვერიდებოდი, ეკონომიურად ძლიერი არ შემოგვეყვანა. იმისთვის

კი არა, რომ მშურდა, იმისთვის, რომე არ დაკარგულიყო მამული. მამული თუ დაიკარგა, მაშინ სასაფლაოც გაუქმდება. სანამ ჩემი ცოლი იყო ცოცხალი, საწყალი, ყოველთვის დადიოდა, უვლიდა, ყვავილებს ადებდა. მერე აღარ არი... მე აღარ შემიძლია. რატომ უნდა დაიკარგოს ქართული ქონება! მაგი კი არა, ფული რომ გვაქვს ინგლისში, იმისი ჩამოტანაც მინდა. იქ ახლა ძველებიდან 4 თუ 5 დავრჩით: ლევან ფაღავა, ტარასი წულაძე, თამარ პატარიძე, თოთოროხან ანთაძე და მე. დანარჩენი იქ დაბადებულებია. არცერთი წამომსვლელი არაა აქეთ. რომ ჩავალ, ბევრი საქმე მაქვს.

— მინდა, არქივის ისტორია უფრო დაწვრილებით მიამბოთ. ყველაფერი, რაც ამ თემასთან დაკავშირებით გაგახსენდებათ.

— არქივის საკითხი არის ისტორიული ქონება. იფიქრეს, რომ შემოვლენ ეს ბოლშევიკები, დაწვავენ, გაანადგურებენო და წაიღეს; მაგრამ ისინი ფიქრობდნენ, ჩქარა მოვბრუნდებით და ჩამოვიტანთო. მერე, რა გითხრათ, იცით? ამ არქივთან ერთად, სხვათაშორის, ფული, ქართული ფული წაიღეს. გაუხსნელი შეკვრებია. ნახავთ, ალბათ.

— დიახ, არის. უკვე ვნახე.

— გახსნილიც არაა. წაიღეს. რომ დავბრუნდებითო და მერე... აქ ამბობდნენ, რომე წაიღეს და შეჭამესო. სხვათაშორის, ამ ფულის გადაცვლა შეიძლებოდა სტამბოლში. მაშინ ჩვენი ფული გადიოდა, მაგრამ წაიღეს არქივში. იყო ძალიან ბევრი... დავწვით კიდეც. რა გვექნა? ერთი 100 შეკვრა კიდევ იქნება იქ. ნამდვილად რომ ვთქვათ ჩვენ, როგორც აქ წერდნენ გაზეთებში, კი არ გაუტაცებიათ, წაღებული იყო იმისთვის, რომ არ განადგურებულიყო და როცა დაბრუნდებოდნენ — დააბრუნებდნენ. როგორც კი მთავრობა შევიდა, შეიძლება ეს პირველი იყო ცხოვრებაში, საფრანგეთმა მთელი მთავრობა მიიღო ერთად და არქივი — ეროვნული ქონება შეგვინახეს ფრანგებმა ისე, ფულს არ გვახდევინებდნენ; მოათავსეს საფრანგეთის სახელმწიფო არქივთან ერთად. ფულს არ ვიხდიდით არაფერს. 53 წელში უდიდესი წყალდიდობა იყო. წყალი ისე ადიდდა, გვაცნობეს. მაშინ იყო, მივწერეთ კოლონიას, დაგვეხმარეთ რაღაცნაირადო და უარი გვითხრეს: რაც გინდათ, ის უქენითო. კანდელაკი, ჩხენკელი, გიორგი ერაძე, ვალიკო ჩუბინიძე და მე ჩავედით, ამოვიტანეთ, დავტვირთეთ, წავიღეთ ლევილში. რა გვექნა. შევიტანეთ იქ. ლევილში იყო გასაშრობად მოფენილი. რაც გაშრა და მოვასწარით გაშრობა, ხელმეორედ ჩავაწყვეთ ყუთებში და ისევ ვთხოვეთ არქივს, რომ წაეღოთ, მაგრამ ისე, რომ დაცული ყოფილიყო. იქ დარჩა ის 1974 წლამდე. მანამდე კი ვეძებეთ ადგილი, რამენაირად გვეშოვა ან

ვინმე კერძო, ან უნივერსიტეტი, რომ უწამლებდნენ. ჩვენ ამის საშუალება არ გვქონდა. შევთავაზეთ ბოსტონის უნივერსიტეტს; პაიპსი იყო ქართველებთან. დაგვთანხმდა. წაიღებდნენ, უწამლებდნენ, კლასიფიკაციას გაუკეთებდნენ, თუმცა კლასიფიკაცია კი იყო გაკეთებული, მაგრამ მიკროფირებზე გადაიღებდნენ. ჩავიტანეთ. ნოე ცინცაძე გავუშვით და მოაწერა ხელი. ან მე უნდა წავსულიყავი ან კარლო ინასარიძე. მაგრამ ნოე არ მუშაობდა და იგი გავუშვით. ერთი იყო, დღესაც არ ვიცი, რომ მთავრობის დადგენილებაში მე–5 მუხლში ეწერა, თუ შესაძლებლობა იქნებოდა, მოხდებოდა რეჟიმის ცვლა, მაშინ გამოგვეტანა. ის იქნა ამოღებული. რა პირობით, მე არ ვიცი. ნოე ცინცაძეს მოუწერია ხელი 2004 წლამდე. მე–5 მუხლი რომ ყოფილიყო შით, როცა გვინდოდა, მაშინ წამოვიღებდით. ეხლა ცოტა ის არის, მაგრამ მე ვფიქრობ, თუ ამის მიკროფილმებს ჩავუტანთ, მაშინ ყველაფერი ისე იქნება და ჩვენ წამოვიღებთ. იქ არის ჩვენი ზალდასტანიშვილი. ის იყო საარქივო კომისიის წევრი, არქივის მეთვალყურე. გაბლიანიც. მაგრამ გაბლიანი ეხლა უკვე ავად არის. მე ახლა ვფიქრობ, რომ ჩავალ, ვცდი: თუ მივწერთ, თუ მიკროფილმებს ჩავუტანთ, შეიძლება, მოგვცენ.

(ეს ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო. ორიოდ სიტყვით კი სისრულისათვის, მინდა ერთი ფაქტი აღვნიშნო. მაშინ არც მე და არც ბატონმა მამიამ არ ვიცოდით, როგორ განვითარდებოდა მოვლენები. განვითარდა კი ასე: 1997 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის შენობაში ეროვნული არქივის პარიზულ ნაწილს ჰარვარდულიც შეუერთდა. ასე გამთლიანდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის არქივი).

— სასამართლოზეც იყო საუბარი.

— დიახ. დიახ. არქივის წამოღების დღე რომ იყო დანიშნული, ვხედავ, მომადგა სასამართლო. რაზე? სათვისტომომ იჩივლა, უკანონოდ გაგაქვთო. არაფერზე არ მოგვეხმარებიან არასდროს, როცა მივწერეთ, არქივი წყალში რომ იყო, არ მოგვეხმარნენ. მოხუცებული იყო კანდელაკი, მოხუცებული იყო ერაძე, ჩხენკელი, ჩუბინიძე... ასე ჩექმით იდგნენ წყალში... სათვისტომოს ხმა არ ამოუღია. წამოღებაზე რომ მიდგა, აა მიგაქვთო, ბოლშევიკებთან... არაფერში არ მოგვხმარებიან არასდროს, წყალში იყო, არავინ არ დაგვეხმარა. მოხუცებული იყო ერაძე, ჩხენკელი, იდგნენ ასე... **ხაზს უსვამს იმათ ასაკს, მაშინდელს იხსენებს. არადა, თვითონაც ხანდაზმულია ახლა; ეგებ, ამადაც იფიქრა, საქართველოში დაებინავებინა მისი „პოლიტიკური“ მეხსიერება. ამას მისი ერთხელ ნათქვამიც (სანამ ჩაწერას დავიწყებდით) მაფიქრებინებს:**

თქვენ არ იფიქროთ, რომ მე ძალიან თანამგრძნობი ვარ ამ რეჟიმისა. ბოლოს და ბოლოს რეჟიმი წავა, საქართველო რჩება. მაგენი წავლენ და სხვები ხომ მოვლენ. ექვთიმემ როდის ჩამოიტანა?

ბატონი მამია კატეგორიულად იტყვის: — მე მაინც ისეა თუ ასე, ჯიუტი კაცი ვარ. იმასაც ჩამოვიტან და ვეცდები. კიდევ ერთი ნაწილი არის... არავინ არ აპარტყუნებს ყურს... განცხადება დავწერე დემონსტრაციულად: — არ მინდა თქვენი ადმინისტრაცია, თავი დამანებეთ— მეთქი; დავწერე განცხადება სათვისტომოშიც, რომე დღეიდან ჩემი სახელიც ამოშალეთ თქვენი სიიდან... **აღელვებულია...**

— ბატონო მამია, როგორ აღნიშნავდით 26 მაისის დღესასწაულს. ეგებ, რომელიმე დღე გამოარჩიოთ.

— ლიგა ულოცავს 26 მაისს მთელი სათვისტომოს სახელით. იწვევენ წარმომადგენლებს: აზერბაიჯანის, უკრაინის, სომხეთის, რუსეთისაც. უკანასკნელად რომ ვიყავი, ვიღაც ოფიცრებიც იყვნენ იქა. უკანასკნელ ხანებში უფრო დიდ სახელს იღებს. ერთხანს უფრო მოდუნება იყო. 50 კაცი თუ ესწრებოდა და ეხლა...

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს რისი ბრალი იყო?

— კოლონიის თავმჯდომარე როგორ მუშაობს და თუ ვინმე ეხმარება მას მოწყობაზე. მახსოვს ორი წელიწადი კარგად ჩატარდა ძალიან. ჩემი შვილიც ეხმარებოდა. მთელი ზალა იყო გავსებული. სიტყვებს იტყვიან 26 მაისზე, წარმომადგენლებიც ხშირად დადიან იქ. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მათი მეგობრული... ცეკვები, სიმღერები... შემოსავალი, ფული... სტუმრებს არ ახდევინებენ. ვინც მოწვეული არის, ხოლო სათვისტომოს წევრები ვიხდით. მაგალითად, ჩვენ რასაც შევჭამთ, ღვინოს დავლევთ. შემოსავალი ნორმალურად უნდა მოხმარდეს საქველმოქმედო საქმეს.

— ბატონო მამია, რომელი ღვინო გიყვართ?

— რომელიც კარგია (**ორივე ვიცინით**).

— არ გამოარჩევთ?

— კი, გამოვარჩევ. ეხლა იქ როგორ იყო, საფრანგეთში ეს რომ ვთქვათ, ცოტა გადამეტებულია. თევზზე თეთრი ღვინო უნდა დალიო, მაგარი შემწვარი რო არი, წითელი ღვინო უნდა დალიო. წვენიანი საჭმელი რომაა, იმაზე სხვანაირი ღვინო უნდა დალიო. მარა, მე მივეჩვიე თავიდან ქართულად, ვარდისფერი, განა წითელი. იმიზა, რომე თევზზეც კარგია, შემწვარზეც და ყველაფერზე. ჩემთვის ის არის, მარა, კი ვარჩევ კარგ ღვინოს. ის მომაქვს სახლში. ჭურჭელია ისეთი, 10 ლიტრია იმაში. მევიტან. სარდაფში არი. ისე აქვს — შეუყენებ ბოთლს და... არა, ისე,

ბოთლებშიც მაქვს ღვინო, მაგრამ ყოველდღიურად ისე, სადილზე.

— საქართველოდან არ გიგზავნიან?

— აქოური ღვინო რომ ჩამოდის, უკვე გზაში... მაქვს ახლა იქ თითქმის 30 ბოთლზე მეტი: ხვანჭკარა, ქინძმარეული, მაგრამ რომ დადგამ სარდაფში, მე კარგად მაქვს მოწყობილი, ტემპერატურა არ იცვლება — მაინც ნალექი რჩება. ფრანგულ ღვინოში მაგი არაა. ყველა ღვინოს-მეთქინ, არა, მაგრამ ღვინოს, რომელიც მე მსიამოვნობს, კარგად ვსვამ და კარგადაც ვიტან.

— თამადობა გიყვართ?

— თამადობის საქმე მე კი მიყვარს, მაგრამ მაინცადამაინც მჭევრმეტყველი არ ვარ. თამადობაში ჩემი შვილი არის კარგი. ის აქ რომ ჩამოვა, მიუხედავად იმისა, ქართულად არ ლაპარაკობს, მაგრამ მეგობარი ჰყავს, თარგმნის და ის ხშირად ჰყავთ თამადად აქ. რა თქმა უნდა, ერთია, ეს კია, ჩემდა გასაკვირი, მაგალითად, ჩვენ ოჯახში არასდროს არ დააყენებდნენ თამადად ოჯახის წევრს. ეს იყო ცუდი ნიშანი... თამადას ირჩევდნენ სტუმარს. თუ ოჯახის წევრი იქნებოდა, რაღაც ალბათ, ან ღვინო არა აქვს და როგორც უნდა, მაშინ გაათავებსო. ჩემთან ესეოვა, სახლშიც. როცა სტუმრები მყავს, მე არ ვდგები თამადად, ვიღაცას დავაყენებ.

— რა ამის პასუხია და მღერით? იცინის.

— სიმღერა. მე არც ვმღერი და არც ვცეკვავ. ეს ჩემთვის არაა. კარგი მუსიკა თუა, რა თქმა უნდა, მსიამოვნებს, მარა ყურს რომ წაიღებს... არაფერი მირჩევნია კარგ, ტკბილ, ძველებურ ქართულ სიმღერას... ქართველ მომღერალთა გუნდი რომ მიდის უცხოეთში, ჩვენი ხალხური სიმღერებით იხიბლებიან. ახლა კი, რო დეიწყება ყვირილი, მაგას მე... მირჩევნია, ჰოლიდეი ვუყურო. ცეკვა, რა თქმა უნდა, ახალგაზრდა რომ ვიყავი, ვცეკვავდი ქართულს. მერმე არ შემხვედრია... არც ვცეკვავარ. ერთიც მინდა გითხრა. ჩემი მეუღლე კარგი მცოდნე იყო ღვინისა, ძალიან. წინანდალში რომ ვიყავით დაპატიჟებული ალ. ჭავჭავაძის სახლ—მუზეუმში, მარანში იქით ცეცხლი იყო დანთებული, აქეთ მწვადები იწვებოდა... რადგან ჩემი ცოლი ფრანგი იყო, მოუტანენ ღვინოები, დაუდგენ ჭიქებით, უნდა გამოეცნო. კარგად იცნობდა ღვინოს, ბევრს არ სვამდა, ცოტას სვამდა, ერთ ან ორ ჭიქას და მოუტანდნენ: როგორი ღვინოა... ეს როგორია... ამოირჩია და ყველას გაუკვირდა.

— და რომელი იყო ის ამორჩეული?

— აღარ მახსოვს. მართალი გითხრა, დიდი ხნის ამბავია... მერე, იმ ღამეს, იქ რომ ოტელივითაა, იქ გავჩერდით. მეორე დღეს, მაშინ ჯერ

კიდევ კომუნისტური წყობილება იყო და მევიდა რაიაღმასკომის მდივანი და პარტიის რაიკომის მდივანი. ახლაო, სად წავიყვანოთო. მომიტანეს კარგი ნაბადი, თეთრი ნაბადი, ხანჯალი, საჩუქარი... დავრჩი ცოტა უკმაყოფილო: სად წავიყვანოთ, სადილზე მეორე დღესო. ლაპარაკობენ... ერთმა თქვა, რაღა სხვაგან ვეძებთო, მამიას რესტორანში წევიდეთო. ვიფიქრე, რატომ მცინიან... მე ხომ არ ვეტყოდი... წაგვიყვანენ სადღაც ტყეში. კარგი შორს იყო. ყოფილა ერთი ვიღაცა მამია მაჭავარიანი (**იცინის**) ხოდა, — **გაიცანით სეხნია?** არა, ვერ გავიცანი. ეხლა ვიღაცა სხვაა, მაგრამ მისი სახელია დარჩენილი. მოიტანეს ღვინოები, გაშალეს სუფრა...

ყვარელში დაგვპატიჟეს. რესტორანია კლდეში. გაგვიმასპინძლდნენ კარგად ძალიან. დირექტორი მეუბნება რომე, წამოდით ჩემთანო. ჩავედით ძირს. პატარა მაგიდა იყო. 4 პატარა ჭიქა ღვინო დგას, დავლიეთ. არაჩვეულებრივი იყო და ვეკითხები: — ეს ღვინო სად იყიდება-თქო. და ქრისტინასაც მოეწონა, ჩემს ცოლს. ამ ღვინოს ვინ გაყიდისო... ჩვენი მდგომარეობა სტაბილური არააო,— იმ კაცმა. წელს ერთი ვენახი არ დაგვირგავს, მოგვაწერენ რამდენიმე ჰექტარს... ლიტრს... ხომ უნდა მივცეთო და ჭაჭაზე დავასხამთ წყალს, დავაყრით შაქარს... დამამახსოვრდა ეს ამბავი.

დავბრუნდით უკან. მაშინ კიდევ კომუნისტური რეჟიმი იყო და ვინც გვახლდა, გიგინეიშვილი, იმან გვითხრა რომე, უნდა ვიყო უკანო. მივხვდი: ეშინოდა, ალბათ. მოვედით აქ; თბილისში. იყო 7 ნოემბერი. რეჟიმი მოშლილი იყო, ხომ იცი. გუმბარიძე იყო მაშინ. რეჟიმი უკვე თითქმის...

— როგორ გაიცანით თქვენი მეუღლე?

იცინის. — ოო, ეს უკვე...

— ჩემი მეუღლე იყო ქვრივი. ჰყავდა ერთი ქალიშვილი და გავიცანი, სხვათაშორის, სრულიად შემთხვევით. ერთ ქართველს ჰქონდა პატარა მაღაზია. მევიდა ეგ პატარა გოგოთი. მეც მივეფერე. იქეთ—აქეთ. დევიწყეთ ლაპარაკი. იქედან გავიცანით ერთმანეთი. შემთხვევით, სრულიად შემთხვევით. ეს იყო 1949—ში. ერთი მგზავრობა საქართველოში უკვე გაკეთებული მქონდა. გოგონა, როგორც ჩვენი, ისე გვყავდა. ტიერი (**გულისხმობს საერთო შვილს, ვაქს — რ.ნ.**) მეორეჯერ რომ წამოვედი... სტამბოლში წამოვიდა, იყო სტამბოლში, მაგარი ქალი იყო, ხომ ვიცი, შენ ეროვნულ საქმეს აკეთებო.

— ბევრი მსმენია ამ ქალბატონზე. ისიც ვიცი, როგორ განსაკუთრებით უყვარდა ეს ქვეყანა — საქართველო.

— საქართველო. პირველად რომ ჩამოვედით აქ, მაშინ ჩემი ძმის ორმოცზე ვიყავით. დასაფლავებაზე არ მოგვცეს ნება. გუმბარიძე დაგვეხმარა. ჩამოვედით. სასაფლაოზე ვიყავით. ყველაფერი. მერე გადავწყიტეთ, წევიდეთ სურებში. ჩავედით ჩოხატაურში. მოუხვიო უნდა ლანჩხუთის და ოზურგეთის გზაზე და ჩავედით ჩოხატაურში. კარგი, ლამაზი ქვეყანაა. მოუხვიეთ სურების გზაზე. იქაც მარცხნიდან უნდა მოუხვიო. იქაც თქვა: კარგია, მშვენიერიაო, ჭადრებია, იგია... გავშორდით. ბუკისციხეა სოფელი. იმის მერე მთები ისე იხურება, ტყეები... სუფსა აქეთ მიდის, წყალი თეთრი. ავტომობილით მივდივართ და გულისტბას უძახიან, იმას ავშორდით. უყურებს ახლა, არც მელაპარაკება და მეუბნება საწყალი:— ამ ქვეყანას ვინც დატოვებს, ის მოღალატე არისო. ევედით სურებში. მაშინ ერთი ძმა მყავდა, კიდო. 23 წელიწადი იყო გადასახლებული. მამაჩემის სახლი აღარ იყო უკვე, მარა მას ჰქონდა მისი. მამაჩემის სახლი დაშალენ. დავრჩით იქ. უცებ წევიდნენ, მეიყვანენ კალმახები, რაღაცეები. და ჩემ ცოლს რა უკვირდა, იცი? ვერ ხედავ ვერცერთ მოსახლეს ვერსად; სადილზე ერთი 80 კაცი კი მოვიდა. **ვიცინით.** ჩვენთან ერთად არ არი მოსახლეები. შორი—შორსაა. საიდან იყო ამდენი ხალხი?! მერმე ავედით მამაჩემის ნამოსახლარზე, სადაც ჩემი სახლი იყო ძველად. სადაც დავიბადე. არაფერი არაა... მამაჩემს ჰქონდა კარგი სახლი, ქვეშ აგური, ზემოთ— ჩვეულებრივად, როგორც საჭიროა, ისიც უნდოდა, სარდაფივით გამოთხრილი, დაწყებული იყო ეს სამუშაოები. ქრისტინამ მკითხა:— აგი რა არისო? მე ვუთხარი:— მამაჩემს უნდოდა... — ოჰ, როგორო. მე ვუთხარი... ავაშენოთო! ეჰ, ეს მოგონებაა. ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, მე უკვე სახლიც მექნებოდა დამდგარი. **ხელახლა უტყდება ხმა, მოგონებებს თავს ვეღარ აღწევს. აღარ ვლაპარაკობთ** საქართველო ძალიან უყვარდა, — **ხმამაღალ ფიქრს თავადვე აგრძელებს.** თითქმის ყოველწლიურად ჩამოვდიოდით მერე... გამსახურდიამ მიგვიღო ორივე... ფიცის დადებაზეც... არ ვაწუხებდით მაინცადამაინც ვინმეს, არც შინაურს. ოტელ „თბილისში" ვცხოვრობდით, ხან „ივერიაშიც"... ოტელი „თბილისი"... ისე მწყინს იმის... ის რომ დავინახე ისეთი...

მომდევნო დღეს ისევ შევხვდებით. დილიდან მივუსხდებით ხელნაწერებით გაშლილ დიდ, მრგვალ, მძიმე ხის მაგიდას... მერე საუბარსაც გავაგრძელებთ... ვისაუბრებთ მომავალზე, უფრო მეტს მაინც, გარდასულზე, განვლილზე.

რამდენ ამბავს და თავგადასავალს ვკარგავთ ყოველდღე. დღითიდღე

გვაკლდებიან ეს თითქმის საუკუნეს მიტანებული ადამიანები. არადა, ისეთ ფაქტებს გვიამბობენ (რასაკვირველია, სუბიექტური ინტერპრეტაციით, არც უამისობაა), რომელიც არცერთ წიგნსა თუ სტატიას არ შემორჩენია; ამ ფრაგმენტებით ეგებ, ეპოქის სურათი ნელ-ნელა აღვადგინოთ. ეს ამ ადამიანების თავგადასავალი არ არის მხოლოდ, ეს ჩვენი ქვეყნის ისტორიაცაა. ბატონი მამია თვითონაც მოწადინებულია, რაც შეიძლება მეტი მიამბოს. საფრანგეთშია დროებით წასასვლელი. აზრს ვაწვდი: — ბატონო მამია, ეგებ, თქვენი ფოტოარქივი გადაათვალიეროთ. გაგახსენდებათ ცალკეული ადამიანები, პიროვნებები და მათთან დაკავშირებული მოვლენები, სხვადასხვა ამბავი... უჰ, კარგი აზრია, ასეც გავიხსენებ, — მოსწონს ძალიან და ერთმანეთს ვემშვიდობებით. კომისიასაც დროებით დაემშვიდობება...

1996 წელი



ალექსანდრე ფუტკარაძე

დაბრუნებული ფუტკარი

საქართველოში ასეთი ფაქტი გახდა ცნობილი: 40-იანი წლების ამერიკაში ბესტსელერად ქცეული წიგნის „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“ ავტორი ქართველი ემიგრანტი ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილი გახლდათ. მოგვიანებით, უფრო ზუსტად, 1951 წელს რეჟისორმა ჯორჯ სიტონმა ჰოლივუდში ამ წიგნის მიხედვით ფილმი გადაიღო. ფილმი ისეთი პოპულარული არ გამხდარა და არც განსაკუთრებული წარმატება მოჰყოლია, იმისდა მიუხედავად, რომ გარდა ნიჭიერი რეჟისორისა, ფილმში ერთ-ერთ მთავარ როლს ცნობილი კინოვარსკვლავი ხოზე ფარერი ასრულებდა. მუსიკა ქართული სიმღერების და ცეკვების მოტივებზე შეიქმნა. ფილმის ტექნიკური დირექტორი ლადო ბაბიშვილი იყო. ჩემი ყურადღება ერთმა ინფორმაციამ მიიპყრო, რომ ფილმში მონაწილეობდა ქართველი ემიგრანტი ალექსანდრე ფუტკარაძეც; მის ოჯახშივე მერე, წლების განმავლობაში ინახებოდა ფანდური, რომელიც რეჟისორმა ფილმში გამოიყენა. ვიცოდი, ბატონი ალექსანდრე ჩემი უახლოესი მეგობრის, მაია ფუტკარაძის ბიძა იყო. ოკეანეს გაღმა მყოფ ალექსანდრეს ტელეფონით შევეხმიანეთ. მოგვიანებით, რამდენიმე შეკითხვა (დიალოგისთვის) გადავუგზავნე. პასუხს ველოდებოდი და— სრული მოულოდნელობა! მაია მირეკავს: — ალიოშა ბიძია თბილისში ჩამოდის და ეგებ, ქალაქიდან არ გახვიდეო. არც იუმორის გარეშეა. სიამომარჯვებული ნათესავები (დღეს ჩემთან სადილზე, ხვალ ჩემთან აგარაკზე... გასეირნება...) წინასწარ გააფრთხილა: საქმეზე ჩამოვდივარ, დაკავებული ვიქნები, გავჩერდები ტარიელ გვალიას (მაიას მეუღლე) ოჯახში, და ნურაფერს დაგეგმავთ, არ მეცლებაო. 85 წლის ქართველი ემიგრანტი (86-ის თბილისში გახდა) საქართველოში საგანგებოდ ჩამოდის. დიმილი ღიმილად, მაგრამ სასიამოვნოდ გაოცებული კი დავრჩი. რა ჰქვია ამას: პასუხისმგებლობის გრძნობა (სხვა თაობას არა მხოლოდ შენი, არამედ სხვა პიროვნებების თავგადასავალი უამბო), მოვალეობა (ფაქტები და მოვლენები შემოინახო), ცნობისმოყვარეობა (შენი ცხოვრებით დაინტერესდნენ), თუ კიდევ რომელიმე სხვა სიტყვა, რომელსაც უბრალოდ, ერთი შეხედვით, ძალიან ჩვეულებრივი (თუმცა ემიგრანტისთვის მაინც,

ალბათ, არცთუ ისე მშვიდი სიტყვა) საქართველოზე საუბარი ჰქვია. ყველაფერი ხომ მაინც მას უკავშირდება, არა აქვს მნიშვნელობა ხარ თუ არა ფიზიკურად აქ.

— ყველაფერი თავიდან დავიწყოთ.

— დავიწყოთ. თავიდან დავიწყოთ. წარმოშობით მე იმერელი კაცი ვარ. მამაჩემი ერემია ფუტკარაძე იყო რკინიგზის ინჟინერი — გზებისა და ხიდების. ბაბუაჩემს ჰყავდა ორი შვილი, ორი ბიჭი, ერემია და ალექსანდრე და სამი გოგო, სახელები აღარც კი მახსოვს: ნადეჟდა მამიდა, შუქია მამიდა, მესამე დამავიწყდა. ეს ხდება ყველაფერი ხარაგოულში. ბაბუა პენსიაში გავიდა, ისიც რკინიგზელი იყო. მამაჩემმა გააგრძელა მუშაობა. ჩემი ბიძა, ალექსანდრე 21 წელში გარდაიცვალა. ეძახდნენ საქართველოში ისპანკას — „შავი ჭირი“ იყო გავრცელებული და ხალხი დაწყდა ბევრი. ჩემი ბიძაც გარდაიცვალა. მოკვდა. დასაფლავებიდან ორი კვირის შემდეგ მე დავიბადე ხარაგოულში. ჰოდა, აიღენ და ბიძიას სახელი მომცეს მე. დამარქვეს ალექსანდრე. 21 წელში იყო არეულობა თურმე მაგარი, კომუნისტები შემოვიდნენ საქართველოში ომით. წყვიტავდნენ ხალხს. უბედურება იყო. სხვათაშორის, ჩემი ბიცოლა, ალექსანდრეს მეუღლე — ნადია იყო და დედაჩემსაც ნადია ერქვა. დედაჩემი იმერეთიდან, ზესტაფონიდან იყო, ცერცვაძის ქალი. ბიცოლაჩემი იყო ბაბიდან, ბარბაქაძის ქალი. ორთავე ნადიები. იმას ეძახდენ დიდ ნადიას, დედაჩემი პატარა ნადია იყო. ბაბუაჩემმა თქვა, რომ ქალები და ბავშვები უნდა წავიდენ მთაში. იმიტომ, რომ აქ ეხლა დარბიან მენშევიკები, ბოლშევიკები და უბედურება არისო. ჩვენ გვყავდა მოჯამაგირეები. ბაბუას ჰყავდა ორი ახალგაზრდა ბიჭი, რომლებიც მუშაობდენ და ეხმარებოდენ ვენახში. ხომ იცი, მოვლა, ჭამა—სმა და ყველაფერი. ჩვენი გვარი ფუტკარაძე, მეორე გვარია. ჩვენი გვარი ყოფილა ნიჟარაძე. ბაბუაჩემი იტყოდა, მე მეძახდნენ ეფრემ ზაქარიას ძე ნიჟარაძეს, მე ნიჟარაძე ვიყავიო.

— **ნიჟარაძე როგორ იყო?**

— როგორ იყო და თურმე იყო ნიჟარაძეები ერთ სოფელში ბევრი. ხოდა, აღარ ეტეოდნენ. ეს იყო აჭარაში. წინა ჩამოსვლაზე მე მინდოდა წავსულიყავი იქ და ზუსტად გამეგო, საიდან მოდის ეს. მე ბევრი არ ვიცი, ბევრიც დამავიწყდა. ეს ვიცი ბაბუასგან გადმოცემით. ჩემმა გოგომ იქ, ამერიკაში, მითხრა: — მამა, მე მინდა გვარი გადავიკეთოო. — მამა, რა უნდა გადაიკეთო, რაფერ უნდა გადაიკეთო, ფუტკარი არ მოგწონს? არა, შენ რომ მითხარიო, ხომ მომიყეევი, ნიჟარაძეო, მინდა ნიჟარაძედ გადავიკეთოო. — კი ბატონო, იყავი. ავდექით, წვეედით და ფული გადაიხადა და... იმიტომ რომ, ნადია ნიჟარაძე N N კარგიაო, შეეწყო. ოფიციალურად უკვე ნადია ნიჟარაძეა. **მერე რა მოხდა.** ომი გათავდა. სხვათაშორის, ბაბუა ჰყეე-

ბოდა ასეთ რამეს ომის შესახებ: ამოვიდნენ მენშევიკები, ხომ იცით, ახლოს იყო ჩვენი სახლი რკინიგზასთან, ამოვიდნენ თურმე სახლში და დაგვალევინეო. ბაბუა მარტოკა იყო, ჩვენ ყველანი წასულები ვიყავით. დაალევინა ბაბუამ, მოხსნა ქვევრს თავი და მიიღო. იფიქრა, მენშევიკები მიდიან. ისიც მენშევიკი იყო, ბაბუაჩემი. დაეხმარა. ბათუმში მიდიოდნენ. მატარებლიდან დაინახეს, მოსახლეობაა ახლომახლოშიო. გააჩერენ და.. წავიდნენ და მონახეს საჭმელი. ბაბუას გოუკეთებია მედალი, ოქროს მედალი ჰქონდა ნიკოლოზისგან, რუსეთის მეფისაგან; იმიტომ, რომ კარგი ინჟინერი იყო და კარგად მიჰყავდა გზების კეთება და სუეველაფერი. აგრეთვე, მამაჩემს (იცინის) სტალინის მედლები ჰქონდა ჩამოკიდებული გულზე. ჰოდა, იმ ხალხმა თურმე ჩამოაგლიჯეს – შენ რად გინდა აწი მაგიო, ოქრო გეჭირდებაო და გამიხიეს კოსტუმიო. მოაძვრეს და წაიღეს. რაც დალიეს, ხო სვეს და რაც არ დალიეს, ვინტოვკით ჭურში ისროლეს და გაბზარეს ქვევრი და ღვინო დაიღვარა, წავიდა მიწაში. ასეთი სისულელე. რომ ეთქვათ, მადლობელი ვართ, გვასვით–გვაჭამეთ, პირიქით, გაცარცვეს, ჭამეს, დაანგრიეს. ამ დროს მე მთაში ვიყავი, გორა ადის იქა.

– თბილისში რომელ წელს გადმოხვედით?

– თბილისში გადმოვედით 1925 თუ 26 წელი იყო. მოიყვანეს ერთი ვაგონი სპეციალურად. დააყენეს. კაზარმის გვერდზე დაგეტვირთეს, მუშები მოვიდნენ, აევჯი გამოიტანეს, ვაგონი დატვირთეს და ჩაგვიყვანეს ხარაგოულში. იქ გამოცვალეს მატარებელი და ვუცდიდით. ეძახდნენ: „ქვედა სახალხო“ და „ზედა სახალხო“. „ქვედა სახალხო“ რომ მოვიდა ხარაგოულში, გამოიყვანეს ჩვენი ვაგონი და მოაბეს სახალხოს უკან და რკინიგზით ჩამოვედით თბილისში. მერე მოხსნეს, იქ ძველი ხიდი იყო და იქ დაგვაყენეს. იქ ვცხოვრობდით ორი კვირა.

– თუკი ბაბუა მენშევიკი იყო, ამათ შემოსვლას როგორ შეხვდა? ოჯახში არ ლაპარაკობდნენ მათზე, ბოლშევიკებზე? თუ ბავშვებთან მაინც ერიდებოდნენ საუბარს.

– მამაჩემი იყო ძველი ბოლშევიკი. მამაჩემი იყო თურმე პარტიის წევრი 15 წლიდან. 1915 წლიდან, წარმოგიდგენია? როგორც სტალინი, იმ ჯგუფში იყო მამაჩემი ორჯონიკიძესთან და ერთად იყვნენ მაგენი.

– ბაბუამ ეს არ იცოდა?

– ბაბუამ, როგორ არა. ბაბუამ იცოდა ეს, მაგრამ შვილო, გაანებე თავიო. საიდან მოიტანეთ ეს კომუნიზმი და რაღაცეებიო. ბაბუა ქრისტიანი იყო. ბაბუას უყვარდა ღმერთი, ბიბლია და..

– ე. ი. მორწმუნე ადამიანი იყო.

– კი, ძალიან და ბებია იყო სოფლის ექიმი. თვითონ განვითარე-

ბული. ისეთი რამე გააკეთა ბებიაჩემმა, მე მოწამე ვარ. სოფელში, ხარაგოულში, საცა ვცხოვრობდით იყო ქალი, მაღლა ცხოვრობდა, მთაზე. გვარი დამავიწყდა... ერთი სიტყვით, ბებიას ვეხმარებოდი მე ღობეებს, რაღაცეებს ვაკეთებდი. ჰოდა, ქალი მოდის ვიღაცა. ეს ხელი აქვს მარჯვენა ასე გადახვეული (**მიჩვენებს**) — გამარჯობა. — გაგიმარჯოს. ბებია მიესალმა. — რა არის ქალო, ეს, რა დაგმართია. ოჰ, გამიჭირეს საქმეო, სადაც არ წავიდა, მოსკოვშიაც კი ჩავიდა, ყველგან უთხრეს, ხელი უნდა მეიჭრაო. არ მოაჭრევინა. მე მოვკვდები ასე მთლიანი ხელითაო. ასე მირჩევნია, ვიდრე მოვიჭრაო. ბებიაჩემმა უთხრა: — ქალო, ნუ გეშინიაო, იმედი არისო, ღმერთი მაინც ჩვენთან არისო და მოდი, ერთ რამეს ვცდი შენზეო და მომეცი ნებაო.

— კი, გენაცვალეო, რაღა ნებაო, სიკვდილის მეტი აღარაფერი დამრჩენიაო. ბებიამ მოუხარშა რაღაცა წამლები, ბალახები, ერთიმეორე, წოუსვა ხელებზე და ეს ქალი დადიოდა სამი კვირა ბებიასთან, ჩამოდიოდა. მოურჩა ხელი და მე მინახია ჩემი თვალით, იმას სიმინდის მეშოკი ასე გადებული ჰქონდა და მიდიოდა საფქვავზე. ბებია იყო არაჩვეულებრივი ადამიანი. მე ეფიქრობ, ალბათ, უფალი ნებას აძლევდა. ძველ დროს ხალხი უფრო დიდხანს ცხოვრობდა. იმიტომ, რომ იცოდნენ, თუ რამე სჭირდებოდათ, აგერ იყო ბუნებაში. მოწყვიტე და მოკრიფე და გათავდა. არ გჭირდებოდა არც ოპერაცია, არც სხვა. ხალხი ცხოვრობდა. კომუნისტები რომ შამოვიდნენ, ბაბუაჩემი უკვე პენსიაში იყო გასული. ხოდა, მამაჩემი კიდე, აქტივი იყო. მამამ უთხრა დედას და მამასაც, არ დავინახო და არ გავიგონო ლაპარაკი ქრისტეზეო. იმიტომ, რომ არ სწამდა არაფერი.

— მამას არ სწამდა თუ ეშინოდა, უბრალოდ?

— სწამდა. ეხლა, იყვნენ სამი მეგობრები: ერემია ფუტკარაძე, გრიშა გარსევანიშვილი და საშა — მომაგონდება მერე. იყო მეზღვაური.

— სამივე პარტიული?

— სამივე პარტიის წევრი. გრიშა გარსევანიშვილი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის პარტიის უფროსი. მამაჩემი თბილისის რკინიგზის ინჟინერი. საშა კიდე იყო რკინიგზის საწყობი, ყველაფერი რაც საჭირო იყო რკინიგზაზე, ის იყო. ჰოდა, მე მომისმენია აი, ასე:

— რა ექენითო, ბიჭოო. ეს რა ექენითო. რა უბედურობაში ჩავვარდითო. ეს კომუნიზმი კი არა, უბედურებაა ჩვენი ხალხისთვის, რა მივქარეთო. წარმოგიდგენიათ? ასეთ რამეს ლაპარაკობდნენ.

— ერთმანეთში მხოლოდ?

— ხო, ხალხში ვერ იტყოდნენ, მიახვრიტავდნენ ხელათ.

— თქვენ რამდენი დედმამიშვილი გყავთ, ბატონო ალექსანდრე?

— ჩვენ ვიყავით ორი ბიჭი და ერთი გოგო. ბიძაჩემი ალექსანდრე რომ გარდაიცვალა, ბიძაჩემის ოჯახი არ დანგრეულა, იმიტომ, რომ

მამაჩემი ორთაეე ოჯახს უელიდა. ბიძაშვილები ჩემი, ბიძაშვილები კი არა, ძმები ვიყავით, ხუთი ბიჭი ვიყავით, ძმები ვიყავით. **ჩამოთვლის:** დათიკო, პეტრე, პაელე, ელადიმერი და ალექსანდრე. ხუთი ბიჭი ვიყავით.

— თქვენ ყველაზე პატარა?

— მე ვიყავი ყველაზე პატარა და მერე თინა. თინა 6 წლის შემდეგ დეიბადა. ძალიან უნდოდათ, სულ ბიჭები იყენენ და თინა დეიბადა. თინა იყო ისეთი, რომ ასე თითი რომ მიგედო: დედაااა, რა იყო გოგო, რა დეგემართა? — ალიოშა მაწუხებს... სიფრიფანა იყო, ხოდა, დღესაც ისეა. რო დოეუძახებ, როგორა ხარ გოგო, — რა ვიცი, ეხლა...

სამი წელიწადი ჩვენი ოჯახი ვიყავით მთებში. 1924 წლამდე მაგენი არ ჩამოვიდენ. უბედურობა იყო, ხომ იცით, არა? ახალი შემოსული იყო კომუნისტები; კიდეე ვიღაც—ვიღაცეები, დარჩენილები იყვნენ ძველი მენშევიკები და ზოგი იპარებოდა, ზოგი — რაღაცა. ჩხუბი იყო ხშირად, რას არ აკეთებდენ... რკინიგზაზე ავარიები, დივერსიები... მთებში კარვები იყო გაკეთებული, ბიჭები კლაედნენ ირმებს და ხორცი გვქონდა ყოველთვის. ხარშავდნენ იქ ლობიოს. ყველაფერს აკეთებდნენ...

— თქვენ ეს გახსოვთ?

— არა, მე ეს არ მახსოვს. მარა, მახსოვს მე, რომ წამოვედით იქიდან, ხარაგოულიდან, მახსოვს, გახარებული რომ ვიყავი, რომ საღაცა მივდივართ, თბილისი, ხომ იცი და რომ მოგვაბეს საფოსტო მატარებელზე, მე მინდოდა ფანჯრიდან მეყურა, მაგრამ ფანჯარა არ იყო. ფანჯარა იყო გაღებული მაღლა. პატარა ვიყავი და კარებთან არ მიშვებდნენ, არ მენდობოდენ ბოვშვს. ფორთხიალი ვიცოდი კარგად და ვალოდია, პეტრე ან პაელე შემაჯდებოდნენ თურმე ზურგზე და როგორც ცხენი... იმიტომ, რომ მე ესე დავდიოდი კარგად და — ე, ბიჭო, ჩამოდი ძირსო. მე მიხაროდა, რო ვაკეთებდი ასეთ რამეს. ეხლა რა მახსოვს კიდეე. ხომ იცი, მაგენი ორი ძმები იყვნენ პეტრე და პაელე. ტყუპები იყვნენ. მაგრამ პეტრე ქერა იყო, ღია კაცი, მოხალისე, ლაპარაკი—მშვენიერი და პაელე — შაეგვრემანი.

— ტყუპები, მაგრამ არა მსგავსნი?

— გაგიგონია? განსხვავებულები, როგორც მზე და როგორც მთვარე, ასე იყვნენ. ერთხელ მითხრა, წამოდი ჩემთანო. პაელეს ძროხა დაჰყავდა ხოლმე. წამოდიო, ჩემთანო. მე ვუთხარი, რა გინდა ჩემთან—თქო. წამოდიო და ერთად ვიყოთო. წავყევი. გავიარეთ. წამიყვანეს სასაფლაოზე. იმერეთში სასაფლაო და ეკლესია ახლოშია. მიმიყვანეს იქა. კარები დაკეტილია ჯაჭვით. ბოქლომი აქვს დადებული, მაგრამ იღება ამოდენაზე, ცოტა (**მიჩვენებს**) — მოდი აქაო, — შეხედე, იქაო. ფულები ეყარა. ეკლესია დაკეტილი უკვე კი იყო,

მაგრამ ხალხი ვინც გამოიელიდა, ფული რომ ჰქონდათ ჯიბეში, აგდებდნენ შიგნით, დაეხმაროთო მღვდელს.

— გადმოვიტანოთ და ჩვენ შოკოლადები ვიყიდოთო.

— როგორ შევიდეთ იქ? — ნუ გეშინია, შენო.

მე პატარა ვიყავი, რკინებში გაძრომა შემეძლო. ფეხებით შევედი, ეხლა რა ვქნა—თქო. გოუშვი ხელიო და ჩახტებიო. გოვუშვი ხელი და დავარტყი რაღაცას. ررررر — დეიძახა, დეილეწა რაღაცა. კუბო იყო იქა. კედელთან. ვიღაცა ქალი იწვა ამ კუბოში და დავამტვრიე. თამარ მეფე იყო, წმინდა ნინო თუ ფიტული იყო? მიცვალებულივით.

— ეკლესიაში ფიტული?

— შუშის სახურავი ჰქონდა. სახე ესე მახსოვს მე: დიდი თმები, თავზეც რაღაც.

— და რა მასალით იყო გაკეთებული? სანთლისგან?

— მარტოკა სახე იყო გაკეთებული. ტანსაცმელი იყო დადებული ზემოდან და გვერდებიდან შუშა იყო გაკეთებული. ჩავამტვრიე.

— ეს რომელ სოფელშია?

— იქა, ზარანში. ციხეა მაღლა.

— ქურდობა ალბათ, ვედარ გაბედეთ, არა?

— ჩავიდინე და მერე როგორ. შევძვერი.

— გადმოყარე, გადმოყარე ფულიო. ვყრი მეც. იქიდან. ეხლა როგორ ამოვიდე. რაღაცა იყო იქ და მიეახოხებ ახლა ფანჯრისკენ.

— ღმერთის არ გეშინიათ?

— როგორ ვაკეთებ ამას, მახსოვს, ხვნეშით. მძვრებოდა, სული მძვრებოდა. რა გავაკეთე? შემეშინდა. შემეშინდა. მით უმეტეს, რომ ჩავტეხე იქა. რომ ჩავიხედე, მთლად დავიბენი, თან ეტირი. პავლემ მითხრა, სახლში არა თქვა, თორემ ვაი, შენი ბრალიო. მივდივარ სახლში. მოვედი, ბებიამ დამინახა: — შვილო, რა იყოო, რა დაგემართაო?

პეტრე და ვალოდია წასულები იყვნენ იმაში, საფქვავს რომ აკეთებენ.

— წისქვილში?

— წისქვილზე იყვნენ წასულნი. მე პავლემ წამიყვანა. ბებიაჩემი შეშინდა. დამაწვინა მაშინვე, მერე რაღაც წამალი გააკეთა, დამალევინა. ზომავდა, ზომავდა. მატერია იყო რაღაცა, მუქი ფერის, ზუსტად არ ვიცი. ლოცულობდა და ზომავდა. გადავიტანე ეს ღამე, დავმშვიდდი, ყველაფერი.

— ეს ფული რომ გამოაჩინეთ?

— გითხრათ; მერე დილაზე აგვაყენა.

სამივენი წავედით ეკლესიაში. ჩავყარეთ ფული უკან, სადაც იყო. მერე დაგეაჩოქა.

— ერთი წუთით, თქვენ არ გითქვამთ. ეს თქვენი ნებით გააკეთეთ თუ ბებიამ გაიგო ეს ამბავი?

— გაიგო. ბებიამ გაიგო, რასაკვირველია, მე მოვყევი ყველაფერი. იმიტომ, რომ სიცხე მაღალი მქონდა და თურმე, ყველაფერს ვლაპარაკობ. ადგა დილით და წაგვიყვანა ორთავენი, შეეყარეთ ის ფული და დაჩოქილი შემოვუარეთ ეკლესიას გარშემო და ბებია ლოცულობდა და ლოცულობდა. აი, ეს მახსოვს. მერე წამოვედით იქედან. მერე მე თბილისში ვიყავი. ეს ამბავი სულ დამავიწყდა. მაგრამ მახსოვს ის სიკეთე, რაც იმან მომცა. ალბათ, იყო ეს ქრისტიანობა, ღმერთი, სამება. აქ გავიგე უკვე, ამერიკაში რომ ჩამოვედი. თორემ იქ, ვითომც არაფერი. იმიტომ, რომ მე მივყევი მამის კვალს, პიონერი ვიყავი, დემონსტრაციებში მე პირველი ვიყავი, წინ სულ, ვუკრავდი დოლს და... გამოვყევი აქეთ. მარა ამერიკაში რომ ჩამოვედი და ჩემი ოჯახი შევიძინე, შვილები მყავდა და ყველაფერი, მერე ვიფიქრე, მივხვდი, რაღაც მინდა, ვიღაც მჭირდება მე. ეს იყო ღმერთი. დამამშვიდა, საქმეც კარგად წავიდა და ყველაფერი: სიყვარულიც და სიხარულიც. აგერ, ა, 86 წლისა ვარ და... ბაბუას რაფერ ვაჯობო. ბაბუამ იცოცხლა 108 წელიწადი. 108 წლის რომ იყო, დაიძინა და აღარ გამოუღვიძია. წავიდა. რა კარგია!

— ბავშვობაში რა თამაშობებს თამაშობდით ხოლმე?

— ბავშვობაში? ბოვშვი რო თამაშობს?

— თქვენ ცხენი გიყვარდათ? ამერიკაში ცხენი და ცხენოსნობა ძალიან პოპულარული იყო ქართველებისთვის.

— ჩვენი ნათესავები ბაკურაძეები იყვნენ ბებიას მხრიდან. ეფრემის დედა იყო მეორედ გათხოვილი. ის გაჰყვა ბაკურაძეს და ჰყავდა შვილები. გიორგი ბაკურაძე იყო ინჟინერი გზის, რკინიგზის კი არა, სამხედრო გზის. ჟინვალში ჰქონდა ბინა. სამხედრო გზას არემონტებდა. იმას ჰყავდა ცხენები. 2 ცხენი ჰყავდა, ჩავიდოდი ხოლმე ზაფხულში; ვთამაშობდით, ცხენებზე ვკონწიალობდით.

— ეს ცხენის ცოდნა თუ გამოგადგათ ამერიკაში?

— არა. სხვათაშორის, ამერიკაში ჯგუფი იყო და მითხრეს: — მოდი, თუ გაინტერესებსო. მივედი.

— ცირკში გამოდიოდნენ, ხომ?

— დიახ, პარკი იყო სპეციალური. იქ უმეტესობა იყვნენ ჩრდილოკავკასიიდან. კაბარდინელები, რუსები და კაზაკები. ერთი ჩვენი ქართველი ჩამოვარდა ცხენიდან და ჭკუაზე შეირყა. რაღაცას დაარტყა თავი. მერე მორჩა, მარა... მივატოვე მე. ვაკეთებდი ხოლმე იმას, რომ ცხენიდან ეხტები, ხელს არ ეუშვებ ოღონდ, ფეხს ვარტყამ მიწაზე, უკან ვჯდები.

— ილეთები მაყურებლებისათვის.

— თქვენ დროს რიკტაფელა, ფეხბურთი...

— ბოვშობიდან ფეხბურთს ვთამაშობდით. ტყავი გარედან, შიგნით იყო რეზინა, ვბერავდით. ჩავსვამდით, შევკრავდით, ავაგდებდით და ჰაი. დიდუბეში იყო ცხენების საჭენაო რომაა.

— იპოდრომი.

— ჰო, იპოდრომი; ახლა სახლებითაა სავსე. ამ იპოდრომზე ვთამაშობდით ფეხბურთს.

რკინიგზელებს უფასო გვქონდა მატარებლით მგზავრობა. ბილეთები გვქონდა სპეციალური, წლიური, აჩვენებდი და გათავდა. თავისუფალი ხარ, შედი. არც ბილეთი გინდა და არც არაფერი. მოვიყრიდით თავს და ვთქვათ, წავიდეთ თხილამურებზე. წავიდოდით, დავრჩებოდით ერთი ღამე, ორი ღამე, სამი ღამე. ერთხელ „კუკუშკით“ ავედით ბაკურიანამდე, ვართ ცემში. ხოდა, მოვდივართ იქედან. ჩემთვის უცნობი იყო ის ადგილი, საიდანაც მოვდიოდით. ვხედავ თოვლია, თურმე არის უზარმაზარი ღობე, სავსეა ზემოდან თოვლით, ვერ დაინახავ იქედან. მე მოესრიალებ, გადავაფრინდი... ჩამოვედით როგორც იქნა ძირს, ბიჭები მეცინოდნენ: — ეს რა დეგემართა... რას იზამ, ყველაფერი ხდება.

— სკოლაში რომელი საგნები გიყვარდათ?

— გეოგრაფია. მიყვარდა ბოტანიკა. ერთხელ გეოგრაფიის მასწავლებელი მოვიდა და: — ფუტკარაძე, გამოდი აქ. გავედი. ფანჯრები ღია გვაქვს. ძირს არიან ქურთები. დადებდნენ ხოლმე ძირს ბარგს, იმაზე ჯდებოდნენ და ჩამომწკრივებული იყვნენ. ხოდა, მითხრა მასწავლებელმა: — მაჩვენე, თბილისი სად არისო.

— რუკაზე?

— რუკაზე, მაგრამ მე ვითომ რუკა არ ვიცი, მივედი გაღებულ ფანჯარასთან, ა, ქალბატონო, მასწავლებელო, აი, თბილისი! (**ყველა ერთად ვიცინით**) აგერაა. მსახიობი კაცი ვიყავი, ხომ იცი და ჰა, ჰა, ჰა — ბოვშები და ველარ გააჩერეს მთელი საათი. თვითონაც იცინა მასწავლებელმა.

— რომელი სკოლა დაამთავრეთ?

— მეოცდაათე. მეოცდაათე. ნახალოვკაში იყო ბოტეს სკოლა. ბოტე იყო გერმანელი კაცი, რომელიც გერმანულსა და ინგლისურს ასწავლიდა საქართველოში. ეტყობა, მდიდარი კაცი იყო. კაი დიდი შენობა ჰქონდა; ეს შენობა გააკეთა, სამსართულიანი იყო. კომუნისტებმა ჩამოართვეს და ერთი ოთახი მისცეს. ვსწავლობდი, ვცეკვავდი. 6 წლის ვიყავი, მარჯანიშვილის თეატრში სკოლიდან წაგვიყვანეს. ამოგვარჩიეს. მერე მივიდნენ მამაჩემთან და დედაჩემთან და უთხრეს, ჩვენთან იქნებაო. წამიყვანდნენ — მომიყვანდნენ. მარჯანიშვილში ღამბაშიძე თამაშობდა, გრიშა კოსტავა, სერგო ზაქარიაძე. „აპრაკუნე ჭიმჭიმელში“ ვიყავი მე.

— თქვენ რა როლი გქონდათ?

— აპრაკუნეს 5 შვილი ჰყავდა. ერთ-ერთი ბოგში ვიყავი მე. მერე ნახალოვკაში გაიხსნა თეატრი. სკოლაში კი ვიყავი მე, მაგრამ თუ რამე იქნებოდა, მომაკითხავდნენ. აი, მაშინ დაიდგა „არსენა მარაბდელი“. მე ლიპა არსენას ვთამაშობდი; მერე იყო „ლადო კეცხოველი“. ციხის უფროსს ვთამაშობდი.

ზაქარიაძე დამიძახებდა ხოლმე: — ბიჭი, ბიჭი მოდი აქ, ჩემთან. ამეიღებდენ, მომცემდენ 50 ცენტი იყო, გადაღმა მეპურე იყო, თონე, წავიდოდი, პურს ვუყიდიდი ამით ხოლმე, ყველი მერე კიდე. ჩაცმულები არიან, სცენაზე მუშაობენ და პური ხელში და ყველი, ჭამენ... მე ყველაზე პატარა პაცანა ვიყავი. ჟორა შაგულიძე, კვანტალიანი. აი, დამიჭერდნენ ხოლმე, მაწვალებდნენ. უკან იყო პარტნიორი მეორე თუ მესამე სართულზე. კიბე იყო ჩამოსასვლელი. ავიდოდით, დავჯდებოდით სახელურზე. მოვსრიალებდით. ერთხელ ჟორჟოლიანი იყო კარებში, გამოდიოდნენ, პური ეჭირა ხელში. ამას ჭამდა და ბახ, დეევჯახე (**იცინის**). იყვირა: — შე, ციგანო, მამაძაღლო, შენა. რას შვები შენ აქანა, შენ ხომ არ გგონია, რომ ქუჩაში ხარო და... რა პიესები არ გადიოდა მაშინ... ეიეჰ...

— ოჯახში როგორ უყურებდნენ ამ თქვენს თეატრალურ გატაცებას?

— მამაჩემი მეუბნებოდა ასეთ რამეს: შენ, ბიჭო, სცენა კარგია, ხტუნავ აქ, ერთი—მეორე... ხალხს აცინებ, მაგრამ ოჯახი არ გინდა? ქალს არ გამოგაყოლებენ შენაო. იმიტომ, რომ მსახიობებს რა აქვთ, არაფერი, მშივრები არიან საწყლები, რას გააკეთებო, ეს იყო თორემ, ისე, მამა იყო საინტერესო, მღეროდა კარგად, გიტარას უკრავდა.

— პროფესიით რა სპეციალობის იყო?

— მამა? მამაჩემი იყო ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსი. ჩვენ გვქონდა ადგილიც და ძველი ვაგონები. იმიტომ, რომ რკინიგზა იყო ძალიან ვიწრო, გაგანიერება უნდოდენ, იმიტომ რომ ევროპიელი ვაგონები ვერ შემოდიოდნენ რუსეთში, საბჭოთა კავშირში. ჰოდა, გააგანიერეს. მამაჩემმა გააკეთა ეს სულ. ამიერკავკასიის რკინიგზა გაკეთებული იყო მამაჩემის დროს.

— სკოლის დამთავრების შემდეგ ჩააბარეთ სადმე თუ არა?

— მე წავედი ტამბოვში. საქართველოდან მოითხოვეს 15 კაცი, რომ წასულიყო საფრენოსნო სკოლაში. რომ დავამთავრე საშუალო სკოლა, მამამ მითხრა: — ბიჭო, რა გინდა რომ გააკეთო? „**Рядавой**“—ზე“ ხომ არ გინდა, წახვიდეო. ფეხოსანი გინდა იყოო? წადი, ისწავლე რამეო. რა გაინტერესებსო?

— მინდა, მფრინავი ვიყო-მეთქი. ამდენი მაშინ არც იყო განვითარებული; არა გვყავდა წესიერი თვითმფრინავი. იყო ისეთი „Кукурузник“—ებს რომ ეძახიან, ჩავაბარე. მაგარი ის იყო, როგორ ჩა-

ვაბარე; ფიზიკურსაც უყურებდნენ. ორ წელიწადნახევარი ვიყავი და მერე ჩამოვედი თბილისში შვებულებით და ორ კვირაში უნდა დავბრუნებულიყავი უკან, მერე პრაქტიკებზე უნდა წავსულიყავით, თორემ მხოლოდ თეორიული განათლება გვქონდა. გახსოვთ, "Крылья Советов" ნანახი გაქვთ? რო გადააბრუნებს თვითმფრინავს და ხიდის ქვეშ რომ ძვრება უკუღმა. აი, ეს მინდოდა. ომი დაიწყო. აღარ გამიშვეს. კომისარიატში ვუთხარი, უნდა წავიდე, სკოლა მაქვს დასამთავრებელი... აჰ, შენ სკოლას ვინ დაეძებს, ომიაო. ხალხი წყდებაო. მოაწვენ, გადალახეს უკრაინა, ყველაფერი... გამაგზავნეს ახბულახში. ახლა მაგას ეძახიან თეთრიწყაროს. თურქების საზღვარზე. იქ ვიყავი სკოლაში და მასწავლეს მორზეს ანბანი. ტი–ტი–ტი–ტი... ჩაგვსვეს ეშალონში, მერე დაგვტვირთეს გემზე „აფხაზია". სევასტოპოლში მოგვიყვანეს ღამე. გერმანელებმა გაიგეს, რომ გემი მოვიდაო, მოვიდნენ, მოცვივდნენ თვითმფრინავებით და ჩაძირეს... გადმოვცვივდით გემიდან, გადავრჩით; დაგვეღუპა რამდენიმე ბიჭი. მე ყველაზე ბოლო ვიყავი. პეტრე წაიყვანეს ჯარში, ვალოდიაც წაიყვანეს ჯარში. დათიკო იყო სახლში და მუშაობდა ხარაგოულის რაიონის მთავრობაში. ერთმა კაცმა, არ ვიცი, ვინ იყო, დაურეკა მამაჩემს და უთხრა: – ერემია, ჩამოდი მალე, ხარაგოულში, უშველოთ შენს ძმისშვილს, პრობლემა აქვსო. ახალი დაქორწინებული იყო დათიკო. ემადინი ჰყავდა, შოფერი ჰყავდა, შეჭამა ფული. ჩევიდა მამა, კომუნისტებში იყო. რა ვუშველოთ, რა ვუშველოთო. ომია. ძმები წასულებია; ადგნენ და გოუშვენ ომში. გადარჩა ამით, თორემ მოხვდებოდა ციხეში. და ციხეში რო წასულიყო, უკეთესი არ იყო?

– რატომ? ომიდან ვეღარ დაბრუნდა?

– მოკვდა. პეტრეს გარდა, ყველა ჩემი ბიძაშვილი დაიღუპა.

– მაშინ ციხე სჯობდა.

– ხო, აბა რა. ჩვენ გაყოფილი კი არ ვიყავით, ერთი პური რომ გვქონოდა, ნახევარი იმათ ჰქონდათ, ნახევარი ჩვენ. ისინი იყვნენ იქა – პაველე, პეტრე, დათიკო, ბებია წავიდა ადრე. ჩვენთან კიდევ – თინა, ვალოდია, მე, დედა, მამა – ერთად ვიყავით. სახლი ორი გვქონდა, ერთი ხარაგოულში, ერთი თბილისში. უზარმაზარი ზალა, სულ თეთრი ქვა...

– თეთრიწყარო, მორზეს ანბანი და ომი. გადარჩენის შემდეგ თქვენ ისევ აგრძელებთ ომს სევასტოპოლში.

– ხო. როსტოვი კომუნისტებმა, საბჭოთა კავშირმა, არა, საბჭოთამ კი არა, გერმანელებმა რომ აიღეს როსტოვი, მერე მოაგროვეს სუყველა, ვინც იყვნენ მფრინავები თავიანთი თვითმფრინავითა და ჰიტლერის ბრძანებით დასცხეს სევასტოპოლს. მთელი თვე ბომბავდნენ. თუ ბომბი არა ჰქონდათ, ცარიელ „ბოჩკებს" აიტანდნენ მაღლა, ხოდა, მფრინავები დაუმიზნებდნენ, სადღაცა და გაუშვებდ-

ნენ და იცი, როგორ მოდის? ჯერ ხმა აქვს ისეთი... დაეცემა ძირს და რასაც მოხვდება, დალეწავს. წარმოიდგინე, მასხრათ გვიგდებდნენ, რა? მილიონობით ჯარისკაცი იყო. თოფი არ იყო, წამალი არ იყო. თვითმფრინავი არ იყო. არაფერი არ იყო.

— მთელი ქართული დივიზიები განსაკუთრებით ქერჩის ნახევარკუნძულზე და სევასტოპოლში განადგურდა.

— ჩაწყდნენ. ჩაწყდნენ... პირდაპირ უბედურობაა...

— რატომ არ ხდებოდა მომარაგება. საგანგებოდ ხომ არ იყო?

— რატომ არ ხდებოდა და არ იყო! არ იყო ალბათ, სტალინს დასჭირდა, რომ შეებრუნებინა ქვეყანა. ჩვენ ელაპარაკობთ — 41 წელსე. სტალინმა დაიწყო 24–25–ში, 15 წელიწადში... საქართველოში უკვე რამდენი ხანია რევოლუცია მოხდა, ეარდოვანი რევოლუცია. თავისუფლები ვართ, სუფელაფერი. რატო გვიჭირს? შიმშილით ვართ, გზა არ გვივარგა, ის არ გვივარგა, ეს არ გვივარგა. რატომ? იმიტომ, რომ პატარა ხანია.

— ერთ ვარაუდად, მოდით, „ჭორს“ მაინც ნუ დავარქმევთ, ისიც გამოითქვა, რომ ქართველების წინააღმდეგ ეს საგანგებოდ გაკეთდაო. თქვენ არ გაგიგონიათ? სტალინის საწინააღმდეგოდ ხდებოდა...

— უცქირე. ერთი კვირით ადრე მისცეს განკარგულება: დაასუფთავეთ ყველა იარაღებიო. ფიქრობდა, ალბათ, სტალინი, რო რამე მოხდება... რო ჩავვარდი ტყვედ, ისეთი თვითმფრინავები დავინახე, მოდიოდნენ, რომ დაგვბომბონ ჩვენ. ვინ იყვნენ? მე მეგონა, გერმანელები არიან–მეთქი. თურმე, ამერიკული თვითმფრინავები იყვნენ. კაცი გავიცანი ჰოლივუდში მფრინავი. თბილისიდან ბომბავდნენ სევასტოპოლს გერმანელები, წარმოგიდგენიათ?

— ვერ გავიგე, — ვამბობ ხმამაღლა.

— ვერაფერი გავიგეთ, — მეთანხმებიან სხვა მსმენელებიც.

— ამერიკამ მისცა საბჭოთა კავშირს თვითმფრინავები თავისი მფრინავებით. მოშალეს ისა, რაც თავისი ჰქონდათ და მიაწერეს „Советски“ და ვარსკვლავი. ვითომ რუსებია. სინამდვილეში რუსები კი არ იყვნენ, ამერიკელები იყვნენ. ეს არც კი იციან. ქვეყანამ არც კი იცის. არც არის გამომჟღავნებული ეს ამბავი.

— ამერიკელები ბომბავდნენ გერმანელებს?

— ხო, ამერიკელები ბომბავდნენ გერმანელებს, მაგრამ საბჭოთა ფირნიშით, როგორც საბჭოელები და თბილისიდან მიფრინავდნენ, როგორც რუსები.

— თქვენ „შემთხვევით“ დაგბომბეს?

— მოხდა ისე, რომ არ იცოდნენ, გასული იყვნენ თუ არაო. ჩვენ მივდიოდით, მარა, სამხედროები არიან და დაეწყვიტოთო. 11 თვე სევასტოპოლში ვიყავი. ბაღჩისარაია არის ზემოთ, მერე სევასტო-

პოლი, მერე შავი ზღვა. აქ კლდეებია, დიდი. ბუნებრივი გამოქვაბულებია. აქ იყო საბჭოთა არტილერია, ისროდნენ შორეულ ბომბებს. არავითარი შესაძლებლობა ჩვენ არ გექონდა. ვერ შემოდიოდა გემი. არავითარი დახმარება არ იყო, პური არ იყო, სასმელი არ იყო, საჭმელი არ იყო. გერმანელები აკონტროლებდნენ ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც. ამოგვწყვიტა.

თერთმეტი თვე ვიმუშაე კავშირგაბმულობაში. აქ შევისწავლე. მყავდა 6–7 კაცი მომხმარე. ხაზები წყდებოდა, ბომბი ეცემოდა და წყდებოდა. ავდექით და დავთხარეთ, გავაკეთეთ ორმოები. ვთხარეთ, ვთხარეთ და ჩავსვით ორმოებში თუ პირდაპირ არ დაეცემოდა ხაზს, რჩებოდა, კარგი ადგილსამყოფელი იყო. თორემ წინათ რომ მივედით, ვნახეთ, ბუჩქებზე ჰქონდა გადახვეული, წვეიდა და სულ წყდებოდა. მახსოვს, გენერალი ნოვიკოვი გვყავდა უფროსი, რომელიც „Морской" იყო. გაზაფხული იყო, მაგარი დაბომბვების დრო. მირეკავს ტელეფონზე: – ფუტკარაძე, ფუტკარაძე. მე ვუთხარი, აქა ვარ, ბატონო. – არა, ბატონო არა, Товарищ მითხრა რომაო – Нет у меня связи; Нойди, узнай. – Сейчас-же будет все в порядке, – ვუთხარი, გავიქეცი. კაცი ვერ ვნახე. მე წავედი, ვირბინე, ვირბინე. ღამეა. დავიჭირე ხელში ხაზი და მივრბივარ. ვნახავ, შევაერთებ, გავალ კიდევ წინ და ასე და დავამთავრე. რიყრაკია. გზაზე მოვდივარ. **(ამასობაში „ღიმილის ბიჭები" მახსენდება– ეს, ალბათ, ტიპური ამბავი იყო ომში ამ პროფესიის ადამიანთათვის).**

ხე დახუნძლულია ბალით. ომია იქიდანაც და აქედანაც... მე შევალ ამ ბალზე, ეჭამ, მერე წავუღებ იმასაც–თქო ტოტებს, გავახარებ. მოვედი. Ну что? მეკითხება – Товарищ Генерал, все в порядке, – Молодец! – Вам подарок. – Откуда это, აგერ, მე ვუთხარი, გზაზე გამოვიარე და მოგიტანე საჩუქრად. გაუხარდა ისე, რომ Молодец, Грузин, ასეთი ვიყავი. მაგარი ვიყავი, სანამ ტყვედ ჩავვარდებოდი, მაგარი კომუნისტი იდეით. იყო ხომ იცი: თავისუფლება, Товарищ.

– სახლში წერილებს აგზავნიდით?

– არა. სევასტოპოლიდან ჩემთან პეტრე იყო კვინიკაძე, ზესტაფონელი. აქაც მეზობელი იყო ჩემთან. მაგის ბაბუა იყო რკინიგზაში. ნახალოვკაში. ბუღალტერიაში მუშაობდა. კანტორაში. ქალალდები სჭირდებოდათ, ფანქრები. გააგზავნეს თბილისში და კიდევ ერთი რუსი მაგასთან ერთად. გამოძვრენ როგორღაცა. ქე არ ჩამევიდა უკან? მე ვუთხარი, ბიჭო, რა მოგარბენინებდა აქანა. მარტოკა რომ ეყოფილიყავი, შეიძლება გამერისკაო, მარა, კაცი თან მახლდაო და როგორ შეიძლებოდა, მიმეტოვებინა და მარტო გამომეშვაო, გავქცეულიყავიო... სევასტოპოლი რომ ჩაბარდა, ისიც ჩემთან იყო, ტყვეობაში. მერე ომი რო გათავდა, დაიჭირენ პეტრე და გოუშვენ ციმბირში.

— ციმბირიდან დაბრუნდა?

— უცქირე; რომ ჩამოვედი 66 წელში პირველად საქართველოში, კვინიკაძე ორი დღის წინ ჩამოსული იყო ციმბირიდან ზესტაფონში. ისე გატყაული იყო, მარტო ძვლები იყო.

— დაწყობილები სევასტოპოლიდან ფეხით ჩავედით ჩვენ უკრაინის ბოლოს, თითქმის პოლონეთის საზღვართან. წეღანდელ ამბავს გავათავებ. პეტრეზე გადავედი. პეტრეს წერილი გავატანე. ისე თუ დაწერდი, ვინ გამოიტანდა, კაეშირი გაწყვეტილი იყო, ან ვინ მოგიტანდა. ეს იყო „Морской" დივიზია. გენერალი იყო უფროსი. იყო ერთი ქართველი ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი იყო, თანაშემწე. ბიძაშვილებიდანაც არაფერი ისმოდა. ვალოდია დაკარგული იყო. ის იყო ჩინეთში, ხან–ხინ–გოლში... აქ რომ დაიწყო ომი, აქ გამოუშვეს. იქედან წამოვიდა.

— ერთი სომეხი მოვიდა, ციმბირიდან გამოიყვანეს, უთხრეს: რა გინდაო, გინდა ციმბირში მოკვდე თუ სამშობლოშიო. კარგი, წამიყვანეთ სამშობლოშიო. შემოიყვანეს სომეხი. უფროსმა დამიძახა და მითხრა: აი, ახალი მომუშავე გვყავსო. მოვიდა. გავეცანი. მე ვუთხარი ამას ასე ვაკეთებთ, ასე, ასე, როცა დაგვიძახებენ, უნდა მსად ვიყოთ, ძილი-მილი არ შეიძლება, უნდა საქმე გაკეთდეს–მეთქი. კაიო. OK მერე მეუბნება Товарищ Алекс მარტოკა ნუ გამიშვებო, სამუშაოდო. მეშინია მე ღამითო. ნუ გამიშვებო. მე ვუთხარი, Хорошо. ეშინოდა რაღაც, ხო იცი. საწყალი, პირველივე დავალებაზე გავიდა თუ არა, ორი ბიჭი იყო მაგასთან ერთად და კი არ მოკლეს?

— გული უგრძნობდა, ეტყობა.

— ხო, ხო, დაფეთებული იყო და როცა ადამიანს გეშინია, ზუსტად ვარდები.

— შესაძლოა, წინათგრძნობაც იყო.

— რა ვიცი. დეიკარქა.

— ტყვედ როგორ ჩავარდით, ეს უცებ მოხდა, მოულოდნელი იყო თუ–

— ბაღჩისარაიაზე გერმანელები ზიან; ძირს აქეთ, ჩვენა ვართ, საბჭოები. როგორც გითხარით მე, ბომბეს და ბომბეს ერთი თვის განმავლობაში; ივლისი გადმოაბრუნეს. მტკაველ მიწას ვერ იპოვიდით ბომბი რომ არ დაცვენილიყო ზედა. ჰოდა, რო მორჩნენ, რო დარწმუნდნენ, რომ აღარაფერი აღარ არსებობს, ხალხიც წავიდა. იქ არის დიდი უზარმაზარი კლდე და მერე არის შავი ზღვა ე. ი. აქ არც გაცურვა შეგიძლია და არც არაფერი. იმიტომ, რომ კილომეტრებით არი, სად უნდა გახვიდე, მეორე მხარეს რომ გახვიდე, არ შეიძლება. ხოდა, ყველა, ვინც იყვნენ, ჯარისკაცებიც ჩამოვიდნენ აქ. პირველად რომ ჩევედი, საცა ჩევედი, ბოლომდე არ ჩავსულვარ, პეტრე კვინიკაძე ჩემთან იყო, კიდევ ბიჭები იყვნენ ებრაელები,

ერთი კიდეე ქართველი ებრაელი. ისიც იქ იყო. და რო ჩავცვივდით, ეშინოდა, გერმანელებმა რო გაიგონ, ურია ვარ, მომკლავენო. შეშინებული იყო. მე ვუთხარი, საქართველოში გვყავს როგორც ებრაელი, ისე აჭარლები; სხვა ზნის... გამოვუცვალე გვარი, სხვა მივეცი, ყველაფერი და აქ რომ ჩამოვედი, ხომ იცი, გაიგო, ალიოშა ჩამოვიდაო და შენი ჭირიმე, შენ გადამარჩინეო და დიდი ამბავი.

— საიდან იყვნენ?

— გორიდან. გორის გაზეთში დაწერა, რომ გადამარჩინაო.

— ე.ი. ახლა ვართ პოლონეთის საზღვარზე.

— ჰო, წავედით ახლა ფეხით: გვატარეს, გვატარეს, გვატარეს და უკრაინაში არის ერთი ქალაქი. ხაროლი იყო, ხაროლი. იქ დაგვასვენეს. გზად არის იქა. შიმშილი იყო. ძალიან, ძალიან შიმშილი იყო.

— და ამასობაში თვითონაც ფეხით მოგყვებოდნენ?

— ჩვენთან ვინ იყო, იცი? გერმანელები კი არ იყო, უკრაინელები. უკრაინა უკვე შეუერთდა გერმანიას. იმათ მხარეზე გადასული უკრაინელები შეუერთდნენ იმათ, ყვავილებით დახვდნენ. გვიყურებდნენ. იარაღი ჰქონდათ თან, ავტომატები და ყველაფერი. თუ ფეხი გადაგცდა, გადახვიდე სადღაც, გინდა გეიპარო ან რაღაცა... ზამთარი ვიყავი ხაროლში. ბალანდას ვჭამდით, დღეში ერთჯერ გვაჭმევდნენ და ცოტა პურს გვაძლევდნენ, ძალიან თხელს... პატარა ნაჭერი. შიმშილია მაგარი, მაგრამ ბევრი, ბევრი ადამიანი დაწყდა, მარტო შიმშილით კი არა, მოწამვლით. იმიტომ, რომ ჭამდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ... მაგალითად, რომ მივდივართ გზაზე, ვიღაცამ გადააგდო რაღაცა, სხვა აიღებდა. — რატო იკლავთ თავს, რატო შვებით ამას. შეიძლება ღმერთს უნდა, რომ შენ ცოცხალი დარჩე, იცოცხლო, წადი, მოუარე თავს, სულ არ ჭამო, უკეთესია. მშიერი რომ იყვე ერთი 40 დღე, მაინც გაიტან თავს. ხოდა, მაინც არ ითმენდნენ, არ ითმენდნენ და კვდებოდნენ, წყდებოდნენ. მერე შემოვიდოდნენ უკრაინელები. ამ მკვდარს დაავლებდნენ ხელს ფეხებში და გადააგდებდნენ. ურმები შემოდიოდა დიდი ცხენებით. გაავსებდნენ, წაიღებდნენ. ჩაყრიდნენ სადღაცა ორმოში. დააფარებდნენ თავს. მერე როგორც იქნა, გამოზაფხულზე გამოგვიყვანეს კიდეე იქიდან და ვიარეთ ფეხით ერთი დღე-ნახევარი, უკვე გაზაფხულია და შეგვიყვანეს ერთ ადგილას, გაგვპარსეს თლათ თმა, გაგვხადეს სუყველაფერი და მოგვაყარეს პუდრი. პუდრში ვიყავით...

— მკბენარები რომ არ?..

— ხო, დეზინფექციასავით. გაგვამზადეს და მოგვიტანეს მერე გერმანული ფორმა კი არ იყო, რუმინელების ფორმა მოგვიტანეს, გადაღებილი იყო. მოგვიტანეს და ჩაგვაცვეს.

— განსხვავებული ფერი იყო?

— დიახ. მწვანე, მაგრამ კარგი მწვანე კი არა, რაღაცა ჟამისფერი მწვანე იყო. **მიჩვენებს.** კიდევ მუქი რომ იყოს ამაზე. ჩაგვაცვეს ეს და გამოვიარეთ კიდევ ერთი ადგილი, ჩაგვსვეს მატარებელში. სახალხო კი არა, „Товарный“ — საბარგო. ჩაკეტეს კარებები, დაკეტეს ბოქლომებით და წაგვიყვანეს, მიგვიყვანეს ნიუ-ჰამერში. ახალი ჰამერ — ახალი ჩაქუჩი. სახელია ქალაქის გერმანიაში, ბერლინთან ახლოს. მოგვიყვანეს მანდა. დაიწყო „ცხოვრება“ გერმანიაში. — **ეს ბანაკია?** — დიახ. სწორია, ბანაკია. საჭმელი ცოტა უკეთესი გვაქვს, რაღაც ერთი-მეორე, თანაც იციან მუშაობაზე წაყვანა: გლეხები მოვიდოდნენ, ანდა რკინიგზიდან ჩასატვირთია მატარებელი ან გადმოსატვირთია, ასეთი რამეები. წაიყვანდენ და ამუშავებდენ. თანაც, ვიღაცა რაღაცას აჭმევდა, საჭმელს მისცემდა... მერე ერთმა გერმანელმა გენერალმა, რომელიც ნამყოფი იყო აქ, საქართველოში, ჭიათურაში მუშაობდა თურმე, გერმანელებს ჰქონიათ საბადოები; მიღებული ჰქონდა თამარ მეფის ორდენი; გულზე ჰქონდა გაკეთებული. უყვარდა საქართველო ძალიან და რომ გაიგო, ქართველი ტყვეები არიანო, თქვა, მოდი, გამოვიყვან ტყვეობიდან, გავაკეთებ დასს, რათა ვაჩვენო გერმანელებს, რომ ქართველები ვინ არიან, რა არიან და როგორნი არიან. ძალიან კარგი, მადლობა ღმერთს...

— **ის გერმანელი გენერალი რა გვარი იყო?**

— მიდერმაიერ, გენერალი მიდერმაიერ.

— **გენერლებზე ვსაუბრობთ და გენერალი შალვა მაღლაკელიძე, გენერალი ლეო კერესელიძე... სხვები ხომ არ იცით?**

— ის კერესელიძე, ქალიშვილი რომ ჰყავდა?

— **ქალიშვილი არ ვიცი.**

— მაგი, გენერალი კერესელიძე მოგვიყვანენ ჩვენ გუნდში. ჩაბარეს. გენერალი კაცია, ჯარი არა ჰყავს, მისცეს გუნდი; უნგრეთში გამოდიოდა, დილით ადრე დაგვაწყობდა, დაითვალეთო. ვითვლიდით ერთი-მეორე **იცინის** ამდენი ვართ, ყოველდღე ვითვლით. ხო, არსად გევიპარებით, ხოდა... გენერალი გამოვიდოდა, მოგვესალმებოდა, ახალ ამბავსაც გვეტყოდა.

— **გერმანელის ფორმა ეცვა?**

— ხო.

— **მე ნანახი მაქვს სურათი: მაღლაკელიძე, ნოზაძე, კერესელიძე— III რეიხის ფორმაში ჩაცმულები.**

— ამასაც გერმანელების ფორმა ეცვა... **გავაგრძელოთ.**

— გავიცანი უკრაინელი გოგო. ეფრეიტორი დამიმეგობრდა და მითხრა:

— ალექსო, შენ გინდა ნახო ფროილაინიო? მე ვუთხარი: — კი, რატომ არა-მეთქი. მაგრამ ფროილაინი იყო ცალკე, ბინები ჰქონდათ იმათ იქა და იქ შესვლა არ შეიძლებოდა. მარტო ქალები იყვ-

ნენ. მაგრამ მითხრა, წადიო, მე წაგიყვან იქო, საცა ცხოვრობენ, მეორე სართულზე არისო. შენო, საწვავი მასალა როა, ქვა როა, რა ჰქვია?

— ქვანახშირი?

— ქვანახშირი, ქვანახშირს რო წვავდნენ, მოჰქონდათ ქვანახშირი, ყრიდნენ სარდაფში. ფანჯარა იყო დიდი, ამოღებული ფანჯარა და იქ, იმაში ყრიდნენ. მითხრა, რომო სულ ადვილი არისო, პრობლემა არ არისო, ჩახტიო, მერე კიბეებზე ახვალო. თუკი ვინმე არის იქა, გაჩერდიო, ნულარ წახვალო. არ აჩვენო შენი თავიო. ავედი მართლა, დავაკაკუნე და გააღო კარები და ნატაშა... უკრაინელი გოგონა... ეიმუსაიფეთ, ვილაპარაკეთ და ყველაფერი... ძალიან მოგვწონდა ერთიმეორე. ისიც თითქმის დაჭერილი იყო და მეც დაჭერილი ვიყავი. ბოლოს და ბოლოს რას გეიზამდნენ ისეთს, ჩავარდნილი ვიყავი. ერთი სიტყვით, შევფიცეთ ერთი-მეორეს. ძალიან გახარებული ვიყავი.

ერთ დღეს გენერალი მოვიდა ჩვენთან იქ, საკანში თავის მთარგმნელთან ერთად. გვითხრა, მინდა შევქმნა გუნდი: სიმღერისა და ცეკვის, რომ ამერიკელებმა და გერმანელებმა გაიგონო, თქვენ ვინა ხართო და საიდან ხართო, რომელი ქვეყნიდანო. და მართლაც, ასე იყო: შეკრიბა ეს ხალხი, ყველანი. სხვათაშორის, ჩვენთან იყო დემეტრაშვილი გაბრიელი, გაბო — მსახიობი კინოსტუდიიდან. და ომი რო გათავდა, წავიდა საწყალი... „მეიხადა" ციმბირში ტყვეობა. იქ ციმბირელი ქალი ითხოვა მერე, ჩამოიყვანა თბილისში და 4 ბიჭი ჰყავდა, 4 შვილი. მერე კი მოკვდა, მანქანა დეეტაკა, ზუსტად არ ვიცი, უკვე აღარ ვიცი, მე უკვე ჩასული ვიყავი ამერიკაში, გამაგებიეს... ერთი სიტყვით, კარგი გრუპა გაკეთდა. შეკერეს ფორმებიც: მოცეკვავეებისთვის ჩოხა და ახალუხი. ყველაფერი იყო. ცეკვები დადგეს.

— ესკიზები ვინ გააკეთა, მათ ხომ არ ეცოდინებოდათ ქართული სამოსი როგორია?

— აა, მართალია. გაბომ და მე გავაკეთეთ და ვალოდია იყო, კობიაშვილი. იმანაც „მოიხადა" ტყვეობა რუსეთში... ჩამოვიდა მერე ვალოდია, მაგრამ მერე მე აღარ მინახავს. გარდაიცვალა ისიც. ჩვეულებრივი, თავისი სიკვდილით.

შეიკრა ეს გუნდი და ჩვენ დავდივართ ყველგან... ჯარისკაცები საცა არიან. ქალაქებში — მიუნხენში ვიყავით, ჰამბურგში ვიყავით... ბევრ ადგილზე ვიყავით და სუყველა კონცერტის შემდეგ დიდი ოვაცია იყო; არ სცილდებოდა ტაში და ტაში. ძალიან მოსწონდათ.

— ძირითადად რომელ ცეკვებს ასრულებდით?

— მთიულური გვქონდა და ლეკურიც. ჩვენ ის გვყავდა, კარგი ბიჭი ძალიან. ახალგაზრდა იყო, ულვაშებიც არ ჰქონდა ჯერ ამოსული და იმას ჩავაცვით ქალის კაბა, ხოდა (იცინის) თმები გავუკეთეთ.

— ე.ი. ქალი ანსამბლში არ გყავდათ?

— არა, არა გვყავდა. ტყვეობაში არ იყო ქალი. სულ მამაკაცები იყვნენ...

— დაახლოებით რამდენი ადამიანი იყავით?

— ანსამბლში ვიყავით, შეიკრიბა თითქმის 60 ადამიანი.

— ყველა იმ საკონცენტრაციოს...

— სუყველა, სუყველა ტყვეობიდან წამოყვანილი. ტანსაცმელი გექონდა ჩვენ, როცა არ ვცეკვავდით, კონცერტი არ გექონდა, სამხედრო ტანსაცმელი გექონდა. სუფთა.

— ანუ სამხრეები არ ჰქონდა?

— დიახ. ჩვენი გუნდი ცალკე იყო. ყოველთვის, რომ მივდიოდით, გვაძლევდნენ სპეციალურ ადგილებს. გათავდა ომი. ნიდერლანდებში, არა, ჰოლანდიაში ვართ. ხო, მოვიდა დეპეშა, რომ მე ბოვში მყავდა. ორსულად იყო ჩემი მეუღლე და ნიუ-ჰამერში დავტოვე. იმიტომ, რომე, თან ვერ წავიყვანდი. ჯერ ერთი — ორსულად იყო და მეორეც, არ იყო ლამაზი ქალი ამოდონა მამაკაცებში. ეუთხარი აქ იყავით, მე ჩამოვალ, გნახავთ. ვფიქრობდი, რომ მალე გათავდება ომი და... მერე რო თავდებოდა ომი, ჰოლანდიაში მივიღე ტელეგრამა: „ბიჭი შეგვეძინა“.

— რა დაარქვით?

— ალექსი, ალექსი ერქვა.

— და თქვენი ტყვედ ჩავარდნა, ოჯახმა როდის გაიგო თბილისში?

— სევასტოპოლი რო ჩაბარდა გერმანელებს, ოჯახმა, მამაჩემმა მიიღო ტელეგრამა მოსკოვიდან, რომ თქვენი შვილი დაკარგულია უგზო-უკვლოდ. არ იცოდნენ „Без известно потерена,” ურთავს, როგორც რუსულად ეწერა, ალბათ, იმის სადემონსტრაციოდ. დედაჩემს უთქვია, რომ ალიოშა არ დეიკარქებაო. მაგი ისეთია, რომე არ დეიკარქება არსადო. ვალოდია რო ყოფილიყო, მაგი არაო. დედა რომ ლოგინად ჩავარდა, ველარ დგებოდა. წელსქვემოთ არავითარი აღარ ჰქონდა. თურმე, რომ გაიგებდა ხმაურს, დოუძახებდა მამაჩემს: — ე, კაცო, გახედეთ, ალიოშა მოდისო...

— იმ ამბავმა, რომ თქვენ გადარჩით, ცოცხალი იყავით, დედას მოუსწრო, თუ—

— ვერა. დამიმალეს მე, ამერიკაში არ მომწერეს, რომ დედა გარდაიცვალა. ოთხი წელიწადი არ ვიცოდი, რომ დედა მკვდარი იყო. ხოდა, მე რომ მივწერე წერილი, რას შვება დედა, ყოველთვის მწერავდა წერილს: „ჩემო საყვარელო“.. ყველაფერი... აღარ არის ეს წერილები-მეთქი, რა დაემართა დედას აღარ შეუძლია, დაწეროს-მეთქი? მერე ვალოდიამ გამომიგზავნა, ჩემმა ძმამ წერილები, გატეუებდითო. დედა უკვე აღარ გვყავს ოთხი წელიწადიაო. დამიმალეს.

— ეხლა რა მოხდა.

— **ჰოლანდიაში ხართ. მიიღეთ დეპეშა.**

— ჰოდა, წავედი და ვნახე. ჩემი ქალი იყო იქ. მუშაობდა კიდეეაც. საცა რეცხავდნენ. მე ვცეკვავდი რუსების ჯარისკაცებთან. ვიცეკვე გერმანელებთან და ვიცეკვე ამერიკელებთანაც, ე.ი. მე ყველა მიყვარდა. ჩემთვის ხელოვნება იყო უფრო საყვარელი და ამას ვუზიარებდი ყველას... პაპაშვილმა და იმათ რომ წამიყვანეს, იმიტომ კი არ წამიყვანეს, რომ მე ვიღაცა ის ვიყავი, ცეკვა ვიცოდი. ერთხელ მითხრეს, ეხლა მოვლენო კინოს მსახიობები, ვიღაცეებიო. ბიჭოო, მოდი რაო, წაიცეკვეო. მე ვუთხარი, დიდი სიამოვნებით; მე ფულს მოგცემო. აა, მე ვუთხარი, მაშინ არ მოვალ! მე ფულზე არ მოვდივარ. ქართულის ცეკვა... სწორედ იქ გამიცნო ჯორჯ სიტონმა, ხოზე ფარერიმ... იქ ვიცეკვე და ერთი ქალი იყო იქ, მოხუცებული, ხანში შესული. მე მაშინ 28 წლის ვიყავი. მითხრეს, ე, ალიოშაო, შეხედეო, ქალი რო ზისო. ვხედავ-თქო, ვუთხარი. ვინაა-თქო, შენი ნათესავიათქო? არაო, არაო, მდიდარიაო, ძალიან მდიდარი. ძალიან მოსწონხარო. მეეწონე შენო და ჰოდა... **იცინის**. ჩაგსვაესო. შენ რა გგონია, — ვუთხარი მე, მე ფულზე დავრბივარ? მეწყინა. ეგონა, მილიონერი გავხდებოდი ამერიკაში... მოკლედ, ჰოლანდიიდან ჩამოვედი, მოვედი, საცა ცხოვრობდნენ. უკვე ზაფხულია, გარეთ არის ბოვშები. ოთხი კალიასკა და პატარებია შიდა. ვაიმე მეთქი, რაფერ გავიგო, რომელია ჩემი, ვერ ვხედავ. ერთი გოგო იჯდა ვიღაცა... დამინახა მერე და მითხრა, რომ „Кто вы такой"— ვინა ხართო. მე ვუთხარი, ფუტკარაძე ვარ-მეთქი. ნატაშას მეულლე. ო, ნახე თქვენი ბიჭიო, თუკი იცნობო. ოთხივე ბიჭები არიან. ერთი მომეწონა. მე ვუთხარი, ეს ხომ არ არის? კიო, მაგიაო. წარმოგიდგენია? ვიცანი. ბოვში იყო, მართლა გეუბნები, მარა მე ვიყავი ნაღდად. მიტო დავარქვი ჩემი სახელი, მიტო, რომ მე ვიყავი. ჭრუჭუნას მეძახდნენ, ბოვშობაში. ისიც ასე იყო. რომ შემომხედა, იჭყანებოდა. მე ვუთხარი, ყველაფერი გაკეთდება, მალე დამთავრდება ყველაფერი, წესრიგზე იქნება, მოთმინება იქონიე. წვევედით იქედან ჩვენ. მოვცილდით. საფრანგეთში ვიყავით, იქ იყო ქართული ლეგიონი. იქ ვიცეკვეთ, საფრანგეთში; მერე წამოვედით იქედან, ბერლინში მოვედით... იყო ლაგერი და იქ იყო კავსაძე, კახი კავსაძის მამა, ტყვეობაში იყო ისიც. ეს კავსაძე შემოგვიერთდა ჩვენ. როგორ იყო. მაგენი იყო გრუპა. მოამზადეს მომღერლები, მოცეკვავეები არა ჰყავდათ. შემოგვიერთეს ჩვენ და დათაშკა კონცერტებს აკეთებდა თვითონ. ჩვენ გვყავდა ჩვენი რეჟისორი — დირიჟორი — მასწავლებელი. ხანშიშესული კაცი იყო. ქართველი სომეხი, თბილისელი სომეხი... შემოგვიერთდა და ერთად უნდა ყოფილიყო კონცერტები. ეხლა რჩება ომი. მიაწვენ—მოაწვენ იქედან რუსები, აქედან ამერიკა, ინგლისი. ყველანი მიაწვენ—მიაწვენ

და გაჭყლიტენ. ომი გათავდა. დააღეს კარები. გარბიან ტყვეები. ცეკვაა გარეთ ქუჩებში და დიდი ამბავია. მარა მოვხვდით იმ ადგილას, სადაც იყვნენ ინგლისელები. წაგვიყვანეს, ჩაგვყარეს მანქანაში და გადაგვიყვანეს იტალიაში. იტალიის ერთ-ერთ ქალაქში იმასთან, ჩექმის ქვევით მთლად-მთლად ბოლოში. ჰოდა, იქიდან მოვარდა ერთი ბიჭი, ქართველი ბიჭი და მითხრა, – ალექსო, იცი, რა ვნახეო? რა? – შენი ბიჭი ვნახეო. მე ვუთხარი, სადა. ომი რომ მთავრდებოდა, დავიკარქეთ ჩვენ. წევედი იქა. ისინი გადასულან იქედან. იქ აღარავინ აღარ იყო. არ იცოდნენ, ვინ სად წავიდა. როგორ იყო, დეიკარგა. ბოვში დემეკარგა, ქალიც და სუყველაფერი. რა ჯანაბა ექნა, სად ვეძებო? ომი გათავდა. ხალხი გარბის-გამორბის. ზოგს უხარია, ზოგიც ტირის... დეიკარქა. რა ჯანაბა, რა უნდა ექნა, არა? მახსოვს, რომ ნატაშას ყოველთვის უნდოდა დაბრუნება. მე ვიცოდი, მე რომ უკან წავსულიყავი, საქართველოში, მამაჩემი ეს ძველი ბოლშევიკი კაცი, კომუნისტი მაგარი, მოსდებდენ შარს, ან რაღაცას უზამდენ, და შეიძლება დაღუპო ოჯახი მთლიანად. ამას ვფიქრობდი. ლაპარაკიც ასეთი გვქონდა. ხოდა, მეუბნებოდა, აუცილებლადო, მე უნდა წავიდეო. Родина ჩემთვის ყველაფერიაო. ამაზე არ გაგვიგრძელებია ლაპარაკი და ეს ბიჭი რომ მოვარდა იქა, იტალიაში, მითხრა, შენი ბიჭი ვნახეო, ქუჩაში დადიოდაო. მე ვუთხარი, მიჰქარავ, რა ქუჩაში დადიოდა-მეთქი. იყო წლინახევრის. უნახია იტალიაში. ნატაშას უპოვია ვიღაცა კაცი, ქართველი, ინვალიდი, ცალი ფეხი არ ჰქონდა, დადიოდა კასტილებით. ამ ბიჭს უთქვია: მე მივდივარ, წამოდი ჩემთან ერთადო. ალიოშა სად არის, არ იცის. ვეძებე და ვნახე. და მართლა ქუჩაში არ დადიოდა ეს ციგანი მამაძაღლი? გამეხარდა, ყველაფერი. იმას არც ვუყურებდი, იმ მამაკაცს. რა ექნათ, მდგომარეობა ასეა. მიეხმარება... ვუთხარი, დარჩი. არაო, არ დავრჩებიო. მე ვუთხარი, დარჩი. აჰ, არა და არა. კარგი, მე ვუთხარი, კეთილი. მერე ბიჭები შემოცვივდნენ. მოვიპაროთო, წავიყვანოთ ბოვშიო. მე ვუთხარი, მოპარვა რა ჯანაბაა. მერე, როგორც დედა მოუვლის, ისე მე რას მოვუვლი ბოვშვს, რა ვიცი. არც არაფერი. ერთი სიტყვით, წავიდა, წავიდა. დარჩენილიყო, გადავარჩენდი. შვილიც გადარჩებოდა და ქალიც. არც ეს მთელი პრობლემა მექნებოდა. აიყვანეს და ეს გემი დატვირთეს ინვალიდებით და ქალები თავიანთ ბოვშებით. დატვირთეს გემი და წავიდა.

– იტალიიდან რუსეთში?

– ჰო, რუსეთში. ვისაც უნდა, აბრუნებენ საბჭოთა კავშირში. ჩაძირეს გემი! დაარტყეს ბომბი თურმე და ჩაძირეს მთელი გემი ხმელთაშუა ზღვაში. საბჭოთა კავშირმა წინასწარ უთხრა: წამომიყვანე სუყველა, ვინც არიან მაგენი, ინვალიდებს რაფერ მოვუარო, რათ მინდა მოვლა. ადამიანის ფასი კაპიკია იქა. იმიტო იყო, რომ სიკ-

ვდილი რა ჯანაბაა. ეჰ, წევიდა, გადავარდა. დაბომბეს და ჩაძირეს. ყველა დაიღუპა წყალში.

— ამ სოფელში სად მიაგნეს რუსებმა, ვინც გინდათ, წამოდითო.

— არა, არა, როგორ იყო, იცით? იყო პროპაგანდა. იყო ქაღალდები გაკრული ყველგან: Родина ждет вас... ნატაშა მშვენიერი გოგონა იყო. პატარა იყო, ჩემზე 2–3 წლით უმცროსი. უკრაინელი იყო მაგი და გერმანელებმა მოკრიფენ ახალგაზრდობა, ჩამოიყვანენ და ეძახდნენ „აღმოსავლეთის იაფ მუშებს“. მე რომ ჩამოვედი საქართველოში, არ ვიცოდი. მე მაგას ვეძებდი საქართველოში. თუ გაჰყვა იმ ქართველ კაცს, აქ იქნებიან სადღაცა-თქო, ვფიქრობდი. ვეძებე.

ეს ამბავი მერე გავიგე... ახლა ჩემი ამბავი.

— მოგვაგროვა სულყველა დათაშკა კავსაძემ და გვითხრა, რომ ესეთია მდგომარეობა, ეხლა მივდივართ სამშობლოში. ყველა თავისუფალი არისო, ვისაც გინდათ, წახვალთ, ვისაც არ გინდათ, ნუ წახვალთ; ვერავინ ვერ დაგაძალებსო. თუ გინდათ წასვლა, ა, ცალკე დადექითო და თუ არ გინდათ წასვლაო, იქეთ მხარესო. გეიყო იქით-აქეთ და ყველას უნდოდა, საქართველოში ჩასულიყო: დედა ენახა და მამა. კი მაგრამ, ლაპარაკი იყო ამაზე, რომ ნაღდად ჩავალთ? საქართველოში? არ იყო ზუსტი პასუხი. აპა რა, როგორ არაო. ზუსტად მაინც არავინ იცოდა. მარა პროპაგანდა და პროპაგანდა: Родина ждет вас...

— თქვენ რატომ არ დაიჯერეთ ეგ ამბავი რომ — Родина ждет вас...

— რატომ არ დავიჯერე? როგორ არ დავიჯერე. წამოვედი მე. უნდა მენახეთ სუყველა საქართველოში. ერთ ადგილას ღამე გავჩერდით, გლეხის სახლი იყო. ცხვრებიცა ჰყავდა და ყველაფერი. იქ გავათენეთ, ეშალონივით ვართ. ერთი ასი კაცი ვართ, 150.

— ვინც არ დაიჯერა?

— ვინც არ დაიჯერა ბევრი არ იყო, ცოტა იყო და ისინი არ წამოვიდნენ ჩვენთან. ქართველებიც იყვნენ. **კარლო ინასარიძე?** ინასარიძე, ისიც იქ იყო და ის დარჩა. სად ვიყავი? **მეცხვარესთან**. ხო, ხო, გლეხთან ვიყავით, იქ ვცხოვრობდით და მეორე დღეს, დილით ბურთი მეიტანა ვიღაცამ და დევიწყეთ ბურთი. აბა, ვის გინდათ ბურთის თამაში... ჩვენ იტალიაში დაგვტვირთეს დიდ მატარებელში, სატვირთო მატარებელში. დაკეტეს კარებები. დაიძრა მატარებელი და გვითხრეს: ბანაკი გადადის სხვა ადგილასო. არ გვითხრეს, სად და როგორ. ერთი სიტყვით, ვიარეთ, ვიარეთ. ბერიკაშვილი იყო ქუთაისელი. გვიყვებოდა ანეგდოტებს. მთელი ღამე გავათენეთ ანეგდოტებში და ხარხარში.

— ბერიკაშვილი იყო თუ ბერეკაშვილი. იმერლები ქუთაისში ბერეკაშვილები არიან.

— აი, ეგ იყო. ისეთი ენა ჰქონდა, მაგარი კაცი იყო. რიჟრაჟია. გათენდა. მატარებელი ერთ ადგილას გაჩერდა. არც ქალაქი ჩანს, არც არაფერი. ტყე არის ერთ მხარეს, მეორე მხარეს — მინდორი... რატომ გაჩერდა? ვდგევართ. გარეთ რაღაც ხმაურობაა. ვიღაცა აღებს წინა კარებს. აგერ, მოვიდნენ ჩვენთანაც, გააღეს კარები, და ძირს დგანან ორი ავტომატიანი: -Ану, продажные шкуры, вылезайте. წარმოგიდგენია? წაგვიყვანეს. ხოდა, ეხლა ჩავამატებ, დამავიწყდა, რომ მეთქვა. დილით რომ ავდექით, ესენი გვყარაულობენ, ვენგრიაში ფერმერი ვინც არი, შემოღობილი აქვს თავისი ეზო. კარებია გასასვლელ-გამოსასვლელი, საცა ურემი გავა. გარშემო ჰყავთ ავტომატიანები. ბურთის თამაში დავიწყეთ. მოხდა ისე, რომ ორმა ერთად დაარტყა ბურთს ფეხი ერთდროულად და ბახ. გასკდა. კამერა შიგ გასკდა. ხოდა ეეე, გათავდა ბურთის თამაში. მერე ახალი დაწყებული გვაქვს, ხო იცი, აზარტში შევდივართ, ბურთის თამაშის. მერე გამოვიდა ერთი კაცი და თქვა, რომ აგერ, იქ არისო танкавой ნაწილი. გაგიკეთებენო. მაგათ აქვთ რეზინები, გაგიკეთებენო. წადითო. წამოგვყვა ერთი რუსი ავტომატით და წევედით იქა. გზაში რომ მიედიოდით, იქნებოდა ესე კილომეტრნახევარი, ორი. უცებ ღრუბელი მოვიდა, წვიმა ჩამოუშვა; გავიქეცით, რომ არ დავსველებულიყავით და ორსართულიანი სახლი იყო და იმის ქეშ გადაფარებული რომ არის, იქ შევედით. ფანჯარა ღიაა იქ, პირველ სართულზე. ვიღაცა უჩხიკინებს აკორდეონს. ეტყობა, არ იცის და რას აჭყიპინებს. მე ვუთხარი: — Эй ты, дружок, не знаешь, это так играет? Нет, черт его. Гармошку хорошо играю, а это не знаю. მე ვუთხარი: Дай сюда. მე ვიცოდი დაკვრა აკორდეონზე და „სულიკო“ დავუკარი, ქართული ცეკვების მელოდია დავუკარი, რუსულიც დავუკარი. მაღლა ვიღაცა ყოფილა, იქა, გენერალი აღმოჩნდა. ქართველი კაცი; გაიგო, იკითხა, ვინ არის, რო უკრავს იქაო, Позавите — დაუძახეთო. დამიძახეს. ევედი მეორე სართულზე. მითხრა, ვინა ხარ შენო. მე ვუთხარი: ფუტკარაძე ვარ, ალექსანდრე. აქ რას აკეთებო? არა, ჯერ მითხრა: — ფუტკარაძე ხარო? დიახ, მე ვუთხარი. აქ რას აკეთებო? მე ვუთხარი, აი, ტყეეობაში ვიყავი და მივდიევარ სამშობლოში.

— ერემია ფუტკარაძე რა არის შენი? ვუთხარი, მამაა ჩემი. მერე ვინ წამოგიყვანა აქამდე, მაგათი დედა და მამა... მე ვუთხარი, ომი და... რა გინდოდა, სად მიდიოდიო. მე ვუთხარი, ბურთს ვთამაშობდი... კარგიო, მოდი დაუკარიო, გაახალისე ჯარისკაცებიო. ვუკარი. წამოსვლის დროს მითხრა: შენ სამშობლო არა გაქ. წადი, თავს უშველე, ამაღამვე, **ამ სიტყვას ხაზგასმით იტყვის**. მიტო, რომე ხვალ წაველენ, მთელი „სასტავი“ გადადის და რამდენი შიგნით შეხვალ რუსეთში, მერე უფრო ძნელი იქნება. ახლა უშველე თავს!

— არა გაქვს სამშობლო, ნუ გეშინია, წადი და იცხოვრე! გამოე-

ბრუნდი. გვარი ვიცი, მაგრამ შეფიცული მაქვს. ასე მითხრა: ჩემი გვარი არავინ უნდა იცოდესო, შენს გარდაო. სანამ ცოცხალი ხარო. რომ მოკვდებიო, მაშინ თუკი გაიგებენ, სხვა საქმეაო. იმას არ ეგონა, თუკი დღეს აქა დემოკრატია იქნებოდა... მე შევფიცე იმას... მამაჩემის ხნის იყო, ცოცხალი არა მგონია... მე მისი გვარი რომ ვთქვა მაინც, ეს იქნება შეცოდება. სანამდის კიდევ იყო კომუნისტები, უბედურება იქნებოდა, რომ მეთქვა მე, შესაძლებელია, ახლა უფრო ადვილი იყვეს, შეფიცული მაქვს. უნდა მოვიხსნა ეს ფიცი უფალთანაც და მერე გეტყვით...

— როგორც თქვენ გნებავთ, — ვეუბნები მე..

— ეს ბურთი გაგვიკეთეს. წამოვედით უკან ნაშუადღევს.

— ეს რომელ ქალაქში ხდება?

— უნგრეთში; ბუდაპეშტის ახლოს ქალაქია. 15 კილომეტრშია ბუდაპეშტიდან, თურმე ჩემი ძმა იქვეა, ბუდაპეშტში. ჩემი ძმა იყო სერჟანტი, გამოვიანგარიშე ზუსტად. იქ იყო.

— ანუ ის არის საბჭოთა ჯარში, თქვენ — აქეთ.

(უცნაურია, უკვე მეორე ქართველისგან, მეორე ემიგრანტისგან ვისმენ თითქმის „იმავე“ ამბავს. ნუთუ, ასე „ჩვეულებრივი ისტორიაა“ II მსოფლიო ომისთვის? ამას ჩემთვის ვფიქრობ. რასაკვირველია, ხმამაღლა არ ვიტყვი).

— დიახ, ის იქ იყო, მე აქეთა ვარ. ერთ ქალაქში ხო, ერთ ქალაქში.

— და ეს 1945 წელია.

— დიახ, 45 წელი... მერე ერთი კარლო იყო, ცალთვალა კარლო, გვარი მაგიწყდება ხოლმე. იმასაც ჰყავდა რუსის ქალი, ისიც იმავე ლაგერიდან იყო, ის ჰყავდა ცოლად და ორსულად იყო. არა ჰყავდა ბოვში ჯერა. თქვა რომე, მეც დარჩენა მინდაო. მე ვუთხარი, ქალო, რას ფიქრობ, ასეთ მდგომარეობაში, ბოვში რო გეყოლება-მეთქი. არაო, მე დარჩენა მინდაო; ჰოდა, რა ექნათ, ეხლა-მეთქი. უნდა დავითესოთ თორემ, იმ ღამეს... მთელი კონცერტია მაგი, ჩემი გამოსვლა ლაგერიდან. ღამეა. კარლომ მითხრა გამოდი, რომ დაბნელდებაო. ამა და ამ სახლში ვიქნებიო, იქნებ იქ არის ჩემი მეუღლეო. მოდი და ერთად წავიდეთო. ავდექი მე და გამოვედი ეხლა. გამოვედი ნელა. ჰოპ, შემხვდა ყარაული. Куда ты — მითხრა. მე ვუთხარი: გავალ მაღაზიაში, სიგარეტს ვიყიდი. Нет, заиди! быстро! быстро, отайди! — მითხრა. მივბრუნდი მეც უკან. რა ვუყო, რა ჯანაბა ვუყო. შემოიყვანა შიგნით და დააყენა ყარაული. სანამ ის კაპიტანი არ მოვაო, მანამდე იყვეს აქო. ხვალ დილამდე. უნდა გავიდე. აქედან უნდა გავიდე. მეტი გზა არა მაქ. ეს კაცი დადის იქ, წრეს არტყავს, რა ვუყო ახლა მე. ვფიქრობ, ვფიქრობ და მე ვუთხარი: — Дружок, - Что такое. -В туалет хочу идти. ტუალეტი ღობის ძირას იყო გათხრილი. მიწა გათხარეს.

რომ მივედით ჩვენ საცხოვრებლად, დავრჩით 2–3 დღე და ამიტომ გათხარეს იქ მიწა და გააკეთეს ტუალეტი. ხოდა, ეუთხარი და Ну, сейчас არა? მე ეუთხარი, ეჭამე რაღაც და მუცელი... Хорошо, хорошо მომყობა. Иди. მომყობა. მოვიდა ახლოს. ესე, აქედან და **მანძილს მიჩვენებს** მიყურებს იქიდან. ავდექი მერე, წამოვედი. გავიდა ერთი საათნახევარი. მე ეუთხარი: – Товорищ, еще хочу. Ну что, что с тобой. მე ეუთხარი: -Что мне делать, что-то кушал... Ну хорошо, иди გამომყვა... ეხლა ამოდენა კი არა, ცოტა მოუმატა (**მანძილს გულისხმობს – რ. ნ.**) იმიტო, რო მენდობა უფრო. დაებრუნდი, მოვეწყვე. გაეიდა საათნახევარი და მალე დილა იქნება, უნდა მოვასწრო. ავდექი და ისევ: – Дружок, – Черт с табой, остав мсня спокойно. – Иди, წაეედი მე. ის კარებთან დარჩა და აღარ მოდის. არ ინძრევა. მიყურებს. ბნელა გარეთ. სინათლე კი არ არის, მაგრამ ეს სინათლე, ამისი კარების სინათლეა, აქედან შიგნით. დგას. მივედი თუ არა, რაც ძალა მქონდა და ღონე მქონდა, ზაბორი იყო, ცემენტის ზაბორი, ავხტი ზედა, როგორც ციყვი ისე, გადავხტი მეორე მხარეს. ხმა იყო. ვიღაცამ გაიგო. პატრულმა იყვირა. გაისროლა ერთი, ორი იმიტო, რო შეეშინებიე... ვერ მხედავდა. ვერც მე ვხედავდი. გადავცოცდი, გადავცოცდი, გავედი. გზა გადავჭერი. ვიღაც ყვირილით მოდის, – პაჰ, პაჰ, პაჰ. მოდის ფაეტონი, ვიღაცა რუსის მთვრალი. ვიფიქრე, ამას რა ვუყო მე. კანავო იყო, გზის ნაპირზე, რაღაცა წყალი იყო და ჩავემხე პირდაპირ, იმიტომ, რომ ფარნები ხომ აქეს ფაეტონს იქით-აქეთ, შუქია – დამინახავდნენ, იტყოდნენ: ვინაა, ეს. სამხედროებია. გადავრჩი. მოვედი კარლოსთან, იმასთან სახლში, მე ეუთხარი: გამოდით, ჩქარა წევიდეთ, გამოვიდნენ. რა ექნათ, გაეჩერდით. გზაზე კი არა, სიმინდებია, სიმინდებში გავედით, გავედით და ტყე იყო. ღამით მივდიოდით, დღე ვისვენებდით. ვჭამდით ლეღეს, ყურძენს ზოგ ადგილებზე. უკვე ზაფხული იყო და ზოგან იყო ვაშლი, ხურმა. ჩავედით ავსტრიაში. მოვუნდით 3–4 დღე, სანამ ჩავიდოდით... მოვედი ავსტრიაში. აი, იქ კარლო იყო ინასარიძე. მაშინ არ ვიცნობდით ერთიმეორეს. ვკითხე: – აქ რას აკეთებ? ჩამონგრეული იყო მთელი კუთხე. უკრაინელების ლაგერი იყო, ამერიკელები აძლევდნენ საჭმელს. მითხრეს, მიდი იქაო და იქ ჩავეწერე. კარლოც იქ იყო ჩაწერილი. დავრჩით მანდ ალბათ, ერთი 6 თვე, მერე გადავედით მიუნხენში. ავსტრიიდან ბავარიაში შევედით. ბავარიაში ვიყავი, ეცეკვავდი; ნოვიკოვი იყო მომღერალი ებრაელი, რუსი. თამარა, მისი მეუღლე იყო, ბალერინა, ცეკვავდა ბალეტში.

– Тамара Новакова?

– დიახ. კიევის ოპერის პრიმა ბალერინა – ლუსია ლუზგინა ისიც ამ გრუპაში იყო. გამსინჯენ, ვიცეკვე. მიმიღენ მე მაგათ და თქვეს: – ო, ჩვენთან მოდი. ოთხი წელიწადი ვიყავი... წასული ვი-

ყავით გასტროლებზე. ჩამოვედით, შევხედე აფიშას; ვიღაცა ხატია, თითის წვერებზე დგას.

— ეჰ, — მე ვთქვი, ეს ქართველი საიდან მოიტანეს აქ. წავიკითხე მერე. კონცერტია. წავედი. ენახე. ქართული ცეკვა იცეკვა. პეტია იყო. მივედი და მითხრეს, ჩამოდიო ხვალ და გვაჩვენე შენი ცეკვაო. რო ნახეს, მერე მეეწონათ, მიმიღეს მერე გრუპაში. ოთხი წელიწადი ერთად ვიყავით. დავდიოდით კონცერტებზე ერთად მიუნხენში. ჩამოვდიოდით უკან.

ოთხი წელიწადი მანდ ვიცეკვე.

— ეს ბოლო ანსამბლი ქართულ რეპერტუარზე (პროგრამაზე) იყო მხოლოდ აგებული, თუ მაინც ზოგადად...

— ეს იყო უკრაინული ბალეტი. იყო სიმღერები, კარგად მღეროდა ჩვენი ხელმძღვანელი. იყო, ასევე, სპორტული...

— აკრობატულ ნომრებს ასრულებდნენ?

— ო, ო, ზუსტად, აკრობატულ ნომრებს. ცოლ—ქმარი იყო. ბორია ნიმიროვ. ცოლი ჰყავდა ბალერინა, თვითონ მღეროდა, ამერიკულ „O, my river" **ღიღინებს მელოდიას მწყობრი ტაქტით.** ასეთი რაღაცაა. ბარიტონი, კარგი ხმა ჰქონდა.

— სად ცხოვრობდით ამ დროს?

— მიუნხენში ბინას ვქირაობდი. მე ბინა მქონდა, მშვენიერი ბინა. მოწყობილი.

— მოდით, დავაზუსტოთ. ამ ანსამბლში თქვენ გარდა ქართველი კიდევ იყო?

— არა, გრუპაში არ იყო. მარტო მე ვიყავი. უმეტესობა უკრაინელები იყვნენ.

— კარგით, მაშინ ასე ვთქვათ, იმ პერიოდში ამ ქალაქში სხვა ქართველები ვინ იყვნენ, ვის გაიხსენებდით? სოსო ჟორჟოლიანი ხომ არ იცით, მეუღლე გერმანელი ჰყავდა, წერდა ლექსებს.

— დედა, რაღაცა მახსოვს, მახსოვს... მიუნხენში იყო ღოღობერიძე, ცოლი ჰყავდა, გოგონაც ჰყავდათ. მეუღლე გერმანელი ქალი იყო, ჩემპიონი იყო იმისი ping-pong... მერე — დუმბაძე შოთა.

— შოთა ბერეჟიანი, ან სიმონ ბერეჟიანი ხომ არ იცით? ვცდილობ, ჩემთვის ცნობილ გვარებზე ვკითხო. ქართველები არ უკავშირდებოდით ერთმანეთს, თუ არ იყო ამის საშუალება?

— ნაკლებად. გერმანიაში დიდხანს არ ვყოფილვარ, მაგრამ რაც ვიყავით, არა ვხვდებოდით. იქ იყო ყავის სახლი, სადაც ვიკრიბებოდით: ყავას ვსვამდით, კარტის თამაში... ყოველდღე ვიღაცა გამოიცვლიდა.

— მიუნხენში ხდება ეს ხომ?

— დიახ.

— იმ ყავახანას რა ერქვა, ან რომელ ქუჩაზე იყო, ხომ ვერ გაიხ-

სენებდით?

— ეს იყო შილინგ შტრასსე. მე მგონი, სადგურთან ახლოს იყო...

მე და კარლო ვიყავით ერთად.

— რომელი კარლო, ცალთვალა თუ ინასარიძე?

— ინასარიძე.

— ბატონი კარლოც თქვენთან იყო? ცეკვავდა?

— არა, იქ ბავარიაში კარლოს არ უცეკვია. კარლომ დაიწყო მუშაობა Vois of Amerika.

— დიახ, რადიოსადგურ „ამერიკის ხმაში", მერე დიდი ხნის განმავლობაში — ხელმძღვანელიც იყო.

— ხო, ხო. დიახ. იცით ხომ?

— კი, როგორ არა. ვიცი მისი ბიოგრაფიის შესახებ. წიგნებიც — მისი „რადიომეტყველება", „ფილმისმეტყველება" არა მხოლოდ ნანახი, წაკითხული მაქვს. ძალიან დიდი არქივი „ამერიკის ხმის" ქართული რედაქციის მან აჩუქა ქართული ემიგრაციის მუზეუმს. მთელი ფონდი „ამერიკის ხმის". უზარმაზარი მასალა...

— მართლა?...

— მინდა გკითხოთ, როგორ გაგიჩნდათ სურვილი, დაგეტოვებინათ ეს ყველაფერი და ამერიკაში წასულიყავით. რატომ გაჩნდა ეს აუცილებლობა?

— ნიუ—იორკში იყო ქართული ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციის პრეზიდენტი იყო ლეო დუმბაძე. გაიგეს მე მოცეკვავე ვარ. თქვეს, რომე აქაო, გეჭირდება ჩვენ ასეთი ადამიანიო.... ხო იცი, შვილები ჰყავთ, შვილიშვილები ზოგიერთს და... რაღაცა ქართული... და როგორ გინდაო, გსურს აქ ჩამოხვიდე, ამერიკაშიო. მე ეუთხარი, თუკი საშუალება იქნება, რატომ არა? ჰოდა, გამომიგზავნენ ვიზა. ჩამოვიდა ვიზა. ერთი ჩემოდანი ქე მქონდა მე, ჩოხა, ახალუხი.

— ფანდური?

— ფანდური იქ დავტოვე და მერე კარლომ გამომიგზავნა და დაიმტვრა. წინა ის მოტეხილი იყო.

— სიმების დასაჭერი?

— ხო... და ჩამოვედი ამერიკაში.

— პირველად რომელ ქალაქში?

— ნიუ-იორკში. ნიუ-იორკში ჩამოვედით გემით. გემის სახელი იყო „გენერალ ხან".

— ჩახვედით ნიუ-იორკში?

— ჩავედი ნიუ-იორკში. გადმოვედი გემიდან. ვიყურები იქით-აქეთ. არავინ. კაციშვილი არ მიცნობს. უნდა ვიღაცა შემხვედროდა. კაციშვილი არ ინძრევა. არაფერი. რა მოხდა, რა დაემართათ, შეეშალათ? გავედი. Kofeshop ყავახანა იყო. ავიღე ერთი ჭიქა და კაცი ზის იქა

წვერებიანი, სათვალე უკეთია. მიყურებს. მერე მითხრა, რუსულად მითხრა: Ты сейчас приехал на этом карабле? მე ვუთხარი: –Да. –Ты кто? –Я грузин. –ქართველი ხარ? –დიახ. გამეხარდა, ქართულად რომ მითხრა და მერე მითხრა: – ფუტკარაძე ხარო. მე ვუთხარი, ხო, ფუტკარაძე ვარ და რატომ არ იღებ ხმას, მე კინაღამ დავჯექი გემზე და უკან უნდა წავსულიყავი-მეთქი. იცინის. ეს მოხუცებული კაცი იყო კოლონიის ფინანსთმაისტერი. იმერელი კაცი იყო, გვარი აღარ მახსოვს.

– თქვენ შემთხვევით რომ არ შესულიყავით იმ ყავახანაში, ალბათ, ვერც შეხვდებოდით?

– ალბათ, მე ბევრი მიფიქრია მაგ ამბავზე, მაგრამ რას უცდიდა, არ ვიცი. ალბათ, უცდიდა, მე რას ვიზამდი. როგორ იმოქმედებდა ჩემზე ეს... ყავახანა ძირს არის, ცალკე შესასვლელი არ არის, გახსნილია. შენ მიადგები და მოგცემენ ჭიქით.

საუბარს მეორე დღეს ვაგრძელებთ. აგარაკზე ვართ. წამოვედით საგურამოში. ფირს ჩიტების ჭიკჭიკის ხმაც დაუფიქსირებია, ფონად რომ მიჰყვება ჩვენს საუბარს.

– ამერიკაში ჩახვედით, მერე როგორ გაგრძელდა...

– დუმბაძემ მნახა, გავიცანი, ვილაპარაკეთ; მკითხა, ვინა ვარ, რას ვაკეთებ, რა შემიძლია. სხვათაშორის, მანქანაში ვზივართ. იმას ჰყავდა 48 წლის „კოსმო“. მე 1950–ში ჩავედი აპრილში, წლინახევრის იყო ეს მანქანა, ახალი მანქანა. ხოდა, ვზივარ გვერდზე, იმას მიჰყავს. წვიმიანი საღამო იყო. ვლაპარაკობთ: რა შემიძლია გავაკეთო. მერე მკითხა: – მანქანა? – კი, მე ვუთხარი, მე ვატარებ მანქანას.

– შენ იცი მანქანის ტარებაო? მე ვუთხარი: – კი. მისია მანქანა. გააჩერა. გააღო კარები, ჩევიდა წინიდან, მოუარა მანქანას, მოვიდა ჩემთან, გააღო კარები. მითხრა: – მიიწი იქითო, საჭესთან. ამ მანქანას მთლიანი სკამი აქვს, მიიწიო. გასაღები შიდ იყო და მითხრა, წადიო. ჯერ ვკითხე, სად რომელია: შუქი, წყალი... დავქოქე. მეუბნება: – აბა ის გააკეთე **ნიუ-იორკში?** პირდაპირ ნიუ-იორკში, აპა... **ვიცინით.** ევროპაში მანქანა არ მყოლია, მყავდა მოტოციკლეტი, კალიასკით. მოკლედ, ჩავატარე ყველაფერი კარგად და მითხრა „молодец“–ო, მოეწონა. აუცილებლად გიშოვი სამუშაოსო. მეორე დღეს მოვიდა ჩემთან და წამიყვანა. უნდა გავაკეთებიოთო მოწმობა, **ამას დუმბაძე აკეთებს ყველაფერს?** ჰო, დუმბაძე. წევედით. ჯერ გავიარე შემოწმება, ჩამსვეს მანქანაში და: მარჯვნივ, მარცხნივ. მე ვუთხარი დუმბაძეს ზოგიერთი სიტყვები არ ვიცი, ახალი ჩამოსული ვარ; ვიცი მარტოკა გამარჯობა-გაგიმარჯოს, როგორ ბრძანდებითმეთქი. გათავდა. ნუ გეშინიაო. უკან ზის თვითონ და ის რომ იტყვის მარცხნივ, ეს ლეო მითარგმნის მე, მარჯვნივ მოუხვიე, აქ გააჩერე.

წადი. ჩაეაბარე კარგად. OK; გარეთ გაკეთებული იყო თხელი ფიცარიევით, რომელზედაც ეწერა: ეი, ბი, სი, დი... ჯოხი უჭირავს ხელში. დაადო. რა ასოა ესაო: A, B, C, D... მე არ ვიცოდი ეი, ბი... What? მოდი აქაო, მითხრა. წადი, ეხლა შენ, ისწაელეო ჯერ ეი, ბი, სი და მერე მოდი ჩემთანო. არ მომცა მოწმობა. წეევდი. სამ კვირაში ვისწაელე ეი, ბი, სი... სამ კვირაში ზეპირად ვიცოდი. ღამე რო გაგეღვიძებიე, გეტყოდი. ავიღე – მართვის ნება მომცეს. გარაჟებია ნიუ-იორკში მანქანების დასაყენებელი, როგორც სან-ფრანცისკოში. ადგილებია, საცა მანქანების დაყენება შეგიძლია, ფული უნდა გადაიხადო. ზოგიერთ ადგილას ქუჩის ორთავე მხრიდან აქვთ დასაყენებელი. აი, აქ სჭირდებოდათ ადამიანი: გადააყენებდა და გადმოაყენებდა. ამასობაში გამოჩნდა სხვა სამუშაო, ეძახიან Big Jonn – დიდი რესტორანი, იტალიური რესტორანია –დაუნ თაუნ, ნიუ-იორკ ბიგ ჯონ. მიმიყვანეს იქა. მივედი და დიდი კაცია. ულვაშებიც აქვს... **ინგლისურად იმდროინდელ დიალოგს აღადგენს...**

სპაგეტის რო აკეთებენ, სპეციალური ხელსაწყოები აქვთ, ის გაზეთილია. არ რეცხავენ, იმიტომ, რომ გემო გაუფუჭდება. ვმუშაობ. დავიწყე მუშაობა. სარდაფში ჩავდივარ, რაღაცეები ამომაქვს. ვირთხები დარბოდენ ბევრი... მაგრამ ამ რესტორანს ისეთი მაგარი სახელი ჰქონდა, ყოველ საღამოთი, ვახშამზე გაჭედილი იყო ხალხით. იტალიელებით განსაკუთრებით. მე ეხლა მთელი დღე კი არ ვმუშაობდი იქა, ნაშუადღეეს მივდიოდი, წინა საღამოს ნაჭამ დაგროვილ თეფშებს ვრეცხავდი და მერე დავიწყებდი ახალს. ვმუშაობდი 5 საათი დღეში. 5 დღე კვირაში, შაბათ-კვირას ღია არ იყო. ერთ დღეს მოვედი, დეევიწყე მუშაობა. გავრეცხე ყველაფერი. ერთი ტაფა აქეთ იყო გადმოდებული. ჩემს მხარეს. ვიფიქრე, ალბათ, ამას უნდა გარეცხვა, იმიტომ გადმომიდეს. ავდექი და დავრეცხე კარგად. დავახვანხვალე ყველაფერი, საპონი... მივდგი, რო გაშრეს. მოვიდა ჯო, იყვირა: – ვაუ. -რა დაემართა ამ კაცს? მივედი. -მე ხომ გითხარიო, არ მოკიდო ხელიო. მე ვუთხარი, ტაფა აქ იდო და ამიტომ გავრეცხე. სამი წელიწადი დამჭირდა გამეკეთებია ეს გემო! იგი არ ირეცხება, მარტო მოწმინდავთო.

– სამი წლის განმავლობაში ის ტაფა არ გარეცხილა?

– ასე მითხრა. მე დავკარგე სამუშაო. წადიო, მითხრა. შენ ჩემი არ გჯერავსო. იმას ეგონა, დაავიწყდა, ხანშიშესული იყო და გადმოდგა ისე, ან შეიძლება არ მოვწონდი... რასაც ვნახავდი, შეიძლება გამეკეთებია, რაც არ იყო ჩემი გასაკეთებელი და იმათ ქე მოწონდათ ეს ამბავი. ვაკეთებდი საქმეს, მაგრამ ალბათ, ვეჩხირებოდი თვალში... მორჩა. დამეკარგა სამუშაო. დავდივარ იქით-აქეთ. ვნახე ადგილი, სადაც უმუშევრები მიდიან, რეგისტრაციას აკეთებენ, რათა მერე მთავრობიდან მიიღონ ფული. მივედი ახლა მე იქ. არ გამიკე-

თეს. მოვიდა ერთი კაცი. შემომხედა. რატომ იცი? მაცვია მე პიჯაკი და შარვალს ეძახდნენ–კნიკი-ბაკა. გაგიგიათ? აი, აქობამდეა **ხელით მიჩვენებს**. მოჭერილია და ფოლაქი აქ ზედ. ნასკი გაცვია აქობამდე და ეს შარვალი აქ ჩერდება. სპეციალურად შეეაკერიე მიუნხენში.

— მოდაში იყო?

— აპაა, მოდა იყო. კნიკი-ბაკა. მოვიდა ეს კაცი და შემომხედა. ამხედ-დამხედა. მითხრა, შენ ევროპიელი ხარო, გერმანულად. მეც ვუპასუხე: — დიახ. რა ენაზე ლაპარაკობო, მე ვუთხარი: — ქართულად-თქო. Ты грузин? — მითხრა რუსულად. Ты грузин? რუსი ურიაა Да — მე ვუთხარი. რას ეძებო? Что ты делаеш здесь? მე ვუთხარი: — Хочу работать. — У тебя семья? მე ვუთხარი: — Нет, только я один. —Ты будешь работать, если я повызу, с собой? —Если есть работа, я пойду კარგი აბა, წამოდი ჩემთან ერთადო. წავედი. ჩამსვა მანქანაში. შევედი, საცა მე ვცხოვრობდი, იქა. იმ ქალს ელაპარაკა, აფრიკელი გოგო იყო, რომელიც მენეჯერობდა. თუ გადასახდელი იყო რამე, გადავიხადეთ და წამიყვანა. ეძახიან „კაცკილ მაუნტონ" — კაცკილის მთები. ნიუ-იორკიდან არ არის შორი, ამ კაცს აქვს პატარ-პატარა სახლები. კაი ადგილები. წინ მწვანე, ბალახები, რაღაცეები. ჩამოდის ხალხი ნიუ-იორკიდან მთელი ერთი კვირა, ან ორი კვირა, ხანდახან მთელი თვე. აგრეთვე არის ორი ტბა. იქავე, ძირს რომ ჩამოხვიდოდი, თითქმის ნახევარ კილომეტრზე ორი უზარმაზარი ტბა იყო, გაწკრიალებული წყალი, ბანაობაც... მაჩვენა, მითხრა, რომ აი, ეს არის გასაკეთებელი ეს, ეს. ყველაფერი უნდა მოვამზადოთო, სანამდი გაიხსნება. აპრილის თვეა, მე რომ ჩამოვედი. 7 აპრილს ჩამოვედი. 7 აპრილი იყო აღდგომა, ქრისტეს აღდგომა. მომეწონა ადგილიც. სუყველაფერი. ვეხმარები ამ კაცს, რაც იქნება: ბალახი მოსაჭრელი, გასათხრელი, შესაღები; რა ვიცი, სუყველაფერი. მისულა ლეო დუმბაძე. ლეო იყო პრეზიდენტი იმ ორგანიზაციის. მისულა დუმბაძე იმ სახლში, სადაც ვცხოვრობდი და სადააო ალექსიო, ფუტკარაძე სად დეიკარქაო, ველარ ვხედავო, წავიდაო? წავიდა სამუშაოზეო, იმ ქალს ელაპარაკა. მე არ ამიღია ნებართვა, ისე წავედი. ენა არ ვიცოდი და ეს კაცი შემხვდა რუსი და კარგია.

— დუმბაძე როდინდელი ჩასულია? როგორც ვხედავ, არაა II მსოფლიო ომის დროინდელი?

— არა, ეს იყო რევოლუციის შემდეგ. ყორდანია რომ წამოვიდა, მაშინ წამოყვა იმას. ახალგაზრდა ბიჭი კი არ არის, კაი ხნიერი კაცია, ცოლი ჰყავს და შვილები ჰყავდა. მონახა ტელეფონი, ნომერი გაიგო ჩემი და რეკავს. — მოდი, მოდიო, შენი უფროსი რეკავსო. — გამარჯობა. — გაგიმარჯოს. — როგორა ხარო? — რა ვიცი, კარგად. — რას აკეთებო, მითხრა, ბიჭო, მანდაო? — მე ვუთხარი, ამას ვაკეთებ, ამას... მერე მითხრა, რამდენს ღებულობ შენ ჯამაგირს, რას

გაძლევსო. მქონდა 21 დოლარი კვირაში. 7 დღე გამოიანგარიშეთ ახლა? 3 დოლარი დღეში. ვმუშაობდი, ვმუშაობდი. დილა რომ გათენდებოდა, დაღამებამდე. მიეცი მაგ ტელეფონი შენ ხაზეინსო. ამას უთხრა, ეხლავე მიეცი, რაც ერგება ფული, უყიდე ბილეთი ავტობუსის და გამოაგზავნე აქეთო. თუ არ დავინახე ეს კაცი დღეს ჩემთან ჩამოსული, ხვალ მოვალ და გადაგწვავ მთლადო. ასე უთხრა. **ჰყვება და თან იცინის.** მე ვუთხარი: – რა ქენი ახლა, რა ქენი, სამუშაო დამაკარქიე. მასეთი სამუშაო რა ჯანაბად გინდაო. შენ გიყენებს მაგიო... გამოჩნდა კიდევ ერთი სამუშაო, სადაც იყო სამზარეულოში მუშაობა. მთავარი მზარეული ვინც იყო, იმის თანაშემწე უნდა ვყოფილიყავი, იმას უნდა მოეხმარებოდი. მასწავლა, როგორ შევწვა კვერცხები, მასწავლა დილის სიფთაზე რომ ვაკეთებთ – ბლინჩიკების კეთება.. ისეთი კარგი ვიყავი, სულ პარტყა–პურტყით ვხვეტავდი. ეს სამუშაო ძალიან მომწონდა, ყველაფერი კარგად იყო, მთელი ზაფხული ვიმუშავე და კინაღამ შევირთე ცოლი. რა მოხდა? ებრაელი იყო ეს კაცი, მაგრამ რუსულად ლაპარაკობდა. ამომსვლელები, ებრაელები იყვნენ უმეტესად, ამოდიოდნენ და ისვენებდნენ. ამოვიდნენ ტექნიკუმის მოწაფეები. კაცკილში ამოვიდნენ სამუშაოდ. დეიწყენ იქ მუშაობა. ერთი გოგონა მომეწონა მე. ხოდა, გეეეჭყანე, გამოვეჭყანე. ეს ოფიციანტკად მუშაობდა. ჩავარდა სიყვარულში. დედისერთა ყოფილა და თურმე ნიუ-ჯერსში ჰქონდა დიდი ფერმა ძროხების. კეთდებოდა ყველი, რძე, მაწონი... უთქვია დედასთვის და მამისთვის, რომ მე შეყვარებული ვარ. მე მიყვარს ეს კაცი, ახალი ჩამოსულია... კიდევ იცი, რა მოხდა? ხაზეინმა რომ გაიგო, რომ მე ვცეკვავ კიდეც, შეგიძლია, გაართო შაბათ–კვირას სტუმრებიო? მე ვუთხარი, რატომ არა, კი. მე ასე ეფიქრობდი, გაეუკეთებდი საქმეს და მე ვიცეკვებდი... ფულიც... მერე მოვიდა ორკესტრის უფროსი ვინც იყო. ყოველ შაბათ–კვირას ჩამოდიოდნენ და უკრავდნენ. მე მქონდა ნოტები, შეისწავლეს და ხოშიანად უკრავდნენ. ამ გოგოს კიდევ – მოცეკვავეც ვარ, ვმუშაობ კიდეც, ახალგაზრდა ვარ – უთქვია დედასთვის და მამასთვის. უკითხავთ: – ვინ არის, ურიაა თუ ქრისტიანი? – არ ვიციო. მე მიყვარს და გათავდაო. ჩამოვიდნენ მშობლები სპეციალურად, რომ გამიცნონ, მე ვინა ვარ. დღესასწაული იყო რაღაცა, ერთი სიტყვით, მოვიდა ეს კაცი. მითხრა: – გამარჯობა. მე ვუთხარი: – გაგიმარჯოს. რუსულად დამიწყო ამანაც ლაპარაკი. – შენა ხარ ალექსი ფუტკარაძეო? მე ვუთხარი: – დიახ, მე ვარ. – შენი დედა, მამა სად არისო? მე ვუთხარი: – ჩემი დედა და მამა იქ არიან, საქართველოში. ვუთხარი, ტყვედ ვიყავი გერმანიაში-მეთქი. მაგი ცუდი ამბავიაო. მაგან, გერმანიამ ჩვენ ყველა გაგვწყვიტაო. ცუდი საქმე გააკეთეს გერმანელებმა, მაგრამ დაკარგეს ყველაფერიო. ერთი-მეორე, ვილაპარაკეთ. მერე მითხრა, შენ რა გწამსო, რა

რელიგიისა ხარო. მე არაფერი არა მწამს-მეთქი. — ღმერთი არა გწამსო? არა-მეთქი. ღმერთი რომ ყოფილიყო, აქ ხომ არ ვიქნებოდი; დაეტოვე მამა, დედა, ყველანი, ნათესავები და ამდენი უბედურება ომის დროს. რასაკვირველია, მე კომუნისტი კაცი ვიყავი. მე რომ ჩამოვედი ამერიკაში, არ ვიცოდი, რა ვიყავი. აღარ მინდოდა მეხსენებია, რომ კომუნისტი ვარ. არ მინდოდა. იმიტომ, რომ დამეწყო ისეთი აზრები თავში, რომ ეს რა უბედურება იყო. მამაჩემის გზა... ეს კი მახსოვს, რომ ბაბუას და ბებიას გადაუკეტენ ეს აზრები. არ გვინდა, ჩვენ ვისმინოთ მაგ აზრები, — უთხრა მამამ და დამალეთ, არ მინდა, რომ დავინახო. ბაბუას, საწყალს სხვენში ჰქონდა დამალული ბიბლია. ჰოდა, შენი მშობლებიო? მე ვუთხარი: მამაჩემიც და დედაჩემიც კომუნისტები არიან. შენი ბებია, ბაბუა? ბებიას და ბაბუას ბიბლია ჰქონდათ და ქრისტიანები იყვნენ. —ისინი ქრისტიანები იყვნენო? — კი, მე მწამს, რომ იმათ ბიბლია ჰქონდათ და გვარიგებდნენ ჭკუას, რომ კარგად ვყოფილიყავით, გვესმინა ღმერთისთვის... მითხრა, შენო, ჩემ გოგოს უნდა გაანებო თავიო. თქვენი სიყვარული ახალგაზრდების მე არ ვიცი. მე რაცა მაქვსო, სულ ჩემი გოგოსთვის არისო, იმიტო რომაო, ბიჭი არ მყავსო. გოგო მყავს ერთიო. ჩემი ცხოვრება მაგისიაო. ეხლა არ დაიკარქებაო. არ მინდა, რომ დავკარქოო. ხოდა, ამიკრძალა, ნუ ნახულობო. თუ არ გინდა, რომ სიკეთე გააკეთო ჩემთვისო, მაშინ იცხოვრე, მეც მომკლავ და ჩემს მეუღლესაცო. არა, მე ვუთხარი, არც შენი მეუღლის სიკვდილი მინდა და არც შენი-თქო. ავდექი და წევედი. კიდევ მქონდა დარჩენილი სეზონის 2—3 კვირა, მაგრამ... ამ გოგომ მიპოვა მერე ნიუ-იორკში, მოვიდა და მითხრა, რას ფიქრობო, მე ძალიან მიყვარხარო. შენ რომ მითხრაო, მამას და დედას არ დავუჯერებო. მე ვუთხარი, მე დავუჯერებ! ასე მოხდა. სწავლობდა იქ კიდევ. დაამთავრე სასწავლებელი, მეც შევისწავლი ენას, — ვუთხარი მე... ხომ იცი, თვალი თვალს რო მოშორდებაო, გული გადასხვაფერდებაო.

— მერე აღარ გინახავთ?

— აღარ მინახავს.

— თქვენმა მშობლებმა საქართველოში, ისევ არაფერი იციან თქვენს შესახებ?!

— არაფერი! არა, არ იციან. არ იციან, რომ ნიუ-იორკში ვარ.

— მაინტერესებს, კომუნისტი იყავით, გწამდათ რაღაც „ახალი"... მაგრამ ეს „კომუნისტური სამშობლო" აღარ გიდებთ... რაღაც დამოკიდებულება არ გაგიჩნდათ საბჭოთა კავშირის მიმართ?

— საბჭოთა კავშირი, ეხლა როგორ გითხრა, მე რომ არ გამოექცეულიყავი, მე რომ წავსულიყავი, ის კაცი არ შემხვედროდა, რომელმაც მე მომაბრუნა და მითხრა, შენ სამშობლო არა გაქო, შენ ხარ უპატრონო, წადი და თავს უშველე, შენ მონახე პატრონი

– დედაც, მამაც, მაგრამ გათავდა აქ; შენთვის აღარაფერი აღარ არისო; ამან მე მომწყვიტა რასაკვირველია, უპატრონოდ. კი ვიყავი უპატრონო, მარა ის სტიმული, რომელიც მქონდა მე წინათ კომუნისტების დროსაც და ომშიაც რომ მოვეყვეი: ბალი მოვკრიფე და რაღაც...

– ის ფაქტები იცოდით, ტყვედჩავარდნილებს როგორ ექცეოდნენ და რა ბედი ეწიათ?

– არა, არ ვიცოდი.

– უბრალოდ, დაიჯერეთ.

– კი, დავიჯერე. და მერე იყო გაზეთებში, იწერებოდა ასეთი ამბები. რომ კომუნისტებმა ასე ქნეს... სამხედროებს ბრძანება ჰქონდათ. აი, მაგალითად, ჩემს ზონაშია საბჭოთა ტყვეები, უნდა მომეკრიფა სუყველანი და გადამეცა რუსებისთვის. წარმოგიდგენია? ასე გააკეთა სტალინმა, რომ ამერიკასაც და ინგლისსაც – ყველა გამომიგზავნე. თუ შენი იქნება, მე გამოგიგზავნი. იქ არავინ იყო, აქეთ იყვნენ სუყველანი. მერე ამათ კი შეწყვიტეს, მარა არ იყო დროზე. ბევრი დაიღუპა, ბევრმა ყელი გამოიჭრა მატარებელში, რომ გაიგენ შედიან რუსეთში, მოიკლენ თავი, ვიდრე შეეიდენ „სამშობლოში". მთელ სიცოცხლეს იქ გაატარებდა – ციმბირში. პეტრე კვინიკაძე ზესტაფონელი; ჩევედი მე სანახავად ჩემი დეიდის, დეიდაშვილების, როცა ჩავედი მე 1966 წელში, ეს პეტრე კვინიკაძე, რომელიც ჩემთან ერთად იყო ტყვეობაში, სევასტოპოლში ერთად ვიბრძოლეთ, სულ ორი თუ სამი თვის ჩამოსული იყო ციმბირიდან. წარმოგიდგენია? რამდენი წელიწადი გაატარა... მოხუცდა საწყალი.

ამას უკვე გატეხილი ხმით ამბობს, ასე მგონია, თვალებიც ცრემლიანი აქვს. უმაღლესი დამთავრებული ჰქონდა. ვერც ცოლის შერთვა, ვერც ვერაფერი, ჩამოვიდა ზესტაფონში, იცოცხლა წელიწადი, წელიწადნახევარი და მეორეჯერ რომ ჩამოვედი, მითხრეს, გარდაიცვალაო.

– ბატონო ალექსანდრე, განსაკუთრებით მაინტერესებს იმ ფილმის ამბავი. პაპაშვილი, მისი წიგნი და მთელი ის გუნდი, რომელიც ფილმზე მუშაობდა. ეგებ მიამბოთ, თავად წიგნის შესახებ რა იცით: როგორ იწერებოდა, როგორ იქცა ამერიკაში ბესტსელერად, რამდენად პოპულარული იყო. რამდენ ენაზე ითარგმნა და ჰოლივუდი როგორ დაინტერესდა მისით. მე მგონი, ძალიან ბევრი კითხვა დავსვი. ერთდროულადაც. ბარემ ყველაფერს გეტყვით, რაც ამის თაობაზე ვიცი. ფილმში ქართული სიმღერების მელოდიები და ცეკვებიც იყო გამოყენებული და კომპოზიტორი იუნგი იყო. შინაარსიც გვიამბოთ ეგებ.

– როცა ჩამოვედი, მოვიდა გიორგი პაპაშვილი, მანამდე ვიცნობდი მას.

— როგორ გაიცანით?

— იყო იქ ერთი კახელი კაცი, რომელსაც ჰქონდა საბურავების საამქრო, საბურავებს არემონტებდა: რომ ფუჭდებოდა, შიგნიდან კერავდა, გარედან აწებებდა... ვიღაცამ მითხრა, მიდიო იქა და შეიძლება, რაიმე სამუშაო მოგინახონო. მივედი იქა და გავიცანი გიორგი პაპაშვილი.

პაპაშვილი იყო გლეხი. ქართულსაც ვერ ლაპარაკობდა ხეირიანად და წერა... პაპაშვილს ჰყავდა ცოლი, ამერიკელი, რომელიც იყო ჟურნალისტი. ყველაფერს, რასაც ის ლაპარაკობდა, ეს თარგმნიდა, ელენა წერდა. მგონია, რომ ლონდონიდან იყო წარმომავლობით, რომ ლაპარაკობდა სხვაგვარი ინგლისური იყო, ამერიკელები უფრო სხვანაირად, ჩქარა... ამ ქალმა გაუკეთა ყველაფერი. წიგნი გაიყიდა ინგლისურ ენაზე, რუსულ ენაზე, სხვა ენებზეც გაიყიდა.

— ქართული თარგმანიც არსებობს იმ წიგნის? — ვეკითხები და მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცი, რომ არსებობს. არსებობს და ვნახავ კიდეც.

— არსებობს.

— რას ეხებოდა ზოგადად. მოკლე სიუჟეტი თუ გახსოვთ.

— სასაცილოა. სასაცილო. ეხლა მაგალითად, აქვთ ფურნე, სადაც აცხობენ პურს. ქართულ პურს.

— ანუ, ეს ქართულ სინამდვილეზეა გადაღებული?

— ხო, ქართველი ემიგრანტი როგორ შემოვიდა ამერიკაში და როგორ დაიწყო ცხოვრება. ხოზე ფარერი იყო მთავარ როლში, თუმცა ისე ძალიან პოპულარული არ ყოფილა. მე მომწონდა, მაგრამ მაგი ჰოლივუდური კი არ არის, არამედ შექსპირელი მსახიობი იყო. ტიპიური ამერიკელი არ იყო, უყვარდა ისეთი გამოთქმები...

— რა შეიძლება გაგახსენდეთ: რეპეტიციებს თუ ესწრებოდით, გადაღებებს.

— გადაღებებზე დავდიოდი. სხვათაშორის, მაძლევდნენ დღეში 80 დოლარს, როცა მე ვმუშაობდი მთელი კვირა 21 დოლარად. აი, ეს არის ჰოლივუდი. ეს არის Star. სახელი თუ გაქვს და ჰოლივუდშიც ხარ, გათავდა. ეს ფულია იქ. იმიტო, რომ მილიონები შედიოდა შიგნით.

— თქვენ რა როლს ასრულებდით?

— როლი? მითხრეს, ალექს, რატომ არ წამოხვალ ჩვენთან? გიორგიმ იცოდა, რომ მე მოცეკვავე ვიყავი, მიცეკვია წინათ ბალზე. ამის მეუღლე ბევრ სახელიან ხალხს იცნობდა. ესენი მოპატიჟებულები იყვნენ და მეც წამიყვანეს, რომ მეცეკვა ამათთვის.

—თქვენ მსახიობობდით საქართველოშიც, ახლა ჰოლივუდთან ურთიერთობაც... არ გიფიქრიათ, ჩართულიყავით ამ საქმიანობაში და ამ ხაზით გაგეგრძელებიათ თქვენი ცხოვრება?

— მე არა. ჩემი ენა არ იყო საკმარისი. ვერ შეეასრულებდი. მე საერთოდ, ფეხებით ვაკეთებდი უფრო მეტს, ვიდრე ჩემი ენით, ლაპარაკით... ვგრძნობდი, რომ ჩემთვის უკვე დაკეტილია. დიდი შეცდომა გავაკეთე, ყველაზე დიდი, მარა ბოლოს რომ გაიგებ, Too Late — უკვე გვიანაა: აღარ შეგიძლია. მე რომ ჩამოვედი აქა, ამერიკაში, მე უნდა წავსულიყავი პირდაპირ სამხედროში და შემესწავლა ფრენა. ძალიან მიყვარდა მე ფრენა, უნდა წავსულიყავი. მფრინაეი ვიქნებოდი. ვიმუშავებდი ამერიკაში სამხედროში. სხვადასხვა გზებს მოჰყვა: კაფეტერი, ხის გადაკვრები, ელექტროობა და ბლომად. რა ვიცი, ბევრი რამე ვისწავლე და გამოვიყენე...

— ეხლა სხვაც. ლადო ბაბიშვილი იყო ჩემთან ერთად ტყვეობაში. გერმანიაში ერთად ვიყავით. ბაბიშვილი ჩემისთანა კაცია. პაპაშვილი და სხვები ძველი ემიგრანტები იყვნენ. მაგენი 28—ში თუ ადრეც ჩამოსულები...

— განათლებით ვინ იყო ბაბიშვილი; მითითებულია, რომ იყო ფილმის ტექნიკური დირექტორი.

— განათლება ჰქონდა საშუალო სკოლა, მეტი არაფერი. ჩემზე უმცროსი იყო. მე 21—იანი ვარ, ის იყო ალბათ, 25?

— როგორ ფიქრობთ, ასეთი სერიოზული საქმე ჰოლივუდმა რატომ ანდო?

— ქართულ ენაზე იყო მაგი დაწერილი, რუსულ ენაზე იყო დაწერილი და ინგლისურად. ეხლა, ლადო ბაბიშვილი ქართულადაც ლაპარაკობდა, რუსულადაც ლაპარაკობდა და ინგლისურადაც. ძალიან სხარტი იყო, უცებ შეითვისებდა. კარგი ბიჭი იყო. თანაც, უყვარდა გამოთლა. გამოთლა ქვის. მე ისიც მაჩუქა, მაქვს შოთა რუსთაველის თავი. მოქანდაკე იყო. არ შეიძლება განათლება ჰქონოდა, იმიტომ, რომ ჩემზე უმცროსი იყო. მე რომ წამოვედი ჯარში, იმას არ შეეძლო შესულიყო, მცირეწლოვანი იყო და რა განათლება უნდა ჰქონებოდა. სპეციალისტობა არა მგონია. და ეს მოხდა იმიტომ, რომ მაგი ენებზე ლაპარაკობდა, სამი ენა იცოდა. ოჰ, დამავიწყდა, გერმანულიც — ოთხი ენა.

— ფილმის ირგვლივ რომ ვისაუბროთ: რა შეიძლება თქვათ ჯორჯ სიტონზე — რეჟისორზე, ის იყო მკაცრი, წინასწარ სცენარზე დამოკიდებული...

— სიტონი იყო ძალიან წყნარი. თითქოს გაძლევდა ნებას: თუ მსახიობი ხარ, აჩვენე! შენ ახალი ჩამოსული ხარ ევროპიდან, შენ არ იცი ენა... მე ფილმში ვიყავი ემიგრანტი. ფილმი იწყება მუსიკით, ასე იწყება, ეს ფილმის კადრებია. **ვათვალიერებ საგანგებოდ ჩამოტანილ ფოტოებს. მიჩვენებს ვინ ვინაა:** ეს პაპაშვილია, ეს სიტონი, ხოზე ი ფარერ. ეს ხალხია — მასოვკა. ეს კადრია ფილმიდან. შემოვდივართ გემით ამერიკაში.

— თქვენი ცეკვა თუ იქნა გადაღებული?

— მე ცეკვა ვასწავლე, აი, რომ გიამბობდით, დაპატიჟებული რომ ვიყავი, იქ ვიცეკვე, მოეწონათ. მერე ვაჩვენე მე ცეკვის რითმები, ილეთები, ფეხი როგორ გაესვა.

— უკაცრავად, ამას თქვენ ფარერს ასწავლიდით — გიორგის როლის შემსრულებელს?

— დიახ, ხოზეი აკეთებდა.

— და მას ქართული, ეროვნული ტანსაცმელი ეცვა?

— ეროვნული ტანსაცმელი იქ სრულობით არ იყო. ასე იყო, როგორც ჩვენ გვაცვია. რო შამოდის გემი, ორი ათასი, ორიათას ხუთასი ადამიანია გემზე. საქართველოდან ვინ ჩამოვიდოდა ასე, ამდენი. იქ იყო რუსებიც, ქართველებიც, სომხებიც, თათრებიც. უფრო ემიგრანტია წიგნში და ფილმშიც, ვიდრე ქართველი, საიდან — ეს არაა. გემი შემოვიდა ევროპიდან.

— რატომ ჰქვია ზოგადად ამ წიგნს — ფილმს „ყველაფერი შეიძლება მოხდეს". რა ხდებოდა? რაა ეს ყველაფერი?

— ფილმში, მაგალითად, საღაცა აცხობენ პურს, ვიღაცა ზელავს, ცომს აკეთებს. უნდა წამეიღონ და საცა ცეცხლია, იქ უნდა გამოაცხონ. კაცმა ჩაყარა პარკში ცომი და მოაქვს. მანქანა არა ჰყავდათ და ავტობუსში ზის და მოაქვს. ხელში უჭირავს ეს ცომი. გადაღებულია ასე, რომ სითბოა მაგარი ავტობუსში. ეს ცომი გაფუვდა, იწევს, იწევს და გადმოდის... კაცი აქედან შეაკვეხებს, იქიდან. ხალხი უყურებს, ისინი იცინიან, ეს კი კვდება, რა ჯანაბა დამემართა, რა ვქნაო... ყველაფერი შესაძლებელია, ემიგრანტი, რომელიც შემოვა ამერიკაში და ყველა ნაბიჯს გაივლის, რომ ცხოვრება გაიგოს.

— ემიგრანტი ბრუნდება სამშობლოში თუ რჩება ამერიკაში?

— არა, აქა რჩება. შეირთო ცოლი... ნიუ-იორკში იცხოვრეს და მერე მოდიან კალიფორნიაში. კალიფორნიაში გზის ხიფათები, 2 თუ 3 მანქანაა რიგში დაწყობილი, აევჯი მოაქვთ იქიდან.

— თქვენ? თქვენი გმირი რას აკეთებს?

— მე? მარტოკა ვაჩვენე, ვასწავლე, როგორ გაიარონ, ქართული ცეკვის დროს, როგორ ექცევა მამაკაცი ქალს. რო ვაკეთებდი, ვასწავლიდი — ისწავლა, შეისწავლა. ბევრი არაფერია, არა? ფეხით სიარული. **გვიჩვენებს. და ეს თქვენი „ცოდნა" სხვა ფორმით არ გამოუყენებიათ?**

— ცეკვა მეტრაჟში არ ჩაეტია და მოჭრა რეჟისორმა.

სურათი გადაიღეს, მარა, მერე ჩამოჭრეს.

— ფანდური? ფანდურზე იწერებოდა...

— ის ფანდური დღესაც სახლში მაქვს. იქ არის.

— ცნობილია, რომ ამ ფილმს მაინცდამაინც დიდი წარმატება არ

მოჰყოლია.

— არაფერი. წიგნი მოსწონდა ხალხს ძალიან. ძალიან მოსწონდათ. კინოში ნახეს, დაუსვეს ნოლი.

პაპაშვილების ოჯახი პერსილეანიაში ცხოვრობდა. ეზო ჰქონდათ მაგათ უკან, ბაღი, რაღაცეები. ქვები, დიდი ქვები. გამოხატულებით ზედა: დათვი, სელაპი... სპეციალურ ქვას ნახულობდა, ყიდულობდა და მოჰქონდა. მაგან მერე გააკეთა (პაპაშვილმა) დიდი გამოფენა. ეს მოწყობილი იყო. ხალხმა შეისყიდა... ძვირად. წიგნებიც ხომ იყიდებოდა, ფულს ღებულობდნენ, პროცენტებს ღებულობდნენ.

— ეს გამოფენა წიგნის გამოსვლის შემდეგ მოაწყო?

— კი, წიგნის მერე. სახელმა უშველა ძალიან.

— პაპაშვილების შთამომავლები ამერიკაში არიან?

— არავინ, არავინ დარჩათ. შვილი არ ჰყავდათ. შვილი არ ჰყოლიათ.

— ავიაციას ახსენებდით წელან. აღარ გაგაწყვეტინეთ. ამერიკული ავიაციის „მამა“ ალექსანდრე ქართველიშვილი. ხომ არ გქონდათ რაიმე შეხების წერტილი, როგორც მომავალ მფრინავს...

— შეხვედრა მინდოდა. არ ხერხდებოდა. ის ისე დაკავებული იყო. 50—იანი წლებია. მაგრამ რა მექნა. მითხრა: — ბიჭო, არ მცალია, მე ძალიან დაკავებული ვარ, ბოდიშიო.

— პირადად შეხვდით თუ ტელეფონით ისაუბრეთ?.

— ტელეფონით. მე ვეძებდი სამუშაოს. სადაც მე ვცხოვრობდი, ქარხანა იყო იქ, აკეთებდნენ ქაღალდის ჭიქებს. ქაღალდის ქვაბს...

— ერთჯერადი გამოყენების ნივთებს?

— ხო, ეძახიან Lily Camp. მითხრა, რომაო, სადა ხარ შენაო, მე ვუთხარი, აი, აქ. ხოდა, მიდი, ბიჭო, მანდ ქარხანაშიო, უთხარი ჩემი სახელიო სპეციალურად ერთ ადამიანს, კავშირი ჰქონდა, კადრების უფროსი იყო.

— თავად ალექსანდრე ქართველიშვილთან ვინ დაგაკავშირათ?

— გოგია ღოღობერიძე მუშაობდა მაგ ქარხანაში. იმ კაცს იცნობდა, იმას კაი სახელი ჰქონდა; უშველა ქართველებს, რო ჩამოვიდნენ. ბევრს უშველა. ვმუშაობდით.

— ეს ქაღალდის ქარხანა იყო, მაგრამ ქართველიშვილმა ავიაციაში ხომ არ ჩააბა რომელიმე ქართველი?

— ავიაციაში ახალი რომ კეთდება, სულ სხვანაირია, ყველა საიდუმლოა. მაგალითად, მანქანები — ერთი ქარხანა აკეთებს სხვანაირად, მეორე — სხვანაირად. დახურულია. საიდუმლოა. რო გაკეთდება, აღარ არის საიდუმლო; გამოიყვანენ და ნახე!

— გედევან ასათიანი ახსენეთ.

— ჰო, გედევანიც... გედევანმა მალე დაიწყო თავის ხელობა...

ლოს-ანჟელესში ერთად ვიყავით, პროფესიით ექიმი იყო. მისი შთამომავლობა დღესაც იქაა.

— ალექსანდრე სულხანიშვილი?

— ალექსანდრე სულხანიშვილი იყო სან-ფრანცისკოში. მანდ გავიცანი მერაბიშვილთან ერთად. ალექს მერაბიშვილთან ერთად. მერე ჩამოდიოდა ხოლმე.

— ალექსანდრე ადრე წასული იყო, 24–ში ქაქუცასთან ერთად, ჩოლოყაშვილთან.

— ჟორდანიას დროს, ცოტა მერე ეგ ჩოლოყაშვილიც. მგონი, სადღაცა საფრანგეთში ცხოვრობდნენ მაგენი.

სულხანიშვილი ახალგაზრდობაში მეომარი კაცი იყო. ხმალი ჰქონდათ. სიმაღლე კარგი, გამოჭიმული იყვნენ და ყველაფერი...

კარგი ადამიანი იყო. მერაბიშვილთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ალექსი მდიდარი კაცი იყო. კარგი შემოსავალი ჰქონდა. საშა მიდიოდა მასთან ხშირად, მუშაობდა კიდეც, მგონია, მასთან. ალექსის ჰქონდა დიდი რესტორანი, მუშაობდა მხოლოდ საღამოთი, დილით არ მუშაობდა. დავამთავრებდი სამუშაოს 12–ზე, პირველზე. ალექსი მერაბიშვილს ჰქონდა ძალიან დიდი კოლექცია, ძველი, ძველი. სახლში ჰქონდა ყველაფერი. დიდი სახლი გააკეთა კუნძულზე მაგან, სან-ფრანცისკოში მას ჰქონდა ყველაფერი: ნახატები, სპილენძის ჭურჭელი, ძველებური... საღაცა ევროპაში გეიგებდა, იყო, წევიდოდა, იყიდდა, ჩამეიტანდა. საშა მუშაობდა ხოლმე მაგასთან. გასაკეთებელი იყო რაღაცა თუ ეზო მოსაელელი, საშა უკეთებდა ყველაფერს. ფულს უხდიდა. წევიდა საშა საქართველოში და არ წაუღია ხმალი... გარდაიცვალა საქართველოში მერე... იქ დაასაფლავეს. ხმლები დარჩა მერაბიშვილს. არა, მერაბიშვილი მკედარი იყო უკვე. სახლში დარჩა ეს ხმალი მეუღლეს, რომელიც ინგლისელი, ლონდონელი იყო. ეხლაც, სანამ წამოვიდოდი, ველაპარაკე. დიდის ამბით მითხრა, შევხვდეთ ერთიმეორეს და ვიჭუკჭუკოთო... მაშინ მე დოვურეკე იმათ და ვუთხარი, მე მივდივარ თბილისში, ნოშრევანი მოვიდა ჩემთან და თქვა, ბიჭო, თუ მიდიხარო, ხმალიაო იქა, ალექსის მეუღლესთან, წაიღეო. რომელია? აი, ესააო, და წაიღე ეს ხმალიო. მოგცემსო. წევედი და გამოვართვი ეს ხმალი. მომცა და წავიღე. მერე ჩევედი ისტამბულში. ისტამბულიდან მერე გადავჯექი პატარა თვითმფრინავში და ტრაპიზონში შემოვედი. ასე იყო ეს ამბავი, სხვანაირად არ იქნებოდა.

— ბატონო ალექსანდრე, გაგაწყვეტინებთ. სულხანიშვილმა ჩამოიტანა დამოუკიდებელი საქართველოს დროშა. და ხმალი, თუ ქაქუცას ხმალი იყო, რატომ არ წამოიღო?

— სულხანიშვილი ერთხელ მერაბიშვილს ესესხა ფულს. იმან

უთხრა, როდის ჩამაბარებო. ამან: — აი, დეპოზიტიო. აი, ჩემი ხმალიო.

— ეს ნამდვილად ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხმალი იყო?

— რა ვიცი. მე ხმალი მისდღემჩი არ მკიდებია, არც მაინტერესებდა (იცინის)

— როცა ცეკვავდით?

ახლა ყველა ვიცინით.

— წაღება უნდაო. მე ვუთხარი, კაი, წევიღებ. ხომ არ ჩამოგვართმევენ? არაო, ვინ უნდა ჩამოგართვასო. წავიღე. მარა თბილისამდე კი არ მაცალეს ჩასვლა. შუა გზაში შეგვხვედნენ ისინი. თქვენ წიგნში ვნახე მე... პაატა ნაცვლიშვილი და...

— იმათ რა იცოდნენ?

— იმათ იცოდნენ იმიტომ, რომ ნოშრევანმა უთხრა, ხმალი მოდისო.

— სად დაგხვდნენ?

— ტრაპიზონში.

— ტრაპიზონში ჩამოვიდნენ საგანგებოდ და თქვენ არ გაგიკვირდათ? არ გითქვამთ მათთვის, თბილისში ამას მე თქვენ გადმოგცემდით, რა საჭირო იყო სხვა სახელმწიფოში შეხვედრაო?

— მე ის კაცი არა ვარ, ჩამოვიდა. გავიცანი. მითხრა, მე ესა ვარ და ისაო. ნოშრევანმა დარეკაო, თქვენ რომ მოგაქეთ ხმალი.

— კი-თქო, მე ვუთხარი. თქვენ უნდა გადმოგცეთ?

— ხო, მეო. სხვათაშორის, მე ბევრი ხალხი მიყენებენ. ღმერთო, უფალო, მე მართლა წამებული კაცი ვარ, მაშინ არ ვიყავი ისე წამებული, მე ბევრი რამ მერე გავიგე — გადაცემა ხმლის... ზეიმი ოფიციალურად.

— პაატაც არ დაკარგავდა, რასაკვირველია, უპატრონებდა, მოუვლიდა. კარგი იყო, ეს გაურკვევლობა არ მომხდარიყო. ალბათ, რადაც სათქმელი მასაც ექნება.

— რომ ჩამოხვედით, სულხანიშვილი გარდაცვლილი იყო, ხომ?

— სულხანიშვილიც და ალექსიც ორთავე მკვდარი იყო.

— გალაშვილი ახსენეთ. ძმები გალაშვილები.

— მე და ნოშრევანის უფროსი ძმა, მირიანი ვიყავით ტყვეობაში. მერე გერმანიაში მოვხვედით. მე ვიყავი მიუნხენში, მაგი იყო ზალცბურგში. ხშირად ჩავდიოდი ხოლმე ზალცბურგში. მაგას ჰქონდა რესტორანი გახსნილი. ერთხელ მითხრა, ალიოშა, ჩამოდიო და მომეხმარე რეკლამა უნდა გავაკეთოო. ერთი კარგი ცეკვა დავდგათო, ხალხი მოვა, საჭმელს ჭამენ... მე ვუთხარი, დიდი სიამოვნებით. ავდექი და ჩევედი. ორი კვირა დავრჩი მასთან. პარასკევს და შაბათს კონცერტები გვქონდა. ხალხი მოდიოდა: მეც ეცეკვავდი.

გააკეთა კარგი რეკლამები, ეიღო და გაყიდა მერე. იცოდა, როგორ გაკეთდეს ფული, ფინანსები... კარგი რეკლამა გოუკეთა რესტორანს და გაყიდა კარგ ფასად. ამერიკაში რომ ჩამოვედით, მაგი იყო სან-ფრანცისკოში. ჯერ შოთა დუმბაძესთან ერთად იყენენ მაგენი სანტა ბარბარაში, მუშაობდნენ, ლიმონს კრიფავდნენ, ფუთავდნენ და იქიდან წამოვიდნენ როგორც აგრონომები... მერე გააკეთა კიდევ პატარა საქმე და ჩამოვიდა სან–ფრანცისკოში. აქ ცხოვრობდა ერთ რუს ქალთან, რომელსაც არ ჰყავდა შვილი, არც გათხოვილი იყო არასდროს. ამ ქალს შესაძლებლობა ჰქონდა, ფული ჰქონდა. ადგენ და წავიდენ ერთი ქალაქია ნავადაში, რინო, ქალაქი რინო. ჩამოვიდა დათა. ამან იცოდა წყნარი, დინჯი ლაპარაკი. უჯერებდნენ. ამერიკაში საერთოდ, ხალხი ისეთია, რომ იტყვის სიტყვას, სჯერავს. ტყუილს ამბობ შენ, ყურადღებას არ აქცევენ, არც კი იციან. სჯერავთ და ასე მიდის ცხოვრება.

— რატომ, იმათ ტყუილები არ იციან?

— ზოგიერთმა, ალბათ. მე არა მჯეროდა. უნამუსო ვიყო, მივეჩვიე მერე მეც. ამერიკა არის ჭეშმარიტება. არ იტყუება. იმას კი არ ითხოვენ, მომე შენი ბეჭდიანი ქაღალდი. სიტყვა თქვა — გათავდა.

— წარმოშობით ვინ იყო ის ქალბატონი?

— წარმოშობით იყო რუსი. ემიგრანტი. სახლი ჰქონდა. გაყიდეს სან-ფრანცისკოში ბინა, თანაც ფული ჰქონდათ ბანკში, წავიდნენ და რინოში იყიდეს ძველი ოტელი. რინოში სახლები, ბინები არ არის, მარტო კაზინოებია. იქ სასტუმრო სჭირდებათ და ოტელიც გააკეთეს.

— ნოშრევანიც მათთან ერთად იყო?

— მაცადე ჯერ. ნოშრევანი ჯერ კიდევ საქართველოშია, ძინავს. 46 საწოლი ოთახი ჰქონდა.

— ე.ი. კარგი ბიზნესი?

— დიახ. მერე დეიწყეს, გაარემონტა. ძალიან მშრომელი კაცი იყო. ძალიან. გააკეთა ყველაფერი, გააწკრიალა. 77–ში ჩამოვიდა მაგის უმცროსი ძმა — ნოშრევანი. დამირეკა მე და მითხრა, რომაო, ნოშრევანი ჩამოვიდა ჩემთანო, ჩემი ძმაო და ჩამოდი ჩვენთანო. წავიმუსაიფოთ და დრო გავატაროთო. მე ეუთხარი, კაი, დიდი სიამოვნებით... სანტა-როზაში ვიყავი. აქედან რინო არის 4–5 საათის სავალი სასიარულო. ჩამოდიო. ჩევედი, გავიცანი ნოშრევანი. ვილაპარაკეთ, ვიჭუკჭუკეთ; მითხრა, დავრჩებიო. წამოვედი უკან. დიდი ხანი არ გასულა, იქედან მირეკავდნენ ორთავენი, ალექსი ჩამოდი აქო, ჩვენთანო, ცოტა რაღაცა საქმე გვაქვსო. ჩევედი. რას ნახავ? მაგარი უსიამოვნება აქვთ. მირიანი საყვედურობს, მომეხმარეო.

— მირიანს შვილები არ ჰყავდა?

— ცოლი ჰყავს. შვილი ჰყავს გოგო და ბიჭი. პატარები იყვნენ მაშინ. აგერ არისო. ერთად ვიცხოვროთო, ნახეკარი შენ, ნახეკარი მე. სხვა რა უნდა ქნას? შენ რა გგონია, სამუშაოდ ჩამოვედი აქაო. ამერიკაშიო? რო დაინახა, ეს ამოდენა ოტელია, ჩემ ძმას შემოდის ფულიო, მე დავჯდები აგერ და ვიცხოვრებო. დეიწყო სიგარეტი და Free...

— ლექსებს მაშინაც წერდა?

— არა, მაშინ არ წერდა. მაშინ არაფერს არ წერდა. მე ვუთხარი, ჩემოდანში ჩაალაგე ბარგი. წამოდი ჩემთან. ჩაალაგა ბარგი. წამოვიყვანე. მოვიყვანე ჩემთან, სახლში. მე მეუღლე მყავდა მაშინ.

— თქვენ გეხმარებოდათ ნოშრევანი?

— არა, მე ვეხმარებოდი.

— არა, მე ვგულისხმობ საქმეს.

— მე ვუთხარი, რა შეგიძლია, მანამდე გავიკითხე-გამოვიკითხე. მაგან მითხრა, რომ იყო საქონლის ექიმი. მეთორმეტე ავენიუზე იყო განცხადება. მე იმათ ვუთხარი და მოგვიყვანეო.

— ენა იცოდა?

— მაშინ ცოტას ლაპარაკობდა. ვუთხარი, ნოშრევან, სამუშაო გიშოვე, შენი სპეციალობით: საქონლის ექიმის თანაშემწე. მიგიყვან შენ, გამოიყენებ ცოდნას და ფულიც გექნება და ყველაფერი. ოჰ, არაო, ვერ ვიზამო. მე ვუთხარი, რატომ, ბიჭო? არ გინდა მუშაობა? მუშაობა კი მინდაო, მაგრამ არ ვიციო. მე ვუთხარი, ხო დაამთავრე ინსტიტუტი. კიო, მაგრამო... მერე გამოვუნახე ერთი მაღაზია; დიდი მაღაზია იყო. რა გინდა, სულო და გულო: საჭმელი, ტანსაცმელი, ბოვშების, დიდების. მე ვუთხარი: — აი, ეს არის. ეს უნდა დასუფთავდეს, ყოველდღე. 6—მდე მუშაობდნენ. ვასწავლე. იფიქრა, გავაკეთებო. თავის ძმასთან არ უნდოდა და აქ თქვა OK, დეეიწყეთ. ნელ-ნელა... მერე ბინაც ვუშოვე, ერთ ოთახიანი კარგი ბინა. უკვე ჯამაგირს კარგს ღებულობს, შეუძლია, გადაიხადოს ქირა. წამოიწია. მერე შეყვარებულიც ჰყავდა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და მშვენივრად იყო, კარგად. მეიწადინა, უნდა წავიდე საქართველოშიო. „გრინ კარტა“ ჰქონდა. წამოვიდა. ჩამოვიდა უკან. დრო გავიდა. ამასობაში ნოშრევანი წლებში შეიქნა. უკვე შეუძლია, პენსიაში გავიდეს. გავიდა პენსიაში. იქა ცხოვრობდა, საცა მე ღღეს ვცხოვრობ. იმიტომ, რომ დიდი შემოსავალი არ ჰქონდა. მთავრობა უხდიდა ფულს. მე რომ დავიწყე მანდ ცხოვრება, მე დეეიწყე 280 დოლარით. ნოშრევანი იხდიდა 45 დოლარს მეტს კი არა, სხვა დანარჩენს მთავრობა უხდიდა. ერთი სიტყვით, მიატოვა ეს, გაყიდა მანქანაც, რომელიც მისმა ძმამ უყიდა საჩუქრად, გაყიდა სუყველაფერი, ეიღო ფული, წვეიდა საქართველოში და დაკარგა „გრინ კარტაც“.

მეიკლა თავი. საქართველოში მეიკლა თავი. მანამდე მე ჩეეედი საქართველოში, მე ვნახე მაგი. რუსთავში ცხოვრობდა. ჩამოვიდა ნოშრევანი რომ ცოლი დაუბრუნდებოდა, შვილი და ერთი-მეორე, კარგად. რაღაცა მოხდა, ვერ ააწყო...

— ლექსებს რომ წერდა, თქვენ როდის გაიგეთ?

— დაიწყო ლექსების წერა.

— იქ ინგლისურადაც წერდა, თუ მარტო ქართულად?

— მარტო ქართულად.

— აი, ბიჭო, მე ვუთხარი, შენ ვაჟკაცი ხარ. ისეთი კარგი ლექსები დაწერა, მშვენიერი, მშვენიერი... ხომ არ გინახავთ?

— კი, ნანახი მაქვს. წიგნიც ვიცი მისი, წამიკითხავს.

— მართლა? მართლა?

ვისვენებთ, ფოტოებს ვათვალიერებთ. ვთავაზობ, ახლავე დავაწეროთ, ვინ ვინაა. თანაც ვფიქრობ, რამხელა დრო და მანძილი გვაშორებს ამ დაფიქსირებულ წუთებს. სად და როდისაა ეს ფოტოები გადაღებული... აი, ეს კაცი, მუსიკოსი რომ უკრავს, რუსია; კონცერტებს ატარებდა. ძალიან განთქმული კაცი იყო ჰოლივუდში, პიანინოზე უკრავდა. მათ გააცნო ჩემი თავი: ქართველი მოცეკვეეაო. ერთხელ იყო კონცერტზე, საცა მე ვცეკვავდი. იქ იყო ეხლა, უცქირე, რეგენ, რენოლდ რეგენ, ქართულად რაღაც მაზალოთ ამბობთ, რეგენ კი არა, რეიგანი. **იცინის.**

სანამ ის პრეზიდენტი გახდებოდა, რეგენი, მსახიობი მაგი ბავშვობიდან იყო, მუშაობდა კომპანიაში, ერქვა: Jeneral Elektrik. ეს რეკლამას უკეთებდა. ჰოლივუდში მოხვდა სამხედრო მეომრების რაღაც დღესასწაულზე. კონცერტი ჩაატარეს. ამ კონცერტში მეც ვმონაწილეობდი. ჩემმა რუსმა პიანისტმა მითხრა: —ალექს, აუცილებლად უნდა წავიდეთო. წავედით. რეგენი ამავე დროს იმუამად არტისტების, მსახიობების „Union" გაერთიანება იყო და ეს იყო მეთაური იმათი. მერე იყო პრეზიდენტი. მე ხელი მაქვს ჩამორთმეული და უთქვია: — ახლა ჩვენ გვყავსო აქაო მთებიდანო, კავკასიის თეთრი მთებიდანო ქართველი ალექსი ფუტკარიო. შეგვისრულებს იქაურ ეროვნულ ცეკვასო.

— ანუ კონფერანსიე იყო და წარგადგინათ საზოგადოების წინაშე?

— დიახ, იყო Maestro Ceremony ეუბნებოდა ხალხს, ალბათ, კიდევ რაღაცას უყვებოდა. მაშინ ინგლისური ისე კარგად არ მესმოდა. ხოდა, ვიტრაბახებ ხოლმე ხანდახან: თქვენ ვინა ხართ, პრეზიდენტი ამბობდა ჩემს სახელს.

— აუდიტორია დიდი იყო?

— აუჰ, უზარმაზარი. სამხედროები თავიანთი ოჯახებით და შვი-

ლებით. ეს ჰოლიუდში ტარდებოდა, სადაც ვარსკვლავებს ურიგებდნენ — იქა.

— სხვა ქართველები, რომლებსაც ამერიკაში იცნობდით; კიდევ რომელს გაიხსენებდით?

— გივი კობახიძე იყო ნიუ-იორკში. საღამოობით ვთამაშობდით, ზოგი მოიგებდა, ზოგი წააგებდა, როგორც თამაშის წესია. გივიც იყო. გივი იყო Vois of Amerika დიახ, ისიც „ამერიკის ხმაში" იყო. **ლექსებსაც წერდა და ნიუ-იორკში კრებული გამოსცა ქართულ ენაზე.**

— კი, თქვენც გცოდნიათ. მეუღლეც ჰყავდა. ბოვში არ ჰყოლებიათ.

— დიახ, შვილი არ ჰყავდათ, მაგრამ თუ არ ვცდები, მეუღლის ძმისშვილი იზრდებოდა მასთან.

— მაგენი უკვე აღარ ვიცი, მაგენი მერე ჩვენ დავცილდით, იქით იყვნენ — ვესტერნ.

— გივი იყო არაჩვეულებრივი ადამიანი. ის არ იყო ნორმალური. როგორა ვთქვა, ჩვეულებრივი, ჰო, ჩვეულებრივი. ის იყო არაჩვეულებრივი ადამიანი. იცავდა თავის ადგილს, ნალაპარაკევს, არ გადავიდოდა არც ერთ მხარეს, არც მეორე მხარეს. მე სულ სხვანაირი ადამიანი ვიყავი. მე და ის ვერ ვიმეგობრებდით ერთად. აი, კარლო ინასარიძესთან ვიმეგობრე კარგად. ლადოსთან ჰა და ჰა. უფალო შეგვიწყალე, რაღაც თავისებური... მაგალითად, ეხლა ამერიკაში ვართ უკვე. მე ფუტკარი კი არ ვიყავი, რომ ჩამოვედი, ყველას ვუთხარი, რომ ფუტკარაძე ვარ. ამან დამალა თავისი გვარი. ის არ იყო ბაბიშვილი. მას ჰქონდა მეგრული გვარი. ის ფოთელი იყო. აღარ მახსოვს მისი გვარი, არ მახსოვს! სად გავიგე ხო იცი, ეს **საქართველოში?** აპა, საქართველოში გავიგე.

— გივი კობახიძის არაჩვეულებრივობა? ლექსები წაუკითხავს თქვენთვის?

— არა, ხომ ვთქვი, არ ემეგობრობდით. ვიცნობდი მხოლოდ, გამარჯობა — გაგიმარჯოს, როგორ ხარ... ესე მთავრდებოდა. არ ემეგობრობდით, არც ვიცოდი, რომ წერდა.

— გივი გაბლიანს?

— გივი გაბლიანს ვიცნობ გერმანიიდან, ბერლინიდან, როცა იყო ქართული ლეგიონის უფროსი. მაგის ხელში იყო ყველა ლეგიონები, ვინც იყვნენ. მაქედან გავიცანი. მომღერალი კაესაძეც რომ შემოგვიერთდა, მოდიოდა კონცერტებზე, გივიც იყო. რო გათავდა ომი, გივიც ჩამოვიდა მაშინ ამერიკაში. გივის ბოვში არ ჰყავდა, არ ებადებოდა. რო ჩამოვიდა, გამოიცვალეს ადგილი — გერმანია, ეს ამერიკა... 14 წელი არ ჰყავდათ ბოვში და მერე ამერიკაში დაორ-

სულდა ქალი და ეყოლათ.

— ეხლა მისი შთამომავლები იქ ცხოვრობენ და გაბლიანის გვარს ატარებენ?

— ბიჭები კი, მაგრამ გოგოები ვის მისთხოვდნენ, სად გათხოვდნენ, არ ვიცი, მე.

— რომელ ქალაქში არიან?

— მაგენი იყვნენ... დაიწყენ ნიუ-იორკში და მერე ზუსტად არ მახსოვს...

— ერთხელ გაბლიანი შვებულებაში რომ იყო, მე ტბაზე რომ ვცხოვრობდი, ცოლთან ერთად ჩამომიარა. მეც მნახეს, იყო ჩემთან და დარჩა. მე მესიამოვნა. რომ მოვცილდი ნიუ-იორკს, მერე გათავდა.

— კოლა ქვარიანი ახსენეთ.

— კოლა ქვარიანი ასე ჩასხმული კაცი იყო, მოჭიდავე იყო. ფრანგულის მოჭიდავე. ასე დააგდებდა...

— ცირკის არენაზე ჭიდაობდა?

— ცირკში მუშაობდა. სპეციალურად აძლევდნენ მეტ ჯამაგირს, იმიტომ, რომ იცოდნენ, რომ ეს ძლიერი იყო, მაგრამ უნდა დაცემულიყო, თვითონ უნდა მოხმარებოდა მეორეს, რომ წეექციათ. იმიტომ, რომ ფულს დებდნენ. ჩვენ ვეტყოდით ხოლმე, რატო, რატო ხდება ესე, ბიჭო, შენ ხომ ჩემპიონი იყავი, შენ ვინ დაგამარცხებს.

— კი, მაგრამო, ფული არა მაქ, მაძლევენ ფულსაო და რა ვქნა, ახლაო.

— წაგებაში იღებდა ფულს?

— გათავდა. კაი ხასიათის კაცი იყო. ნიორის ჭამა უყვარდა. რესტორანში წევიდოდით ერთად, ჯიბე ნიორით ჰქონდა სავსე. — არ გინდა? ასე გამოგიწოდებდა. მაგის ძმისშვილი იყო ტყვედ ჩემთან ერთად. გუნდი რომ შედგა, ვალიკო იყო გუნდის მენეჯერი. ისე, სამხედრო ოფიცერი.

— თვითონ როგორ მოხვდა ამერიკაში?

— ჩამოვიდა 28 წელში, ჩამოვიდა როგორც მოჭიდავე. ჩემპიონობა მოიგო და დარჩა, აღარ წავიდა. გარდაცვალების ამბავი მერე აღარ ვიცი, იმიტო, რომ მოვცილდი მერე ჰოლივუდსა და... ესაა ცხოვრება. ამერიკაში რომ ჩამოვედი, მითუმეტეს, არც დედა გყავს, არც მამა გყავს, არავინ... მეგობრები გყავს, მეგობრები კი არა, ნაცნობები, მოკლედ, კავშირები გაქვს... მერე მიდის და გავიწყდება. წავიდა სადღაც... ბევრჯერ მითქვია მე, აი, თქვენც რომ გითხარით, ნიუ-იორკში კაცი რომ იყო, საბურავების სახელოსნო რომ ჰქონდა. ის რო გავიცანი, როცა მივედი მასთან, მელაპარაკა. მე სამუშაო მჭირდება. მოიცადეო, ერთ კაცს დავურეკავო. იმას მაღაზია ჰქონდა

— ქართველი კაცი იყო, ჰქონდა ელექტრონის მაღაზია: ელექტრონის იარაღები, ხაზები... ამგვარ რაღაცეებს ყიდდა. აიღო ტელეფონი, რეკავს და თან იცინის. — რა გეცინება, მე ვუთხარი. — ბიჭო, აგერ ორი ქუჩა არიო, იქით ცხოვრობსო და ხუთი წელიწადია არ გვინახავს ერთმანეთიო. შეგირცხვათ, მე ვუთხარი, ქართველობა. რაფერ იზამთ. — ჰი, მითხრა, შენ მეიცადეო. ეს ხუთი წელიწადია და შეიძლება, 10 წელიწადი ვერ ნახო შენი მეგობარიო. წარმოგიდგენია? სიმართლეა! სიმართლეა! იმიტომ, რომ ამერიკა არის დოლარი, დოლარია? — მიდიხარ. არა გაქ? — გათავდა. ჰო, ასეა. დოლარი რო იშოვო, უნდა ირბინო და რო ირბინო, მაშინ დრო არა გაქ მეგობრებისათვის... თუ ქართველია, უნდა მიყვე და მიყვე... თუ არა, გაგრიყავენ და გათავდა.

— ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი, გივი და ოთარ ზალდასტანიშვილები...

— მე არ გამიცნია, მაგრამ ძალიან ყურადღებას ვაქცევდი, იმიტომ, რომ ვიცოდი, ქართველი იყო. იქ რომ ომი დაიწყო და უცებ მოახვია ყველაფერი... ძალიან კაცი გამოდგა. საქმიანი და ყველაფერი. მერე ჩავიდა საქართველოში, ამან გამახარა. მე ვთქვი, მოეხმარება პატარა რაღაცას... ძმები ეგენიც მასე. ვიცი. გავიცანი მე მაგენი. არ ვიცი, კონცერტზე თუ...

— პარიზის ემიგრაცია მაინც სხვა პარტიული კუთვნილების იყო: ზოგი — სოციალ-დემოკრატი, ზოგიც — ანარქისტი, სხვები — ეროვნულ-დემოკრატები, ფედერალისტები... მაინტერესებს, ამერიკაში თუ იყო ასეთი პარტიული დაყოფა?

— რასაკვირველია, მაგი რომ მიდიოდნენ, თან მიჰქონდათ.

— ამერიკაში რაოდენობრივად იმხელა ემიგრაცია არ იყო, რამდენიც საფრანგეთში, ე. ი. ამერიკაშიც არ ივიწყებდნენ ამას?

— არა, იქ რომ ეხვდებოდით ერთი-მეორეს ქართველები, საყავეებში, სადღაც... იქ იყო ლაპარაკი, რასაკვირველია, ყოველთვის იყო ლაპარაკი და ავიდოდა ყვირილზეც...

— ძირითადად, რა ფაქტებს იხსენებდნენ ხოლმე: 25 თებერვლის ამბებს, ილია ჭავჭავაძის მკვლელობას...

— მაგი გვქონდა სადა, იცით? ტყვედ რომ ვიყავით, ბარაკებში რომ ვიყავით. თივაზე ვიყავით წაწოლილი ბიჭები; დაიწყებდენ ლაპარაკს ცხოვრებაზე, პოლიტიკაზე, საქართველოზე... როგორ ხდება, რატომ მოხდა, მაგრამ ყოველთვის ვამთავრებდით პურზე... ჭამაზე გადავიდოდით. პოლიტიკა გათავებული იყო. მშივრები ვიყავით.

— იყო თემები, რაზეც ვერ თანხმდებოდნენ? ძირითადად რაზე კამათობდნენ?

— აი, წამყვანი ხალხი ვინც იყვნენ, დაწყებული სტალინიდან — ბერიამდე, რაღაცას ნახავდნენ ყოველთვის. რა მოიტანა ამან,

ამაზე იყო ლაპარაკი. ეს ის არ არის, ეს ესე არ ვარგა. რატომ? მეორე დღეს — აჰ, შენ არ იცი მაგ ამბავი. მაგალითად, მე ჩარევით არ ვერეოდი ამ იმაში, მაგრამ მე, დღესაც ასე ვარ, მე წამყვანს ვეხმარები ყოველთვის, სულით და გულით; იმიტომ, რომ ის წამყვანია. რატომ უნდა ვაკრიტიკო? გამოუგონო რაღაცა... როცა მეც შემიძლია, ცოტა გავაკეთო, დევეხმარო და საქმე გაკეთდება. მარა, ესაა ჩვენი უბედურება, რომ იქაც და აქაც უნდა ეიპოვოთ რაღაცა ცუდი. — ეხ, იმის დედა ვატირე, მაგი არ ვარგა. ვინ დანიშნა მაგი, არ ვარგა. — შენ უკეთესი ხარ, ბიჭო? ხოდა, ეს აფუჭებს საქმეს. ქართველებს ეს ძალიან გვაქვს.

— ამერიკაშიც ხშირად იყო ეს კამათი?

— ქართველი ქართველად რჩება.

— ტყვეები ან მაგალითად, ემიგრანტები — მათ უნდათ საქართველოში დაბრუნება. აქ არის სტალინის ფაქტორი, მისი ხელისუფლება; კიდევ იცავდა ვინმე? ეს ერთი ვერსია და მეორე — ქართველი რომ განაგებდა ამხელა იმპერიას, მაინც სიმპათიით იყვნენ განწყობილნი?!

— ახლა, მაგი უყვართ. ყველას უყვარს. მეც ქართველი ვარ, სტალინიც ქართველია. მაგრამ ახლა იგონებენ, ის იყო ოსიო. **ირონიულად ეცინება** აგრეთვე თამარ მეფის მეუღლეც ოსი იყოო; გადადიან–გადმოდიან. საითაც მეეხერხებათ...

— სიმპათია უფრო მეტი იყო თუ ანტიპათია?

— იცი, ჩვენ ტყვეები ვიყავით. სანამ ტყვედ ჩავვარდებოდით, გერმანიას უკვე ჰყავდა ტყვეები, იმიტომ რომ უკრაინა... მისწერა სტალინს, გამოგზავნე წითელი ჯვარი, რომ ტყვეებს ვაჭამო რამეო. მშივრები არიანო. ჩემი ხალხი არა გყავს, შენო. შენთან ვინც არიან, ჩემი მტრები არიანო. უარი უთხრა. უარყო თავისი ხალხი. ეს ტყვეებმაც გაიგეს; ყველამ გაიგო. მისი ხსენება ბევრგან იყო: მაგის დედა ვატირეო, ესენი წინააღმდეგი გახდნენ. იგივე მამაჩემიც, გრიშა გარსეანიშვილიც, საშა ტრიასინი... აგენი სულ ლაპარაკობდნენ. კომუნისტები იყვნენ სუყველანი მაგენი... მერე ტიროდნენ იმაზე, რა ექენით და რა ექენითო. მარა, გვიანი იყო, იჯდნენ აქობამდე.

— ბატონო ალექსანდრე, სიზმრებს ნახულობთ?

— ვნახულობ. ვერ გამომაქვს, არადა, ვიცი, რომ ვნახე. იქით წინეებზე, მეუღლემ გამაღვიძა, მიყვირია სიზმარში.

— იმ პერიოდში, როცა გააცნობიერეთ, რომ ამიერიდან სამშობლოში ალარ დაბრუნდებოდით, ამ მიზეზით თუ ნახულობდით სიზმრებს?'

— წინათ მე ვიცოდი არაჩვეულებრივი სიზმრები.

— არაჩვეულებრივი რატომ, გიხდებოდათ?

— მე თითქმის ყოველ სიზმარში თუ თვითმფრინავი არ მყავია, თვითონ დავფრინავდი. სულ. სულ. Вечно, Вечно.

— სად მიფრინავდით, სადღაც კონკრეტულ მხარეს და მიმართულებით თუ...

— ვფრინავდი, ვათვალიერებდი ადგილებს, ხალხს, ჩამოვდიოდი...

— საქართველოში თუ მოხვედრილხართ?.. და მერე უკან დაბრუნებულხართ.

— არა, არა მგონია. მაგი აღარ მახსოვს.

— ყველაზე მეტად რამ გაგაკვირვათ, ამერიკაში რომ ჩახვედით?

— რამ გამაკვირვა?

— ჰო.

— საქართველოში ყველაფერი გვაკლდა. თქვენ სულ სხვა თაობა ხართ, სხვა ტექნოლოგიებია... მე რომ დევიბადე, თბილისში შუქი კი არ იყო. 25 წელში მოვიდა თბილისში შუქი. ლამფა და ნავთი. ცხენით მოვიდოდა კაცი, ჩვენი სახლის პირდაპირ, არიხინებდა რკინას: კლინ, კლინ, კლინ.... ხალხი გამოვიდოდა, გამოიტანდა ჭურჭელს და გაავსებდა ნავთით. გამყიდველი ყვიროდა ხოლმე: ნავ-თი, ნაავ-თი... **ყელს იწვდის და საკმაოდ ხმამაღლა, თვითონვე განასახიერებს.** ამერიკაში ჩამოვედი. თავის დროზე ეს არის, ის — არის. აქეს ხალხს სულ ყველაფერი... ცხოვრობენ, ფულს აკეთებენ, ესაა „Amerikan Dream" — ამერიკული სიზმარი.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენ თვალწინ გაიარა თითქმის მთელმა საუკუნემ და დროის, მანძილის გადმოსახედიდან „ქართველი ერი" — თქვენ როგორ ფიქრობთ, მისი ყველაზე ღირსეული თვისება და ნაკლი, რომელსაც თქვენ ვერაფრით შეგუებიხართ.

— ნაკლი, აი, წელან რომ გითხარით; ცხადია, ვუყურებ ეხლა მე მდგომარეობას, დღეში ორჯერ მაინც უნდა ჩავრთო რუსთავი–2. უნდა ვნახო, ვუყურო პოლიტიკაში რა მოხდა, ხომ არაფერი გადაბრუნებულა. მაწუხებს ისა, რომ ეს ბიჭი დარბის, ეს სააკაშვილი, დარბის და საქმეს აკეთებს, რაღაცეებს აკეთებს. მე ვატყობ, მე ხომ ეხედავ ამ გაკეთებულ საქმეებს... მე რომ ჩამოვედი, მე ეხედავ ამას; ესენი მაინც... ბიჭო, მოეხმარე, ხელი გაუწოდე, იმას კი ნუ ფიქრობ, რომ... ნუ ეძებ, ცუდი რა მოხდა. შეცდომა ყველას აქვს. შეეწყოთ ერთმანეთს, გავაკეთოთ საქმე. თუ არ მოგწონს, მაშინ თქვი: ნუ გავაკეთებთ ამას, ნურც მოვკიდებთ ხელს... თუკი მომყვები, მომყევი, რაღაცა ქენი. ეს მაწუხებს მე.

— საერთოდ, ქართველი ადამიანი, ქალია თუ კაცია, არაჩვეულებრივია. თითქმის მსოფლიო მაქ შემოვლილი, მარა, ეს ევროპა, რუსეთი, ევროპიული ქვეყნები; ყველგან ნამყოფი ვარ, ხოდა, ასეთი

არ არიან, როგორც ქართველები. ასეთი არ არიან! არ არსებობს! სულ სხვა ხალხი ვართ. ყოველთვის ვიგონებ იმას, რომ ამბობენ საქართველო უფლის... **წილხვედრილი?** არა, საპენსიოდ რომ გახვალ დასასვენებელი... **სამოთხე?** ჰო, აპა, ესაა საქართველო ღმერთისთვის. კარგი ტრადიციებიც გვაქვს. ქართველი კაცი დღესაც, მე მგონია, მთლად უცხოც რომ იყვეს, გარედან რომ მიადგე, ხელს გამოგიწოდებს, გადაგიპატიჟებს, ე. ი. ტკბილი გულისა ვართ. ღმერთმა ნუ შეცვალოს და ქართველი იგივეა, რაც იყო. ქართველი ქართველად დარჩება.

— ბატონო ალექსანდრე, რომელი დღესასწაული გიყვართ ყველაზე მეტად?

— ქრისტეს დაბადება.

— ქრისტეშობა.

— ჰო, ქრისტეს შობა. როგორც კი აქ ჩამოვედი, წამება არ ვიცოდი. არა მწამდა მე. მითუმეტეს, რომ მე ბებია—ბაბუა მყავდა ძალიან მორწმუნეები. ლუკმას არ გადაყლაპავდნენ, რომ არ ეთქვათ: „მადლობა უფალს, რომ გვაქ პური“... ამერიკაში მარტოკა რომ დავრჩი, აღარც დედა მყავდა, აღარც მამა, აღარც ბებია მყავდა და აღარც ბაბუა; მე ვთქვი, ოჯახი მინდა. პირველ მეუღლეს არ შეეძინა ბავშვი, ექიმებთანაც ვიყავით, მარა... შევთავაზე, ავიყვანოთ ბავშვი, ჩავიდეთ უნგრეთში. ბლომათ არიან ბავშვები, გინდა გერმანიაში. მითხრა: — მეო, ჩემი თუ არ მეყოლა, სხვისი არ მინდაო. დავემშვიდობე —Good Bay. ახლა მყავს ორი გოგონა და სამი შვილიშვილი, ბიჭები: ანტონი, ჯანეთორ, კამერონი. ჩემი სიძე მესი, იტალიელია.

— გოგონებმა ქართული იციან?

— ვასწავლიდი, მაგრამ სკოლაში რომ წავიდნენ, გათავდა. დეივიწყენ.

— და შვილიშვილებმა?

— არც შვილიშვილებმა.

— რა იციან ბიჭებმა საქართველოს შესახებ?

— საქართველოზე კი იციან. მე მაგენი დავახვიე 91 წელში სუყველანი, დამიჯდა მამასისხლი, მარა, რაცა მქონდა... წამოვედი. მე ვუთხარი, წეიდეთ და ვნახოთ საქართველო, სად არის საქართველო, ვინ არიან ქართველები.

— 91—ის იმ რთულ პერიოდში?

— ეს არ ვიცოდი მე; გამსახურდია მოვიდა და არიქა, საქართველო... ჩვენ ოპერის სახლთან რომ მივედით, ავტობუსები იყო, გადაკეტილი იყო, ვერ გაიელიდით იქა...

— პირველად როდის ჩამოხვედით საქართველოში?

— პირველად, 1966-ში. ლოს-ანჟელოსში ვცხოვრობდი. პირველ

მეუღლეს გაეეყარე და საცხოვრებლად სხვაგან გადაეედი. ავიღე „apartment" ჩემს სამსახურთან ახლოს. გავიცანი ერთი მოხუცებული, ხანშიშესული ქალი იყო. მეევწონე. მკითხა: – საიდან ხარ. მოვუყეეი ქართველი ვარ. ტყეე ვიყავი და ჩამოვედი... დედას და მამას არ წერ წერილებსო? იმას ეგონა, რომ მე ჩამოვედი ამერიკაში და გათავდა, დავივიწყე ისინი. მე ვუთხარი, არა, არ შემიძლია-მეთქი, მივწერო. მოვუყეეი მერე. ოჰო, დამიწყო: მაგი არ შეიძლება. დედას უნდა მიწერო, დედას უნდა გააგებიოო! წარმოგიდგენია? სანამდე არ დამაწერინა წერილი, მანამდე არ მომეშვა. ის ორსართულიანი შენობის პატრონი იყო, 40 ოთახი მაინც ექნებოდა.

– თვითონ რა ეროვნებისა იყო?

– წარმოშობით იყო ევროპელი. მე მგონია, გერმანელი თუ ფრანგი, მაგრამ აქ, ამერიკაში დიდი ხანია ცხოვრობდა. სამი ან ოთხი თაობა.

– დაწერა არ გინდა? როგორ უნდა მივწერო. რა ჯანაბა დავწერო. მეუბნება, რომ დედის სიყვარული ეს არის არაჩვეულებრივი. ამას თუ დაუნგრევე, ეს სპობს ადამიანს. დამარწმუნა ამ საქმეში და დავწერე წერილი ბაბუასთან. ბაბუა გარდაცვლილი იქნებოდა აუცილებლად. იმიტომ, რომ ბაბუა რომ დაეტოვე, თითქმის 100 წლის ხდებოდა, 8 წელიწადი კიდევ უცხოვრია. ხოდა, მივწერე წერილი: – ბატონო ეფრემ, მე ჭრუჭუნა ფუტკარი... ჭრუჭუნას მეძახდნენ მე, პატარა რომ ვიყავი. რომ დავიბადე, პატარა თვალები მქონდა, სულ ესე ვიყავი – გაჭყანული. სხვათაშორის, თეატრში პიესა დავდგით. ვიღაცა მოკლეს რუსებმა, შეიყარენ ერთად და ტიროდნენ. გრიშა კოსტაეა ზალაშია და იქედან გვიყურებს. რეპეტიცია მიდის. მიყვირა იქიდან: – ალექსი, რას შვები შენ, ნუკი იჭყანები, რას იცინიო. სატირალი ამბებია მადაო და რას იცინიო. მე ვუთხარი, არ ვიცინი, არც ვიჭყანები, რა ექნა-თქო. ისე მქონდა პატარა თვალები. რაზე ვთქვი ახლა ეს ამბავი?

– წერილს წერდით, – ვახსენებ მე.

ხო, წერილის დაწერა. მივწერე, რომ მე ჭრუჭუნა ფუტკარი ვარ. თუ გახსოვთ, მე ჭიათურაში რომ ვიყავი, ჩვენ დავმეგობრდით. როგორ არიან თქვენი შვილები: ერემია, ალექსანდრე. ხო მკვდარი იყო, ვახსენე მაინც. თქვენი სიყვარულით, ბოლოშიაც მივაწერე – ჭრუჭუნა ფუტკარი. წეიკითხენ, ბიცოლაჩემი აქ არი, დიდი ნადია. წუხს. გამოვიდა მეზობელი, ლიდა ერქვა, ისიც ფუტკარაძის ქალი იყო. – რა იყო, რა დაგემართა ნადიაო და წერილი მივიღეო და ვიღაცაო ჭრუჭუნა არიო, ფუტკარიო. მაჩვენე ქალო. წეიკითხა და ეს არიო... კაი გაჩერდი, ქალო. როგორ შეიძლებაო. რა როგორ შეიძლებაო, ფუტკარი ეს არიო, ფუტკარაძეაო. ჭრუჭუნა ვისა ჰქვიაო,

არ გახსოვსო? კი, როგორ არ მახსოვსო, ალიოშას არ დავარქვითო, ჭრუჭუნა; ხო, ეგიაო. იყვირენ და გამოვარდა. მაშინვე წამეიღო ეს წერილი, სულ სირბილით ხარაგოულში ჩამოვიდა. 3 კილომეტრზე ცხოვრობდა. დაჯდა მატარებელზე და მოუსვა. თბილისში ჩამევიდა, მივიდა მამაჩემთან, დაარაკუნა კარებზე ხელი: — ვინა ხარ? ამ შუაღამისას ვინაა? — ლიდა ვარ, ფუტკარაძეო, ჩამოვედი თქვენთანო; ამბები, ახალი ამბები მომაქვსო. — რა ამბები?! ალიოშა ცოცხალია!!

ისე ემოციურად მიამბობს, სმა უტყდება. ცოტა ხანს ჩამწერს გამოვრთავ. რაფერ, როგორ **ვაგრძელებთ** უფალო, დოუძახენ ღმერთს. ესე გაიგენ, რო მე ცოცხალი ვიყავი. იცოდნენ, რო დეკარქე უგზო-უკელოდ. 25 წელიწადი გავიდა! ეს იყო 1941—დან 1966—მდე; 25 წელიწადი!

— იმავე წელს წამოხვედით?

— კი, იმავე წელს ვიშოვე ბილეთი... ვიზა მომცეს. იმიტო რო, რუსებმა ვერ მიცნეს მე: გაპარსული მქონდა ულვაშები, გვარი — ფუტკარი. ეუყიდე მამასაც ბილეთი წყალტუბოში. სომეხი იყო ჩვენთან ლოს-ანჯელოსში, რომელიც ბილეთებს და ვიზებს აკეთებდა. გამიკეთა მეც. სხვათაშორის, თბილისში დაბადებული სომეხი იყო. გამიკეთა კარგი საგზური წყალტუბოსი, აქედან გამიკეთა.

— რა რეისით წამოხვედით?

— ლოს—ანჯელოდან წამოვედი, იყო ჯერ ნიუ-იორკი, ნიუ-იორკიდან ჩავედი მოსკოვში და მოსკოვი—თბილისი. მოსკოვში გამოუგზავნია მამაჩემს კაცი. მამამ რომ მომწერა პასუხი, მითხრა, ნუ გეშინია, შვილო, ჩამოდი და მნახეო. წამოვედი. ჩამოვედი. გაუშვი სუყველანი თვითმფრინავიდან, სუყველანი წავიდნენ. მე დავრჩი უკანასკნელი. იფიქრეს, რა დეემართა, მეტი აღარავინ არის. ვალოდია მოდის, ჩემი ძმა, შემომხედა, მე ვერ მიცნო, მიდის. წავაველე მკლავში ხელი. მოვაბრუნე. — ვალოდია, სად მიდიხარ, ვის ეძებ? ე, ბიჭო. მომეხვია. აგერ მოდის ერემია, ტირილი არ მაჩვენოთო. სასიხარულოაო, ალიოშა ჩამოვიდაო! თქვენ რაღა გაქვთ სატირელიო. ჯოხით იყო მამაჩემი. წეევედით, შემიყვანეს თბილისის სასტუმროში. მერე, მამამ თქვა, რომაო ჩვენთან სახლში ამოდიო, გველოდებიანო. რო გამოვედი იქიდან აეროპორტში, ერთი ასამდე მაინც იყვნენ: დეიდაშვილები, მამიდაშვილები, სუყველა — ალიოშა მოდის, ალიოშა მოდის! დაკარგული კაცი. ვფიქრობდი, თუ რამეს დავწერ, უნდა დავწერო ასეთი სათაურით: დაკარგული ფუტკარი. ფუტკარი კილომეტრებზეც რომ გაფრინდეს თაფლის ამოსაღებად, მაინც უკან მოდის, იცის, სად არის თავის სახლი. მართალია, ფუტკარი რო დაიკარგება, ეს არაჩვეულებრივი იქნება. კი ვიყავი დაკარგული 25 წელიწადი, მარა ჩამოვედი. მაშინ დავრჩი სამი კვირა. წავედი ერემიასთან ერთად წყალტუბოში. იქ მერე სხვებიც ჩამოდიოდნენ.

(დამატებითი განმარტება: ტურისტად წამოვიდა. იქ საგზური

აიღო, ვითომ წყალტუბოში დასასვენებლად მოდიოდა –რ.ნ.)

კარგი რამ გითხრათ: წამოვედი წყალტუბოში, ხოდა, უნდა დამერეკა უკან. უკვე ცოლი მყავდა, ნადიაც დაბადებული იყო და ქრისტინაც. უნდა დამერეკა სახლში, რომ კარგად ჩავედი, წესრიგია. ხო, სანამდი ჩამოვიდოდი ეხლა მე თბილისში, თვითმფრინავი რომ გაჩერდა, იქით გაჩერდა, სხვაგან. გვამოწმებენ НКВД–ისტები. ამოწმებენ პასპორტებს. ავტომატით ერთი უკან დგას. ავტომატი აქვს ჩამოკიდებული. – დედა, მე ვთქვი, სად ჩამოვედი, ეხლა დავლუპე ყველაფერი. – ვაიმე, ჩემო ალიოშა, შენ ახლა ციმბირი არ აგცდება. ნახეს ჩემი პასპორტი, მერე ავტობუსში ჩაგვსვეს. მერე აგვიყვანეს მაღლა, იქ, სადღაცა გაგვეისინჯეს და მერე მაღლიდან ჩამოვედით კიბეებზე; მაღლიდან რომ ჩამოვდიოდით, ვიღაცამ წამავლო ხელი და: – ფუტკარი ხარო? – მითხრა. შევხედე და გამიკვირდა, ვიფიქრე НКВД–ელია და იცის, ვუთხარი: – ხო, მეთქი და ქართულად მითხრა: ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო. თბილისიდან გამომაგზავნესო, უნდა ჩაგიყვანო უკან, რომ კაცმა ხელი არ მოგკიდოს და არაფერიო. НКВД–ისტია, სომეხი, დაბადებული თბილისში.

– ეჭვი არ შეგეპარათ? ეგებ ჯაშუშია... КГБ.

– არა, რომ მითხრა, საქართველოდან გამომაგზავნესო, მამაჩემის ჩარევა იყო ამ საქმეში.

– და მოსკოვში დიდხანს უნდა გაჩერებულიყავით?

– არა. იმან უთხრა, რომ არაფერი მოხდესო. იმათ რომ გეეგოთ, რომ მე ფუტკარაძე ვარ, ერემიას შვილი ვარ. მეორე მსოფლიო ომის დროს ტყვეობაში ნამყოფი და არ წავედი უკან, ნაღდი იყო, ჩამავლებდნენ მე, მამაჩემსაც და სუყველას. მაგრამ თბილისის НКВД–ისტები, ქართველები, შეპირდნენ მამაჩემს, პარტიის წევრები და მეგობრები იყვნენ: ნუ გეშინია, ჩვენ ვიცით, რომ ერემიას ბიჭი მასეთი ცუდი არ იქნება და მოვეხმარებითო. არაფერი მოხდეს! გამოაგზავნეს კაცი, რომ იმან მიმიღოს მოსკოეში და ჩამიყვანოს თბილისში... დამყობოდა მერე ყველგან. ჩვევედი წყალტუბოში, იქაც იყო. მატარებლით წევედი; არც პასპორტი მაქ, არც არაფერი – იმან წეიღო ყველაფერი. მე ვთქვი, ეს რაფრაა. აპროწიალებდნენ იმ საბუთებს. მერე ჩამოვიდა წყალტუბოში. ჰქონდა ადგილი ქუთაისში, იქიდან ჩამოდიოდა წყალტუბოში. ერთხელ გააგზავნა ერთი ბიჭი. საქმე გააკეთა. აბა, უყურე: ამერიკელია, სტუმარი. სპეციალურად გააგზავნა კაცი რაჭაში და ჩაფით ჩამეიტანეს ხვანჭკარა. წარმოგიდგენიათ? O, yes ხვანჭკარა. ხო იცით, არა, სტალინი თუკი სვამდა, მე რა, არ შემერგებოდა? **იცინის.**

– ლოს–ანჟელესში დაბრუნებულმა ის დიასახლისი ნახეთ?

– რასაკვირველია, ის დიასახლისი ისე გახარებული იყო, რომ პირდაპირ ვერ წარმოიდგენთ.

– შემდეგ ჩამოხვედით?

— მერე ჩამოვედი 72-ში, 80-იან წლებშიც. 72-ში ჩამოვედი. პასტორი მყავდა თან, ჩემი ეკლესიის მწყემსი, მამაო...

— ამერიკაში, თქვენს ქალაქში, მართლმადიდებლური ეკლესია არის?

— არის. საცა მე ვცხოვრობ, ქალაქში ორია. ერთი იყო და გაიყო. ერთი სხვა აზრის იყო, მეორე სხვა აზრის და გაიყო. აშენდა ეკლესია.

— წირვა რა ენაზეა: ინგლისურად თუ რუსულად?

— ინგლისურად.

— ღმერთი — სამება მე მწამს, წმინდა სული აქ არის, ჩემთან. რომ მოინანებს, ეს სული ყოველ ადამიანს დაჰყვება თან, შენთან არის. ზოგჯერ ისეთ რამეზე გადაგარჩენს, რომ ის რომ არ ყოფილიყო, გათავებული იყო ყველაფერი. რომ გწამს, შენთან არის. ეს ქრისტიანულია. 72—ში ჩამოვიყვანე მე პასტორი. წავიყვანე წყალტუბოში. 80—იან წლებში ჩამოვედი მეუღლით.

— ბატონო ალექსანდრე, თქვენი შვილიშვილები გთხოვენ, რომ საქართველოზე რაიმე უამბოთ?

— სხვათაშორის, მეხმარებიან მე მაგენი ლაპარაკით და სტილით ვაწყვეტინებ.

— ვერ გავიგე, ლაპარაკით როგორ? ქართულად რომ არ ლაპარაკობენ?

— არა, ინგლისურად მელაპარაკებიან. აქ წამოსასვლელად რომ ვემზადებოდი: — ბაბუა, როდის მიდიხარ თბილისში? მე ვუთხარი, შვილო, ფული არა მაქვს. შენ რომ გამდიდრდები, ბლომად გვექნება, ბაბუას უყიდი ბილეთს და ბაბუასთან ერთად წახვალ საქართველოში. ხო, მაგას გავაკეთებთო და ესეთი რამეები. ვმასხრობთ. მუსიკას უკრავენ სამთავენი... ჩემი გოგოც უკრავს. მღერის კიდევაც.

— ქართულ მელოდიას უსმენენ?

— ხო, დოუდევით ნოტები და დაგიკრავთ ყველაფერს. ერთხელ ვუთხარი, შენ გოგო (**ნადიას გულისხმობს — რ.ნ.**) ჩემზე უკეთესად იცი საქართველო... ოჰოო, კაი, გაჩერდიო. მითხრა. კარგია, მსიამოვნებს, ეს რომ კეთდება. ქრისტინა უფრო დაკავებულია, სამი ბიჭები...

— ყველა ერთად ცხოვრობთ?

— არა, ნადია ცალკე ცხოვრობს, ქრისტინა ცალკეა, მე ცალკე. აგერ ეხლა, სახლი მაგათ რომ დავუტოვე, უკანასკნელი, ბინა დაწერილი იყო სამთავეზე: მეუღლეზე და გოგონებზე. ქრისტინას ჰქონდა სახლი და მშვენივრად. ქმარი არის ინჟინერი კომპიუტერების, ელექტროინჟინერი. კაი ფულს აკეთებს. საათები კი არ აქვს — როცა უნდა წავა, როცა მეეხასიათდება ადგება, წავა, რაღაცა უნდა შეიტანოს ტეხნიკაში. ყოველწლიურად რომ იცვლება, ახალი რაღაცა რომ გაუჩნდება კომპიუტერს, ესენი არიან.

— ბატონო ალექსანდრე, ყოველ ადამიანს თავისი რთული ცხოვრება აქვს. ემიგრანტისათვის ეს განსაკუთრებული სირთულეა, როცა საკუთარ მიწას წყდები, წყდები ბევრ რამეს: ფასეულობებს, ოჯახს, ტრადიციას, ახლობლებს— თუმცა ზოგი თვლის, რომ — არის მსოფლიო მოქალაქე და ეს უკეთესია. ორმაგი დამოკიდებულებაა. ზოგი ემიგრანტი ამბობს: — მე ბედმა გამიღიმა; აი, ზოგიერთისათვის კი მთავარი ფრაზაა: მე ბედისწერამ ზურგი შემაქცია. თქვენ როგორ ფიქრობთ, თქვენი ემიგრანტული ცხოვრებით...

— ჩემთვის ამერიკა, საფრანგეთი არაფერი არ არის. ადამიანები არიან ჩვენსავით, ოღონდ სხვა ენაზე მოლაპარაკე, სხვა ტრადიციებით. მე ჩემი ქვეყანა მიყვარს, სადაც მე დავიბადე, სიკვდილით ამას თან წავიღებ მე, ამ სიყვარულს.

— ისე, ბედნიერი კაცი ხართ?

— კი. მე რომ ქართველი ვარ... მე ამდენი ხანია აქა ვარ, გამიგეთ? მე დაც მყავდა, ძმაც მყავდა, ნათესავებიც მყავდა. ყველას უნდოდა, აქ ჩამოსულიყვნენ და ეცხოვრათ. მაგრამ არცერთისთვის მე პროპაგანდა არ გამიკეთებია, ჩამოდით. არასდროს... იმიტომ, რომ მე მინდოდა, ქართველი საქართველოში ყოფილიყო. აქ კი არა.

— „აქ", ანუ ამერიკაში?

— ოჰ, ბოდიში. ვიცინით გულიანად, აქ, აქა ვართ.

— თქვენთან ოჯახში ქართულად არ ლაპარაკობდით, არა. სამსახურშიც არ გიწევდათ ქართულ ენაზე საუბარი. ისეთი განუჯრელი ქართველი მეგობრები არ გყოლიათ. ძალიან ძნელია ამხელა ლექსიკონის შენარჩუნება, ყმაწვილი წახვედით ომში, ტყვეობა და— ნახევარზე ბევრად მეტი ხანა განვლილი ცხოვრებისა უცხო სივრცეში გაქვთ გატარებული. როგორ მოახერხეთ ქართული ენის ასე შენარჩუნება?

— როგორ მოვახერხე და სიყვარულით, რაც მე სიყვარული მაქვს ჩემი ქვეყნისა, მისია — რჩება. როცა რამეს ვაკეთებ, ქართულ ენაზე ვფიქრობ, თუ ელაპარაკობ. რასაკვირველია. ინგლისურად ელაპარაკობ, სადაცა ვარ. მე ქართველებთან თუ ვარ, ქართულად ელაპარაკობ. მე არ მიშლის ხელს ინგლისური ენა, თუ მე ქართველი ვარ, ამასაც თავისი ადგილი აქვს.

— ამან ხომ დავიწყება იცის.

— თუ არ ხმარობ ენას — დაგავიწყდება. დღესაც რომ სიზმარი მესიზმრება, ინგლისურად არ არის — ქართულია. ე. ი. ჩემი ტვინი და ყველაფერი აზროვნებს ქართულ ენაზე.

— ახლა რომ წარმოიდგინოთ, რომ ელაპარაკებით მთელ ქართველ ერს, საქართველო გისმენთ, რას ეტყოდით, რას უსურვებდით?

— ვეტყოდი, ჩემო ძმებო, დებო და ჩემო საყვარელო ქართველებო, ვინც ხართ, საქართველოში! ეს ქვეყანა უფლისგან თუკი გვა-

ქვს მოცემული, მოდი, მოვკიდოთ ხელი, გადავეხვიოთ ერთი-მეორეს და ვაკეთოთ ერთი საქმე, სხვადასხვა კი არა. ერს მოვეხმაროთ და ავაყვაეოთ ქვეყანა. ამ სიყვარულით ყველაფერი გაკეთდება სულ მალე.

ჩამობნელდა. სასიამოვნო სიგრილეც ჩამოდგა. ეზოში ძალლის ყეფა აქცევს იქაურობას. ქართული ოჯახი — ყველა ერთად, ქართულ-ამერიკული მოგონებები ხან ტკივილიანი, ხანაც სევდით სავსე; არცთუ იშვიათად, ხალისიანიც. მთელი ცხოვრება, თითქმის მთელი საუკუნე. თითქმის, თორემ მთხრობელს რომ შეხედავ, ასაკი ძნელი დასაჯერებელია. აუზის წყალი სინათლეზე ციმციმებს, პატარა სარწყავი შადრევნები ეზოს აგრილებენ... შფოთიანმა, საინტერესო ცხოვრებამ ჩაგვიარა თვალწინ, თუმცა დიდი იმედი მაქვს, კვლავ ბევრი მოსასმენი გველოდება. ბატონი ალექსანდრე ორ დღეში ამერიკაში მიფრინავს.

— გზა მშვიდობისა და მომავალ შეხვედრამდე!

2007 წელი, აგვისტო

შინაარსი

მთავარი: სამშობლოს გულწრფელი სიყვარული
– გიორგი ლობჟანიძე 3

წინათქმა 6

გიორგი ხატროშელი — მწერლები... არ იცვლებიან 9

ოთარ ჩხეიძე — რა ამბავ მოხდა ელოსა 41

ალბა გელოლი — როცა მზის ზარებს რეკავენ 81

ლეონიდ ბერეშელი — დამოუკიდებელი მთავრობის მანდატით —
მსოფლიოს წინაშე უ ფ ლ ე ბ ა მ ო ს ი ლ ი 141

ალექსანდრე ფოცხიშვილი — დაბრუნებული ფუტკარი 167